

ლაშა ჩხარტიშვილი

258 წლის თელავის თეატრი

Telavi Theatre 258 Years Old

Телавскому Театру 258 Лет



თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი
თბილისი
2019

გამოცემის იდეის ავტორი: **პაატა გულიაშვილი**

ავტორი: **ლაშა ჩხარტიშვილი**

კონსულტანტი: **გოგი დოლიძე**

რედაქტორები: **მარინე (მაკა) ვასაძე, ფიქრია ყუშიტაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი, დაკაბადონება და გარეკანის დიზაინი:
ეკატერინე ოქროპირიძე

ფოტოგრაფი: **ოთო მდივნიშვილი**

ინგლისურად თარგმნა **მაკო ყანჩელაშვილმა**
რუსულად – **ნინო (ნანუკა) პაპუნოვამ**

განსაკუთრებული მადლობა:

თელავის ისტორიულ მუზეუმს;
ფონდების მთავარ შემნახველს – **მარიამ ოხანაშვილს**, ფოტოფონდის მცველს – **ნანა თობაძეს**, არქივარიუსს – **ლია თანდილაშვილს**, ახალი და უახლესი ფონდების მცველს – **ნანული ზამთარაძეს**, თელავის თეატრის მუზეუმის გამგეს – **თამარ იმნაძეს**.

კრებულში დაბეჭდილი ფოტოების ნაწილი დაცულია: თელავის ისტორიულ მუზეუმში, თელავის თეატრის მუზეუმის საცავში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში, თეატრის მსახიობთა და რეჟისორთა პირად არქივებში.



წიგნი იბეჭდება თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ფინანსური მხარდაჭერით.

© ლაშა ჩხარტიშვილი, თელავის თეატრი

© Lasha Chkharitishvili, Telavi Theatre

© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი

© Modern Georgian Theatre Research Center

ISBN 978-9941-8-0827-2



**VAJA-PHAVELA TELAVI STATE
PROFESSIONAL DRAMA THEATRE**

**ТЕЛАВСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
ПРОФЕССИОНАЛЬНЫЙ
ДРАМАТИЧЕСКИЙ ТЕАТР
ИМЕНИ ВАЖА-ФШАВЕЛА**



მეფე ერეკლე II-ის ეპოქის სადროშო თელავის თეატრის ფოიეში

თელავის თეატრი დრამატული წარსულითა და მდიდარი ისტორიით უძველესი სათეატრო კერაა კავკასიაში. მუდმივმოქმედ პროფესიულ თეატრებს შორის კი ხანდაზმულობით იგი პირველია კავკასიის რეგიონში და, შესაბამისად, საქართველოშიც, რომლის ისტორიაც ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, XVIII საუკუნის II ნახევარში იწყება. მანამდე, საუკუნეებით ადრე, ისე როგორც საქართველოს სხვა ძველ ქალაქებსა თუ რეგიონებში, იმართებოდა სახალხო სათეატრო წარმოდგენები. ბერიკაობა და ყეენობა მთელ კახეთსა და შესაბამისად თელავში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი კვალი დღემდეა შემორჩენილი. „თვალი გადავავლოთ მსოფლიო თეატრალურ რუკას – წერს გამოჩენილი თეატრმცოდნე და მეცნიერი ნოდარ გურაბანიძე – აქ ვერ იპოვით მრავალ ისეთ თეატრს, რომელიც არსებობის 250 წელზე მეტს ითვლიდეს და ასე მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ეროვნული კულტურის ტრადიციებთან. სწორედ აქ, კახეთის ამ მიწაზე დაირწა პირველი ქართული პროფესიული თეატრის აკვანი“.¹

XVIII საუკუნეში თელავი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი გახდა. პროფესიული სათეატრო ხელოვნების თელავში ჩამოყალიბებას და განვითარებას ხელი შეუწყო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა და მდიდარმა სათეატრო ტრადიციამ (ნიღბოსანთა ხალხური თეატრის სახით). სწორედ ერეკლე II-ის მეფობის პერიოდს უკავშირდება თელავში პირველი პროფესიული წარმოდგენების გამართვა. პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების პროცესი იყო ხანგრძლივი და თანამიმდევრული. მანამდე, სანამ თელავში სასკოლო თეატრი გაიხსნებოდა, ქალაქის მკვირდნი რუსეთში გაემგზავრნენ, ააწყვეს წარმატებული სამსახიობო კარიერა და პეტერბურგისა და მოსკოვის სათეატრო ცხოვრებაში დაიმკვიდრეს მნიშვნელოვანი ადგილი. ეს ფაქტები დოკუმენტურად დასტურდება ქართულ და რუსულ წერილობით ძეგლებში, რომლებიც პირველად ძველი ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარმა ტრიფონ რუხაძემ გამოაქვეყნა.² ქართველი მსახიობები: სილოვან ნიკოლოზის ძე ზანდუკელი, ფანჩულიძე, ხერხეულიძე და გრუზინსკი ის მსახიობები არიან, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქის თეატრში მოღვაწეობდნენ. არცერთი მათგანი საქართველოში არ დაბრუნებულა. თუ როგორ მოხვდნენ თელაველები რუსეთში, ცნობები არ გვაქვს, სამაგიეროდ, მეფე ერეკლემ მოგვიანებით კიდევ გაგზავნა რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა ქართველი რუსეთში განათლების მისაღებად. მათ შორის იყვნენ: დავით ბატონიშვილი, ერასტი თურქესტანაშვილი, ივანე ორბელიანი, გიორგი ავალიშვილი, გაბრიელ არეშაშვილი, შემდეგში მაიორად წოდებული (არეშაშვილობა მეფეს მისთვის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უბოძებია). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ საფუძველი ჩაუყარეს თელავში სხვადასხვა ტიპის პროფესიულ თეატრს.

1758 წელს, ერეკლე II-მ თელავში გახსნა ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა, რომლის პროგრამა და სწავლების შინაარსი ემთხვეოდა რუსეთის თეოლოგიური სკოლების სწავლების მეთოდოლოგიას. ცნობილია, რომ სხვა საგნებთან ერთად, მოსწავლეები რიტორიკას, ანუ „სიტყვიერების თეორიას“ და დეკლამაციას სწავლობდნენ. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული იყო დრამატული თეორიის წესების შესწავლა, რომლის შედეგადაც ახალი, ორიგინალური პიესის შექმნა იყო. ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის აღსაზრდელები თავიანთი რესურსებით დგამდნენ მათივე დაწერილ პიესებს და სასკოლო სცენიდან წარუდგენდნენ ფართო საზოგადოებას. პირველი ასეთი სპექტაკლი

¹ გურაბანიძე ნ., თელავის თეატრი—200, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986, № 12, გვ. 17.

² რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია (II გამოცემა), თბ., 2001, გვ. 87-90.



მეფე - ერეკლე II

სკოლის გახსნიდან სამი წლისთავზე, 1761 წელს წარმოუდგენიათ. სწორედ აქედან იწყება ე. წ. თელავის „სასკოლო თეატრის“ არსებობის ისტორია. ეს თარიღი კი უნდა მივიჩნიოთ თელავში პირველი პროფესიული წარმოდგენის გამართვის თარიღად. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე წიგნში „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ წერს: „ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ორიგინალური პიესა ან უფრო სწორად დრამატურგიული მინიატურა 1761 წელს არის დაწერილი. მისი ავტორი ერეკლე II სასახლის კარის მოხელე იასე მიქაძეა. სცენა უსათაუროა. მინიატურა შინაური წარმოდგენებისთვის იყო განკუთვნილი“.¹ აღნიშნული დრამატურგიული მინიატურა მეცნიერების: კ. კეკელიძის, ს. კაკაბაძის, ი. გრიშაშვილის, ვ. კიკნაძის აზრით, ერეკლე მეფის კარზე, 1761 წელს, თავადიშვილთა მონაწილეობით უნდა დადგმულიყო. ამ მოვლენის შესახებ ინფორმაციას სხვა წყაროებშიც ვხვდებით, კერძოდ, რომ დადგმა „შინაური წარმოდგენებისთვის“


იყო განკუთვნილი. აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინში არ იგულისხმება „საოჯახო წარმოდგენა“, რომელიც გულისხმობს სახლში ან კერძო სასახლეში სახელდახელოდ, სცენისმოყვარეების მიერ გამართულ დადგმებს. მსგავსი ტიპის თეატრი საკმაოდ გავრცელებული იყო XVIII–XIX საუკუნის საქართველოში. „შინაური წარმოდგენა“ გულისხმობდა მაღალი საზოგადოებისთვის განკუთვნილ დადგმას, დიდგვაროვნების მონაწილეობით, მეფის სასახლეში, რომელიც ხელმისაწვდომი არ იყო ყველასათვის. რაც შეეხება იასე მიქაძის მცირე ფორმის უცნობ დრამატურგიულ თხზულებას, როგორც მოვლენას, სრულიად თავსებადი იყო XVIII საუკუნის პროფესიული თეატრისთვის. „შინაური წარმოდგენები ერეკლეს სასახლის კარის პროფესიული თეატრის წინარე პერიოდს განეკუთვნებოდა, თუმცა პროფესიულ თეატრშიც იყო მინიატურული პიესებისა და სცენების წარმოდგენის პრაქტიკა. კლასიკური ვრცელი ნაწარმოების წარმოდგენისას, იმავე საღამოს ერთ ვოდევილსაც გაითამაშებდნენ ხოლმე, ეს ტრადიცია მე-19 საუკუნის ქართულ თეატრშიც გაგრძელდა“.²

1761 წლიდან პროცესი შეუქცევადი გახდა და სათეატრო ცხოვრებამ თელავში უფრო მრავალფეროვანი სახე მიიღო. ბუნებრივია, სხვადასხვა ტიპის, ფორმის და მოწყობის თეატრის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა პოლიტიკური ფაქტორებიც, თელავი იმჟამად, ერეკლე II-ის წყალობით, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1782 წელს თელავში ფილოსოფიური სემინარიის გახსნა (1758 წელს გახსნილი სკოლის ბაზაზე), რომელმაც კიდევ უფრო განავითარა „სასკოლო თეატრი“. ამ პერიოდში სემინარიის რექტორი იყო დავით ალექსი-მესხიშვილი (1745–1824). ამ პერიოდში დაიდგა შემდეგი ორიგინალური ქართული პიესები: „ხოტბა ერეკლე მეორისა“, „გიორგი III“. თავად დავით მესხიშვილის მისტერია „უსელი“, „გასაუბრება მოხუცი და ახალგაზრდა მწიგნობარისა“ და სხვა. ამ პიესების ჩამონათვალი გვხვდება არამხოლოდ ქართულ წერილობით წყაროებში, არამედ რუსულშიც, კერძოდ,

¹ კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, ტ. 1, გვ. 23.

² ქართული დრამატურგია (შემდგენელი ვასილ კიკნაძე), თბ., 1992, ტ. 1, გვ. 9.

„თეატრალურ ენციკლოპედიაში“, რომელიც მოსკოვში 1967 წელს გამოიცა. (ტ. 2, გვ. 187). სასკოლო განათლების შემოღებასთან დაკავშირებით თელავის სემინარიაში გაიოზ რექტორის მიერ სასწავლო პროგრამაში გვხვდება დრამატული ხელოვნება და სემინარიასთან ფუნქციონირება დაიწყო „სასკოლო თეატრმა“. სასკოლო დრამის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწე იყო თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილი, რომელზედაც მისი თანამედროვენი წერდნენ: „სიტყვაგამოსწრებული კაცი, პოეტი, კომედიანტი, ავტორი ფილოსოფიური და



**მეფე ერეკლე II-ის სასახლის
(ბატონის ციხის) გალავანი**

საღვთისმეტყველო წიგნებისა“. წერილობითი წყაროებით და გადმოცემებით დასტურდება, რომ იგი თავად იღებდა მონაწილეობას თეატრალურ წარმოდგენებში და ცნობილი იყო თავისი „აქტიორული თამაშით“.¹

სწორედ ამ პროცესებზე ინტენსიური გახდა XVII საუკუნის მიწურულს სათეატრო ცხოვრება კახეთში. „წარმოიქმნება განსხვავებული ტენდენციები. სანახაობითი კულტურის განვითარების ხანგრძლივ პროცესში ფორმირდება ორი ტენდენცია: ერთია თეატრი ღია ცის ქვეშ და მეორე თეატრი შენობაში. შენობაში ყალიბდება პროფესიული თეატრი თავისი რეპერტუარით, დასით, ხელმძღვანელით“.²

XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში თელავში, ერთმანეთის პარალელურად, უკვე არსებობდა გიორგი ავალიშვილის და გაბრიელ მაიორის თეატრები.

1790 წელს, თელავში, ერეკლე მეფის კარზე შეიქმნა წარჩინებულთა თეატრი გიორგი ავალიშვილის (1762–1850) თეატრი. გიორგი ავალიშვილი გახლდათ ერთ-ერთი იმ ახალგაზრდათაგანი, რომელიც ერეკლე II-მ სასწავლებლად რუსეთში გაგზავნა. „მეფე ერეკლეს მიერ რუსეთში სწავლა-განათლების მისაღებად გაგზავნილმა ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა (დავით ბატონიშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი, ივანე ორბელიანი, გიორგი ავალიშვილი) სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტამცირე თეატრალური დასის შექმნა. მათ სიამოვნებით შეურთდნენ მეფე ერეკლესა და ავალიშვილის ქალიშვილები, შეიძინეს შესაბამისი ბინა და დაიწყეს წარმოდგენების გამართვა. ამ წარმოდგენებს სახისმეტყველებას უწოდებდნენ“.³

თეატრს სათავეში ედგა გიორგი ავალიშვილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა რუსეთში, ქართველი მეფის საელჩოში. იგი ძალიან გატაცებული ყოფილა თეატრით და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩამოუყალიბებია კლასიციკლური მიმართულების თეატრი, რომელიც მოხერხებულად იყენებდა ძველი ქართული თეატრის, კერძოდ „სახიობას“ ესთეტიკას. „გიორგი ავალიშვილის სასახლის თეატრში მსახიობებად სამეფო ოჯახის წარმომადგენლები გვევლინებოდნენ. მათ შორის, იყვნენ: თამაზ ანდრონიკაშვილი, დავით და მირიან ბატონიშვილები, მეფის ასულის ქალები, აგრეთვე

¹ თელავის თეატრი 200; შემდგენელი გულიკო ხეთაგური, თბ., 1986, გვ. 4.

² კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, ტ. 1, გვ. 23.

³ თელავის თეატრი 200; შემდგენელი გულიკო ხეთაგური, თბ., 1986, გვ. 4.



ქალაქ თელავის ხედი

ორბელიანის და ავალიშვილის ასულნი, სარდალ იოანე ორბელიანის კარის მღვდელი იოსები, რომელსაც ქეშიში დარდიმანდს უხმობდნენ და „კომედიების გამმართველი“ გაბრიელი მაიორი, რომლისთვისაც ერეკლე მეფეს არეშაშვილობა უბოძებია. სახიობა სრულდებოდა სახლსა სათამაშოსა შინა, სალხინო დარბაზებში, იპოდრომებსა და მოედნებზე. დასს ხელმძღვანელობდა დავით მაჩაბელი“¹. მსახიობ დავით მაჩაბლის შესახებ ცნობებს თეიმურაზ ბატონიშვილი გვაწვდის შრომაში „ტფილისის აღება ალა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ.“ თეიმურაზ ბატონიშვილი ასე ახასიათებს მაჩაბელს: „კვლავ მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი (რომელსაც საზანდრად უხმობდნენ) ესე იყო ერთ-ერთი წარჩინებულთა ძე საკრავთა და მსახიობთაგან მეფისა, მუზიკი და კომენდიანტი და ესე იყო უფროსი მსახიობთა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ესე იყო გვარეულობითი და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსა სახელსა სდებენ მაჩაბლად. ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა ზედა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე.ი. დაირა და უკრავდა მასზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაც ლხინსა შინა დაუკვრნენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისასა. ვინაიდგან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა, ხოლო მებრძოლნი ესე იყვეს კვირცხლნი და მიმართეს ქვეითად და ბრძოდეს მტერთა ფიცხელად და შეერთდა გუნდიცა, ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთა და ყვა მათ ატაკა მტერთა მიმართ და ვიდრე დროშებამდე ალა-მაჰმად-ხანისათა. მისტაცეს დროშანი რაოდინიმე მხედრობითა ალა-მაჰმად-ხანისათა და მრავალი სპარსთაგანი მოსწყვიტეს წინაშე მისსა. იხილა რა ალა-მაჰმად-ხანმა სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყუდა: „სიყრმიდან ჩემით, ვიდრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არსადა მიხილავს მე წინააღმდეგნი ვითარ ესე კაცნი ჩემდა მიმართ ყოფენ ბრძოლასა“².

იმდროინდელი რეპერტუარი, უმთავრესად, შედგებოდა უცხოური ენებიდან თარგმნილი პიესებისგან. გიორგი ავალიშვილი თარგმნის რუსი დრამატურგის ა. პ. სუმაროკოვის

¹ მუშლაძე დ., თ. ქუთათელაძე, ქართული დრამატურგიის ისტორია, თბ., 2014, გვ. 38.

² გერსამია ს., მეთვრამეტე საუკუნის თეატრალური მოღვაწენი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1929, № 7-8, გვ. 78-80.

კომედიებს: „რქის მატარებელი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“ და დიალოგური ფორმის სატირას „მკვდართა უბნობა“. იგი წერს და წარმოადგენს ორიგინალურ პიესას „მეფე თეიმურაზი“.

გიორგი ავალიშვილის მოღვაწეობის ხანაში ვითარდება ქართული დრამატურგიაც. ქართული დრამატურგიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს გიორგი ავალიშვილს, რომელიც ევროპული თეატრისა და დრამატურგიის პრინციპების ერთგული იყო. ის მხარს უჭერდა კლასიციზმის პრინციპების დანერგვას. წერდა ორიგინალურ პიესებს. დაწერილი აქვს პიესა „მეფე თეიმურაზი“. ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს: „1873 წელს, კახეთში, თავად ქობულაშვილებში გავიგე შინაარსი საქართველოში პირველად წარმოდგენილი კომედიის „მეფე თეიმურაზი“.¹

პიესაში გამოხატული იყო ევროპული ორიენტაციის პრობლემა. ამ პერიოდში შეიქმნა დავით ჩოლოყაშვილის „იფილენია – მათის მეფობის დიდებულების, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის თავშესაქცევად“ (რასინის მიხედვით, დადგმა განხორციელდა 1795 წლის მარტში), რომელიც მიზანმიმართულად არქაული ქართულით არის დაწერილი კლასიციზმის კანონების გათვალისწინებით, თუმცა ეს პიესა არ მიიღო (გ. ფირანაშვილის პიესასთან „ვეფხისტყაოსანი ტრაგედია“ ერთად) იმჟამინდელმა რუსეთის განათლების მინისტრმა დრამატული წესების დარღვევის გამო, თუმცა რეალური მიზეზი, შესაძლოა, სულ სხვა ყოფილიყო. ვინაიდან დ. ჩოლოყაშვილის „იფილენია“ პატრიოტულ თემებს ავითარებდა, ლოგიკურია, რომ სწორედ ამის გამო დაბლოკეს რუსეთში. „ქართული დრამატურგიის ისტორიის განსაზღვრისთვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დავით ჩოლოყაშვილის ფრანგულიდან გადმოქართულებულ პიესას „იფილენია“. პიესის ძირითადი თემატიკა პატრიოტიზმია“² – დასძენს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში გიორგი ავალიშვილის თეატრში იდგმებოდა ალექსანდრე ამილახვარის, გოდერძი ფირანაშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილის ორიგინალური და თარგმნილი პიესები. ამ უკანასკნელმა ფრანგულიდან გადმოაქართულა „ალათოკლე“ და დაწერა ორიგინალური პიესა „სამსახიობობა რაინდისა“, რომელიც რამდენიმეჯერმე დაიდგა თელავში.³ ეს ფაქტები კი მოწმობს იმას, რომ ქართული დრამატურგიის და სათეატრო ტრადიციის ჩამოყალიბების ერთადერთი წყარო არ იყო მხოლოდ რუსული კულტურა, ევროპული სათეატრო ტრადიციების და გამოცდილების გასაზიარებლად არსებობდა პირდაპირი გზაც.



ძველი თელავი

გიორგი ავალიშვილის თეატრის პარალელურად მალევე გაჩნდა მეორე სათეატრო კერა, რომელსაც ამავე თეატრის დასის ყოფილი წევრი გაბრიელ მაიორად წოდებული დრამატურგი და ანტეპრენიორი ჩაუდგა სათავეში.

ერეკლე II-ის დროინდელ ქართულ თეატრს უკავშირდება არტილერის მაიორი გაბრიელი. მის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი წერს: „თელავსა და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირაკლის დროში, რომლისაგა გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი, სომეხი“. გაზეთ „კავკაზის“ 1858 წლის 28-ე ნომერში ნიკო

¹ ქართული დრამატურგია (შემდგენელი ვასილ კიკნაძე), თბ. 1992, ტ.1, გვ. 9.

² იქვე.

³ აბრამიშვილი მ., ძველი ქართული თეატრი, თბ., 1925, გვ. 40.

ბერძენოვის (იგივე ბერძენიშვილის – ლ. ჩ.) სტატიაში „О быте Грузин старого времени“ ყურადღება გამახვილებულია ერეკლე II-ის დროინდელ თეატრსა და გაბრიელ მაიორზე. ამ შემთხვევაში ნიკო ბერძენიშვილის წყაროს ერეკლე მეფის შვილი, თეკლა ბატონიშვილი წარმოადგენდა. სტატიის მოკლე თარგმანი ასეთია: „ვინმე გაბრიელი, სომეხი, რომელიც იმყოფებოდა რუსეთში თავად ანდრონიკაშვილის ელჩობასთან, დაბრუნებულა რა საქართველოში მაიორის ჩინით, მოუწყვია სასახლესთან ახლოს თეატრი. არიგებდა ბილეთებს ლაკონიური ქართული წარწერით, რომელიც ორი სტროფისაგან შედგებოდა, სადაც იხსენიებოდა დამდგმელი ოსტატის სახელი და ბილეთის ფასი. ბილეთს ეწერა: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“¹. წარწერა „შაური ორი-გაბრიელ მაიორი“ გაბრიელ მაიორის თეატრის ბილეთზე იყო წმინდა მარკეტინგული გათვლა, რათა მაყურებელს არ არეოდა რომელ თეატრში მიდოდა. „ეს იმას ნიშნავდა, რომ მაყურებელს სცოდნოდა, სახელდობრ, რომელ დასთან ჰქონდა საქმე, რომ ისინი უნდა დასწრებოდნენ გაბრიელ მაიორის და არა სხვა რომელიმე თეატრალური დასის წარმოდგენას“².



მეფე ერეკლე II-ის სასახლე

გაცილებით მეტი ინფორმაცია გაბრიელ მაიორის შესახებ დაცულია თელავის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერ ფონდებში. 60-იან წლებში მწერალ ალექსანდრე ორბელიანს სახლში დაცული ჰქონდა გაბრიელ მაიორის თეატრში შესასვლელი ბილეთი, რომელიც დაბეჭდილი იყო პატარა ლურჯ ქაღალდზე. ეს მეტად საგულისხმო მასალა აფიქრებინებს მკვლევარებს, რომ გაბრიელ მაიორის თეატრი იყო კლასიკური ევროპული თეატრის ტიპის თავისი პარტერით და ლოჟებით, ორგანიზაციული სტრუქტურით“³.

გაბრიელ მაიორი იყო ანტეპრენიორი და რეჟისორი. მისი თეატრი მეფის „შესატყვევი“ იყო და „მდაბიოთათვის ხელმოუწვდომელი“. შესაბამისად, რეპერტუარიც საგანგებოდ ირჩეოდა და ეფუძნებოდა კლასიკურ ნაწარმოებებს. ერეკლე II-ს მისთვის არემაშვილობა უბოძებია. მის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „იგი თავისი დროის მხვეილგონიერი კაცი ყოფილა. მომზადებული ყველა საქმეში და მიღებული მეფის წინაშე. ყველგან მას

¹ თ ა ბ უ ა შ ვ ი ლ ი ა., ქართული თეატრის სათავეებთან, გ. „კვირის პალიტრა“, 30 აპრილი, 2011.

² ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი მ., „თელავის თეატრი“, 1984, გვ. 6–7 (მადლობელი ვარ მ. ზურაბიშვილის, რომლის დასახელებულმა წიგნმაც მიმიყვანა არაერთ ორიგინალურ წყაროსთან, მათ შორის, პერიოდულ პრესასთან).

³ თელავის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი ფონდი.



**მეფე ერეკლე II-ის სასახლის
(ბატონის ციხის) გალაგნის ფრაგმენტი**

უფროსი“ – მაჩაბელაა, რომელსაც სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით (თამაზ, ლევან, დავით) მოიხსენიებენ. ცნობილია, რომ ის დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული ნიჭიერი ქართველი მსახიობი იყო. თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ საინტერესო პიროვნებად არის წარმოდგენილი დავით მაჩაბელი. „ეს იყო წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისაი, მუსიკოსი და კომედიანტი და ეს იყო უფროსი მსახიობი და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა“.² 1795 წელს, ალა-მაჰმად ხანის შემოსევისას, დავით მაჩაბელი იარაღსხმული მიუძღოდა მეტბრძოლ-მსახიობთა რაზმს. იგი გმირულად დაიღუპა თანამებრძოლებთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში. „ზედ დააკვდა თავის ზარბაზნსა“ გაბრიელ მაიორიც. ომში დაიღუპა თავადი აბაშიძე იოანე. „მოსწყდნენ ბრძოლასა შინა, ძე ნიკოლოზ დივანბეგისა, თავადი გურამიშვილი გიორგი, ქუმელად სახელდებული, კვალად მოიკლა მუნვე გაბრიელ, მაიორი არტილერიისა, კაცი ფრიად მხნე და ფრიად განსწავლული. ესენი ფრიად საყვარელი და პატივცემულ იყვნენ მეფისაგან“.³ გაბრიელ მაიორი, როგორც ერეკლე მეფის მდივან-ბეგი და ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე გვამცნობს, დაღუპულია მაჩაბელთან ერთად კრწანისის ომში 1795 წელს. გაბრიელ მაიორი არტილერსიტი იყო და მას მაიორის ჩინი ჰქონდა. როგორც მეზარბაზნე გამოირჩეოდა კრწანისის ბრძოლის ველზე სიმამაცით და თავდადებით.

1795 წელს, „კრწანისის ტრაგედიით, დასრულდა პირველი ქართული პროფესიული თეატრის ისტორია“ – ასე აფასებენ ერეკლე მეფის ეპოქის თეატრს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე წიგნში „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“.

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის „ერეკლე მეფის თეატრი“ ორი სახისაა: სასკოლო დრამა (ლიტერატურულ-მისტიკური ხასიათის) და საერო-კლასიციზტური (რასინის, კორნელის, ვოლტერის და სხვათა პიესებზე დაფუძნებული). თუკი ანტიკურ თეატრში დრამატურგიის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სათეატრო ხელოვნების განვითარებას, ქართულ თეატრში, XVIII საუკუნეში, პირიქით მოხდა, თეატრის დაარსებამ მისცა ბიძგი დრამატურგიის ჩამოყალიბებას და მის განვითარებას. დავით ჩოლოყაშვილმა გადმოაქართულა რასინის ტრაგედია „ფეილენია“ – „მათის მეფობის დიდებულების, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის თავშესაქცევად“. დრამატურგთა შორის იყვნენ ალექსანდრე ამილახვარი („მოქმედება ასტრახანსა შინა“), გოდერძი ფირალაშვილი („ინლოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსთვის“), თეიმურაზ ბატონიშვილი („სამსახეობა რაინდისა“).

¹ კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, ტ. 1, გვ. 30.

² თელავის თეატრი 200; შემდგენელი გულიკო ხეთაგური, თბ., 1986. გვ. 6.

³ აბრამიშვილი მ., ძველი ქართული თეატრი, 1925, გვ. 40-41.



**მეფე ერეკლე II-ის
საფლავი სვეტიცხოველში**

ერეკლე მეფის ეპოქის სასახლის საერო პროფესიული თეატრის ჩამოყალიბება და მოღვაწეობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ თელავის, არამედ, ზოგადად, ქართული თეატრის ისტორიაში, ვინაიდან სწორედ აქ, ამ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი ქართულ ორიგინალურ კლასიციზტურ დრამატულ მწერლობას და კლასიციზტურ პროფესიულ თეატრს. „გიორგი ავალიშვილის თეატრმა საკაცობრიო კულტურის წიაღს დაუბრუნა და მსოფლიო სათეატრო კულტურის მიღწევებით განაახლა ქართული თეატრი. ამ პროცესმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართული თეატრის ისტორიაში“¹ – ასე აფასებს ერეკლეს კარის თეატრს ძველი ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარი დიმიტრი ჯანელიძე.

ერეკლე მეფის ეპოქის კლასიციზტური პროფესიული თეატრის ძირითადი თემატიკა, როგორც ზოგადად ქართული თეატრის ისტორიის ყველა ეტაპზე, პატრიოტიზმი იყო. თელავში აღმოცენებული საერო თეატრი არა მხოლოდ სცენიდან იცავდა ეროვნულ


ღირებულებებსა და ფასეულობებს, არამედ ფიზიკურად იბრძოდა ქართული სახელმწიფოს გადარჩენად და დასაცავად. ამის მაგალითია კრწანისის ომში დაღუპული დასის უმრავლესობა – მსგავს ფაქტს არ იცნობს მსოფლიო თეატრის ისტორია. ვასილ კიკნაძე წერს: „საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ყოველი ქართველის ოცნება იყო საუკუნეების მანძილზე. ამ იდეალებისთვის ბრძოლას შეეწირნენ ათასები, ქართული თეატრის უმთავრესი საფიქრალიც ეროვნული ცნობიერების ამაღლება, გამთლიანება და თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო.“ სწორედ ამ იდეალებს ფიზიკურად შეეწირა მაჩაბლის დასი, გაბრიელ მაიორი და სხვა მრავალი სათეატრო მოღვაწე.

ერეკლე II სამეფო კარის მსახიობების გმირულად დაღუპვასთან ერთად შეწყდა სათეატრო პროცესი არა მხოლოდ თელავში, არამედ მთელ საქართველოში. მხოლოდ 55 წლის შემდეგ განაახლდა თელავში, ამ ძირძველ და ტრადიციებით მდიდარ ქალაქში, წარმოდგენების სისტემატური და სტაბილური გამართვა.



ბორის რომანოვსკი – „კრწანისის ბრძოლა“, 1939 წ.

¹ იმედაძე ნ., შორეული წარსულიდან მომდინარე, გაზ. „თბილისი“, 20.III.1982.



მარაბლის დასის მემორიალი კრწანისის ბაღში

კრწანისის ტრაგედიის შემდეგ, პირველი ცნობები თელავში თეატრის განახლების შესახებ 1866 წლით თარიღდება. გაზეთ „დროების“ (№7, 1867) კორესპოდენტის ზ. წინამძღვრიშვილის ცნობით: „გასულ 1866 წელსა ყოფილა ორი წარმოდგენა თელავის ქართული თეატრისა, უთამაშნიათ „გაყრა“ გიორგი ერისთავისა და „მზის დაბნელება საქართველოში“ ზურაბ ანტონოვის ავტორობით. პუბლიკას დიდი სიამოვნება მიუღია წარმოდგენისგან და რაც შემოსავალი ყოფილა ზავედნიის (ანუ თეატრის – ლ. ჩ.) სასარგებლოდ გადაუღიათ“. ავტორი ამავე კორესპოდენტიაში გვაუწყებს: „დიდი ხანია ზავედნიის სახლად დანიშნული იყო უწინდელი ჩვენი მეფეების სასახლე და პროექტიც ამის განახლებისთვის კარგა ხანია შემდგარა, მაგრამ დღეს კი ძლივს დავინახეთ შენობა იგი დასრულებული. ამ მიზნით, დღეს, 11 ივლისს, თელავში მოხდა ერთი ამგვარი ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ძლივს ეღირსება ხოლმე იმისთანა ქალაქს, როგორცაა თელავი. ამ დღეს ეკურთხა ჩვენი მეფეების სასახლე და დაინიშნა წმინდა ნინოს ზავედნიისთვის, ამის შემდეგ სცენისმოყვარეებმა ითამაშეს პიესებიდან თითო მოქმედება“.



გაზეთი „დროება“

მომდევნო პერიოდზე ცნობები ისტორიულ თელავსა და მის შემოგარენში სპექტაკლების გამართვის შესახებ მოგვებოვება პრესასა და თეატრის მოღვაწეების მოგონებებში. 1872 და 1874 წლებში წარმოდგენები გამართულა სოფ. ენისელსა და სიღნაღში. ამ ფაქტს გამოეხმაურა მწერალი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი ს. მესხი. როგორც მოგონებიდან ირკვევა, დასს წვრილად განუმარტავს საზოგადოებისთვის „ვის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა, რამდენი შემოვიდა,

რამდენი დაიხარჯა და რამდენი დარჩა“. ეს ფაქტი სერგეი მესხს სამაგალითოდ მოყავს. ქართველი მწერალი და პუბლიცისტი იმასაც დასძენს, რომ თელაველთა დასმა ქალაქის ახლომდებარე სოფლებში წარმოდგენების გამართვით, ხელი შეუწყო თეატრის პოპულარობას და „თვით სოფელშიაც თითქოს მოღად შემოვიდა წარმოდგენების გამართვა“.

მომდევნო წლებში გაზეთი „დროება“ ხშირად აწვდის მკითხველს ინფორმაციას თელავში დადგმული სპექტაკლების შესახებ. 1875 წლის 21 თებერვალს გაზეთი სიამაყით ამცნობდა მკითხველს: „თელავში ორჯერ იყო ქართული წარმოდგენა, თბილისში ერთხელ. თელავში არც ერთ მოთამაშეს უღირსი მადლობა არ მიუღია საზოგადოებისგან. თბილისში მოთამაშეების ერთ ჯგუფს ტყუილი ტაშისკვრა რგებია“. რეცენზენტი დასძენს, რომ წარმოდგენას ესწრებოდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

გაზეთი „დროება“ (1875 წლის №25) მეტად საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის. კორესპოდენტი „მგ ზავრის“ ფსევდონიმით იუწყება: „ამა თვის 20, ქართული სცენის მოყვარეთ გაადვიძეს თელავის საზოგადოება ღრმა ძილისაგან. წარმოდგენეს „ვირზე შეჯდომა ერთი ჭირია-ჩამოსვლა მოერე“ ტ. სუქიასოვისა. ჩვენ არ ჩამოვთვლით მოთამაშეთა პირებს, რადგან ზოგიერთ მათგანს არ ესიამოვნება თავიანთი სახელისა



ილია ჭავჭავაძე –
„მუღმივი სცენის“ დამაარსებელი

და გვარის გამოცხადება, მხოლოდ ვიტყვით, რომ პირველ პიესაში, გარდა სომხის როლისა ყველამ კარგად ითამაშეს და ყველაზე უკეთესობა კი ქალებს დარჩათ. მეორე პიესაში კარგად ითამაშეს სამი როლი, რომელი და რომელი არ ვიტყვით, რადგან პიესის ცნობა არ აქვს საზოგადოებას დაუბეჭდაობის გამო. ეს წარმოდგენა წმიდა ნინოს ზავედნიისა და სომხების სკოლის სასარგებლოდ იყო დანიშნული. 12 თუშნამდის შემოსავალი შემოვიდა, რომლიდან თვალად ნ თუშანი დარჩა, დანარჩენი კი სცენის გაკეთებაზე დაიხარჯა, რომელიც შემდეგშიაც გამოადგებათ მათ. იმ 6 თუშნიდან 3 წმიდა ნინოს ზავედნიას ერგო და 3 სომხების სკოლას. ყველიერამდე კიდევ გვპირდებიან სამ წარმოდგენას და მანამ თუ არ წარმოადგინეს ყველიერში, მაინც უეჭველად წარმოადგენენ“¹. აღნიშნული სტატია რამდენიმე საინტერესო ცნობას გვაწვდის: 1. თელავში იდგმებოდა ისეთი პიესები, რომელთა პრემიერები აქ სრულდებოდა, 2. თეატრი იყო თვითდაფინანსებაზე და შემოსული თანხები

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას ხმარდებოდა და 3. თელავის თეატრი ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, რაც უცხო არ იყო იმ პერიოდის სხვა ქართული თეატრებისთვის, თუმცა აქ მნიშვნელოვანია, რომ თელავის თეატრი ეხმარებოდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ სომხურ სკოლასაც. მსგავსი პრეცედენტები, როცა თეატრი ეროვნული უმცირესობისთვის იღებს ხარჯებს, იშვიათად მოგვეპოვება ქართული თეატრის ისტორიაში. ჯერ კიდევ თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით „მუღმივი სცენის“ (იგივე რუსთაველის თეატრის) შექმნამდე, თელავში გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღია ერთ-ერთ პირველ ქართველ ფემინისტს, დრამატურგსა და პუბლიცისტს, შემდგომში „მუღმივი სცენის“ ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს ბარბარე ჯორჯაძეს. 1875 წლის გაზეთი „დროება“ (№119) კორესპოდენტის „წინამხრელის“ ფსევდონიმით გვამცნობს: „თელავში დანიშნული წარმოდგენა ჩაიშალა ქალების, მათ შორის, ბარბარე ჯორჯაძის წყალობით, რომელთაც სპექტაკლის დაწყების წინ უარი განაცხადეს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებაზე. მეორე დღეს კი წარმოდგენამ დიდი მოწონება დაიმსახურა და პუბლიკაც მეტად კმაყოფილი დარჩა თვითონ ბარბარე ჯორჯაძისა, რომელმაც მშვენივრად აღასრულა მისი როლი“.



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდე ყაზბეგი

მომდევნო წლებში თანდათან

¹ გაზ. „დროება“, 1875, №25.

მძლავრდება თელავში სათეატრო ცხოვრება, ხოლო მუდმივი დასი 1880 წელს იქმნება. ამ ფაქტს ხელი შეუწყო XIX საუკუნის 70-იან წლების ბოლოს (1879 წ.) თბილისში „მუდმივი სცენის“ დაარსებამ, რომელმაც ბიძგი მისცა რეგიონებში სათეატრო ცხოვრების აღორძინებას. მუდმივმოქმედი დასის ჩამოყალიბება თეატრის სტაბილური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. თელავში მუდმივმოქმედი დასის დაარსების შესახებ ცნობას გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან გვაწვდის ცნობილი ჟურნალისტი რომანოზ ძამსაშვილი-ცამცივევი, რომელიც გვაწუყებს, რომ თელავში დაარსდა კლუბი და დრამატული საზოგადოება (გაზ. „დროება“, 17 მარტი, 1880). 1880 წელს თელავში ორჯერ დადგმულა წარმოდგენა და ორივეს დიდი წარმატება ხვდა წილად.



„მუდმივი სცენის“ აფიშა

XIX საუკუნის 80-იანი წლები დიდი მოძრაობისა და გამოფხიზლების პერიოდი. თელავშიც იცვლება სიტუაცია. იცვლება კულტურული ფონი, ადგილობრივ თეატრალებს ვ. მაქაროვს, უ. ყიფიანს, ნ. რუსიევას და სხვებს ეხმარებიან სათეატრო მოღვაწეები დედაქალაქიდან. თელავის თეატრის სცენაზე გამოდიოდა ბარბარე ჯორჯაძე, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, დავით აწყურელი (გამყრელიძე), ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები. თავისი მხარის ხშირი სტუმარი იყო მაკო საფაროვა. გაზეთ „ივერიამ“ შემოინახა XIX საუკუნის 80-იანი წლების თელავის თეატრის დასის რამდენიმე წევრის სახელი. „დ. და ქ. ანდრონიკაშვილები, ს. ჯანდიერი, კენინა ა. მაყაშვილისა, ი. ზურაბიშვილი, ზ. ჩხიკვაძე, დ. აწყურელი, დიდებულიძის ქალი, ვ. გამყრელიძე, მ. ჰაჯმაძელოვი, გრ. ყაზახაშვილი, ვ. და ფ. კაკაბაძეები“.¹

1883 წელს თელავის ქართულმა დრამატულმა დასმა ორი წარმოდგენა უჩვენა მაყურებელს: რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და რაც ძალზე საყურადღებოა, ოფენბახის ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებით“. ამი შესახებ იუწყება „დროება“ (1883, № 201). 1884 წელს აგვისტოში თელავში კვლავ გაიმართა წარმოდგენა ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. ი. როსტომაშვილმა „დროების“ ფურცლებიდან მადლობა გადაუხადა თელავის დასს და განსაკუთრებით დავით აწყურელს (ნამდ. გვარი – გამყრელიძე).

XIX საუკუნის 80-იან წლებში გააქტიურდა „საქართველოს დრამატული საზოგადოება“, რომელსაც სათავეში ჯერ ილია ჭავჭავაძე, შემდეგ კი აკაკი წერეთელი ედგა. მათ და მათი თანამოაზრეების მიერ 1879 წელს შექმნილი „მუდმივმა დასი“ (შემდგომში რუსთაველის თეატრი) ხშირად მოგზაურობდა რეგიონებში, მათ შორის, თელავშიც. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში მოღვაწე მსახიობები პერიოდულად მონაწილეობას იღებდნენ თელავის თეატრის სპექტაკლებში. „თელავის ხშირი სტუმრები იყვნენ ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია და სხვები. ისინი უერთდებოდნენ ადგილობრივ დასს და ერთად ამზადებდნენ ახალ

¹ ყუ შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ფ., თელავის თეატრის ისტორია და თანამედროვეობა (ხელნაწერი ფონდი), დაცულია თელავის თეატრის მუზეუმში.




„მუღბივი სცენის“ აფიშა

ვოდევილი „ბიძიასთან გახუმრება“, ალ. ყაზბეგის „არსენა“ და სხვა. ამ პერიოდში დგამდნენ როგორც მსოფლიო კლასიკას, ისე თანამედროვე ქართველ დრამატურგებს. თელავის თეატრის XIX საუკუნის 80–90-იანი წლების რეპერტუარში გვხვდება მოლიერის, ჟერარდენის, კორნევის, წერეთლის, სუნდუკიანის, მაჩაბლის თარგმნილი და ორიგინალური დრამატული თხზულებები.

თელავის თეატრის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული კოტე მარჯანიშვილის სახელთან. მან სათეატრო მოღვაწეობა მშობლიურ ყვარელსა და თელავში დაიწყო. მშობლიურ ყვარელში, სახლში ის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს მართავდა. ამ ფაქტის შესახებ, როგორც თავად კოტე მარჯანიშვილი იგონებს, „ჩემმა წარმატების ამბავმა სამაზრო ქალაქ თელავამდე მიაღწია“.² კოტე მარჯანიშვილის მეგობარი ნადეჟდა ჟივოკინა იგონებს: „ყვარელში გამართული სპექტაკლების

დადგმებს. თითოეული სპექტაკლი სახალხო დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე“.¹ თელავის თეატრის დასთან, თელავის სემინარიაში სწავლის პერიოდში, მსახიობის ამპლუაში თანამშრომლობდა ვაჟა-ფშაველა. 1864 წლის 21 დეკემბერს, ვაჟა-ფშაველას მონაწილეობა მიუღია თელავის თეატრში გამართულ დავით და ვიქტორ გამყრელიძეების ხსოვნის საღამოში (ცაცა ამირეჯიბის მოგონებაზე დაყრდნობით).

XIX საუკუნის II ნახევრის თელავის თეატრის მოღვაწეობის შესახებ ცნობებს მხოლოდ გაზეთ „ივერიაში“ ვხვდებით. 1887 წელს დაუდგამთ რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ა. ცაგარელის „ბაიყუში“, ვ. აბრამოვის „ჯიბგირი“ და „ჯერ ქურდი და მერე მოურავი“. 1888 წლის რეპერტუარი კი ასე გამოიყურება: ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, დ. კეზელის „სცენები სოფლის სასამართლოში“, რ. ერისთავის მიერ გადმოქართულებული





„მუღბივი სცენის“ აფიშა

¹ ზურაბიშვილი მ., თელავის თეატრი, თბ., 1984, გვ. 12-13.

² მარჯანიშვილი კ., „შემოქმედებითი შემკვიდრება“, თბ., 1972, ტ. 1, გვ. 46.

შემდეგ მან თავისი ძალა გამოსცადა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, სადაც თავის დასთან სოფიო ალექსანდრეს ასულთან ერთად მონაწილეობდა თელავის პროფესიულ დასში. ისინი მომნიშვნელოდ თამაშობდნენ, განსაკუთრებით კარგად იყო გათამაშებული ვოდევილი „სკოლის წყვილი“, სადაც კოტე გიმნაზისტ სტიოპას თამაშობდა.¹ ამ ფაქტს ადასტურებს შემდგომში ცნობილი ქართული კინოვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე, გზად გადაეყარა თელავის თეატრში რეპეტიციაზე მიმავალ კოტე მარჯანიშვილს, რომელსაც პატარა კახის როლი უნდა ეთამაშა.



კოტე მარჯანიშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა თელავში მოღვაწე ანტეპრენიორთან მეღქო ჰაჯმაძელოვთან, რომელმაც თელავის თეატრის პირველი წესდება შექმნა (1894 წლის 1 მაისს „თელავის დრამატულში ამხანაგობის საერთო კრებაზე“). მისი ხელმძღვანელობის პერიოდში (1880–1915) რეპერტუარში იყო: ჯაოკომეტის „დამნაშავეის ოჯახი“, ერისთავის „სამშობლო“, მათ შორის, ა. ცაგარელის, ვ. გუნიას, ნ. გოგოლის და სხვათა ნაწარმოებები. სწორედ კოტე მარჯანიშვილმა შემოგვინახა გარკვეული ინფორმაცია ანტეპრენიორ მეღქო ჰაჯმაძელოვზე. რეჟისორი წერდა: „ის ინახავდა თელავის თეატრს, რომელსაც გააჩნდა სკამები, ფარდა... ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც მაშინ თეატრს სჭირდებოდა... სწორედ მან შემოძლავა მონაწილეობა მიმელო თელავის თეატრის დადგმებში, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. სპექტაკლში ფრაკი მჭირდებოდა, რომელიც მე არ მქონდა, მოვაწყვე „საბოტაჟი“ – თუ ფრაკს არ მომიტანდნენ, სპექტაკლს არ ვითამაშებდი, ანტეპრენიორი ფრაკის მოსაძებნად გაიქცა, მაყურებელი ღელავდა... ჰაჯმაძელოვმა ფრაკი ვერ იშოვა, მაგრამ საკუთარი ხელებით შეაბა ღილები რაღაც კოსტიუმს და ასე გამიშვა სცენაზე“.² კოტე მარჯანიშვილი არ იყო ერთადერთი, რომელიც თანამშრომლობდა თელავის თეატრთან. „მუდმივი სცენის“ თითქმის ყველა გამორჩენილი მოღვაწე მონაწილეობას იღებდა თელავის თეატრის

¹ მარჯანიშვილი კ., საიუბილეო კრებული, თბ., 1848, გვ. 98.
² მარჯანიშვილი კ., „შემოქმედებითი მემკვიდრეობა“, თბ., 1972, ტ. 1, გვ. 47.

დადგებში. გარდა ამისა, გამოჩენილი სათეატრო მოღვაწეები მართავდნენ საგასტროლო წარმოდგენებსა და ბენეფისებს.



მელქო ჰაჭატურიანი
— თელავის თეატრის
ანტრეპრენორი

გაზეთ „ივერიიდან“ ვიგებთ იმასაც, რომ თელავში ყველაზე პოპულარული პატრიოტული და კომედიური პიესები დაიდგა. 1898 წლის 30 აგვისტოს დავით ერისთავის „სამშობლო“ თელაველი ღარიბი მოსწავლის დასახმარებლად. გაზეთი წერს, რომ მონაწილეობას თელავის მკვიდრი მსახიობები იღებდნენ. მსახიობთაგან ჩამოთვლილია შემდეგი გვარები: გოშაძე, მატარაძე, ჩხიკვაძე, თორაძე, პაატაშვილი, ბენაშვილი და სხვები. „საზოგადოება ძალიან ბევრი დაესწრო, შემოსავალი ათ თუმნამდის იქნებოდა. საზოგადოება მოიზიდა როგორც ღრამის სახელმა, ასევე თავად იური ჭავჭავაძის დახმარებამ, რისთვისაც ის დიდი მადლობის ღირსია, მაგრამ სამწუხაროდ, იქ შეგროვილი ფული თელავამდინ ვერ გაჰყავთ ქველმოქმედებს, იქვე მიჰხარჯეს“.¹

— წერდა გაზეთი, თუმცა მანამდე, თელაველებს, 30 ივლისს „ხანუმა“ წარმოდგენიან სტუდენტ ანდრია ლორთქიფანიძის დასახმარებლად. ქველმოქმედების ადრესატი გაზეთში („ივერია“) (№ 170, 1898) აქვეყნებს მადლობის ბარათს, რომ მიიღო თანხა საქველმოქმედო წარმოდგენიდან. წერილს სტუდენტი რუსეთიდან აგზავნიდა.

ГОРОДЪ 18 97 ТЕЛАВЪ

Въ воскресенье 10-го Августа въ помеще-
нии Тел. жен. учебн. заведения св. Нины.
на усиление средствъ Заведенія, будетъ
данъ любителями

КОНЦЕРТЪ

СТАНОВИТСЯ:

1. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ
2. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ
3. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ
4. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ
5. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ
6. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ
7. Мелодия	Иванъ Соловьевъ	Иванъ Соловьевъ

ПОСЛѢ КОНЦЕРТА ТАНЦЫ

Плата за входъ: 1 рубль въ 2 руб. 10 коп. 2 руб. 1 руб. 60 коп. и особенно
въ 1 руб. 30 коп.

Билеты предварительно можно получить въ заведеніи св. Нины у дирек-
тора съ 10 ч. въ 2 ч. послѣ.

НАЧАЛО 8 Ч. ВЕЧЕРА

Въ ред. Тел. Уч. Зав. Телавы.
Типографія В. Гурганова въ Телавѣ.

А Н О Н С Ъ

ГОРОДЪ 18 98 ТЕЛАВЪ

ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ 16 АВГУСТА СЕГО ГОДА
на усиление средствъ заведения св. Нины въ
помещении заведенія состоится

КОНЦЕРТЪ

послѣ концерта
ТА Н Ц Ы

Программа концерта будетъ объявлена особю
представителями правленія С. Гамисовичъ

Въ ред. Тел. Уч. Зав. Телавы.
Типографія В. Гурганова въ Телавѣ.

ГОРОДЪ 18 98 ТЕЛАВЪ

ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ 12 ПОЛІА СЕГО ГОДА
на усиление средствъ заведения св. Нины въ
помещении заведенія имѣетъ быть

ТАНЦОВАЛЬНЫЙ

В Е Ч Е Р Ъ

для дѣтей отъ 7 до 10 ч. вечера, а для взрос-
лыхъ отъ 10 ти.

Плата за входъ, съ дамъ по 60 коп. съ навал-
еровъ по 1 р. съ дѣтей по 30 коп.

Билеты предварительно можно получить у Предвдителя Провленія
С. С. Гамисовичъ, у Члена Провленія Е. Т. А. Васильева, И. И. Липри-
ванова, С. А. Турчанинова въ дни сбора у себя.

Члвдвнн Провленія С. Гамисовичъ

Въ ред. Тел. Уч. Зав. Телавы.
Типографія В. Гурганова въ Телавѣ.

ГОРОДЪ 18 99 ТЕЛАВЪ

ВЪ СРЕДУ 6-ГО ЯНВАРЯ
на усиление средствъ Телавской жен-
ской Прогимназіи св. Нины, въ помещении
Прогимназіи состоится

Б А Л Ъ

НАЧАЛО ВЪ 8 Ч. ВЕЧЕРА

Будетъ играть хоръ Военной музыки и
саяндари

Плата за входъ: съ дамъ и навалеровъ по
1 рублю 5 коп.

Предвдителя Провленія С. Гамисовичъ

Въ ред. Тел. Уч. Зав. Телавы.
Типографія В. Гурганова въ Телавѣ.

XIX საუკუნის თელავის სათეატრო ცხოვრების ამსახველი აფიშები

¹ გაზ. „ივერია“, 1898, № 192.


„მუდმივი სცენის“ ვარსკვლავები თელავში



ვასო აბაშიძე



ელისაბედ ჩერქეზიშვილი და მაკო საფაროვა-აბაშიძისა



კოტე ყიფიანი და კოტე მესზი

განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა სათეატრო ცხოვრება თელავში XX საუკუნის დასაწყისში. ამ გამოცოცხლებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, სათეატრო ცხოვრების გააქტიურებამ დედაქალაქსა და რეგიონებში, ხოლო მეორე მხრივ 1915 წელს თელავში შევიდა რკინიგზა, რამაც უფრო იოლი და ინტენსიური გახდა კულტურული (და არა მხოლოდ) ურთიერთობები დედაქალაქთან. 1901 წელს თელავში ყოფნისას გარდაიცვალა რაფიელ ერისთავი, რომლის პიესები თითქმის ყოველ სეზონში იდგებოდა თელავის თეატრის სცენაზე, ვინაიდან მაყურებელს განსაკუთრებით უყვარდა მისი კომედიები. ქალაქის საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო მწერალსა და სათეატრო მოღვაწეს, 1902 წელს გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის წოდების პირველი მფლობელის ვასო აბაშიძის ბენეფისი და სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავი, 1903 წელს კი – ნატო გაბუნიაშვილის ბენეფისი. რამდენიმე წლის შემდეგ (1914 წ.) თელავის საზოგადოებამ განსაკუთრებული პატივი მიაგო თანაქალაქელს და ქართული თეატრის ვარსკვლავს, მაკო საფაროვას და სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა.

საინტერესო და მრავალფეროვანია 1903 წლის რეპერტუარი. მიუხედავად საკრებულო



თელავის თეატრის მსახიობები: კოტე ჭვლიძე, ვასო ბეგიაშვილი, მელქო ჰაჯმაბულოვი, გიორგი შაშიაშვილი, ნიკოლოზ ერისთავი და სხვები ქართული თეატრის ვარსკვლავებთან ნატო გაბუნიაშვილთან და ვასო აბაშიძესთან, 1901 წ.

დარბაზის რეკონსტრუქციისა, სცენისმოყვარეები თავიანთ სპექტაკლებს მაინც დგამდნენ კ. ონიკაშვილის სახლში. აქ ნახა მაყურებელმა ა. ცაგარლის პიესა „ჭკუისა მჭირს“ და „ადვოკატი მელაძე“. ზაფხულში თელავის სცენისმოყვარეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. გაიხსნა კლუბის ახალი დარბაზი: „სამ ივლისს თელავში რომ ამბავი მოხდა, თავის

დღეში არ ყოფილა. მთელი მაზრის ინტელიგენციამ ეროვნების, წოდებისა და სქესის განურჩევლად (თითოროლას გარდა), თავი მოიყარა თელავის თეატრის ახალ სადგომ დარბაზში. ამ სადამოს წიგნთსაცავის სასარგებლოდ გამართულ ქართულ-რუსულ დასებმა წარმოდგინეს ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ცოლი ორი დღით“, თარგმანი ნ. ყიფიანისა და მისივე „ქლიავი“. ა. ოსტროვსკის სამ მოქმედებიანი დრამა „უდანაშაულო დამნაშავენი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა... თამაში გულში ჩასწვდათ დამსწრეებს, რამაც ცრემლი და აქა-იქ ცნობის მიხდილობაც გამოიწვია“.¹ როგორც ავტორი წიგნისა „თელავის თეატრი“ მიხეილ ზურაბიშვილი წერს, ამ წარმოდგენებში მონაწილეობა ადგილობრივ და მოწვეულ მსახიობებს მიუღიათ. ცნობილია მათი ვინაობაც: ი. როსტომაშვილს, გ. იაშვილს, ლ. და ი. ვახვანიშვილებს, ხოლო რუსულ წარმოდგენაში ქ. ვასილევისას, ი. როსტომაშვილს, გ. იაშვილს, ბ. ნანუკოვს, ბ. ნათაძეს, ბ. აბულოვს, გ. ხირსელს, ა. ცირელნიკოვს, ბ. ანტონოვს, კ. ბახლოვს.



თელავის თეატრის დასი, 1902 წ.

თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია აფიშა, რომელიც იტყობინება: „1903 წელი, კვირა 27 მკათათვე, თელავი, თბილისის დრამის მსახიობის გაბუნია-ცაგარელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად თელავში „დაქცეული ოჯახი“, კომედია სამ მოქმედებად, ნ. სუნდუკიანცისა. გულბანთ ოსება-ვაჭარი – ვ. გამყრელიძე, სალომე – მისი ცოლი – გაბუნია-ცაგარელისა. აგრეთვე მონაწილეობენ მ. დიდებულიძე-გამყრელიძისა, ი. ვახვანიშვილი, მ. ჰაჯმაძელოვი, გ. აწყურელი და „დედისერთა“, კომედია 1 მოქმედებად ვ. გუნიასი. მონაწილეობენ კნენა რიფსიძე, ნ. გაბუნია ცაგარელისა, იოთამე, მისი შვილი-დ. აწყურელიძისა, მეორე მამა – მ. ჰაჯმაძელოვი, მისი ქალი – „ჯ“. ბილეთები იყიდება ცისკაროვის მაღაზიაში და

¹ გაზ. „ივერია“, 1903, №263.

მ. აჯმულოვთან. გამგეობა თეატრისა სთხოვს, რომ ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს... ანტრაქტების დროს დაუკრავს საზანდარი“.¹

ამის გამო ვინმე „დამსწრეს“ ფსევდონიმით გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ცნობას: „აფიშებმა ამცნო საზოგადოებას ნ. გაბუნია-ცაგარელისა და ვიქტორ და დავით გამყრელიძეების სცენაზე მონაწილეობა, ამიტომ თეატრს დიდძალი ხალხი მოაწყდა. გაბუნია-ცაგარელის გამოჩენას დიდი ოვაციებით შეხვდნენ, მაგრამ ისე კარგ მსახიობს უბრალო როლებში არ უნდა ათამაშებდნენ.“ გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილი კორესპოდენციიდან ირკვევა, რომ ამავე საღამოს დაუდგამთ მეორე წარმოდგენაც – ვეინბერგის პიესა „მზეს მოკლებულნი“, რომელშიაც ქებით არიან მოხსენიებულნი ადგილობრივი დასის მსახიობები, აგრეთვე ვიქტორ და დავით გამყრელიძეები. ნატო გაბუნია-ცაგარელის გასტროლები თელავში თითქმის მთელ თვეს გაგრძელდა. ცნობილია საგასტროლო რეპერტუარიც: ზ. ანტონოვის „მე მინდა კნენა გავხდე“, „მზეს მოკლებულნი“, „გაცრუებული იმედი“, გ. სუნდუკიანცის „დაქცეული ოჯახი“, დ. აწყურელის „დასჯილი“, და „ორი მშვიერი“, ა. ცაგარლის „ბაიყუში“.



დავით აწყურელი-გამყრელიძე



დავით აწყურელი მეულელესთან, ლიზასთან ერთად

1903 წლის 9 აგვისტოს ნ. გაბუნია-ცაგარლის გასტროლები თელავში მისივე ბენეფისით დამთავრდა, ამ საღამოს საბენეფისოდ დაუდგამთ აზიანის „გაცრუებული იმედი“ და ზ. ანტონოვის „მე მინდა კნენა გავხდე“. ამ წარმოდგენებში ნატო გაბუნიას განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია და ხალხიც მადლიერი დარჩენილა. მასზე მოგვითხრობს გაზეთ „ივერიაში“ ვასო თუმანიშვილი და თანაც დასძენს: „თელავში წარმოდგენები იმართება სშირად, კარგი წარმოდგენებიც არის, მაღალკვალიფიციური მსახიობებიც მონაწილეობენ, მაგრამ ანგარიშს არ უწევენ ხელოსნებს, შეგირდებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ბილეთების ყიდვას, რადგან ძვირფასიანი ბილეთები არისო. შეგირდების წრეში სშირად გაიგონებთ: დღეს მთელი დღე „ხაზინებს“ შევყურებთ, ადვილი კი არ არის ქურაზე ტრიალი და იმოდენა კვერის ცემა, თუმცა დაღლილები ვართ მაგრამ ჩვენც გვინდა რაიმე გასართობები“. თანაც ასეთი ლექსი დაურთავთ:

¹ გაზ. „ივერია“, 1903, № 157.



თელავის საზოგადოება თეატრის დასთან, 1903 წ.

ნ. ტერმისესოვი, ქ. კალანდიროვი, გ. დავიდოვი, გ. ოვანოვი, მ. მელექსიშვილი, ზ. საფაროვი, ვ. ნაცვლიშვილი, გულისაშვილი, ტ. შიუკაშვილი, ა. მგელაძე, ვ. ნაცვლიშვილი.

„ხელები დაგვბერებია ამდენი კვერის ცემითა,
რა არის რომ ჩვენც დაგვატკბოთ გაბუნიას ცქერითა...“¹

1904 წლიდან თეატრის დასში ირიცხებიან თელავის მკვიდრნი – ვანო და იოსებ კაკაბაძეები, ივანე და ტატე პაატაშვილები, მელქო ჰაჯმაშადოვი, ილიკო ჯავახიშვილი, ნაპოლეონ ასტვაცატუროვი, ვანო გამყრელიძე (ბეკოვიჩი), არჩილ გამყრელიძე, კოტე ონიკაშვილი, ანა მარქაროვი, სუზანა ბეჟანიშვილი, ბაბაღე მამაცაშვილი, ელენე ჩხუბიანიშვილი, ვენერა მელვინეთ-უხუცესი, ბეგლარ ახოსპირელი, სოლომონ გოშაძე, ვერა სიღამონიშვილი, ვასილ გოგოლაშვილი, საშა იაშვილი-ჩიჩუა და სხვები.

წარმოდგენები იმართებოდა თელავის ხევის გაღმა. ამ შენობაში დიდხანს იყო შინამრეწველ-ხელოსანთა კლუბი, შემდეგ შენობა საწყობად იყო გამოყენებული, ხოლო 1955 წელს დაანგრიეს ქალაქის რეკონსტრუქციის მიზნით. სცენა მაყურებლის დარბაზიდან ორი მეტრით დაშორებული და იატაკიდან ერთი მეტრით ამალღებული იყო. დარბაზში 12 რიგი იყო, თითოეულ რიგში კი 12 სკამი იდგა, ჰქონდა ქანდარაც, სადაც ფეხზე დგომით 30 მაყურებელი ეტეოდა, სცენის გვერდით პატარა საგრიმირო ოთახი იყო. მსახიობები აქ იკეთებდნენ გრიმს, ირგებდნენ კოსტიუმებს და პარიკს, აქვე ელაგა სცენის რეკვიზიტი.

სცენის წინა ფარდაზე ზეთის საღებავებით დახატული იყო ქართული ორნამენტები და მიწისძვრით გამოწვეული რომელიღაც ქალაქის ნანგრევები, ისედაც პატარა სცენას კიდევ უფრო ავიწროებდა „დეკორაციები“, რომლებიც ერთი ოთახის მაკეტისა და რამოდენიმე მოხატული უკანა ფარდისაგან შედგებოდა. უკანა ფარდაზე გამოხატული


¹ გაზ. „ივერია“, 1903, № 172.

იყო ბუნების პეიზაჟი, ქალაქის სილუეტები და შენობები, რომლებსაც სპექტაკლების დანიშნულების მიხედვით იყენებდნენ¹ – წერს მიხეილ ზურაბიშვილი.

დასი ყოველდღე ატარებდა რეპეტიციებს. სპექტაკლის მომზადებას ერთი თვის დაძაბული შრომა სჭირდებოდა. შემდეგ მაზრის უფროსის ნებართვა, გუბერნატორთან შეთანხმება, რაც კიდევ ერთ თვეს გრძელდებოდა და ამდენი დავიდარაბის შემდეგ სპექტაკლი სცენაზე მხოლოდ ერთხელ იდგმებოდა. მაყურებლის მიზიდვის მიზნით სპექტაკლის დაწყების წინ და ანტრაქტებში უკრავდნენ მეზურნეები და მელოეები.

1904 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ ერთადერთი სპექტაკლი დაუდგამთ „...სწორედ ერთ წელიწადი იქნება თელავში წარმოდგენა არ გამართულა, არ გამართულა იმიტომ კი არა, რომ თელავს სცენისმოყვარეები არა ყავს, არამედ მისთვის რომ საზოგადოება მოწადინებული არ არის... 19

ივნისს გამოცხადებული წარმოდგენა არ შეძგარა ხალხის გამოუცხადებლობის გამო, 3 ივლისს კი საზოგადოება ბლომად დაესწრო, მთელი დარბაზი სავსე იყო, წარმოდგენას საქველმოქმედო აზრი ჰქონდა და თელავში ხომ სულ ქველმოქმედებენ“² საუბარია წარმოდგენაზე „პატარა კახი“, რომელიც იმით არის გამორჩეული, რომ პატარა კახის როლს ასრულებდა ტრასვესტი ქალბატონი როსტომაშვილისა. „ეს ქალბატონი ქალის როლშიაც გვინახავს და ახლა დავრწმუნდით, რომ თუ ეცდება და გულს დაუდებს, უკეთესად შეუძლიან შეასრულოს ნაკისრი როლი. 16-17 წლის ყმაწვილი მშვენიერ ტანსაცმელსა და იარაღში გამოწყობილი, შვენოდა ქალბატონი როსტომაშვილს იარაღის ხმარება და ქცევაც კაცური ჰქონდა და უკეთესად შეასრულებდა, რომ ხმა დაემორჩილებინა. სულ ერთ აწულ ტონზე ლაპარაკობდა და ეს კი ცოტა არ იყოს, ხელს უშლიდა მის როლს“³ ე. ქართველიშვილმა შეასრულა დედოფალ თამარის როლი და კარგიც იყო. ტანისამოსი, სამკაული და სახის გამომეტყველება ხელს უწყობდა. სამაგიეროთ დედოფალს მხარი ვერ მისცა მეფემ, რომლის როლსაც ასრულებდა ბ-ნი ე. პაატაშვილი. არც კოსტიუმი ჰქონდა მეფის შესაფერი და არც ხმა.




დ. აწყურელი, ა. გოგოლაძე, ნ. მაჭავარიანი, ნ. მჭედლიშვილი, ელენე გოგოლაძე, ვ. მჭედლიშვილი, 1909 წელი

¹ მ. ზურაბიშვილის მითითებული წიგნი, გვ. 27.

² იქვე, გვ. 28.

³ იქვე.



**„ჯერ არსად ნათამაშევი“
სპექტაკლის
„ბებრის საღებროელი“
აფიშა, 1903 წ.**

გაზეთი „ივერია“ ვრცლად მიმოიხილავს ამ სპექტაკლს და წერს: „ბ-ნმა ვ. გამყრელიძემ გელას როლი ისე ხერხიანად და კარგად შეასრულა, რომ ბევრი ატირა. საუცხოვო სანახავი იყო, როცა მესამე მოქმედებაში თავის ტურფათი მუშებს შორის ჩადგა და დასძახა „მუშლი მუხასაო“. მუშებმა ბანი მისცეს. გაისმა გუგუნი. ეს ადგილი საზოგადოებას ძლიერ მოეწონა, ტაშის კვრით დააჯილდოვა და რამოდენიმეჯერ გამოიწვია. მისი ქალის, ტურფას როლი ქ-ნმა თბილისელმა ისე ითამაშა, რომ საზოგადოება გააკვირვა. ქცევა, სახის მეტყველება, ღამაზი და შესაფერი ჰქონდა. გივი ჩოლოყაშვილის – ს. გოშაძეს არა უშვადარა, მხოლოდ პირველად სუსტობდა. ქ. ვ. მაყაშვილი (ლევან ქვაბულაძე) და მ. აბელიშვილი (რევაზ ბებურიშვილი) ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ. რომლებშიაც სუსტობდნენ, არც ტანსაცმელი ჰქონდათ. წარჩინებულთა მაგიერ აწინდელი თავადიშვილის უბრალოდ ჩაცმულ მხლებლებს მოგვაგონებდნენ. მეფე-დედოფალს ამაღლა არ ჰყავდა. შიკრიკებათ პატარები იყვნენ. ჯარისკაცები ლაქიებს უფრო ჰგავდნენ. ანტრაქტებში სამხედრო

მუსიკა უკრავდა. წარმოდგენა პირველ საათზე დამთავრდა“.¹

ისტორიული წყაროები ცხადყოფს, რომ რუსეთის პირველმა რევოლუციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოშიც და, კერძოდ, თელავის მაზრაში. აქ იმართებოდა პოლიტიკური გაფიცვები, მუშათა და გლეხთა გამოსვლები და დემონსტრაციები. თელავში ცნობილია კურდღელაურელი გლეხების, აბრეშუმის საწარმოთა მუშების და წვრილი ხელოსნების „ბუნტები“ და „უწესობანი“, როგორც ამას მაშინ აფასებდა პოლიცია.

ქართული სცენის გამოჩენილმა ოსტატებმა ვ. აბაშიძემ, ლ. მესხიშვილმა, ნ. გაბუნია და სხვებმა, რომლებმაც სასცენო მოღვაწეობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყეს, რევოლუციის წლებში ქართული სცენა განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნად აქციეს. მათ ადგილობრივ დასთან ერთად თელავში წარმოადგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“. ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა ლადო მესხიშვილი, ქეთევანისას – ზურაბიშვილი კახიძისა, დიონიძისას – დავით აწყურელი, ისახარისას – ნატო გაბუნია. სპექტაკლმა მაყურებელში უდიდესი პატრიოტული აღტკინება გამოიწვია. ამ წარმოდგენამ ერთგვარი ნიადაგი მოამზადა საყოველთაო, პოლიტიკური დემონსტრაციისათვის, რომელიც ქართული ხალხური თეატრალიზებული სანახაობის – ყეენობის სახით წარიმართა. 1905 წლის 28 თებერვალს თელავში გამართული ყეენობის შესახებ წერდნენ „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, მთავრობის ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“. ისტორიულად თელავის თეატრისთვის უცხო არ იყო პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, თელავის თეატრის დასი ოდითგან ქვეყნის მთლიანობის და ეროვნული ღირსების სადარაჯოზე იდგა. თელავში ყეენობის გამართვას 1905 წლის თებერვალში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ვინაიდან ეს იყო მასშტაბური თეატრალური აქცია.

გაზეთი „ივერია“ ამ მოვლენას ასე აგვიწერს: „როდესაც ყენი მორთეს, გამოჩნდა ბოქაული, მოხადა ყენის შაქრის ქალაღლისაგან გაკეთებული ქუდი და დაუხია, ხალხმა

¹ გაზეთი „ივერია“, 1904., № 163.

ეს ძალიან ითაკილა, მიეხვია ბოქაულს და სცემა. ეს ამბავი მოხდა თელავის რიყესთან, სეტყვასავით დაუშინეს ქვა ბოქაულს, რომელმაც ძლივს დააღწია თავი ადელვებულ ხალხს და ერთ ნავთის საწყობში შეიმაღლა... ხალხი წითელი ბაირადით ბაზრისაკენ გაეშურა, „დაკეტეთ დუქნები, თავისუფლებას გაუმარჯოს!“ ყვიროდა ხალხი. დემონსტრატებს ხალხი თანდათან ემატებოდა. ხალხში ევროპული ტანსაცმელიც მოჩანდა, აზიურიც, კაკარდიანი ქუდიც, შლაპებიც, ნაბდის ქუდეებიც და ბუხრის ქუდეებიც. დემონსტრაცია ქალაქის ბაღთან შეჩერდა. პოლიცია შეეცადა ხალხის გაფანტვას, ორჯერ ესროლეს კიდეც ხალხს. ერთად შეჯგუფებულ დემონსტრატებს, რომ ვერა დააკლეს რა, ცხენოსანი საერობო დარაჯები ქუჩებს მოედვნენ, ყველა შემხვედრს უწყალოთ სცემდნენ, გამოჩნდა ჯარის ნაწილიც, რომელსაც უნდა დაემალა დემონსტრაცია. ხალხი მაინც შეუპოვრობას იჩენდა, პოლიცია იძულებული გახდა დაჰყოლოდა მოყვინეთა ნებასურველს.

მოქალაქეებმა მაზრის უფროსს აუხსნეს ხალხის ჩვეულება და სთხოვეს მიეცა ნება ყვენობის თამაშობისა და მშვიდობიანობის დაცვის თავდებობა თვითონ იკისრა ათმა კაცმა. მაზრის უფროს სხვა რაღა შეეძლო და დართო ნება.

მყისვე გაჩნდა დილანდელი ყვენი თავისი სამკაულით თავზე, ქალაქის ქუდი ჩამოაცვეს, მისცეს ხელში ვაშლჩამოცმული ჯოხი და დაიწყეს სიარული. აუარებელი ხალხი გაჰყვა ყვენს და დაფა ზურნით გაემართა ქალაქის ქუჩებში. ხალხი ერთ ყვენს აღარ დასჯერდა, გზა და გზა, ახალი ყვენები გამოდიოდნენ და უკვე მოსულებს სალამ-ქალამს აძლევდნენ და ჰკოცნიდნენ... პროცესია ნადიკვარზე გავიდა, აქ ცოტა შეისვენა, შემდეგ უკან გამობრუნდა და კვლავ მთელი ქალაქი გაიარა. ყვენობის დამთავრების შემდეგ კრივი გაიმართა თუმცა ოფიციალურად არბადული იყო.



**შ. დადიანი, დ. აწყურელი,
ვ. არაბიძე, ვ. ბალანჩივაძე
„სახალხო ფურცლის“
სურათებიანი დამატება, 1914 წ.**

სალამოს ხმა გავრცელდა, რომ ყვენობის ერთადერთ ინიციატორი „არლანჩიკი“ დათა პოლიციამ დაიჭირაო, მყისვე მოზღვაგდა ხალხი პოლიციის შენობასთან. თუმცა ხმა ტყუილი გამოდგა¹.

საქართველოს თეატრალურ მუზეუმში დაცულია სურათი „ყვენობა თელავში“, რომელიც ჟურნალმა „დროშამ“ 1905 წელს გამოაქვეყნა თავის მეხუთე ნომერში, აქვეა გ. ბუხნიკაშვილის ვრცელი წერილი, რომელიც აგვიწერს „ყვენობას თელავში“ და რომელიც მთავრდება ასეთი სიტყვებით: „ასე გამოიყენა ხალხმა ახალ ვითარებაში ახალი შინაარსის მიცემით თავისი ტრადიციული თეატრალიზებული სანახაობა.“

1909 წელს მსახიობ კოტე ჭვლიძის სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა კიდეც ერთი ბენეფისი თელავის თეატრში. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ: „10 ივნისს თელავის საკრებულო დარბაზში გაიმართა დრამატული დასის არტისტის კოტე

¹ გაზ. „ივერია“, 1905, № 56.


ჭელიძის საიუბილეო წარმოდგენა. წარმოადგენს ისტორიული პიესა სუმბათაშვილის „სამშობლო“. სოლომონ ლეონიძის როლში გამოვიდა იუბილარი კოტე ჭელიძე, ამას გარდა მონაწილეობა მიიღეს დ. აწყურელმა, ი. იმედაშვილმა, ჟივიძემ და სხვებმა. კოტე ჭელიძე, ერთხანს თბილისშიაც მოღვაწეობდა დრამატულ დასში, შემდეგ ქუთაისში, ამჟამად კი თელავში¹. აღსანიშნავია, რომ კოტე ჭელიძემ, როგორც მსახიობმა 30 წელიწადი გაატარა თელავის თეატრში.

1909 წელს თელავის თეატრის ცხოვრებაში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ცნობა: „ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა წარმოდგენების გამართვა. წარსულ კვირას ქალბატონ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით ითამაშეს „ქრისტინე“. მესამე დღეს დაიდგა „სამოცი წლის არშიე“ და სხვა კომედიები. ახლოვდება 20 ივნისი, ილიას სახელობის დღე. შარშან საღამო ძალიან უფერულად ჩატარდა, კარგს იზამენ თუ წელს მაინც უკეთესად მოაწყობენ... 20 ივნისს წარმოდგენილი იყო „საბედისწერო დამბახა“ და ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“².

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თელავის კულტურულ ცხოვრებაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გახსნა. თელავის დასმა დავით აწყურელის მეთაურობით დაიწყო იაფფასიანი წარმოდგენების გამართვა სკოლის მოსწავლეებისთვის. გაზეთი „დროება“ წერდა, რომ სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ორგანიზაციასთან შეთანხმებით მოსწავლეებისთვის გაიმართა ა. ცაგარლის „ხანუმა“. „დ. აწყურელი თამაშობდა აკოფას როლს, დანარჩენ როლებში გამოდიოდნენ ქ-ნი ს. ბეჟანოვი, კარალიოვი, სიღამონიძე, ა. მარქაროვი, ბატონები: ე. თეთრიანელი, კ. ონიკაშვილი, ვ. კაკაბაძე და ნ. ასტვაცატუროვი. მომდევნო კვირას ადგილობრივი დასის მონაწილეობით დაუდგამთ დ. მესხის მიერ თარგმნილი ორმოქმედებიანი ვოდვეილი „ადამი და ევა“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: ი. როსტომაშვილი, ქალ-ბატონი სუზანა ბეჟანიშვილი და სხვები“³ – წერდა გაზეთი.

XX საუკუნის დასაწყისიდანვე თელავის თეატრის რეპერტუარში გამოჩნდა პიესები, რომლებიც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე იდგმებოდა. ქართველ ავტორებთან ერთად იდგმებოდა მსოფლიო კლასიკის შედევრები, მათ შორის, უ. შექსპირის „ოტელო“ და „ჭირვეულის მორჯულება“, ჯ. ლონდონის „მგლები“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, ფ. შილერის „ფაჩარები“ და სხვა. პროფესიული დასის პარალელურად ჩამოყალიბდა მოყვარულთა ორკესტრი, რომელიც სპექტაკლებს მუსიკალურ აკომპანემენტს უწევდა და თეატრთან გაჩნდა ახალგაზრდებისთვის სცენისმოყვარეთა წრე (1916 წ.), რომელთა წევრებიც მონაწილეობდნენ პროფესიულ თეატრში დადგმულ სპექტაკლებში ეპიზოდურ როლებსა და მასობრივ სცენებში.

1914 წელს თელავის საზოგადოება კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს თეატრის შენობის აგების შესახებ. „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს თელაველი კორესპონდენტის



მელქო ჰავტამულოვის ბენეფისის აფიშა, 1909 წელი

¹ გაზ. „დროება“, 1909, № 86.

² იქვე, № 178.

³ იქვე.

„დავიწყებულის“ (ივანე პაატაშვილის) წერილს, სადაც ვკითხულობთ: „ბევრად გაუსწრო თელავს სოფელმა, რომ არ გვქონდეს საკრებულო დარბაზი, აქ პიესების გამართვაც კი არ მოხერხდებოდა. ეს საკრებულო დარბაზიც მოუწყობელია. დეკორაციები არ არის, რეპეტიციები არ ხერხდება, თელავი ამ მხრივ წინ წასვლის ნაცვლად უკან იწევეს. 10-15 წლის წინ დროგამოშვებით იმართებოდა ხოლმე წარმოდგენები. საქველმოქმედო საზოგადოებას ქონდა თავისი თეატრი, შემდეგ ეს თეატრი დაკეტეს. საჭიროა შენობა. ძალები თეატრისათვის არის“.¹



თელავის თეატრის დასი,

ი. ზურაბიშვილი, ტ. გამყრელიძე, დ. აწყურელი, ლ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, თ. გოცირიძე, ქ. ზურაბიშვილი-ანდრონიკაშვილისა, მ. ჰაჯმახუდოვი.

1900-იანი წლების დასაწყისი

1914 წელს თელავში სამოღვაწეოდ გამოჩენილი რეჟისორი, ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი ქართველი რეჟისორი მიხეილ ქორელი და მისი მეუღლე, მსახიობი ნინო ჩხეიძე. ისინი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ თელავის ვაჟთა გიმნაზიაში. მათი ჩართულობით საგრძნობლად გააქტიურდა სათეატრო პროცესები თელავში. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა ალექსანდრე იმედაშვილისა და ნინო ჩხეიძის ღუეცებმა სპექტაკლებიდან „ოტელი“ და „მარგარიტა გოტიე“. თელავის თეატრის მსახიობი ნ. გოგოლაძე იგონებს: „მიხეილ ქორელი მასწავლებლობასთან ერთად რეჟისორობასაც ეწეოდა. მისი დადგმით წარმოდგინეს ჩემი პიესა „თავისუფალი სიყვარული“. მთავარ როლებში გამოვიდნენ ნუცა ჩხეიძე, მიხეილ ქორელი, შაქრო გომელაური, ნინო დავითაშვილი. ადგილობრივი სცენის მოყვარეები: ვ. კაკაბაძე, შ. ჭელიძე, ა. მარქაროვი,

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, №11, გვ. 15–16.

ს. ბეჟანიშვილი. სცენის ოსტატთა ასეთმა ანსამბლმა, ცხადია, უზრუნველყო სპექტაკლის წარმატება“.¹

1914 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ქვეყნდება ვანო ახალშელიშვილის² სტატია დავიწყებულის ფსევდონიმით „თეატრის საჭიროება თელავში“, რომელშიც მწვავედ არის დასმული შენობის საკითხი. წერილის ავტორი გულდაწყვეტით წერს, რომ „კახეთში, სოფელ-დაბებშიც კი ინტელიგენცია მართავს წარმოდგენებს, თელავში კი მხოლოდ ერთი საზოგადო საკრებულოს დარბაზია, რომელშიც სცენა გამართულია, მაგრამ ხელის შემშლელი პირობები ბევრი ეღობება წინ. არ არის საჭირო დეკორაციები, რეპეტიციებისთვის დასს მხოლოდ რამდენიმე საათი აქვს გამოყოფილი, საჭიროა დროზე გადაწყდეს თეატრისთვის ცალკე შენობის აგების საკითხი, არადა თელავში ის ძალა არის, რომელსაც შეუძლია მისი ამოქმედება-გაძლიერება“.³ მართლაც, ფაქტია, რომ თელავში ამ დროს მოღვაწეობდნენ ქართული თეატრის გამორჩეული წარმომადგენლები, რომლებიც ადგილობრივ კადრებთან ერთად, ახერხებდნენ შემოქმედებითი პროცესის წარმართვას.

1914 წელს თელავს უბრუნდება „მუდმივი სცენის“ დასის გამორჩეული წევრი დავით აწყურელი-გამყრელიძე და მისი ძმა ვახტანგი. ძმებმა გამყრელიძეებმა თელავის თეატრში მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდეს დასის გაძლიერებას, მხატვრული ხარისხის ამაღლებას. ვახტანგ გამყრელიძეს სვიმონ ლეონიძის როლის შესრულებისთვის (დ. ერისთავის „სამშობლოდან“), გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, რომელიც წერდა: „მისი თამაში თვით ბუნება იყო...“⁴ ძმები რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც შემოქმედებაში, ისე რეალურ ცხოვრებაში. მისი კოლეგა ნ. გვარამია ასე ახასიათებდა ვახტანგ გამყრელიძეს: „ენამახვილი და მშვენიერი მომღერალი; თუ მუშაობაში რაიმე არ მოეწონებოდა, მაშინვე იყვირებდა და თავის შეხედულებას ყოველთვის მტკიცედ იცავდა“.⁵

დავით მერაბის ძე აწყურელი (ნამდვილი გვარით გამყრელიძე) დაიბადა 1863 წელს, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში. ფსევდონიმი სწორედ მისი სოფლის სახელწოდების გამო დაირქვა. დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო სასწავლებელი. 1883 წელს ჩაირიცხა თბილისის დრამატულ დასში. დ.



დავით აწყურელი-გამყრელიძე

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 32, გვ. 16.

² ახალშელიშვილი ვანო – 1894–1903 წწ. მუშაობდა „ივერიაში“. წერდა მოთხრობებს, ლექსებს, წერილებს, თეატრალურ რეცენზიებს, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს. დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსი და ევროპელი მწერლების თხზულებათა თარგმნაში. თარგმნა ნ. გოგოლის, თ. დოსტოევსკის, ვ. კოროლენკოს თხზულებები. მ. ლერმონტოვის, ს. ნადსონის ლექსები. ბ. ბერნის, გ. ჰაუპტმანის, პ. ზუდერმანის დრამები. გი დე მოპასანის, ა. ფრანსის, კატულ მენდესის, ოქტავ მირბოს მოთხრობები. 1897 წელს „მოამბეში“ გამოაქვეყნა რამდენიმე თავი ჟ. მ. გიუიოს წიგნიდან „ხელოვნება სოციოლოგიური აზრით“, ა. ჰაფელდის „მირითადი კანონები სალიტერატურო კრიტიკისა“. ნაწარმოებებს აქვეყნებდა „ინ-ანის“, „დამოუკიდებელის“, „დავიწყებულის“ ფსევდონიმებით.

³ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, № 10, გვ. 15–16.

⁴ კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, ტ. 1, გვ. 679.

⁵ გვარამია ნ., თეატრალური მემუარები, თბ., 1949, გვ. 41.

აწყურელი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მონაწილეობდა წარმოდგენებში, ხოლო 1888 წლიდან ქართული დრამის მსახიობი იყო. მისი დებიუტი 16 ოქტომბერს შედგა. თბილისის ქართულმა დასმა ამ დღეს წარმოადგინა ოთხმოქმედებიანი პიესა „მეფე და პოეტი“. მეფეს განასახიერებდა ვალერიან გუნია, ხოლო პოეტს – დავით აწყურელი. დებიუტანტს ბრწყინვალე წარმატება ხვდა და ამან განსაზღვრა საბოლოოდ ამ დიდებული მსახიობის ბედიც.

დავით აწყურელი შესანიშნავად ასრულებდა აკოფას როლს ცაგარლის „ხანუმაში“. ამ როლში იგი ხშირად ვასო აბაშიძეს სცვლიდა. სახალხო არტისტი ნ. გვარამე იგონებს: „საერთოდ დავით აწყურელი ძალიან ხალისიანი მსახიობი იყო. მის მოხდენილ ტანს განსაკუთრებით უხდებოდა ყარაჩოღელის ტანსაცმელი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ვასო აბაშიძის შესრულებულ როლებში მხოლოდ დავით აწყურელს შეეძლო გამოსულიყო შემცვლელად, მაგრამ აწყურელს ჰქონდა განსაკუთრებული როლები, სადაც მას უნიჭიერესი ვასო აბაშიძეც კი ვერ გაუტოლდებოდა. დავით აწყურელის ამპლუა იყო თბილისური ტიპების განსახიერება. ის იყო მშვენიერი კაკულა („პეპო“), აკოფა („ხანუმა“), გიჟუა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), პეტუა („ციმბირელი“), გიჟ-მოხე („დაქცეული ოჯახი“), ისაია („ხათაბალა“), ის იყო ბუნებით ნამდვილი კომიკოსი, სცენური ენით რომ ვთქვათ, და დიდი წარმატებითაც მუშაობდა ქართულ სცენაზე“.¹

დავით აწყურელი სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის, თელავისა და ბაქოს ქართულ თეატრებში. მონაწილეობდა თბილისის მუშათა თეატრების სპექტაკლებში, სადაც განასახიერა კომედიური როლები: კავკაველი პეტუა, აკოფა (ცაგარლის „ციმბირელი“, „ხანუმა“), ისაია (სუნდუკიანის „ხათაბალა“), ჩინოვნიკი (ოსტროვსკის „ბედნიერი დღე“), რეპეტილოვი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“). 1904 წლიდან ის გადმოვიდა თელავის თეატრში სამოღვაწეოდ და გარდაცვალებამდე ერთგულად ემსახურა მშობლიურ თეატრს.

1909 წლის აპრილში თელავში მისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავი აღნიშნეს. 1914–1915 წლების სეზონში დავით აწყურელი მუდმივად უბრუნდება თელავის თეატრს როგორც მსახიობი. აქ მან მრავალი და დასამახსოვრებელი მხატვრული სახე შექმნა.

დავით აწყურელი წარმატებული დრამატურგიც იყო. მის კალამს ეკუთვნის 20-მდე პიესა, რომელთაგან უმრავლესობა ორიგინალია, ნაწილი კი თარგმნილი და გადმოქართულებული. პიესების დიდი ნაწილი ვოდევილის ჟანრს განეკუთვნება და სხვადასხვა დროს იდგმებოდა თელავის თეატრის სცენაზე. „მაცურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მისმა ვოდევილებმა „ცოლ-ქმრის წინააღმდეგ“, „ბებრის საღერღელი“, „საცოლე ერთი საათით“, „ბერბიჭები“, „ორი ქმრის ერთი ცოლი“. ამ პიესების გარკვეული ნაწილი დაბეჭდილია და წიგნებად არის გამოცემული (1902-1907).² 1921–1924 წლებში თელავის დრამატულ თეატრს დავით აწყურელი ხელმძღვანელობდა. ამ დროს დასში მოღვაწეობდნენ მსახიობები: თ. ღვინიაშვილი, ნ. როსტომაშვილი, გ. ახოსპირელი, კ. ჭელიძე, ს. ბეჟანიშვილი, ქ. ღვინიაშვილი, ო. გოგინიაშვილი, კ. სიღამონიძე, ა. მარქაროვი, ვ. ბერიძე, ვ. ბერიძე, დ. რევაზოვი, ი. ტორი, ი. დავითიანი, ე. ჯანდიერი, ნ. ასტვაცატუროვი და სხვები. დასს თანდათან შეემატნენ ადგილობრივი სამსახიობო ძალები – გ. და კ. კველიშვილები, კ. ბაკურაძე, გ. ლეკიშვილი, ქ. მაჭავარიანი და ალ. კუპატაძე. როგორც ეს სია ცხადყოფს, თელავის თეატრს XX საუკუნის 20-იან წლებში საკმაოდ დიდი და ძლიერი დასი ჰყავდა. თელავის თეატრმა ამ პერიოდში შეძლო რომ ის, როგორც კულტურული დაწესებულება, გადაქცეულიყო ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან, აუცილებელ ნაწილად.

¹ გვარამე ნ., თეატრალური მემუარები, თბ., 1949, გვ. 41.

² კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. 1, გვ. 680.

მიუხედავად ამისა „ვერ და ვერ მოხერხდა თეატრისთვის განკუთვნილი შენობის დასრულება. მხოლოდ 1925 წლის 28 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თელავის სახალხო სახლი. მრავალ სტუმართან ერთად ამ საზეიმო საღამოს ესწრებოდნენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. საღამოს კი რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა კოტე მარჯანიშვილის დადგმა „ცხვრის წყარო“¹. თეატრისთვის შენობის გადაცემის ფაქტი იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა თელავის თეატრის ისტორიაში. „ძველ შენობაში, სადაც ფარდას და მექანიზმებს თოკებით სწევდნენ და ამოქმედებდნენ, მრავალი ღირშესანიშნავი სპექტაკლი შექმნილა, მრავალი სახელგანთქმული მსახიობი გამოსულა, იყო ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი სათეატრო ნაგებობა იმ პერიოდის საქართველოში. მისი ფარდა მოხატა ელენე ახვლედიანმა და ეს ფარდა კოტე მარჯანიშვილმა გახსნა, რომელმაც შემდეგ სიტყვით მიმართა აუდიტორიას, სიტყვა წარმოსთქვა სანდრო ახმეტელმაც, იმ საღამოს რუსთაველის თეატრის საუკეთესო მსახიობები იდგნენ თელავის თეატრის



თელავის თეატრის დასი ქართული თეატრის ვარსკვლავებთან ვასო აბაშიძესთან და ნატო გაბუნიასთან ერთად. 1900-იანი წლების დასაწყისი

სცენაზე“² დავით აწყურელი გარდაიცვალა 1928 წლის 9 აპრილს თბილისში.

XX საუკუნის 10-იანი წლების თელავის თეატრის დასიდან გამოირჩეოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ადგილობრივი მცხოვრები ანა მარქაროვი. თელაველები მას ღუმბაცანთ ანიჩკას სახელით იცნობდნენ. მსახიობი ქალი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან მდებრიო ქალის სცენაზე გამოსვლა მაშინ სამარცხვინოდ ითვლებოდა.

¹ გოგოლაშვილი მ., წვისა და ძიების გზით, ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 12.X.1986.

² გურაბანიძე ნ., თელავის თეატრი – 200, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №12, 1986, გვ. 18.

მან პირველი ნათლობა მიიღო სუნდუკიანცის პიესაში. „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“ დებიუტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ეს იყო 1905 წლის მაისში. ანა მარქაროვის პარტნიორის – ნაპოლეონ ასტვაცატუროვის მოგონებებში, რომელიც თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში ინახება, კკითხულობთ: „ანიჩკას დედა – ლიზა მარქაროვი, რომელსაც საშინელ უბედურებად მიაჩნდა თავისი ქალიშვილის მსახიობობა, არასოდეს არ ესწრებოდა წარმოდგენებს. ერთ დღეს იგი დიდი თხოვნის შემდეგ დაითანხმეს წასულიყო თეატრში, ეს დიდი ცნობისმოყვარეობის შედეგი იყო. გადიოდა ა. ცაგარლის „ხანუმა“, სადაც ანიჩკა ხანუმას როლში გამოდიოდა. სირცხვილისაგან აჭარხლებულმა დედამ რამოდენიმეჯერ დააპირა დარბაზიდან გაქცევა. როცა ხანუმამ ჩვეული ოსტატობით და დამაჯერებულად წარმოსთქვა მონოლოგი: „თქვენ არ იცნობთ ოსტატ ხანუმას! შვიდი მღვდელი გამიკრეჭინებია, უშვილო ქალისთვის ძალად შვილი მიყოლებია...“ საბრალო დედამ ჯერ გამეტებით წაიშინა თავში, შემდეგ გულწასული გაიყვანეს თეატრიდან. მეორე დღეს იგი თურმე თავის მეზობლებს შესჩიოდა: „ეს რა ყოფილა გენაცვალეთ ჩემი ანიჩკა, ეს რა ოინები ჩაუდენია, თავი მომჭრა მაგ არდასაცალებელმაო.“

1915 წლის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გვხვდება მოკლე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თელავში „შედეგა ქართული დრამატული წრე, ჯგუფმა შეიმუშავა წესდება და გუბერნიასთან გაგზავნა დასამტკიცებლად“.¹ ესეც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თელავში პროფესიული თეატრის ფუნქციონირებისთვის, თუმცა, როგორც პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიდან ირკვევა, იმხანად თეატრის ყველაზე დიდი პრობლემა რეჟისორი იყო. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „ჩვენს სცენისმოყვარე მსახიობებს არ ჰყავთ რეჟისორი, რომელიც ორგანიზაციას გაუწევს დასს, ამ საქმეს მსახიობი თამრო გოგოლაშვილი თავიბს, მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ეს ზაფხული კარგად გადავაგორეთ, რადგან თელავს დაუბრუნდნენ მისი შვილები, რომლებიც დედაქალაქში მოღვაწეობენ და აქ დასასვენებლად ჩამოსულებმა რჩეული სპექტაკლები წარმოადგინეს, მაგრამ რა ეშველება თელავს ახლა, როცა წარმოდგენები დროგამოშვებით იმართება“.² ბევრი დაბრკოლებით, მაგრამ თელავის თეატრი განაგრძობდა არსებობას. განსაკუთრებული გამოცოცხლება თეატრს არც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში დაეტყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ინიციატივას. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება თელავის თეატრის მოღვაწეობის შესახებ დამოუკიდებელი საქართველოს (1918–1921) პერიოდში.

1918 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მიმოხილულია თელავის თეატრის მდგომარეობა და ის პრობლემები, რომლის წინაშეც თეატრი იდგა. სტატია ეხება თელავში სათეატრო შენობის უქონლობის საკითხს: „ჩვენი მშობელი თეატრის აღორძინებას და აყვავებას თავისუფალ საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, თელავში გამართულ წარმოდგენების ანგარიშს უფრო ბევრითად გავაცნობ მკითხველს – წერს სტატიის ავტორი ვარუნის ფსევდონიმით – იმის და მიუხედავად, თუ ვინ, ან ვის სასარგებლოდ იქნება გამართული, რადგანაც თეატრი პარტიის გარეშე უნდა იდგეს“.³ სტატიიდან დასტურდება, რომ თეატრში გაჩენილი პრობლემები პოლიტიკურ დაპირისპირებს უკავშირდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში. ეს კონკრეტული ფაქტი, ლოგიკურად თავსდება ამ პერიოდის ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესებში. ვინაიდან მრავალპარტიულობამ და პოლიტიკურმა ქაოსმა თეატრშიც შეაღწია. სწორედ პარტიულ კუთვნილებაზე მაღლა დგომისკენ მოუწოდებს ავტორი საზოგადოებას.

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 37, გვ. 16.

² იქვე, № 30, გვ. 13.

³ იქვე, 1918, № 9, გვ. 15.

1918–1920 წლების თელავის თეატრის ისტორიის ქრონიკაში ჩნდება ახალი სახელები, მათ შორის, არჩილ ციხისთავისა, რომელიც ქართულ პრესაში წარმოდგენების ორგანიზატორად მოიხსენიება.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1918 წელს რუბრიკაში „პროვინციის მოღვაწენი“ აქვეყნებს წერილს „სცენისმოყვარული ვანო კაკაბაძე“, რომელშიც საუბარი მსახიობის შემოქმედებით მოღვაწეობაზე და წარმატებაზე თელავის თეატრში. სტატიაში ავტორი წერს: „ვანო კაკაბაძე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სცენისმოყვარეთ თელავში. იგი პირველად სცენაზე გამოვიდა ამ 30 წლის წინათ და მას აქეთ იგი ერთგულად და დაუხარელად ემსახურება მშობლიური სცენის აყვავებას. იშვიათია ისეთი წარმოდგენა ვ. კაკაბაძეს მონაწილეობა რომ არ მიეღოს. მას ძალზე ხშირად მთავარი როლების შესრულება უხდება... ეხმარება ხოლმე თბილისიდან ჩამოსულ ქართული დრამატული დასის მსახიობებს. უმთავრესად მისი მონაწილეობის მიღება გამოიხატება საქველმოქმედო მიზნით დადგმულ წარმოდგენებში. საზოგადოთ პროვინციაში და კერძოდ, თელავში წარმოდგენები უმთავრესად საქველმოქმედო მიზნით იმართებოდა. ამისათვის თელავის სცენისმოყვარეთა მსახიობების ვ. აწყურელის, ს. ბეჟანიშვილის, პ. კორიშელის, ბ. ახოსპირელის ინიციატივით და მონაწილეობით 8 ივლისს გამართეს ვ. კაკაბაძის საიუბილეო წარმოდგენა, რომელსაც დიდი ძალი ხალხი დაესწრო, წარმოადგინეს



თელავის თეატრის დასი 1919 წ.

გ. ტერნოვი, ვ. სიღამონიძე, თ. ღვინიაშვილი, დ. მარჯანოვი, ე. ციხისთავი, ნ. ღვინიაშვილი, კ. რანიკაშვილი, ვ. ქართველიშვილი, ნ. გოგოლაძე, კ. ჭველიძე, ლ. მესხიშვილი, დ. აწყურელი, ა. ციხისთავი, ვ. ბაკურაძე, ვ. პატაშვილი, ნ. ასტვაცატუროვი, ლ. გამყრელიძე, ი. ვანვანოვი

ვალერიან გუნიას „და-ძმა“, გაიოზის როლს თვითონ კაკაბაძე ასრულებდა. იუბილარს სხვათაშორის მიულოცეს ქალაქისა და სოფლის საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა, მიართვეს საჩუქარი“.¹

1920 წელს თელავს ესტუმრა ლადო მესხიშვილი, რომელმაც ორი წარმოდგენა გამართა ქართულ და რუსულ ენაზე. მასთან ერთად თელავში იყვნენ ვ. აწყურელი, თ. გოგოლაშვილი, ადგილობრივი დასის მსახიობები – ვ. ციციშვილი ვ. სიღამონიძე, რ. ნახუკოვი, კ. ონიკაშვილი, ვ. კაკაბაძე და სხვები. ლადო მესხიშვილისთვის ეს იყო ბოლო საგასტროლო წარმოდგენა. 1920 წლის 23 ნოემბერს იგი გარდაიცვალა.

ქართული დასის პარალელურად თელავში მოქმედებდა რუსული და სომხური დასები. სომხურ დასს ხოსროიანი ხელმძღვანელობდა; რუსულ დასს – გრიგოლ ტერნოვი და გრიგოლ ბაბაევი. შემდგომ ტერნოვი ვახტანგოვის სახელობის მოსკოვის აკადემიური თეატრის მსახიობი იყო, ხოლო ბაბაევი მოსკოვის ერთ-ერთი პროფკავშირული კულტურის სახლის დირექტორი.



კომპოზიტორები: ვიქტორ დოლიძე და ალექსანდრე გაბიჩვაძე



თელავის თეატრის პირველი შენობის მშენებელ-ინჟინერი პეტკანოვი და თელავის აღმასკომის წევრი ბაბაევი

¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, № 11.



სეზონის გახსნისთვის მზადება, 1901 წ.



„ცოცხალი სურათების“ დადგმა თელავის კლუბში, 1902 წ.

მრავალი ათეული წელი აწუხებდა საზოგადოებას თელავის თეატრის შენობის საკითხი, რომელიც საბოლოოდ, 1925 წელს გადაწყდა. 1925 წლის 28 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა თელავის თეატრის ახალი შენობა, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თელავის თეატრის ისტორიაში. დარბაზი 400 მაყურებელს იტევდა. თელავში ამ დღეს თავი მოიყარეს ქართული თეატრის და ზოგადად კულტურის საუკეთესო მოღვაწეება. შენობა კოტე მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლით „ცხვრის წყარო“ გაიხსნა. ახალი შენობის გახსნამდე თელავის თეატრს დავით აწყურელი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ძალისხმევა არ დააკლო თეატრის მშენებლობას. სამწუხაროდ, იგი თეატრის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს. 1928 წელს კი – გარდაიცვალა.

თელავის თეატრის ახალმოსახლეობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ დირექტორის პოსტი ჩააბარა მ. ხერხეულიძეს, რომელიც რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა თეატრს. 1925 წელს თელავის თეატრის დასს რამდენიმე ახალი მსახიობი შემოურთდა. მათ შორის, ქეთევან მაჭავარიანი, რომელიც 60 წელზე მეტ ხანს ერთგულად ემსახურა მშობლიურ თეატრს.



1926-27 წლის სეზონში თეატრში მოვიდნენ და შემდეგ მთელი თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობა აქ გაატარეს: გრიგოლ და ქეთევან კველიძეებმა, ვახტანგ ბაკურაძემ, მარკოზ ლევიშვილმა, ქეთევან მაჭავარიანმა, ალექსი კუპატაძემ.

„თეატრი თანდათან თავს აღწევდა პროვინციალიზმს. იგრძნობოდა ახლისკენ სწრაფვა და შემოქმედებითი ძიების პათოსი, რაშიაც დიდი დამსახურება მიუძღვის რეჟისორ მიხეილ იარალის და მხატვარ ა. ალბუთაშვილს. ამ სეზონში დაიდგა სპექტაკლები: ბ. ლავრენიოვის „რღვევა“, ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“, შ. დადიანის „გეგეჭკორი“, ნ. ბერძენიშვილის „კომისარი მოსკოვიდან“, ს. შანშიაშვილის „სპარტაკი“, რომლებიც გამოირჩეოდნენ სოციალური ჟღერადობით, იდეალურობითა და მაღალი მხატვრული დონით“¹ – წერს მ. ზურაბაშვილი წიგნში „თელავის თეატრი“.

¹ ა. ზურაბაშვილის მითითებული წიგნი, გვ. 51.



თელავის თეატრის დასი კოტე მარჯანიშვილთან ერთად

1927 წელს თელავის თეატრს სერგო ორჯონიკიძის სახელი მიენიჭა. 1927-28 წლის სეზონი შედარებით მოგვიანებით დაიწყო. 28 იანვარს შედგა დ. კასრაძის „მეფე არლეკინის“ პრემიერა. თეატრის მთავარ რეჟისორად ამ პერიოდში მოიწვიეს მოსკოვის თეატრალური სტუდიის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორი გალაკტიონ რობაქიძე. მისი სადიპლომო სპექტაკლი იყო „მეფე არლეკინი“, რომელიც გააფორმა მხატვარმა რ. გოგენიაშვილმა. პრესამ კარგი შეფასება მისცა წარმოდგენას. განსაკუთრებით ქებით მოიხსენიებდნენ რეჟისორისა და მხატვრის ნამუშევარს, აგრეთვე



თელავის თეატრის დასი, 1928 წ.

მსახიობებს გრიგოლ კლდიაშვილსა და ვლადიმერ მარკოზაშვილს. აღსანიშნავია, რომ პიესა პირველად ქართულად თელავის თეატრში დაიდგა.

ამავე სეზონში დაიდგა ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“ ს. ერთაწმინდელის „ცეკვა ბებუთით“, მ. ჯავახიშვილის „ჯავახოს ხიზნები“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“.

1928–1929 წლების სათეატრო სეზონში თელავის თეატრმა რეჟისორის პოზიციაზე მოიწვია მოსკოვის თეატრალური წრებისთვის ცნობილი რეჟისორის ვანო მჭედლიშვილის სტუდიის კურსდამთავრებული გალაკტიონ რობაქიძე. თელავის თეატრში მან რამდენიმე დადგმა განახორციელა, მათ შორის, აღსანიშნავია: ლოტარის „მეფე არლეკინი“, ერთაწმინდელის „ცეკვა ბებუთით“, ლავრენიოვის „რღვევა“, კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“, ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“, კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, შილერის „ვერაგობა და სიყვარული“. როგორც ამ დადგმებიდან ჩანს, თელავის თეატრის რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო დრამატურგიის არჩევანის თვალსაზრისით, ვინაიდან სცენაზე იდგმებოდა როგორც ქართული თანამედროვე, ასევე უცხოური კლასიკური და იმ ხანად პოპულარული თანამედროვე დრამატურგების პიესები. დედაქალაქის სცენაზე აპრობირებული პიესები თელავის თეატრის სცენაზე იწყებდა ცხოვრებას და ხშირ შემთხვევაში (ეს თელავის თეატრის ისტორიის შემდგომ პერიოდშიც ჩანს) იდგმებოდა თანამედროვე ქართველი დრამატურგების ნაწარმოებები, მათ შორის, ნაკლებად ცნობილი ავტორების.

1931 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ თელავის თეატრს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა. ხელმძღვანელის პოსტი გამორჩეულმა სათეატრო მოღვაწემ, ინტელექტუალმა და წარმატებულმა რეჟისორმა ვახტანგ გარიკმა ჩაიბარა. თელავის თეატრის მორიგი წარმატება სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული, მისმა შემოქმედებამ კი იმხანად განსაზღვრა თელავის თეატრის მხატვრული სახე.

ვახტანგ გარიკი 1896 წელს სოფელ ბაკურციხეში დაიბადა. დაწყებითი განათლება სიღნაღში მიიღო, შემდეგ თბილისში, უმაღლესი განათლების მისაღებად კი მოსკოვში გაემგზავრა, სწავლობდა არქეოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ თეატრზე ოცნებობდა. სტუდენტობის წლებშივე მოახერხა მოსკოვის მცირე თეატრში გამხდარიყო ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის მოწაფე. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება.

ვახტანგ გარიკი პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში გამოჩნდა გაზეთის ფურცლებზე, რომელიც წერდა თეორიულ წერილებს ქართულ ხელოვნებაზე, ხშირად მისი მოსაზრებები ერთგვარ პროგრამად იქცეოდა კიდეც. 1918 წელს თბილისში შედგა მისი სარეჟისორო დებიუტიც (ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას „მოლიაულ გზაზე“). 22 წლის დებიუტანტს დიდი წარმატება ხვდა წილად და მალევე მოიპოვა პოპულარობა. 1931 წლიდან კი, უკვე გამოცდილება დაგროვებული რეჟისორი თელავში იწყებს მოღვაწეობას. მისი გამოცდილება დაეტყო კიდეც თელავის თეატრს. მის სახელს უკავშირდება თელავის თეატრში სიმფონიური ორკესტრის გაჩენა. თეატრის სიმფონიურ ორკესტრს სახელოვანი კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებული ინტენსიურობით თანამშრომლობდა კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე.



ვახტანგ გარიკი
(ვანაძე)



თელავის თეატრის დასი 1927 წ.

ვანტანგ გარიკის ხელმძღვანელობის პერიოდში ერთი მხრივ, თელავის თეატრი იმეორებდა რუსთაველის თეატრის რეპერტუარს (ა. შანშიაშვილის „ანზორ“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, შილერის „ფიესკოს შეთქმულება“, კირშონის „პური“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და სხვა), ხოლო მეორე მხრივ, არაერთი ქართული პიესა პირველად სწორედ თელავში იდგმებოდა და შემდეგ იკვალავდა გზას სხვა თეატრებისკენ. რეპერტუარი, კლასიკურ პიესებთან ერთად, აგებული იყო თანამედროვე პიესებზე. თელავის თეატრიც, სხვა ქართული თეატრების მსგავსად, მოექცა კონიუქტიურის გავლენაში და როგორც გაზეთი „კომუნისტი“¹ იტყობინებოდა, რეპერტუარში იყო: „ლიანდაგი გუგუნებს“, „ილრიალე, ჩინეთო!“, „ყამირი“, „სპარტაკი“, „ღვარძლი“, „პროექცია“ და სხვა. ამ პიესებს განსაკუთრებული როლი თეატრის განვითარების ისტორიაში არ შეუსრულებიათ. იმჟამინდელი პრესა და თეატრის ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ვანტანგ გარიკის „ანზორ“ განსხვავებული ხედვით დადგმული სპექტაკლი იყო და აბსოლუტურად თავისუფალი სანდრო ახმეტელის გავლენისაგან. „ვ. გარიკმა თელავის თეატრის სცენაზე საკუთარი თვალთახედვით წარმოაჩინა ეს სპექტაკლი. აქ ანზორის მგზნებარე რომანტიკული სახე შექმნა მსახიობმა ვ. გორდაძემ. რევოლუციური პათოსით გამსჭვალულმა ჰეროიკულმა ნაწარმოებმა ალაფრთოვანა მაყურებელი, განსაკუთრებით სპექტაკლის ფინალმა – მასობრივმა სცენამ, სადაც თვალსაჩინოდ იკითხებოდა ვ. გარიკის რეჟისორული ხელწერა – სცენასთან მაყურებლის მკვეთრი კონტაქტის დამყარებაში.

მაყურებელთან ინტერაქტივის ეს მანერა განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა სპექტაკლში „ცხვრის წყარო“. ესპანელი გლეხების ლხინი „ფუენტე ოვენუნას“ მოედანზე.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1930, №231.

ლაურენსიას მგზნებარე მონოლოგით შემფოთებული გლეხების „შეიარაღებული“ აჯანყების შელახული ნამუსისა და უფლებების დასაცავად. მოედანზე ამხედრებული ქალები და ჭაბუკები ისეთივე ახლობლები და შინაურები იყვნენ მაყურებლებისათვის, როგორც საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი ქართველი პატრიოტები“.¹ თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე მას „გაბედულ და ექსპერიმენტების მაძიებელ რეჟისორად“ მოიხსენიებს. იგი წერდა: „გაბედული ექსპერიმენტები, სიახლის გრძნობა და მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპულობა ლევენდასავით დარჩა თელავის თეატრის ისტორიაში, სადაც ვახტანგ გარიკი მოღვაწეობდა. დაუვიწყარი იყო გარიკის მუშაობის წლები. საქმე მხოლოდ სპექტაკლების აკარგვიანობას კი არ ეხებოდა, თეატრის უაღრესად რთულ ცხოვრებაში ბევრი რამ არის ისეთი, რომელსაც შესაძლოა პირდაპირი კავშირი არ აქვს წარმოდგენასთან, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა საერთო წარმატებისათვის. გარიკი კარგად იცნობდა თეატრის მხატვრულ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ცხოვრების ყველა წვრილმანს, გულისხმიერებით, სიფაქიზით ეკიდებოდა ყველა ადამიანის სიხარულსა და გულისტკივილს“.²



**რეჟისორი
ვალაკტიონ რობაქიძე**

რთულ პირობებში უწევდა მუშაობა ვახტანგ გარიკს. მისი შეხედულება თეატრზე რადიკალურად განსხვავებული იყო იმისგან, რასაც მას საბჭოთა კუნუქტიურა ავალდებულებდა. „თეატრში მე მსურს ვიხილო მზე“ – ოცნებობდა რეჟისორი. მისი მოღვაწეობის პერიოდში, თელავის თეატრში ერთ სეზონში 11 ახალი სპექტაკლი დაიდგა. სულ თელავის თეატრში ვახტანგ გარიკმა 7 წელი დაჰყო.

შიდა სათეატრო კონფლიქტების გამო ვახტანგ გარიკი იძულებული გახდა დაეტოვებინა თელავის თეატრის ხელმძღვანელის პოსტი. მან ჯერ ზუგდიდის, ხოლო შემდეგ სოხუმის თეატრში გააგრძელა მოღვაწეობა. მის მუშაობას თელავის თეატრში ერემია ქარელიშვილი ასე აფასებდა: „ფაქტობრივად, ნამდვილი სიტყვა თელავის თეატრმა მაშინ თქვა, როცა მის სეზონებს ვახტანგ გარიკი წარმართავდა. მან შექმნა ნამდვილი პროფესიული დასი, რომელსაც ჰქონდა მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი დახვეწილი სპექტაკლებით“.³

1932 წლიდან თელავის თეატრიდან ვახტანგ გარიკის წასვლის შემდეგ, თეატრს სათავეში ჩაუდგნენ კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მიმდევარი, რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე და რეჟისორი გიორგი სულიაშვილი. სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებაზე თეატრმა ხელშეკრულება გააფორმა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან და კოტე მეღვინეთუხუცესთან.

ვახტანგ აბაშიძესთან ერთად თელავში ჩამოვიდნენ მსახიობები: ს. ზაქარიაძე, ბ. ზაქარიაძე, მ. ქორელი, ა. ქიქოძე, ს. ვაჩნაძე, ვ. ჩომახიძე, კ. გოგიაშვილი ა. სიხარულიძე და სხვა, რომლებმაც შეავსეს გარიკისეული დასი.

1932 წლის სეზონში განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. კალაძის „ხატიჯეს“ დიდი წარმატება, რაც განაპირობა არა მარტო თემის აქტუალობამ, არამედ სპექტაკლის რეჟისორულმა გადაწყვეტამ და რაც მთავარია, შესანიშნავმა აქტიორულმა ანსამბლმა, მხატვარ კ. ჯანკვეტაძისა და კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის მხატვრულმა და

¹ მ. ზურაბაშვილის მით. წიგნი, გვ. 57.

² კიკნაძე ვ., ქართველი რეჟისორები, თბ., 1970, გვ. 68.

³ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1970, № 147.



სცენა სპექტაკლიდან „პური“, დადგმა ვ. გარიკის



სცენა სპექტაკლიდან „ლაიდ-ეზარ“, დადგმა ს. მებურიშვილის



სცენა სპექტაკლიდან „მტრები“, დადგმა გ. გორდაძის



რეჟისორი ვანიკო (ივანე) აბაშიძე და მსახიობი სერგო ზაქარიაძე

მუსიკალურმა გაფორმებამ. „სპექტაკლის წარმატება განაპირობა სერგო ზაქარიაძის მიერ შესრულებულმა, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით დატვირთულმა, მოხუცი გულბათის შთამბეჭდავმა კოლორიტულმა სახემ. ადამიანი, რომელიც თავისი შვილის მკვლელი გახდა, აღაშფოთებდა მაყურებელს, მაგრამ ზიზღისა და შურისგების გრძნობას არ აღძრავდა. პირიქით, მწუხარებითა და ბოლმით მხრებში მოხრილი, მაგრამ გაუტეხელი მოხუცი მაყურებელში ერთგვარ თანაგრძნობასაც კი იწვევდა, რადგან ზაქარიაძე – გულბათი საუკუნეებით გაბატონებული ადათების მონა იყო და არა ბოროტმოქმედი“.¹ ამავე სპექტაკლში სერგო ზაქარიაძე ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლ გმირს – ჯემალსაც შესანიშნავად ანსახიერებდა. ერთ სპექტაკლში სრულიად საპირისპირო ორი სახე მსახიობისაგან დიდ ნიჭსა და გარდასახვის უნარს, სულიერსა და ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვდა.

ს. ზაქარიაძის გვერდით სპექტაკლში სხვა ნიჭიერი ახალგაზრდობაც მონაწილეობდა. გულბათის როლს შთამაგონებლად ასრულებდნენ მარკოზ ლეკიშვილი და ვეტერანი მსახიობი კოტე ჭელიძე, ხოლო ჯემალისას – გრიგოლ კეკელიშვილი და ვახტანგ ჩელთისპირელი.

ს. ზაქარიაძემ თელავში შვიდი ერთმანეთისაგან განსხვავებული სცენური სახე შექმნა: ვასილი და სტეპოვი (კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“), ტარასი (სამსონაძის „სალტე“), ჯემალი და გულბათი (კ. კალაძის „ხატიჯე“), თასიმი (შკვარციანის „ჭორი“), რუდოლფი (კირშონის „სასამართლო“).

ეს იყო მომავალი დიდოსტატის პირველი ნაბიჯები, დიდი გამარჯვების დასაწყისი, რაშიც თვალსაჩინო როლი ითამაშა თელავის თეატრმა, მისმა რეჟისორმა ვახტანგ აბაშიძემ.

ვახტანგ აბაშიძემ თელავის თეატრის ხელმძღვანელობის პერიოდში დასი ახალი და მნიშვნელოვანი კადრებით გაამდიდრა. გარდა სერგო ზაქარიაძისა მან მიიწვია ბუხუტი ზაქარიაძე, ანეტა ქიქოძე, მიხეილ ქორელი და სხვები.

ვახტანგ აბაშიძე კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მეგობარი იყო, ისინი შემოქმედებით ურთიერთობაში იყვნენ მაშინაც კი, როცა კოტე მოსკოვში მოღვაწეობდა. კოტე თვალყურს ადევნებდა ვახტანგ აბაშიძის მუშაობას თელავში და ხშირად წერდა ზოლმე საქმიან წერილებს, აძლევდა რჩევა-დარიგებებს. 1932 წლის ზაფხულს მარჯანიშვილი უკანასკნელად ეწვია თელავს.

¹ გაზ. „კოლმეურნის ხმა“, 1933, №32.



სცენა სპექტაკლიდან „იღრიალე, ჩინეთო“, დადგმა ს. მეტურიშვილისა

1934 წლის გაზაფხულზე თელავის თეატრმა თბილისში გასტროლები გამართა. ეს იყო პირველი გასტროლები დედაქალაქში, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მთელ შემოქმედებით კოლექტივს. გასტროლები ორ ივნისს დაიწყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. თელავის თეატრმა იმხანად პოპულარული დრამატურგის კირიონის „სასამართლო“ წარმოადგინა. გაზეთში „კომუნისტი“ დაიბეჭდა ბ. გორდენიანის წერილი, რომელიც ეხმაურებოდა თელავის თეატრის საგასტროლო სპექტაკლს. სტატიამი ავტორი აღნიშნავდა, პიესის სქემატურობას, მაგრამ აქებდა დამდგმელ ჯგუფს, რომელმაც ეს სიძნელე დასძლია. „ოსტატურად გაკეთებული მიზანსცენები, ტიპაჟების წესიერი შერჩევა, სპექტაკლს თავიდან ბოლომდე გასდევს მოფიქრებული და წინასწარ გათვალისწინებული მიზანდასახულობა. რეჟისორს ემჩნევა რეალისტური სკოლისადმი დაქვემდებარება. საუკეთესოდ შეასრულა როლი სერგო ზაქარიაძემ, რომელმაც რულოფის სახე გააცოცხლა და მას აბსტრაქციულობა ჩამოაცალა. კიდევ უფრო სრული იყო მსახიობი ქალის ს. ვაჩნაძის თამაში. მან ზედმიწევნით კარგად ჩაატარა უსაზღვროდ მორწმუნე და მოყვარული დედის როლი. სხვა შემსრულებელთაგან აღსანიშნავია: ვ. სალარიძე, ა. სინარულიძე, დ. გრძელიშვილი, მ. ქორელი...“¹ ორიოდე დღის შემდეგ გაზეთი „კომუნისტი“ კვლავ გამოეხმაურა თელავის თეატრის გასტროლებს ლ. არსენიშვილის რეცენზიით. იგი წერდა: „თელავის თეატრის სპექტაკლები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დედაქალაქის საზოგადოებრიობის ღირსია. თეატრს საგრძნობი მიღწევები მოუპოვებია სცენური ოსტატობის დაუფლებებისათვის ბრძოლაში. თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს ვახტანგ აბაშიძის ხელმძღვანელობით ჯანსაღი თეატრალური ორგანიზმის ყველა ნიშანი უჩანს... შკვარკინის კომედია „ჭორი“ საუცხოოდაა განხორციელებული. პიესას მოცილებული აქვს გროტესკულ-მარყული აქცენტი. მსახიობი სერგო ზაქარიაძე

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1934, №130.

კარგად გადმოგვცემს პიესის იმ საუკეთესო პერსონაჟის ოპტიმისტურ, დამაჯერებელ სახეს, რომელიც მან დაგვიხატა თასიმის იერსახეში. დ. ჯალაღონია (ვალიკო) იძლევა ობიექტელის ყოფასა და ფსიქიკაში მომხდარი ძვრების კარგად დასაბუთებულ სახეს. სხვა მსახიობებმა კიდეც უკეთესად უნდა ითამაშონ. მხატვარობა (კ. ჭანკვეტაძისა) უნდა გასცდეს ჩვენი თეატრალურ დადგმათა უკვე მიღწეული ნიმუშების გამეორებას¹. თელავის თეატრის გასტროლებს სხვა გაზეთებიც გამოეხმაურა. ეს იყო თეატრის ისტორიაში პირველი მნიშვნელოვანი აღიარება და მეორე მხრივ, მოტივაცია თეატრის დასისტემის, რათა წარმატებით გაეგრძელებინათ მუშაობა. ამ პერიოდში დასში მოვიდნენ ახალი შემოქმედებითი ძალები: ელენე ციმაკურიძე, ალექსანდრე აფხაიძე, ნიკოლოზ ხორავა, ლეო ჭელია, დიომიდე ჯაფარიძე, ნინო ნინონი, მარიამ კანდელაკი, თამარ კანდელაკი, რომელთაც თეატრი დახვდნენ აღიარებული სცენის ოსტატები: ვ. ჩელთისპირელი, ვ. ჩომახიძე, ქ. მაჭავარიანი, მ. ლეკიშვილი, ვლ. მარკოზაშვილი, ს. სახივეი და სხვები. რვა კაცი საგან შემდგარ ორკესტრს ხელმძღვანელობდა ვ. დიაკონოვი.





სცენა სპექტაკლიდან „ამერიკელი ძია“, დადგმა მ. იარაღისა

1934–35 წლის თეატრალური სეზონზე თელავის თეატრი დგამს თანამედროვე ქართველი და საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ავტორთა პიესებს. თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა სწორედ სახელისუფლებო-იდეოლოგიურ პოლიტიკას ეფუძნებოდა, არც თელავის თეატრი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. ამ სეზონში თეატრმა რამდენიმე საინტერესო დადგმა განახორციელა, მათ შორის, აღსანიშნავია ს. მთვარაძის „სურამის ციხე“. პრესა წერდა: „პიესა ოსტატურადაა გაკეთებული. მასში კარგად არის მოცემული ყმების აუტანელი მდგომარეობა. ბატონების გაუტანლობა და გაუმაძღრობა,

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1934, №135.

მათი მტრული რეპრესიები ყმების მიმართ. სპექტაკლი განსაკუთრებული ინტერესით ჩატარდა. როლების შესრულების მხრივ მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდა მსახიობები, თუმცა საუკეთესო იყო ვ. ჩელთისპირელის ოსმან-აღა. ახალგაზრდა, გულუბრყვილო და შარჟული მეფის ნამდვილი სახე მოგვცა მსახიობმა ა. აფხაიძემ. კარგი იყო ნუგზარ და გივი ბატონიშვილების სცენები მეფესთან შეხვედრისას“.¹ სპექტაკლში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში, მის სანახავად შორეულ სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ. როგორც პრესა იუწყება, კოლმეურნეობიდან მოყავდათ ისეთი მაყურებელი, რომელიც საერთოდ პირველად იყო თეატრში.



ამავე სეზონში თეატრმა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ დადგა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად, ვინაიდან ის ქართული დრამატურგიის კლასიკაა და შესაბამისად, პიესაში დასმული საკითხები მუდამ აქტუალური. სპექტაკლში შესანიშნავი სამეული შექმნეს მსახიობებმა: ვ. ჩომახიძემ (ყვარყვარე), ნ. ხორავამ (ქუჩარა), ა. აფხაიძემ (კაკუტა). სპექტაკლში თელავის თეატრის საუკეთესო მსახიობები მონაწილეობდნენ. „ყვარყვარე თუთაბერს“ მალევე მოჰყვა ს. შანშიაშვილის „არსენა მარაბული“, ასევე პოპულარული სპექტაკლი თელავის თეატრის რეპერტუარიდან. მაყურებელს დიდხანს ახსოვდა ალ. აფხაიძის მიერ შესრულებული არსენას მხატვრული სახე, ლ. ჭედიას კარპინა, ი. ტორის ზაალ ბატონიშვილი, დ. ჯაფარიძის კუჭატენილი. ე. ციმაკურიძის ხორეშანი, ნ. ნინონის მაგდა, ნ. ხორავას სევასტი, გ. მატარაძის ღვთისავარი.

უცხოური დრამატურგიიდან 1934–1935 წლების სათეატრო სეზონზე თელავის თეატრმა ბ. ლავრენიოვის „რღვევა“ წარმოადგინა. ამავე წელს თეატრმა დაარსებიდან 10 წლისთავი აღნიშნა (საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ თელავში პროფესიული თეატრი მათ ჩამოაყალიბეს მას შემდეგ, რაც 1925 წელს თელავის თეატრს საკუთარი შენობა გაუხსნეს, ეს კიცალსახად ისტორიის უგულვებელყოფა იყო). თეატრმა საიუბილეო კვირეული გამართა. საზეიმო საღამოზე წაიკითხეს გზავნილები და მილოცვები არა მხოლოდ საქართველოს თეატრებიდან, არამედ საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან. 1937 წელს თეატრის დასს შემოუერთდა მსახიობი პლატონ ახვლედიანი, რომელმაც ათეულობით გამორჩეული მხატვრული სახე შექმნა თელავის თეატრის სცენაზე.


¹ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1935, №7.

თელავის თეატრის შემოქმედებითი ძალების ნამდვილი გამოცდა და ახალი გამოწვევა იყო შექსპირის ტრაგედიის „ოტელოს“ განხორციელება. იგი დიდხანს, დიდი პასუხისმგებლობით მზადდებოდა. სპექტაკლი დადგა მსახიობმა ნუნუ მაჭავარიანმა. თეატრის კოლექტივმა პრემიერაზე მოიწვია ოტელოს როლის სახელმძღვანელო შემსრულებელი ალექსანდრე იმედაშვილი, რომლის დუბლიორიც თელავის თეატრის მსახიობი დ. ჩხაიძე იყო, ამ უკანასკნელმა წარმატებით შეასრულა ოტელოს როლი. იაგო – ა. კუპატაძემ და მ. ლეიკიშვილმა ითამაშეს, დეზდემონა – ნ. მაჭავარიანმა, კასიო – პ. ახვლედიანმა, ბარაბაციო – გ. პაპალაშვილმა, მონტანო – შ. გოცირიძემ. აღსანიშნავია, რომ დეზდემონას როლს ასრულებდა აგრეთვე მსახიობი ქ. ღვინიაშვილი, ხოლო ემილიას როლს – ქ. მაჭავარიანი. სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობდნენ: რ. მირიანაშვილი, კ. ჭანკვეტაძე, მ. პაპუნია. მუსიკალურად გააფორმეს კომპოზიტორებმა: კ. მელვინეთუხუცესმა, ა. მაჭავარიანმა და რ. გოგინიაშვილმა, ცეკვები დადგა ოპერის თეატრის სოლისტმა ს. ნონიაშვილმა.

თელავის თეატრში „ოტელოს“ დადგმას გამოეხმაურა რესპუბლიკური პრესა: „ოტელოს“ დადგმა თელავის სახელმწიფო თეატრში ადასტურებდა, რომ დედაქალაქის მიღმაც მოღვაწეობენ მაღალი რანგის პროფესიონალი არტისტები, რომლებიც ქმნიან საინტერესო და ნატიფ ხელოვნებას. „თელავის თეატრმა – წერდა პრესა – წარმატებით ჩააბარა გამოცდა და დაამტკიცა, რომ მის კოლექტივს შესწევს დაუმრეტელი შემოქმედებითი ენერჯია და ენთუზიაზმი, მისწრაფება და უნარი ახლის ძიებასა და შემოქმედებითი წარმატებისაკენ“.¹ ამავე სეზონზე თეატრმა გ. მდიენის „სამშობლო“ განხორციელა.

1938–1939 წლის სეზონში თეატრში ხელმძღვანელებად მოვიდნენ რეჟისორები: გ. როსება და გ. გაბისონია.

თელავის თეატრში „ოტელოს“ წარმატებული დადგმის შემდეგ, გ. როსებამ განახორციელა შილერის „ყაჩაღები“, რომლის პრემიერა 1939 წლის 10 ივნისს გაიმართა. ამ სპექტაკლის შესახებ პრესა წერდა: „ძნელსა და საპასუხისმგებლო საქმეს მოკიდა ხელი თელავის თეატრმა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თეატრმა შეძლო ამ შესანიშნავი შედეგის დაძლევა და წარმატების მოპოვება“.² წარმატება იყო მომდევნო სეზონში აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ დადგმაც. „ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო ერეკლეს ქალაქისათვის, რასაც სიხარულით შეხვდა თელაველი მაყურებელი“.³ სპექტაკლის შესახებ ალ. გვენცაძე წერდა: „განსაკუთრებით აღსანიშნავია დადგმის მწყობრი დინამიურობა. ბევრი მომენტი რეჟისორულად კარგად არის გააზრებული, სპექტაკლი აღმავალი გზით ვითარდება და განსაკუთრებით ძლიერი ხდება ფინალში... ახალგაზრდა პატარა კახი კარგად წარმოგვიდგინა მსახიობმა ალ. კუპატაძემ. იგი თანდათანობით აძლიერებს ჭაბუკ ერეკლეს სახეს, რომ ბოლოს სახალხო გმირად აქციოს. ბრმა გელა სახალხო ტრიბუნია ნათელი გულით და მაღალი შეგნებით. გმირის ეს წარმტაცი ბუნება თავიდან ბოლომდე შეინარჩუნა მსახიობმა გ. ჩელთისპირელმა, ლევან ქობულაძე ორლესული ხმალივით ბასრია სამშობლოზე წამოსული მტრის მიმართ. მსახიობმა გ. კეკელიშვილმა სწორედ ეს ბუნება შთაბერა



რეჟისორი
გ. როსება

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1938, №4.

² გაზ. „კოლმეურნის ხმა“, 1939, №74.

³ ზურაბიშვილის მით წიგნი, გვ. 71.



თელავის თეატრის მსახიობები შალვა დადიანთან ერთად

თავის გმირს. მაშულისათვის ერთგული და დარბაისელი აღმზრდელია პ. ახვლედიანის გმირი ჩოლოყაშვილი. როლები უნაკლოდ განასახიერეს აგრეთვე მსახიობებმა: ლ. მარკოზაშვილმა (რევაზ ბებურიშვილი), ქ. კეკელიშვილმა (ტურფა), ნაპოლეონმა (ბაადურ კუტი). მხატვარმა დ. ბალარჯიშვილმა და მ. პაპუნიაძემ კარგად დაიცვეს დადგმისათვის საჭირო კოლორიტი. კარგია ეთნოგრაფიული გუნდი ს. სახივეის ხელმძღვანელობით. ეს სპექტაკლი თეატრს მთელი კოლექტივის და პირველ რიგში დამდგმელი რეჟისორის გ. როსებს უდავოდ დიდი წარმატებაა“.¹


თელავის თეატრისთვის ადვილი არ იყო 1937 წელი. რეპრესიებს ვერ გადაურჩა ვანიკო აბაშიძე, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი დადგმა განახორციელა თელავის თეატრში და რამდენიმე სეზონის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კიდევ მას. ფსიქოლოგიური წნეხისა და ტოტალური შიშის მიუხედავად, თეატრი აგრძელებდა მუშაობას, დგამდა სპექტაკლებს და ცდილობდა სახელმწიფო დაკვეთა მორჩილად შეესრულებინა. ამიტომაც, თეატრის რეპერტუარში ჩნდებოდა ის დადგმები, რომელიც აპრობირებული იყო დედაქალაქის თეატრების სცენებზე. კომუნისტური პარტიის სახელმწიფო დაკვეთის ფარგლებში რამდენიმე ათეული სპექტაკლი განხორციელდა.

თელავის თეატრი აქტიურად აგრძელებდა მუშაობას მეორე მსოფლიო ომის დროსაც. რეპრესიებგამოვლილი და მორალურად განადგურებული თეატრი ახლა ომის პირობებში აგრძელებდა მუშაობას.

¹ გაზ. „კოლმეურნის ხმა“, 1940, №38.



ლიზა გამყრელიძე




ბეგლარ ახოსპირელი



მარქას გასპაროვი



შაქრო ჭველიძე



ნიკოლოზ ხორაგა



თელავის თეატრის დასი 1923 წ.



ჯ. ლონდონის „მგლები“, რეჟ. ს. მებურიშვილი 1929–1930 წწ.



პ. ბარბინი „ორი დარაჯი“, რეჟ. ს. მებურიშვილი 1930–1931 წწ.



რეჟისორი: მ. ზერხეულიძე,
მსახიობები: პ. ახვლედიანი, ა. კუპატაძე, ქ. მელექსიშვილი



თელავის დრამატული თეატრის დასის მოგზაურობა კახეთში,
1929–1930 წ. სეზონი



სცენა სპექტაკლიდან „როგორ“, რეჟისორი – ვახტანგ გარიკი



სცენა სპექტაკლიდან „შორეული გზით“, რეჟისორი – ვახტანგ გარიკი



თელავის დრამატული თეატრის დასის მოგზაურობა კახეთში, 1929–1930 წ.



სცენა სპექტაკლიდან „ტანიკი“, 1931–1932 წ.



„ყაჩაღები“
ემილიან ვან მლორ —
ვ. ჩელთისპირელი,
ფრანც მლორ — ა. კუპატაძე,
რეჟ. გ. როსება

„ყაჩაღები“
გერმანოზ — კ. ჩხეიძე
რეჟ. გ. როსება





შეკრება თელავის თეატრის 19 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1935 წ.



თელავის თეატრის დასი 1936–1937 წ.

**თელავის თეატრის XX საუკუნის 30-იანი წლების
სპექტაკლების აფიშები და პროგრამები**

კახაბერული თეატრი

ნაწილობრივ

სადაც მკობრად მკობრად მკობრად	სადაც მკობრად მკობრად მკობრად	სადაც მკობრად მკობრად მკობრად	სადაც მკობრად მკობრად მკობრად
----------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------

თელავის თეატრის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

ბრეშ

ს. ხაჩიძის თეატრის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

მ. ხაჩიძის

თეატრი

1936-37 წლის სეზონი

პროგრამა

მ. ხაჩიძის

კაცია აღაშენი

4 მსოფლიო

ს. ხაჩიძის თეატრის და მ. ხაჩიძის

დღე: პ. მალაქაძის

მხატვარი: რ. მიჩხაძის

მუსიკა: მ. ბაბაღანიანის

ტექ: რეჟისორი: ს. შანტაძის

სამხატვრო ნაწ. ემედი და მთავარი რეჟისორი მ. გუბანიძის

ს. მ. ხაჩიძის

თელავის სახელობითი

— თეატრი —

1938—39 წ. სეზონი

პროგრამა

მ. მიჩხაძის

ზრგვანგ მუსიკოსი

დაბა 4 მომ. და გორათა თარაგიანი პარ. დაეტიანის

დღე: მ. ბრეშის და მ. ბაბაღანიანის

მხატვარი: მ. ბაბაღანიანი

მუსიკა: მ. ბაბაღანიანი

ლოცვა: რეჟისორი: მ. შანტაძის

მთავარი რეჟისორი: გ. როსტომის

მხატვარი: დიმიტრი და სანა, ნაწ. ემედი, ა. დავითიანი

ს. მ. ხაჩიძის თელავის სახელობითი თეატრი

1938-39 წ. სეზონი

პროგრამა

მ. ხაჩიძის

დღე: მ. ბრეშის

მხატვარი: მ. ბაბაღანიანი

მუსიკა: მ. ბაბაღანიანი

ლოცვა: რეჟისორი: მ. შანტაძის

მთავარი რეჟისორი: გ. როსტომის

მხატვარი: დიმიტრი და სანა, ნაწ. ემედი, ა. დავითიანი

თელავის სახელობითი თეატრის პროგრამა

მ. ხაჩიძის

მოკვებითი

დღე: მ. ბრეშის

მხატვარი: მ. ბაბაღანიანი

მუსიკა: მ. ბაბაღანიანი

ლოცვა: რეჟისორი: მ. შანტაძის

მთავარი რეჟისორი: გ. როსტომის

მხატვარი: დიმიტრი და სანა, ნაწ. ემედი, ა. დავითიანი

თელავის სახელობითი თეატრის პროგრამა

მ. ხაჩიძის

ლია ცისქვეშის

დღე: მ. ბრეშის

მხატვარი: მ. ბაბაღანიანი

მუსიკა: მ. ბაბაღანიანი

ლოცვა: რეჟისორი: მ. შანტაძის

მთავარი რეჟისორი: გ. როსტომის

მხატვარი: დიმიტრი და სანა, ნაწ. ემედი, ა. დავითიანი



„ცეცხლის ხაზზე“, მხატვარი — დ. ბალარჯიშვილი, რეჟისორი — გ. როსება





„ხალხის რჩეული“, მხატვარი – დ. ბალარჯიშვილი, რეჟისორი – გ. გაბისონია






„ბრმა მუსიკოსი“, მხატვარი – დ. ბალარჯიშვილი, რეჟისორები – გ. გაბისონია და გ. როსება



კოსტიუმის ესკიზები სპექტაკლისთვის „პატარა კახი“, მხატვრები – ი. ასკურავა და დ. ბალარჯიშვილი



სცენები სპექტაკლიდან „ცეცხლის ხაზზე“



პ. აზვლედიანი



მ. კორინთელი



ა. კუპატაძე



მუსიკოსი და
კომპოზიტორი
გ. ლემანი



ეს უნიკალური ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მასზე გამოსახულ კომპოზიციაში არიან თელავის თეატრის მსახიობები: ვახტანგ ჩელთისპირელი (მატარაძე) და ალექსი კუპატაძე. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ თელავში იყვნენ გამოჩენილი სწავლულის ემილ ჟაკ დალკროზის მიმდევრები. XX საუკუნის 30-იან წლებში თელავის თეატრი ჩართული იყო მნიშვნელოვან, პროგრესულ შემოქმედებით ძიებებში, რომელსაც მსოფლიო თეატრში ჰქონდა ადგილი, თბილისთან ერთად, თელავს სათეატრო რუკაზე გამორჩეული ადგილი ეჭირა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ისევე როგორც სხვა ქართულ თეატრებს, არც თელავის თეატრს შეუწყვეტია მუშაობა. ომიანობის ფაზს თეატრმა 26 ახალი სპექტაკლი უჩვენა თავის მაყურებელს, მათ შორის, პიესები ომის და პატრიოტიზმის თემაზე. 1939–1940 წლების სათეატრო სეზონზე აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ დაიდგა. ისტორიულ-პატრიოტული თემატიკა იყო სწორედ ამ პერიოდის თელავის თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი.



**მოქრისი – ქეთო მაჭავარიანი
ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“,
1940 წ.**

1940 წლის მიწურულში თეატრმა მაყურებელს წარუდგინა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ (რეჟისორი გ. როსება), რომელიც პირველად თელავის თეატრში დაიდგა. არსებითად, აქედან იწყება პიესის სცენური ისტორია. „თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა შესძლო ვაჟას გმირების სცენური ხორცშესხმა, ისე რომ დაეცვა მთის კოლორიტი, შეენარჩუნებინა გმირების შინაგანი ბუნება და გარეგანი იერი“¹. ვაჟას გმირები გააცოცხლეს მსახიობებმა: პ. ახვლედიანმა (ხვეისბერი), მ. კორინთელმა (მზევიანარი), თ. ტარუაშვილმა (ჯავარა), ქ. მაჭავარიანი (მოქრისი), ი. შერაზადიშვილი (ბახა), გ. კველიშვილი (ჩონთა), გ. მამუჩიშვილი (ანავარი), ა. კუპატაძემ (გელა-მუსა), ს. სახიევმა (გიორგი).

მიუხედავად იმისა, რომ ომის პერიოდში თეატრის რეპერტუარი შედგენისას მთავარი ორიენტირი პატრიოტულ და ომის თემაზე შექმნილი პიესების დადგმა იყო, თეატრი არც პატარა მაყურებელს ივიწყებდა და არც კომედიური ფანრის პიესების დადგმაზე ამბობდა უარს. ასეთი მუშაობისთვის საბჭოთა

მთავრობამ თეატრის ხელმძღვანელობა წაახალისა კიდევ. 1941 წლის 21 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თეატრის მთავარ რეჟისორს გ. როსებას საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. „თეატრალური მოღვაწის ამგვარი აღიარება და დაფასება თელავის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივისათვის პირველი შემთხვევა იყო და მან, ბუნებრივია დიდი ენთუზიაზმი შეიტანა მის მუშაობაში“². ომის პერიოდში თელავის თეატრს, სხვა თეატრების მსავლად, უარის თქმა მოუწია სახელმწიფო დოტაციაზე. თანხების დიდი ნაწილი ომზე იყო მიმართული. გარდა ფინანსური რესურსისა, თელავის თეატრმა ომისთვის ადამიანური რესურსიც გაიღო. ფრონტზე გაიწვიეს თელავის თეატრის მსახიობები: ქართლოს ბაკურაძე, დიმიტრი ლომიძე, გიორგი პაპოშვილი, დავით მდივნიშვილი, პარმენ ახვლედიანი, ვახტანგ ყაჯრიშვილი, ივანე კირაკოზოვი, შიო მარკოზაშვილი და სხვები.

1934-44 წლებში თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი ალექსანდრე მაღლაკელიძე; მხატვრებად მუშაობდნენ: დ. ბალარჯიშვილი, ი. მდივანი, ტ. ჭავჭავანიძე. დასის შემადგენლობაში იყვნენ მსახიობი ქალები: ქ. მაჭავარიანი, ქ. მჭედლიშვილი, ქ. ბოჭორიშვილი, ქ. კველიშვილი, და ნ. მაჭავარიანი. ვაჟები: ვ. ჩელთისპირელი, ა. კუპატაძე,

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 73.

² იქვე.

პ. ახვლედიანი, ლ. მარკოზაშვილი, ა. მალაკელიძე, ვ. ბოჭორიშვილი გ. მამუჩიშვილი, ა. პაპაიანი, ვ. მაისურაძე, შ. თარხანოვი, ნ. ასტვაცატუროვი და ბ. ბეგჯანოვი (მარტიაშვილი). განვლილი სეზონის შესაჯამებლად თელავს ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს კომისია. საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია 1944 წლის 28 მაისით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი, რომელშიც დადებითად არის შეფასებული თელავის თეატრის მოღვაწეობა.



ქალა — ქეთო მაჭავარიანი
ა. ცაგარელის „ციმბირელი“,
1940 წ.

1944 წელს თეატრმა გასტროლები კვლავ გამართა თბილისში. დასმა საგასტროლოდ მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“, ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“ წარმოადგინა. პრესამ დადებითად შეაფასა გასტროლები. ქებას არ იმურებდნენ კრიტიკოსებიც. თეატრმცოდნე ე. ქარელიშვილი წერდა: „გაგაოცებთ ის დიდი ინტერესი და სიყვარული, რომელსაც იჩენს ადგილობრივი საზოგადოება თელავის თეატრისადმი. ამ ინტერესების მთავარი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თეატრი კარგ კულტურულ მომსახურებას უწევს მოსახლეობას და მისი სპექტაკლები საკმაო მხატვრული გემოვნების სიმაღლეზე დგანან... თეატრი ძირითადად ახდენს კომპონენტთა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს პიესის დელაზრის რელიგიურ-სცენურ გამოვლენას. ადგილი არა აქვს უხეშ დამახინჯებებს და გადახვევებს პიესათა ავტორების ძირითადი შთანაფიქრიდან... მთავარი ღირსება თელავის თეატრის სპექტაკლებისა აქტიორთა გულწრფელ თამაშში უნდა

ვეძიოთ. მათ მიერ შექმნილი სცენური სახეები აღჭურვილია ბუნებრივი აქტიორული ნიჭით და უშუალოდით. მსახიობთა ერთ ნაწილში იგრძნობა პროფესიონალიზმი (ს. ბეჟანიშვილი, ა. ლოლუა, პ. ახვლედიანი, ა. კუპატაძე, ნაპოლეონი, ქ. მაჭავარიანი, ქ. კეკელიშვილი, მ. ლალაშვილი). მათ მიერ შექმნილ სცენურ სახეებში ბუნებრივ ნიჭთან აქტიორული ტექნიკაც ჩანს. მათი ოსტატობა ყოველთვის მუდავნდება შემოქმედებით დამოკიდებულებაში¹. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ საინტერესო ფაქტს გვიამბობს სპექტაკლში მონაწილე მსახიობ მარიამ ლალაშვილზე, რომელიც ჯავარას როლს ასრულებდა. მოსკოვიდან ჩამოსულმა ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ა. ფევრალსკიმ თელავის თეატრში „მოკვეთილის“ ნახვის შემდეგ განაცხადა: „ლალაშვილის მიერ შესრულებულ ჯავარას როლში იგრძნობა დედის ცოცხალი გული, მისი მშფოთვარე ფეთქვა, ჯავარას მძიმე ცხოვრება, მისი სულიერი ტრაგიაზმი, სევდა დაკარგული სამშობლოს გამო. შემადრწუნებელია უკანასკნელი სცენა, როდესაც ჯავარა უახლოვდება ბრძოლის ველზე განგმირულ შვილს. ის სადღაც ბედნიერია, რომ მისი შვილი მოღალატე არ არის“². თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის აზრით, უცნობია „მოკვეთილის“ გ. როსებასეული ინტერპრეტაციის ვარიანტი. არ იყო მიკვლეული ის ტექსტი, თუ როგორ იწყებოდა და მთავრდებოდა სპექტაკლი. თელავის გაზეთში პრემიერის შემდეგ დაიბეჭდა ალ. გვენცაძის რეცენზია, რომელიც დადგმის შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას არ გვაწვდის.

¹ გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, №29.
² ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, №12, გვ. 57–58.

ვიციტ მხოლოდ დამემელი ჯგუფის შესახებ. მსახიობი ირაკლი შერაზადაშვილი კი იგონებს, რომ თავის დროზე კოტე მარჯანიშვილს ჰქონდა დაწყებული მუშაობა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილზე“, მაგრამ შუა რეპეტიციებზე შეაჩერა მუშაობა, შემდეგ გ. როსებამ სპექტაკლის დადგმა ქუთაისის თეატრში განიზრახა, მაგრამ დადგმა პრემიერამდე არ მისულა. პიესა ქართულ სცენაზე პირველად მხოლოდ თელავის თეატრში განხორციელდა, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თელავის საზოგადოებისთვის.

ომის დასრულების შემდეგ 1945-1946 წლების სათეატრო სეზონში თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟისორი ალექსანდრე მიქელაძე, რომელსაც მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სტუდია ჰქონდა დამთავრებული. მან მხოლოდ ორი სეზონი იმუშავა თელავში. მის მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან გამოირჩევა: კ. ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია“, ფრანგული ხალხური კომედია „ადვოკატი პატლენი“, ბრაიტნის „სრულ შუაღამეს“, რომელთა დადგმა ქართულს სცენაზე პირველად თელავში განხორციელდა.


ალ. მიქელაძემ ასევე პირველად დადგა თელავში ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ (მხატვარი ა. კელერი, მუსიკალური გაფორმება ვ. ვერულადის). სპექტაკლი ქალაქის კულტურული ცხოვრების მოვლენად და ზეიმად იქცა. მეფე ერეკლეს როლი გიორგი მამუჩიშვილმა ითამაშა. ეს იყო მსახიობის შემოქმედების ჭეშმარიტი ტრიუმფი. მაყურებელს კარგა ხანს ახსოვდა პ. ახვლედიანის მიერ განსახიერებული ბესიკი, გ. კველიშვილის – პაატა ბატონიშვილი, ვ. მარკოზაშვილის – საითნოვა, მ. თაბორაძის – ანა, ი. პაპაიანის – ყორჩიბაში. მწერალი დემნა შენგელაია ასე აფასებდა ალექსანდრე მიქელაძის ორწლიან მოღვაწეობას თელავში: „რეპერტუარი თემატურად მრავალფეროვანია, აქტუალური და საინტერესო. მისი მოღვაწეობა თელავის თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია“.¹ ალექსანდრე მიქელაძემ თელავის თეატრი აქცია აქამდე უცნობი პიესების ახალი სიცოცხლის დაწყების სივრცედ. ასეთი იყო: ბრაიტნის „სრულ შუა ღამეს“, ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თელავის თეატრში მკვიდრდება მსახიობი **გრიგოლ კველიშვილი**. პირველად ის თელავის თეატრში დადგმულ სპექტაკლებში 1925 წელს მონაწილეობდა, შემდეგ 1934–1938 წლების სეზონში სამუშაოდ რეჟისორმა ვახტანგ გარიკმა მიიწვია, ხოლო 1940-იანი წლებიდან საბოლოოდ მკვიდრდება თელავში. გიორგი კველიშვილმა მალევე მიაღწია წარმატებას და გახდა პოპულარული მსახიობი. ომის პერიოდში ის, თელავის თეატრის დასთან ერთად ბევრს მოგზაურობდა კახეთის სოფლებში. ასრულებდა ნაწყვეტებს სპექტაკლებიდან: „არმინ მალალან“, „ციმბირელი“, „მზის დაბნელება საქართველოში“ და სხვა. განსაკუთრებული პოპულარობა მსახიობს მოუტანა მის მიერ განხორციელებულმა ხევისბერი გოჩას მხატვრულმა სახემ. აღფრთოვანებას ვერ მალავდა პრესაც. გაზეთები „ზარია ვასტოკა“ და „კომუნისტი“ არ იშურებდნენ საქებად სიტყვებს მსახიობის მიმართ: „მისი თამაში გამოირჩევა



ჩოლოყაშვილი – გ. კველიშვილი
ა. წერეთლის „ბაში-არუკი“

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1985, 22 ოქტომბერი.



ამილახვარი – გ. კველიშვილი
ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“

მომხიბვლელი უბრალოებით, მსახიობის ყოველ წინადადებაში შეიმჩნევა შესაშური სიმშვიდე, დაუცხრომელი ნებისყოფა, ამაღლებული მორალური თვისებები, ხალხის წინამძღოლისთვის საჭირო თვისებები“. გიორგი კველიშვილი მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება არ ჰქონდა მიღებული, სარეჟისორო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის მიერ თელავის თეატრში განხორციელდა მოლიერის „ძალად ექიმი“, გ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი“ და სხვა. გარდა სასცენო მოღვაწეობისა გიორგი კველიშვილი ჩართული იყო საომარ მოქმედებაში, ირიცხებოდა „გამანადგურებელი ბატალიონის“ მებრძოლად. 1961 წელს გიორგი კველიშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

თელავის თეატრის ისტორიის ამ პერიოდის მსახიობთაგან გამოირჩეოდა ქეთო მაჭავარიანი, რომელიც 1923 წელს მივიდა თეატრში მსახიობად, 1925 წელს კი თეატრის დასში ოფიციალურად ჩარიცხეს. ახალგაზრდა მსახიობმა თავიდანვე დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი თელავის თეატრის

დასში, როგორც ნიჭიერმა, შრომისმოყვარე და შემოქმედებისთვის თავდადებულმა მსახიობმა. წლების მანძილზე ის იყო დავით აწყურელის, გიორგი და ქეთევან კველიშვილების, ალექსი კუპატაძის, პლატონ ახვლედიანის, თინათინ ბურბუთაშვილის ღირსეული სასცენო პარტნიორი.

მრავალმხირვ საინტერესო და მდიდარი იყო მისი შემოქმედება სცენური სახეებით. მის მიერ შექმნილი როლები, როგორც მისი თანამედროვეები იგონებენ და ამ მოგონებების რეალურობას ამყარებს პრესა, გამოირჩეოდა სინატიფით, სიმართლით და დამაჯერებლობით. საღი და ღრმა შინაგანი განცდით. მისი ყოველი გამოსვლა სცენაზე მაყურებელს სინარულსა და ხალისს ანიჭებდა. ქეთო მაჭავარიანი თითქმის 70 წელი ამშვენებდა თელავის თეატრის სცენას. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: დარეჯანი („კაცია – ადამიანი?!“), ხალა („არშინ მალალან“), თათელა („გაყრა“), ჯუფანა („ვინ არის დამნაშავე?“), გალჩინა („უდანაშაულო დამნაშავენი“), ღუნიაშა („ქორწინება“), ქრისტინა („პლატონ კრეჩეტი“), მოქრისი („მოკვეთილი“). ქ. მაჭავარიანის როლების სია საკმაოდ შთამბეჭდავია (200-ზე მეტი როლი), თუმცა ეს ის მხატვრული სახეებია, რომელიც სამუდამოდ დარჩა თელავის თეატრის ისტორიაში.



ქეთო მაჭავარიანი

ქეთო მაჭავარიანი სახასიათო ამპლუის, კომიკოსი მსახიობი იყო, ამიტომაც უყვარდა ის განსაკუთრებით მაყურებელს და კოლეგებს, არა მხოლოდ თელავის, არამედ ქართული თეატრებიდან. განსაკუთრებით სხვა ქართული თეატრის ვარსკვლავებთან: მაკო



**ხეთისო – ვ. მარკოზაშვილი
ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“**

საფაროვასთან, ტასო აბაშიძესთან და ვერიკო ანჯაფარიძესთან მეგობრობდა.

ამ პერიოდის მსახიობთა პლეადაში მოიაზრება **ვლადიმერ მარკოზაშვილიც**. იგი 1905 წელს დაიბადა თელავში, 16 წლისას მშობლები გარდაეცვალა და როგორც ოჯახის უფროსს შვილს, დაეკისრა პატარა დაძმების მოვლა და პატრონობა. მიუხედავად რთული საცხოვრებელი პირობებისა, ის ხშირად სტუმრობდა წარმოდგენებს, რომელთაც თელავის თეატრი მართავდა. მალე თვითონაც იღებდა მონაწილეობას მასობრივ სცენებში. თავისი გარეგნული მონაცემებით, ხვეწვადი სასიმღერო ხმით, იუმორის გრძობით, გარდასახვის ნიჭით იმპყრობს თეატრის მოღვაწეების ყურადღებას და 1924 წელს თელავის თეატრის დასშიც ჩარიცხეს.

ვლადიმერ მარკოზაშვილს თეატრში ძლიერი შემოქმედებითი ძალა დახვდა, ამიტომაც არ იყო მისთვის მარტივი ადგილის დამკვიდრება დასში, მაგრამ მისი ნიჭიერების წყალობით, მას მნიშვნელოვანი როლების განხორციელება ანდეს,

მაგალითად, აკოფა („ხანუმა“), გიჟუა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), გეურქა („მზის დაბნელება საქართველოში“) და სხვა. მსახიობი მუსიკალური ნიჭითაც იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. 1925 წელს, თეატრის ახალი შენობის გახსნის საზეიმო საღამოს დასრულების შემდეგ გამართულ ვახშამზე, რომელსაც მრავალი სათეატრო მოღვაწე და მათ შორის, კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ესწრებოდა, ვლადიმერ მარკოზაშვილს უმღერია და დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სწორედ, კოტე მარჯანიშვილზე.

ვლადიმერ მარკოზაშვილს ხშირად უმართლებდა არა მხოლოდ რეჟისორებში, არამედ სასცენო პარტნიორებშიც. ის პარტნიორობას უწევდა ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ალექსანდრე იმედაშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს, ვასო გომიაშვილს, სერგო ზაქარიაძეს; მონაწილეობდა ალექსანდრე წუწუნავას დადგმაში და ფილმებში.

ვლადიმერ მარკოზაშვილმა 50 წელზე მეტი იღვაწა თელავის თეატრში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი ქართველი მსახიობის რეკორდი მოხსნა იმით, რომ მის სცენურ სახეთა გალერეაში 300-ზე მეტი როლია. მსახიობს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

თელავის თეატრში XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო მოღვაწეობა მსახიობმა **ნაპალეონ ხეთისიაშვილმა (ასტვაცატუროვი)**. თელავის თეატრთან თანამშრომლობა მან 1905 წელს დაიწყო. ჯერ ეპიზოდურ როლებს ასრულებდა, შემდეგ კი მთავარი როლებიც შესთავაზეს სპექტაკლებში: დ. ერისთავის „სამშობლო“ (შაჰ-აბასი), სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“ (საბა ბერი) და სხვა. თელავში ხშირად მართავდნენ გასტროლებს ქართული სცენის ოსტატები, რომელთაც პარტნიორობას, სხვა ადგილობრივ მსახიობებთან ერთად ნაპალეონ ასტვაცატუროვიც უწევდა. მისი სცენური პარტნიორები იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, დავით აწყურელი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან გუნია და სხვები. 1916 წელს თეატრმა მსახიობის

მოღვაწეობის 10 წლის იუბილე მოკრძალებულად აღნიშნა, ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ სტატიაც კი უძღვნა მას. „ჩუმი მოღვაწე“ – ასე ეწოდებოდა სტატიას, რომელიც აანალიზებდა ნაპალეონ ასტვაცატუროვის ათწლიან მოღვაწეობას. 1925 წლიდან, როცა თელავის თეატრმა ახალმოსახლეობა იხეიმა, სტაბილურად იმართებოდა სპექტაკლები, გაიზარდა მსახიობის დატვირთვა და 50 წლის განმავლობაში 200-ზე მეტი როლი შექმნა. მსახიობისთვის დამახასიათებელი იყო თამაშის რეალისტური მანერა და სცენური გულწრფელობა. 1956 წლის 27 მაისს თელავის თეატრში გაიმართა მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.



**ერეკლე II –
ვახტანგ ჩელთისპირელი
ა. წერეთლის „პატარა კახი“**

თელავის თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსახიობ **ვახტანგ ჩელთისპირელს (მატარაძეს)**. მსახიობი დაიბადა 1908 წელს თბილისში. 1920 წელს ოჯახი საცხოვრებლად ფოთში გადავიდა. „ჩვენთან ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მსახიობები და რეჟისორები. მათმა საინტერესო საუბრის მოსმენამ, მშობლებთან ერთად სპექტაკლებზე სიარულმა და ქართული თეატრის კორიფეების სცენაზე ყურებამ, განამტკიცა ჩემში თეატრალური ხელოვნებისადმი ჩემი ინტერესი და დიდი სიყვარული. ბავშვობიდანვე ვოცნებობდი მსახიობი გაემხდარიყავი. იმ ხანად ფოთში არსებობდა საბავშვო თეატრი, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო კოტე მარჯანიშვილის ძმა – ვლადიმერ მარჯანიშვილი. სწავლასთან ერთად ვმუშაობდი აღნიშნულ თეატრში“¹ – წერს მსახიობი ავტობიოგრაფიაში, რომელიც დაცულია თელავის თეატრის მუზეუმის ხელნაწერ ფონდში.

თელავის თეატრში მოღვაწეობამდე, 1923 წელს მან ფოთში ჩამოაყალიბა პროფესიული დასი (იუნა ზარდალაშვილთან ერთად), სადაც შედგა მისი სასცენო დებიუტი. სხვადასხვა დროს გამოდიოდა ჭიათურის, სიღნაღის, თბილისის, ველისციხის თეატრებში. 1933 წლიდან მკვიდრდება თელავის თეატრში, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. ის ამ თეატრის არა მხოლოდ მსახიობი იყო, არამედ ერთგვარი მემატთანეც, რომელმაც თეატრს არქივი შეუქმნა (ახლაც არქივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება). სწორედ მისი ინიციატივით თელავის თეატრში შეიქმნა მუზეუმი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და ინახავს ასობით ხელნაწერ და ფოტო დოკუმენტს. თელავის თეატრში ვახტანგ ჩელთისპირელმა 60 წელზე მეტ ხანს იმოღვაწა. ამ დროის განმავლობაში მან 300-მდე როლი შექმნა. 1955 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1968 წელს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.



**ფეიქარხანი –
ვახტანგ ჩელთისპირელი
ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“**

ვახტანგ ჩელთისპირელი გამოირჩეოდა მენეჯერული თვისებებითაც. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ის იყო თელავის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და დამდგმელი

¹ ავტობიოგრაფიის ორიგინალი დაცულია თელავის თეატრის მუზეუმის ხელნაწერ ფონდში.

რეჟისორი, პარალელურად ხელმძღვანელობდა თელავის თვითმოქმედი თეატრის დასს. თელავის თეატრში, როგორც რეჟისორს დადგმული აქვს 20-მდე პიესა. ომის პერიოდში ორგანიზებას უწევდა საშეფო კონცერტებს სამხედრო ჰოსპიტალებში. ვახტანგ ჩელთისპირელი ფართო დიაპაზონის მქონდე მსახიობი იყო. მასზე ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ წერდა: „მის მიერ შესრულებული გმირები ყოველთვის უშუალოდ და სცენური გულწრფელობით გამოირჩევიან. საკმარისია, თვალი გადაავლოთ მის შემოქმედებას და დარწმუნდებით, რომ მას შეეძლო დრამატული და კომიკური როლების თანაბარ მხატვრულ ხარისხში განხორციელება. მისი სცენური გალერეა იტევს ბრძენ, მაგრამ მახინჯე ეზოპეს, რევოლუციონერ გოდუნს, დესანტოსს, სკაპენს. მისი გმირები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ასაკით, ხასიათით, გარეგნობით, ეპოქით და სოციალური მდგომარეობით“¹. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მაქსიმელიან მორი, ფერდინანდი (ფ. შილერის „აჩალები“, „ვერაგობა და სიყვარული“), კლავდიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), დესანტოსი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), ფრონდოზო (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ავეტიკა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), პეპია (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“), მეფე ერეკლე (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), ანტონიო (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“) და სხვ.;



**თ. ბურბუთაშვილი, გ. პაპოშვილი,
ვ. ჩელთისპირელი, გ. მაბუჩიშვილი,
ბ. ჯგავანია, შ. კობიაშვილი**



გ. ზუციშვილი, ვ. ჩელთისპირელი, ა. კუპატაძე, ს. ახალაძე, პ. ახვლედიანი და სხვები

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1970, №6, გვ. 44-48.

დადგმული აქვს სპექტაკლები: გ. მღვიმის „ბრმა“ (1932), ა. ცაგარლის „ხანუმა“ (1933), კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“ (1941) ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (1942), დ. ერისთავის „სამშობლო“ (1943), ა. შირვანზადეს „პატიოსნებისათვის“ (1945) და სხვა.



პაულინა – ქ. ბოჭორიშვილი კ. ვიტლინგერის „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“, 1961 წ.

გაიანე (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), სუზონი (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), რუსუდანი, თეკლე (ი. ვაკელის „რვალი“, „გიორგი სააკაძე“), მარინე (გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“), კესო (ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“), ვარდო (დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“), ცირა (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“), ჰესია (გ. ზაბოლსკაიას „პანი ღულსკაიას მორალი“), ქეთო (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მხეს“), ემა ფიშერი (კ. ვიტლინგერის „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“) და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „ჯვარისკაცის მამა“, „დიდებები და შვილიშვილები“, „წუთისოფელი“ და სხვა. 1954 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. ქეთევან ბოჭორიშვილის ძირითადი პროფესია მხატვრობა იყო. მას უმაღლესი განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწორედ ამ მიმართულებით ჰქონდა მიღებული. სამსახიობო კარიერის პარალელურად იმუშავა რამდენიმე სპექტაკლზე როგორც მხატვრად, ასევე კოსტიუმების ავტორადაც. მის მიერ შექმნილია კოსტიუმები სპექტაკლებისთვის „გიორგი სააკაძე“, „დები ფერარი“, „ფიროსმანი“ და სხვა.

1938 წელს, თელავის თეატრს მსახიობი **გიორგი პაპოშვილი** შემოუერთდა. თელავის თეატრში მან 100-ზე მეტი როლი ითამაშა. მიერ მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ჯამლეტი („კოლმეურნის ქორწინება“), გოდერძი („რკინის პერანგი“), ხვთისო, მწყემსი („მოკვეთილი“), გენერალი მახნიაშვილი („დრო – 24 საათი“), ირაკლი რაზმაძე („ზიდი“), ბეჟანა („მე

1933 წელს თელავის თეატრში სამოღვაწეოდ მოვიდა მსახიობი **ქეთევან ბოჭორიშვილი**. 1937 წელს, თბილისის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო სამხატვრო აკადემიაში. სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა თელავის (1941–1942, 1946–1948), ოზურგეთის (1943–1946) თეატრებში. 1949 წლიდან იყო გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან თელავის თეატრში აღსანიშნავია: ლუიზა, სოფი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ნარგიზა, სონა (ა. ცაგარლის „ციმბირელი“, „ხანუმა“), ელენე (გ. შიუკაშვილის „უნიდაგონი“), გულიკო, მერი (დ. ერისთავის „სამშობლო“), თამარი (გ. შატერაშვილის „ფიქრის გორა“), რუსუდანი (მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“), ასმათი (ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“), გვირისტინე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ელაისი (ჯ. გოუს და ა. დიუსოს „ღრმა ფესვები“),



იეთიმ გურჯი – გ. პაპოშვილი ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“

გხედავ მზეს“), უმანგი („დაჭრილი არწივი“), ღვთისო („ჩემი წყალ-ჭალის ხმები“), ორდელაფო („პადუის დესპოტი“), ლეანდრო („სკაპენის ოინები“) და სხვა მრავალი. გიორგი პაპოშვილი მუშაობდა გამორჩენილ რეჟისორებთან: გურამ მაცხოვნაშვილთან, ნანა ხატისკაცთან, ალექსანდრე ქანთარიასთან და სხვებთან. 1967 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.



სებასტიანი – ა. კუპატაძე
ა. პიმერის „კაცი და მგელი“

თელავის თეატრის საბჭოთა პერიოდის გამორჩეულ მსახიობთა პლეადაში განსაკუთრებული ადგილი ალექსი კუპატაძესაც უჭირავს, რომელმაც 55 წელი გაატარა თელავის თეატრში და ამ ხნის განმავლობაში მან 200-ზე მეტი როლი შექმნა.

პირველად თელავის თეატრის სცენაზე 1926 წელს გამოვიდა. 1934 წლამდე დაჰყო თელავში და ერთი სეზონით ქუთაისის თეატრში გააგრძელა მოღვაწეობა. 1935 წლიდან გარდაცვალებამდე თელავის თეატრში მოღვაწეობდა. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ყვარყვარე ათაბაგი (გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“), ბახუტა, პატარა კახი (აკ. წერეთლის „ბაში აჩუკი“ და „პატარა კახი“), სულეიმან ხანი (ალ. სუმბათაშვილ-იუჟენის „დალატი“), აკმია ხუცურაული (მ. მრეველიშვილის „ხარატაანთ კერა“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), გელა (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გონა“), აბაშიძე (მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“), შმაგა (ა. ო ს ტ რ ვ ე ს კ ი ს

„უდანაშაულო დამნაშავენი“), ზასლონოვი (მოვზინის „კონსტანტინე ზასლონოვი“), ფრონდოზო (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), პრეზიდენტი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), პეპო (გ. სუნდუკიანის „პეპო“), იაგო (უ. შექსპირის „ოტელო“), ფიგარო (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), სგანარელი (მოლიერის „ძალად ექიმი“), ტრუფალდინო (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“), არტური (კოინიჩის „კრაზანა“) და სხვა. 1961 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. გაზეთი „კომუნისტი“ მასზე წერდა: „ალექსი კუპატაძე იყო პრინციპულად მომთხოვნი თავისი თავისადმი და პარტნიორისადმიც. დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით, ამ თვისებებით ის ეტალონი იყო კოლეგებისათვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მსახიობებისთვის“.¹ 1961 წელს დაინიშნა თელავის თეატრის დირექტორად. მონაწილეობდა



ჯემალა – ა. კუპატაძე
ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1982, 20 მარტი.

ომში და დაჯილდოებული იყო მედლებით: „კაკასიის დაცვისთვის“ (1944), „მამაცური შრომისთვის“ (1946), „შრომითი მამაცობისთვის“ (1976).

ოლღა (ოლია) შუბითიძე თელავის თეატრში 50 წლის განმავლობაში 200-ზე მეტი როლი ითამაშა. სწავლობდა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში თეატრის მსახიობის სპეციალობაზე. მანამდე დამწყები მსახიობი მონაწილეობას იღებდა სასკოლო დადგმებში. 1945–1949 წლებში მუშაობდა ლაგოდეხის თეატრის მსახიობად. 1957 წლიდან თელავის თეატრშია. მისი დებიუტი შედგა მიხეილ მეძმარიაშვილის სპექტაკლში „ვაზისუბნელი ძმაკაცები“ (ნუციკო). აქედან დაიწყო მისი წარმატებული კარიერა. შესრულებული როლებიდან გამოირჩევა სონა („ხანუმა“),



**ანანო – ოლღა შუბითიძე
რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“**

ოლღა ბებია („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), მელანო („ბაში-აჩუკი“), სტეფანია („ჭირვეულის მორჯულება“), ქეთევანი („მეტეხის ჩრდილში“), ზორეშანი („კაცია – ადამიანი?!“), ფოფია („ეზოში ავი ძაღლია“), ჯავარა („მოკვეთილი“) და სხვა მრავალი. 1976 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.



**მანუჩა – პ. ახვლედიანი
ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“**

თელავის თეატრის საუკეთესო მსახიობთა სიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **პლატონ ახვლედიანს**. თელავის პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლემ საკონტროლო სამუშაოს შესრულებისას თემაზე – „რით მინდა ვემსახურო ჩემს ქვეყანას? – გულახდილად დაწერა: „ჩემგან პედაგოგი არ გამოვა, არ მსურს. თეატრი მიტაცებს. განსაკუთრებით, მას შემდეგ რაც თეატრში შილერის „ყაჩაღები“ ვნახე“.¹ პ. ახვლედიანის დებიუტი თელავის თეატრის სცენაზე შედგა 1933 წელს. პირველი როლი იყო მუშა, კ. კალაძის პიესაში „ხატიჯე“. მუშაობდა ქუთაისის (1934–1935), ჭიათურის (1935–1938), თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. 1960 წლიდან თელავის თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს შემდეგი როლები: კაკუტა, ხარიტონი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“), ონისე (ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“, ა. ყაზბეგის მიხედვით), ჯემალი (ი. მოსაშვილის „ჩადირული ქვები“), ოთარ-ბეგი (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატე“), ნეზნამოვი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), კასიო (უ. შექსპირის „ოტელო“), ურიელ აკოსტა (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), კიკვიძე (ვ. დარასელის „კიკვიძე“), ბესიკი (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ციმბირელი (ა. ცაგარლის

¹ ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1981, №6, გვ. 64.

„ციმბირელი“), ფლორიდო არეტუზი (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“), კარლი (შილერის „ყაჩაღები“) და სხვ. 48 წლის მანძილზე პლატონ ახვლედიანმა 300-ზე მეტი როლი ითამაშა.

თეატრში პლატონ ახვლედიანისთვის მისული მაყურებელი არასოდეს დარჩენილა იმედგაცრუებული. მსახიობთან გამოთხოვებისას მისმა კოლეგამ და მეგობარმა, სახალხო არტისტმა ვახტანგ ჩელთისპირელმა თქვა: „ახლაც მაცოცხლებს რა ოლიმპიური სიმშვიდით იგერიებდი ამ ზღვა სიყვარულის შემოტევას. ოდნავდაც არ გაამაყებულხარ, მრუდედ არ გამოგიყენებია შენი აშკარა უპირატესობანი... ესეც ბედია, ალბათ, იმ დიდი აღიარების, მაყურებლის განუსაზღვრელი სიყვარულის შემდეგ შენზე, როგორც მსახიობზე, თუ რეცენზიებს არ ჩავთვლით, სიტყვა არ თქმულა. ესეც ვალად გვადევს შენი არტისტიკული, უღალატო ცხოვრების წინაშე“.¹

1968–1978 წლებში პლატონ ახვლედიანი თელავის სახელმწიფო თეატრის დირექტორი იყო. 1950 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები და იყო დეპუტატი. პლატონ ახვლედიანის დამსახურებით თელავის თეატრი ეტაპობრივად ივსებოდა ახალ-ახალი შემოქმედებითი ძალებით.

1947 წელს ჩატარდა თეატრების დათვალიერება ქვეყნის მასშტაბით. პირველ ტურში თელავის თეატრმა წარმოადგინა სეზონის საუკეთესო დადგმები: ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ვ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, მ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი“. დათვალიერების ფარგლებში მოეწყო მაყურებელთა კონფერენცია. დათვალიერების შედეგების შესახებ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ ვრცელი მიმოხილვა გამოაქვეყნა ვ. გოგიჩაიშვილმა: „გ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი“ ჩვენ პირველად თელავის თეატრში ვნახეთ. სპექტაკლმა დაგვარწმუნა, რომ ეს არის თანამედროვეობის ამსახველი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი, იგი გვიჩვენებს კავკასიის ბრძოლას გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ პიესის საფუძველზე თელავის თეატრმა შექმნა რომანტიკულად ამაღლებული სპექტაკლი (დადგმა გრ. კელიშვილისა). მთელი სპექტაკლი გემოვნებითა და ზომიერების გრძნობით გამოირჩევა. მსახიობმა ვ. ჩელთისპირელმა (ბექა) ოსტატურად გვიჩვენა ადამიანის გმირული და გაუტყეხელი ბუნება. მისი ბექა კოლორიტული სახეა მოხუცი გლეხისა, რომელიც თავისი ცხოვრების ყველაზე საშინელ წუთებში, შვილის სიკვდილის დროსაც კი, გაუტყეხავ, მტკიცე ნებისყოფას იჩენს. ნიჭიერი მსახიობი არსად არ დალატობს ზომიერების გრძნობას. ასევე კარგია ა. კუპატაძის შალვა. მსახიობი ახერხებს ღრმად ჩასწვდეს და დამაჯერებლად გახსნას დრამატურგის მიერ გააზრებული სასიათის ქვეტექსტი. ქ. კველიშვილის დარია და ლ. მარკოზაშვილის მამალხინე სწორად გადმოგვცემენ სოფლის მოწინავე ადამიანებს. პირველი გვნიბლავს დედის ღრმა სიყვარულით აღსავსე სახით, მეორე მარად ხალისიანი მეწისქვილის ორიგინალური ფიგურით. ქების ღირსნი არიან ახალგაზრდა მსახიობები:



აბდუშაჰილი – პ. ახვლედიანი
ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“

¹ ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1981, № 6, გვ. 65.

დ. სხირტლაძე (გერმანელი ოფიცერი), ა. მოსაშვილი (ლელა), დ. ბეგიჯანოვი (კახა)¹. წერილის ავტორი შემდეგ მიმოიხილავს და დადებით შეფასებას აძლევს რეჟისორ შ. მჟავანაძის მიერ დადგმულ სპექტაკლებს „კოლმეურნის ქორწინებას“ და „ხევისბერ გოჩას“.



„ხევისბერი გოჩა“, ძიძია – თ. ბოჭორიშვილი, ონისე – პ. ახვლედიანი

დათვალიერების მეორე ტური თბილისში ჩატარდა. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე თელავის თეატრმა წარმოადგინა „ხევისბერი გოჩა“ და „ღრმა ფესვები“. სპექტაკლებმა დედაქალაქის მაყურებელთა და თეატრალური საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებული წარმატება ზედა მსახიობს გ. კველიშვილს ხევისბერის ჭემშარიტად კოლორიტული სახის შექმნისათვის.

კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტა აჯამებდა რა რესპუბლიკური თეატრების დათვალიერების შედეგებს, წერდა: „თელავის სახელმწიფო თეატრმა უჩვენა თავისი საუკეთესო სპექტაკლი „ხევისბერი გოჩა“, ს. შანშიაშვილის პიესა წარმოადგენს ა. ყაზბეგის ამავე სახელწოდების რომანის სცენურ გამოსახვას. დიდმა მწერალმა თავის ნაწარმოებში შთამაგონებლად წარმოსახა ვაჟკაცური, თავისუფლების მოყვარული ხალხის სულიერი სამყარო, აამაღლა და უმღერა პატრიოტიზმის უწმინდეს გრძნობებს.... თელავის თეატრის სპექტაკლის მთავარი ღირსება გ. კველიშვილის თამაშში გამოიხატება, რომელიც ხევისბერ გოჩას როლს ასრულებს იმდენად, რამდენადაც სწორედ ეს სახე ანიჭებს პიესას ძირითად იდეას. ამ როლის წარმატებით წარმოსახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთელი პიესის გამარჯვებისათვის. გ. კველიშვილის თამაში გამოირჩევა მომხიბვლელი უბრალოებით, რაც კი არ ამცირებს, არამედ ნათლად უსვამს ხაზს მთელ სილიაქს,

¹ გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, № 26.

მტკიცე ხასიათის ხევისბერისას, მსახიობის ყოველ მოძრაობაში, ყოველ წინადადებაში შეინიშნება უდიდესი შინაგანი სიმშვიდე, დაუცხრომელი ნებისყოფა, ამაღლებული მორალური თვისებები ხალხის წინამძღოლისა. ახალგაზრდა მსახიობმა პ. ახვლედიანმა ონისეს როლის შესრულებით გამოავლინა ჭეშმარიტი ოსტატობა რთული საპირისპირო განცდების გადმოცემაში, რომელმაც იგი – გოჩას შვილი კატასტროფამდე მიიყვანა... ქეთო ბოჭორიშვილმა, რომელმაც გარეგნულად მიმზიდველი პორტრეტული სახე შექმნა, ვერ შეძლო დამაჯერებლად გადმოეცა ახალგაზრდა ქალის სულიერი სამყარო, მისი დრამა. მიუხედავად შემსრულებელთა არაზომიერებისა, სპექტაკლი საერთოდ ნათლად კოლორიტულია. დამდგემლმა რეჟისორმა შ. მჟავანაძემ წარმატებით გაართვა თავი სცენურ სანახაობით აღნაგობის რთულ ორგანიზაციას¹.

თელავის თეატრის რეპერტუარის მიმართ დათვალიერებაზე გამოითქვა შენიშვნებიც, რომელიც ძირითადად რეპერტუარში თანამედროვე პიესების ნაკლებობას ეხებოდა. ამ შენიშვნის გათვალისწინებით, მომდევნო სეზონზე თელავის თეატრმა დადგა ქართველ დრამატურგთა ოთხი ახალი პიესა: გ. გელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“ და „გამოცდები“, ნ. ღუმბაძისა და გ. ჩიქოვანის „უბრალო ადამიანები“, ი. ჯავახიშვილის „ქორწილი სოფელში“. აღსანიშნავია, რომ ოთხივე პიესის დადგმა ქართულ სცენაზე პირველად თელავის თეატრმა განახორციელა.

1948 წელს რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვების შემდეგ თელავის თეატრმა მაყურებელს კვლავ უჩვენა „ხევისბერი გოჩა“ და „ღრმა ფესვები“ ჯერ მარჯანიშვილის და შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრების სცენებზე. თელავის თეატრის სპექტაკლებზე წერდნენ გაზეთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, საკავშირო გაზეთი „სოვეტსკოე ისკუსტვო“ და სხვა.

გაზეთი „კომუნისტი“ (1948, №156.) წერდა: „დათვალიერებამ ბევრი შემოქმედებითი კოლექტივი გამოავლინა, მათ შორის, უდაოდ გამოირჩევა ს. ორჯონიკიძის თელავის სახელმწიფო თეატრი... სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ თელავის თეატრმა თავისი მხატვრული პროდუქციით სათანადო მორალური და ესთეტიკური კმაყოფილება მოგვარა მაყურებელს. თეატრს არჩეული აქვს სწორი გზა, მას ყველა შესაძლებლობა აქვს შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავებით მოიპოვოს კიდევ უფრო მეტი წარმატება“.

კრიტიკოსმა ე. ქარელიშვილმა „ზარია ვოსტოკაში“ გამოაქვეყნა შენიშვნები დათვალიერების გამო: „თელავის თეატრი ყოველთვის იპყრობდა მაყურებლისა და თეატრალური საზოგადოების ყურადღებას თავისი ნიჭიერ მსახიობთა კოლექტივით. ხელმძღვანელები, რეჟისორები და მხატვრები აქ ხშირად იცვლებოდნენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თეატრის შემოქმედებით სახეს აქტიორები ქმნიდნენ. რეჟისორების ასეთი ხშირი ცვალეობა, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებდა შედეგებზე. ეს შეინიშნებოდა ამჟამადაც, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალი თვალსაჩინო მიღწევები თეატრისა... დადგმაში „ღრმა ფესვებში“ უფრო მძაფრად გამოჩნდა თეატრის შემოქმედებითი პოტენციალი. მასში ნათლად აისახა მსახიობთა შესაძლებლობა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ვ. ჩელთისპირელის ლენგდონი, გ. კეკელიშვილის ჰოუვარდი ოსტატურად ასრულებს უხმო სცენებს, გვიჩვენებს რომ იგი მდიდარი შესაძლებლობების მსახიობია.“ ასევე ე. ქარელიშვილი ფართოდ მიმოიხილავს სპექტაკლს „ხევისბერი გოჩა“, ქებით იხსენიებს დამდგემლ რეჟისორს შ. მჟავანაძეს და მსახიობებს: გ. კეკელიშვილს, პ. ახვლედიანს, ვ. ჩელთისპირელს, ბ. ბეგიჯანოვს, ბ. ჯავახიას, მხატვარ დ. ბალარჯიშვილს.

¹ გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1947, № 148.

1948-1949 წლების სეზონში კვლავ შეიცვალა ხელმძღვანელობა თეატრში. მთავარ რეჟისორად მოიწვიეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი გაბუნია, რეჟისორად – ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი გიორგი აბრამიშვილი. ამ სეზონში განხორციელდა 9 ახალი დადგმა. სპექტაკლების რაოდენობასთან ერთად ყურადღებას იპყრობდა რეპერტუარის მრავალფეროვნება, მაღალი საშემსრულებლო დონე, იგრძნობოდა შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსწორების ტენდენციებიც.

სეზონის განმავლობაში მაყურებელმა ნახა: ა. წერეთლის „კინტო“, გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ა. ყაზბეგის „ელეონორა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, მოვზონის „კონსტანტინე ზასლონოვი“, ბარიანოვის „იმათ მხარეში“, ს. შანშიაშვილის „ურჩი მფლობელი“, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“.



**ურიელი – პ. ახვლედიანი
კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“**

„ურიელ აკოსტა“ მარჯანიშვილისეული დადგმით აღადგინა რეჟისორმა გ. გაბუნიამ, მხატვრულად გააფორმა ნ. ყაზბეგმა, როლებს ასრულებდნენ: პ. ახვლედიანი (ურიელ აკოსტა), თ. ჭაბუკიანი (ივლითი), ვ. ჩელთისპირელი (დე სანტოსი), გ. კეკელიშვილი (დე სილვა), ვ. მდივნიშვილი (ბენიონაი), ჯ. რუდელატი (სპინოზა). სეზონის ბოლოს თეატრმა საგასტროლოდ მოიწვია რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო გოძიაშვილი. ეს გასტროლები თელავში ხელოვნების ზეიმად იქცა. ვერიკო ანჯაფარიძე თელაველი მაყურებლის წინაშე უკვდავი ივლითის როლში წარსდგა, ხოლო ვასო გოძიაშვილმა თელაველ მსახიობებთან ერთად სპექტაკლში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ავეტიკას როლი შეასრულა. ამ ექსპერიმენტზე, გასტროლების დამთავრების შემდეგ, ვერიკო ანჯაფარიძემ განაცხადა: „სასიამოვნო და საამაყოა ისეთ მაყურებლის წინაშე გამოსვლა, როგორც არის თელაველი მაყურებელი, თეატრში სადაც უკვდავი ურიელი უთამაშნია სახელოვან ლაღო მესხიშვილს... თელავის თეატრის კოლექტივთან როლის შესრულება გიადვილდება, მით უმეტეს, მაშინ, როცა შენთან არის ისეთი შესანიშნავი პარტნიორი, როგორც პლატონ ახვლედიანია –

ურიელის ერთ-ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი ქართულ სცენაზე“¹.

ვ. გოძიაშვილმა პატივისცემით გაიხსენა ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატი დავით აწყურელი, რომელიც თელავის თეატრში ბრწყინვალედ ასრულებდა ავეტიკას როლს, იგი ამ როლის უბადლო შემსრულებლად ითვლებოდა. შეაქო თამარ ჭაბუკიანი – ივლითი, რომელიც ამ სეზონში პირველად მოვიდა თეატრში და უკვე ყურადღება მიიქცია, როგორც ნიჭიერმა მსახიობმა.

თ. ჭაბუკიანმა ორი სეზონი გაატარა სცენაზე. მიუხედავად ამისა დღემდე ახსოვს თელაველ მაყურებელს მისი ადამიანური ღირსებით შემკული, ლამაზი და სათნო ესმა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), თავდავიწყებით შეყვარებული, მოხერხებული

¹ ზ უ რ ა ბ ა შ ვ ი ლ ი მ., თელავის თეატრი, თბ., 1984, გვ. 85–86.



ესთერი – ქ. კეკელიშვილი, ურიელი – პ. ახვლედიანი, ივლითი – თ. ჭაბუკიანი
კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“

და გულადი ბეატრიჩე („ორი ბატონის მსახური“). ამ სეზონში მაცურებელი გაეცნო აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობს ასმათ მოსეშვილს, რომელმაც თავიდანვე მიიქცია ყურადღება თავისი ხალასი ნიჭითა და უნარით. მსახიობმა მიმზიდველად და ღრმა შინაგანი განცდებით დახატა ერთმანეთისაგან განსხვავებული მხატვრული ტიპაჟები: სალომე („კინტო“), ელენორა („ელენორა“), სმერალდინა („ორი ბატონის მსახური“), რუსუდანი („ლალატი“) და სხვა.



სცენა სპექტაკლიდან „ბაში-არუკი“

ომის შემდეგ პერიოდში თეატრი ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართველ დრამატურგებთან. ამ თანამშრომლობის შედეგად თელავის თეატრისთვის დაწერეს პიესები გ. მდივანმა, შ. დადიანმა, მ. მრელაშვილმა, ი. მოსაშვილმა, გ. ნახუცრიშვილმა, თ. დონუაშვილმა, კ. ბუაჩიძემ, ი. ვაკელმა, გ. ბერძენიშვილმა, ტ. რამიშვილმა, ლ. ჭუბაბრიამ, შ. გოცირიძემ, ვ. დარასელმა და სხვებმა.



თინათინ ბურბუთაშვილი

შესრულებული აქვს შემდეგი როლები: ბეატრიჩე (გოლდონის „ორი ბატონის მსახური“), სალომე-კინტო (წერეთლის „კინტო“), ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა“), მარფა (დარასელის „კიკვიძე“), ვანა (ი. ჯავახიშვილისა და ა. აბშილავას „ვაზისუბნელი ძმაბიჭები“), ჯემა (ვინიჩის „კრაზანას“ მიხედვით), მედეა (ლ. სანიკიძის „მედეა“), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), მაია წყნეთელი (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), ოთარანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“), ლარისა (ოსტროვსკის „უმზითვო“), დედა (გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“). გადაღებულია კინოფილმებში: გოგონა („ჯურღაის ფარი“), შეთეს დედა („ნატურის ხე“) და სხვა. თინა ბურბუთაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ემოციურობა, გარდასახვის დიდი უნარი, მაღალი პროფესიული კულტურა, სცენური მომხიბვლელობა. წარმატებით გამოდიოდა ტრაგიკულ, სახასიათო, კომიკურ როლებში.

1959 წელს მიენიჭა საქართველოს დამსაკურებელი

1949 წელს თელავის თეატრს შემოუერთდა მსახიობი **თინათინ ბურბუთაშვილი**, რომელმაც პირველსავე სეზონში გამოავლინა თავისი უბადლო ნიჭი. მაყურებელი აღფრთოვანებული იყო ე. ვინიჩის „კრაზანაში“ მის მიერ შესრულებული ჯემას როლით. „ეს იყო ჭეშმარიტი სრულყოფილი სახე მებრძოლი, სულით სპეტაკი, გონებაგამჭრიახი ქალიშვილისა, რომელიც მზად არის გადალახოს ყველა დაბრკოლება, თავი გაწიროს დიადი იდეებისა და წმიდა სიყვარულისათვის“.¹ ამავე სეზონში თინა ბურბუთაშვილმა წარმოადგინა მარფას სრულიად განსხვავებული სახე („კიკვიძე“), რომელშიც მან სცენური გარდასახვის დიდი უნარი გამოავლინა.

თინა ბურბუთაშვილი 1921 წელს დაიბადა მცხეთის რაიონში, სოფელ მუხრანში. 1943 წელს დაამთავრა თბილისის კინომსახიობთა სკოლა, 1972 წელს – თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1943-1949 წწ. იყო ხაშურის თეატრის, 1949-1978 წწ. თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობი; მუშაობდა პედაგოგად თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში.



თინათინ ბურბუთაშვილი

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 90.




**მელა — თინათინ ბურბუთაშვილი
ლ. სანიკიძის „მელა“**



**მაია წყნეთელი — თინათინ ბურბუთაშვილი
ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“**

არტისტის, ხოლო 1974 წელს — საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდებები. მისი მეუღლეც ლოდიკა სხირტლაძე თელავის თეატრის მსახიობი იყო. თინა ბურბუთაშვილი თელავის თეატრის ნამდვილი ვარსკვლავი იყო, გამოირჩეოდა პიროვნული თვისებებითა და ღირსებებით, ამის გამო ის უყვარდა მაყურებელს. ცნობილი თეატრმცოდნე კოტე ნინიკაშვილი მასზე წერდა: „ქართული აქტიორული ხელოვნების ჩინებულმა წარმომადგენელმა თინა ბურბუთაშვილმა მთელი სიცოცხლე თელავის თეატრს შესწირა. იგი თელაველთა კერპი იყო. მას მთელი საქართველო იცნობდა და აღიარებდა. გვიყვარდა მისი ომახიანი, მუდამ აღმაფრენით სავსე აქტიორული ბუნება“¹. ბევრ ქართველ მსახიობს, მით უმეტეს, რეგიონის თეატრში მოღვაწეს, არ რგებია ისეთი სიყვარული და პატივი, როგორც თინა ბურბუთაშვილს ერგო.

თელავის თეატრის გამორჩეულ მსახიობთა რიცხვშია **გიორგი მამუჩიშვილი**, რომელიც 1936 წლიდან იყო თელავის თეატრის მსახიობი, თითქმის 50 წლის განმავლობაში და 200-მდე მხატვრული სახის განსახიერება მოასწრო. 1931–1936 წლებში სწავლობდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, იმავე წელს ჩაირიცხა თელავის სახელმწიფო თეატრის დასში. ომის პერიოდში იყო გამანადგურებელი ბატალიონის ოცეულის მეთაური, გარდა ამისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ომის დროს დაჭრილი მეომრებისათვის გამართულ კონცერტებსა და სპექტაკლებში. ორი სეზონის განმავლობაში, მუშაობდა რუსთაველის თეატრში მსახიობად. ოჯახური პირობების გამო მოუწია კვლავ თელავში დაბრუნება. მის მიერ



**ილია — გიორგი მამუჩიშვილი
გ. ნახუცრიშვილის „წიწამური“**

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1983, 22 იანვარი.



**ხევსური – გიორგი მამუჩიშვილი
გ. ბერბენიშვილის „ელენორა“**



**მიხეილ მურჯიკნელი – გიორგი მამუჩიშვილი
შ. ბათიაშვილის „შემცდარი ნაბიჯი“**

თელავის თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ლომბარდა (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“), ლომკაცა (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), თეიმურაზი (ა. წერეთლის „პატარა კახი“), ჟერონტი (ჟ. ბ. მოლიერის „სკაპენის ოინები“), ონისე (მ. მრეველიშვილის „ზვავი“), ზაალ ბარათაშვილი (მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“), ერეკლე მეორე (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), ჯანდიერი (აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“), ვამო (რ. იანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“), სკოლის დირექტორი (რ. ინანიშვილი „ალალე“) და სხვა.

გიორგი მამუჩიშვილის თეატრალური ნათლია სანდრო ახმეტელი იყო. 1933 წელს ახალბედა მსახიობი რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის მოწაფე იყო. 1936 წლიდან კი ირიცხებოდა რუსთაველის თეატრის დასში. იგი მონაწილეობას იღებდა სტუდიელთა სპექტაკლებში, რომელსაც რუსთაველის თეატრის სცენაზე აჩვენებდნენ. თელავის თეატრში გ. მამუჩაშვილი რეჟისორმა ალ. მიქელაძემ მიიღო. მისი პირველი წარმატება თელავის თეატრში დაკავშირებულია სპექტაკლებთან „მოკვეთილი“ და „მეფე ერეკლე“. ასევე დიდი წარმატება მოუტანა გიორგი მამუჩიშვილს მის მიერ შექმნილმა ილია ჭავჭავაძისა და ლუარსაბის მხატვრულმა სახეებმა. მსახიობი იმდენად გავდა ილია ჭავჭავაძეს გრიშში, რომ მაყურებელს ის კულისებშიც კი ნამდვილი ილია ეგონა. ამაზე წერს სწორედ ნ. მატარაძე გაზეთში „ალაზნის განთიადი“: „მასთან საგრიმიოროში მოსალოცად შევედი, სანამ გრიშს მოხსნიდა მეგონა ნამდვილ ილია ჭავჭავაძეს ვესაუბრებოდი, მომერიდა, ვერაფერი ვუთხარი, თვითონაც დაიბნა. საგრიმიოროდან გამოვედი და გარეთ დაველოდე. ცოტა ხანს ვაანალიზებდი, როგორ მართლა გავდა სულმნათ ილიას.“¹ ძნელი იყო ვასო გოძიაშვილის მერე ლუარსაბის როლის განსახიერება, მაგრამ გიორგი მამუჩიშვილმა განსხვავებული მხატვრული სახე შექმნა – „მსუყე იუმორით, სცენური მრავალფეროვნებით აღსავსე, სწორედ წიგნისეული და ჩვენი წარმოსახვის შესატყვისი“.²

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1989, 16 აპრილი.

² იქვე.

მის შემოქმედებაში მორიგი გამარჯვება იყო ალექსანდრე ქანთარიას სპექტაკლები: „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ და „ალალე“. გიორგი მამუჩიშვილს 1965 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული, ხოლო 1990 წელს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდებები.

გამორჩეული ადგილი უჭირავს თელავის თეატრის ისტორიაში მსახიობ ბეგლარ მარტიაშვილს (ბეგეჯანოვს). იგი დაიბადა თელავში 1921 წელს და სკოლაში სწავლის პარალელურად მთელ დროს თელავის თეატრში ატარებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა კიდევ თეატრის დადგმებში. 1938 წელს პირველად გამოვიდა თელავის თეატრის სცენაზე, სადაც დ. თაქთაქიშვილის პიესაში „ხალხის რჩეული“ შეასრულა ასპირანტის როლი, რის შემდეგაც ჩაირიცხა სტაჟიორად. 1941 წლიდან ამავე თეატრის მსახიობი იყო. მსახიობი 97 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ ხნის მანძილზე მან 300-მდე როლი გასახიერა. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ტიმოთე (ავქ. ცაგარლის „ხან-უმა“), გიორგი (ვ. გუნიას „და-ძმა“), მათია (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გონა“), მამუკა (მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“), მილოვზოროვი, კოჟევალოვი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, „უშხითვო“), ავსანიჩი „მაეზონის კონსტანტინე ზასლონოვი“), სტიოპა (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“) და სხვა.



**სცენა სპექტაკლიდან „პეპო“
ალ. კუპატაძე და ბ. მარტიაშვილი (ბეგეჯანოვი)**

მსახიობი ბეგლარ მარტიაშვილი გამოირჩეოდა მუსიკალობით, ხმის ტემბრით, გარდასახვის უნარით. აღსანიშნავია, რომ ის ახერხებდა ყოველთვის დასამახსოვრებელი ყოფილიყო ეპიზოდურ როლშიც კი. პირველმა წარმატებამ სპექტაკლებში „ციმბირელი“ და „და-ძმა“ განსაზღვრეს მისი შემდგომი წარმატებაც. ფართო იყო მისი შემოქმედებითი პალიტრაც, რეჟისორები მას ანდობდნენ როგორც ტრაგიკული ამპლუის, ისე კომიკური ხასიათის როლებს, თამაშობდა ლირიკულ და ჰეროიკული ხასიათის პერსონაჟებს. 1967 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

XX საუკუნის 30 წლებიდან მოყოლებული 30-40 წლის განმავლობაში თელავის თეატრში კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ფიგურა მოღვაწეობდა. მათ შორის, არიან: ედუარდ მოსაშვილი, თეიმურაზ ხელაშვილი, დავით მდივნიშვილი, სარქის სახიევი, გარი მანველოვი, ქეთევან კეკელიშვილი, ბიძინა ჯავახია, დავით მდივნიშვილი, ალექსანდრა (გოგუცა) ივერიელი (მასხარაშვილი), ვლადიმერ მარკოზაშვილი, მარიამ ღალაშვილი და სხვები.

მარიამ ღალაშვილი თელავის თეატრში 1941 წელს მოვიდა და მრავალი საინტერესო სახეც შექმნა. მსახიობი სოფელი ველისციხეში (გურჯაანის რაიონი) დაიბადა 1911 წელს, სოფელში, რომელსაც მაშინაც კი, მდიდარი სათეატრო ტრადიციები გააჩნდა. სცენაზე პირველად ველისციხის კლუბთან არსებულ დრამწრის წარმოდგენაში 1926 წელს გამოვიდა. სხვადასხვა დროს მსახიობად მუშაობდა: ველისციხის (1936–1941, 1947–1950), თელავის (1942–1946) თეატრებში; 1951–1953 წწ. იყო გაგრის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი. მის მიერ თელავის თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ტურფა (ა. წერეთლის „პატარა კახი“), ქაბატო (ავქ. ცაგარლის „ხანუმა“), მართა (გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“), დარო (გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“), მარინე (ვ. გუნიას „და-ძმა“), ზეინაბი (ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“) და სხვა. 1965 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.



ღელღალი თამარი – მ. ღალაშვილი ა. წერეთლის „პატარა კახი“

ვლადიმერ მარკოზაშვილი თელავის სახელმწიფო პროფესიული თეატრის ერთ-ერთ პირველ თაობას განეკუთვნება. ის სპექტაკლებში მონაწილეობას ჯერ კიდევ 1924 წლიდან იღებდა. მისი სცენური პარტნიორები იყვნენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე. ალექსანდრე წუწუნავამ კი ფილმშიც „ორი მონადირე“ გადაიღო. 1966 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. 1974 წელს მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე თელავის თეატრში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოების ორგანიზებით აღნიშნეს. მის მიერ შესრულებული როლების ჩამონათვალი მეტად შთაბეჭდავია. მსახიობის არქივი ინახება თელავის თეატრის მუზეუმში.



ხვთისო – ვ. მარკოზაშვილი ვაჟა-ფშაველას „მოკეტილი“

თელავის თეატრის ისტორიის ომამდელი პერიოდის თაობის მსახიობი იყო **ალექსანდრა (გოგუცა) ივერიელი (მასხარაშვილი)**, რომელიც თელავის თეატრის სცენაზე პირველად 1912 წელ გამოვიდა. 40 წელზე მეტი იმოღვაწა მშობლიურ თეატრში. მისი შემოქმედების

ადრეულ ეტაპზე მოხდა მისი შესაძლებლობების და ნიჭის აღიარება და დაფასებაც. 1942 წელს მას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

საქართველოს დამსახურებული არტისტი (1976 წ.) **დავით მდიენიშვილი** თელავის თეატრში 50 წელი მოღვაწეობდა. თელავის I საშუალო სკოლა დამთავრების შემდეგ 1939 წლიდან თანამშრომლობდა თელავის თეატრთან. პირველი როლიც „ურიელ აკოსტაში“ შეასრულა. პასუხისმგებლობის გრძნობისა და შრომისმოყვარეობის გამო დასში დატოვეს და მალე როლებიც ანდეს. იგი სხვადასხვა დროს მიწვეული იყო მსახიობად ზუგდიდის (1950–1951), ბათუმის (1951–1955) სანკულტურის (1955) თეატრებში. მას შესრულებული აქვს სხვადასხვა ხასიათის როლები, მათ შორის, აღსანიშნავია: დათუნია (ი. ვაკელის „რვალი“), გეგეჭკორი (შ. დადიანის „გეგეჭკორი“), პეტუა (ავტ. ცაგარლის „ციმბირელი“), დ. გორდაძე (გ. ელბაქიდის „ჩვენი პირადი საქმე“), მუროვი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ვერშა (ა. კორნეიჩუკის „მახველის ჭალა“), ბენიონაი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვა. თელავის თეატრში მოღვაწეობდა 1948–1950 წლებში.



გრიშუტკა – ე. ვერულაშვილი
ვ. დარასელის „კიკვიძე“

ლორთქიფანიძის „მე. ბებია ილიკო და ილარიონი“) და სხვ.; კინოფილმებში შეასრულა ოცამდე სახასიათო როლი, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია: სასიდედრო (მ. კობახიძის „ქორწილი“, 1964), დამსვენებელი ქალი („წარსული ზაფხული“, 1959), მეზობელი („კეთილი ადამიანები“, 1961), ჭორიკანა („მალე გაზაფხული მოვა“, 1967), დედა („ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, 1967) „ცეროდენა რაინდები“, „ვინ შეკაზმავს ცხენს“, „მალე გაზაფხული მოვა“, „დიდებები და შვილიშვილები“, „მოლოდინი“ და სხვ. აღიარებულია ეპიზოდური როლების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. 1966 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

თელავის თეატრთან 1929–1934 და შემდეგ 1938–1939 წლების სეზონებზე

ორმხრივად მნიშვნელოვანი იყო თელავის თეატრისა და მსახიობ **ეკატერინე ვერულაშვილის** შემოქმედებითი თანამშრომლობა. საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ეკატერინე ვერულაშვილი მსახიობად მოღვაწეობდა ქუთაისის, ხაშურის, გორისა და თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში, ხოლო 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოღვაწეობდა. შექმნა სახასიათო და კომედიურ სახეთა მთელი გალერეა: ქაბატო (ა. ცაგარლის „ხანუმა“), ლამაზისეული (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“), სოფი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), მუზა (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), გაიანე (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“), კეკელა (შ. დადიანის „გუშინდელნი“), რუსუდანი (მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“), დარო (ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძელი“), ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“), ნინო (შ. ნარსიას „გრძნობის ჭიდილი“), ირინა პანტელეიმონოვნა (ნ. გოგოლის „ქორწინება“), პორტაპოვნა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), მართა (ნ. დუმბაძისა და გ.



ჯანდიერი – ბ. ჯავახია
ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“

თანამშრომლობდა მსახიობი ბიძინა ჯავახია. ის ერთდროულად იყო მსახიობი და რეჟისორის თანამშემწე. მუშაობდა თელავის (1929–1934 და 1938–1939), ქუთაისის (1934–1935), ხაშურის (1935–1936), თბილისის მუსიკალური კომედიის (1936–1938), ახალციხის (1939–1940) თეატრებში; 1945 წლიდან იგი კვლავ თელავის სახელმწიფო თეატრში მიიწვიეს მსახიობად და რეჟისორის თანამშემწედ. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კუჭატნელი (ს. შანშიაშვილის „არსენა“), გივი ჩოლოყაშვილი (აკ. წერეთლის „პატარა კახი“), ნიკიტა დუნდიკოვი (ვ. დარასელის „კიკვიძე“), ხადილა (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“), დიმიტრი (დ. თაქთაქიშვილის „კვალითელი დალაქი“), ელიზბარი (ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“), ვურში (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და სხვა. 1965 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის ტიტულით დაჯილდოვდა.

თელავის თეატრში 1943 წლიდან მოღვაწეობდა მსახიობი გარი მანველოვი, რომელმაც თელავის თეატრის სპექტაკლებში 100-მდე როლი შექმნა. გარი მანველოვს არ ჰქონდა მიღებული სამსახიობო განათლება, მან თელავის ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობა დაამთავრა. იყო ცხინვალის დრამატული თეატრის მსახიობიც. თელავის თეატრში მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: დათო (ი. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“), ბაჩო, მათია (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“), მოძღვარი (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“), გეო (ა. წერეთლის „კინტო“), პოლკოვნიკი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ანატოლი (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“), გივი (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“), გონტი (უ. შექსპირის „რიჩარდ II“), ნესტორი (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“) და სხვა. მსახიობს 1986 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

გამორჩეული ადგილი ეჭირა ათწლეულების განმავლობაში თეიმურაზ ხელაშვილს. მან 1940 წელს დაამთავრა თბილისის კინომსახიობთა სტუდიის სამსახიობო ფაკულტეტი. 1946–1948 წწ. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში მსახიობ-კონფერანსიედ; 1948 წელს იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი; 1949 წლიდან მუშაობდა თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრში მსახიობად; ჰქონდა ხავერდოვანი ლამაზი ტემბრის ხმა, შესანიშნავი სცენური გარეგნობა, მის გმირებს მუდამ თან ახლდა გრძნობათა სიწრფელე, უშუალობა, მიმზიდველობა; შესრულებული როლებიდან (100-ზე მეტი) აღსანიშნავია არსენა (ვ. ცაგარეიშვილის „არსენა ოძელაშვილი“), გიჟუა (შ. აზმაიფარაშვილის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ფირუზა (ვ. ცაბაძის „კურკას ქორწილი“), დონ კისოტი (მიჩ ლის „ლამანჩელი“), თავადი ორლოვსკი (ი. შტრაუსის „ლამურა“), ჯიმი (რ. ფრიმლისა და პ. სტოტჰარტის „როზ-მარი“), ვახტანგი (ვ. ცაბაძის „ბრწყინვალე მომავალი“) და სხვა; გადაღებულია კინოფილმებში: ნ. შენგელაიას „სამშობლო“, 1938; დ. ანთაძის „ქალიშვილი ხიდობნიდან“, 1940; ნ. სანიშვილის „ბედნიერი შეხვედრა“, 1949; გ. მგელაძის „მაცივარში ვიღაც იჯდა“, 1983; წარმატებით გამოდიოდა როგორც საესტრადო მომღერალი. 1979 წელს

დაჯილდოვდა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდებით.

მსახიობი **არფო გიქუაშვილი** თელავის თეატრს 1950 წელს შემოუერთდა. პირველი სპექტაკლი, რომელშიც მე-9 კლასელი გოგონას როლი ითამაშა, იყო „ჩვენ ვეძებთ სინარულს“. ოთხი ათეული წლის მოღვაწეობის მანძილზე შექმნა ათეულობით მხატვრული სახე. მონაწილეობდა სპექტაკლებში: აკ. წერეთლის „პატარა კახი“ (ტურფა), გრ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“ (ფატი), რ. ჯაფარიძის „ლამპარი“ (დალი), ა. ცაგარლის „ხანუმა“ (ქაბატო), ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (სოფი), გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (ჰორტენზია), რ.



არფო გიქუაშვილი

თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი (ნინიკო) და სხვა მრავალი.

გამორჩეული ადგილი ეჭირა თელავის თეატრის მსახიობებს შორის **შოთა ბეჟანიშვილს**. მან 1967 წელს დაამთავრა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი თეატრალური კოლექტივების მხატვრუ-



ინა შუმანაშვილი და შოთა ბეჟანიშვილი

გ. ბათიაშვილის „ლალი, სიყვარული და სხვები“

ლი ხელმძღვანელის სპეციალობით. მისი დებიუტი თელავის თეატრში შედგა 1968 წელს, გ. აბრამიშვილის სპექტაკლში „თორტიზელი ქალიშვილი“. მონაწილეობდა სპექტაკლებში: გრ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“, კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ნ. დუმბაძის „საბრალოდო დასკვნა“, კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, რ. გაბრიაძის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ და სხვა.

თელავის თეატრში ასევე წარმატებით მოღვაწეობდნენ 1962 წლიდან საქართველოს დამსახურებული არტისტი (1986) **ნაზი არაგიაშვილი**; 1955 წლიდან ედუარდ მოსაშვილი, რომელმაც 40 წელზე მეტი გაატარა თელავის თეატრში მსახიობად. ასევე აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება ჰქონდა თელავის თეატრში მსახიობ აბესალომ (ბესიკ) ყალამაშვილს, რომელსაც 1982 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. მსახიობმა თელავის თეატრში პირველი



ნინა – ნაზი არაგიაშვილი მ. ლერმონტოვის „მასკარადი“

როლი 1964 წელს ითამაშა. აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო ცირკთან და ფილარმონიასთან.



**რეჟისორი და მსახიობი
ნოდარ დეისაძე**

გამორჩეულ მსახიობებთან ერთად თელავის თეატრში ათწლეულობის განმავლობაში მოღვაწეობდა რეჟისორი **ნოდარ დეისაძე**, რომელმაც საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა ჯერ ზუგდიდის დრამატულ თეატრში, შემდეგ კი ფოთის კულტურის ცენტრში რეჟისორის პოზიციაზე დაიწყო. ერთხანს ჭიათურის თეატრში მსახიობადაც მუშაობდა. 1957 წლიდან მისი კარიერა მთლიანად დაუკავშირა კახეთს. წლების განმავლობაში მუშაობდა გურჯაანის, ლავოდეხის კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად, შემდეგ კი თელავის თეატრში ხან დამდგმელ რეჟისორადაც, ხანაც მთავარ რეჟისორად. 1982–1985 წლებში იყო თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც. ნოდარ დეისაძემ 20 წელზე მეტი იმოღვაწა თელავის თეატრში. მისი გამორჩეული სპექტაკლებია: „დაუკარით გიტარები სიყვარულზე“, „სახრჩობელაზე“, „გირგვლიანების

ოჯახი“, „სახლი ზღვის პირას“, „ერთხელ დასოცილები“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მედეა“, „საჭიროა მატყუარა“, „მეტეხის ჩრდილში“, „ადამიანი დაბრუნდა“, „ჯარისკაცის ქერივი“, „ქორწინების დღეს“, „მთაში ნათქვამი“, „ყარამან ყანთელიძე“, „მზიანი ღამე“, „სასტუმროს დიასახლისი“, „თავისუფალი თემა“, „კოლხეთის ცისკარი“ და სხვა.

1953 წლის ზაფხულში თელავის თეატრმა მორიგი გასტროლები გამართა დედაქალაქში. თელაველთა გასტროლებმა თბილისში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ეს იყო რიგით მესამე, ყველაზე საპასუხისმგებლო გასტროლები. ამჯერად, თეატრმა დედაქალაქში ერთმანეთისაგან სტილითა და ჟანრობრივად განსხვავებული რვა საუკეთესო დადგმა აჩვენა: ვ. დარასელის „კიკვიძე“, ა. აბშილაფასა და ი. ჯავახიშვილის „ვაზისუბნელი ძმაკაცები“ დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. ვოინჩის „კრაზანა“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, პ. მუხტაროვის „ოჯახის ღირსება“, კ. მიუფკეს „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“. გასტროლების შესახებ პრესა წერდა: „რეპერტუარის ასეთი მრავალფეროვნება, როგორც თემატიკის, ისე



**ირაკლი ბატონიშვილი – ნოდარ დეისაძე
ა. წერეთლის „პატარა კახი“**

დრამატული ჟანრების მხრივ იმას მოწმობს, რომ თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორები და მსახიობები წარმოადგენდნენ პროფესიულად მომწიფებულ, მჭიდრო შემოქმედებით კოლექტივს. ნაყოფიერად უმუშავია თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი რეჟისორი მ. მექმარიასვილი¹. გასტროლებმა კიდევ ერთხელ ცხადყო თელავის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მაღალი აქტიორული კულტურა, განსაკუთრებით, მაღალი შეფასება დაიმსახურეს მსახიობებმა: პ. ახვლედიანმა, თ. ბერბუთაშვილმა, ა. კუპატაძემ. ვ. ჩელთისპირელმა, ბ. ჯავახიამ, გ. კეკელიშვილმა, ქ. კეკელიშვილმა, ეკ. ვერულაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული დამაჯერებელი მხატვრული სახეები შექმნეს.

1952 წლის 5 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თბილისში გამართა თელავის თეატრის მსახიობების თ. ბერბუთაშვილის, ეკ. ვერულაშვილის, პ. ახვლედიანისა და ა. კუპატაძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ შალვა დადიანმა. მან დაახასიათა თელავის თეატრი, როგორც ერთ-ერთი მოწინავე მხატვრული კოლექტივი საქართველოში და აღნიშნა განსაკუთრებული დამსახურება, რომელიც მიუძღვის მის კოლექტივს თეატრის ამ საერთო წარმატებაში.

კვლავ გრძელდებოდა ერთხელ დანერგილი ტრადიცია – შემოქმედებითი თანამშრომლობა გამოჩენილ მსახიობებთან, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიული განვითარებისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და მაცურებლის მოზიდვის კუთხით. 1951 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თელავს ეწვივნენ ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე და ვახტანგ ნინიძე. მათ თელავის თეატრის სპექტაკლებში მთავარი როლები შეასრულეს. ვ. ანჯაფარიძემ განასახიერა ლარისა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“), დარეჯანი (ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“). შ. ღამბაშიძემ განასახიერა პრეზიდენტი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ხოლო ვ. ნინიძემ ტ. რამიშვილის კომედიაში „სტუმარ-მასპინძლობა“ ნიკიფორე ატაკუტას იერსახე წარმოადგინა. „ამ სახელოვანი მსახიობების გამოჩენამ თელავის თეატრის სცენაზე მაცურებლის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, ამასთან უდავოა ისიც, რომ მათი მონაწილეობა სპექტაკლებში ადგილობრივი დასის პროფესიული დახელოვნების ერთ-ერთი საშუალებაც იყო.“² ამ ტრადიციას დღესაც აგრძელებს თელავის თეატრის ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი, ოდნავი სახეცვლილებით – ახლა თელავის თეატრში წელიწადში ერთხელ საქართველოში და უცხოეთში აღიარებული და მოღვაწე გამოჩენილი ქართველი რეჟისორები ახორციელებენ დადგმებს.

1953-1954 წლის სეზონის ბოლოს თეატრმა მოაწყო პირველი საგასტროლო მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. თელაველები პირველად ზესტაფონს ეწვივნენ, შემდეგ ქობულეთს.

უაღრესად ნაყოფიერი იყო თელავის თეატრის მოღვაწეობა 1955-1960 წლებში. ამ წლებში თელავში მუშაობდნენ რეჟისორები: ს. ახალაძე, ლ. შატბერაშვილი, მ. ბასილაშვილი, ნ. ხატისკაცი, ნ. დეისაძე, უ. დარჩია, თ. მაღალაშვილი და სხვები. ცხადია, რეჟისორების ხშირი ცვლა თეატრის მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებდა, მაგრამ სიახლეები და მუშაობის მანერა, მსოფლმხედველობა, რომელიც მოჰქონდა ყოველ ახალ რეჟისორს, საინტერესო და მიმზიდველი იყო მაცურებლისათვის. თელავის თეატრის კოლექტივიც და მაცურებელიც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა რეჟისორის პირველ ნაბიჯებს, რომლებმაც შემდეგში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1953, № 180.

² ზურაბაშვილის მით. წიგნი, გვ. 92.



ნოდარ დვისაძე და გურამ მაცხონაშვილი


1955 წელს მაყურებელმა ნახა ს. ახალაძის ნამუშევარი „მამა“, შემდეგ თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“ (რეჟისორი ლ. შატბერაშვილი) უჩვენა. ამ სპექტაკლის გამო ცნობილი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი წერდა: „რეჟისორი და მსახიობები პიესის სცენურმა ცალმხრივობამ, სიუჟეტური დინების გარეგნულმა ეფექტმა კი არ გაიტაცა, მათ მთელი ყურადღება გადაიტანეს პიესის სოციალურ მხარეზე. აქ ყოველი მოვლენის მამოძრავებელ მარცვლად მონახული და ხაზგასმულია სოციალური ურთიერთობებით გამოწვეული მანკიერება და უკუღმართობა. მსახიობ ა. კუპატაძის ფიგარო ჭირ-ვარამისგან გამობრძმედილი და ელასტიურია. სიყვარულის თავისუფლებისათვის ვნებიანი და მხიარული მებრძოლი დარწმუნებულია, რომ მისმა სიმართლემ შეჭველად უნდა გამოიაროს გამარჯვება. თ. ბერბუთაშვილის სიუჟონი მახვილი გონებისა და ალალი გულის ადამიანია, რომლის მძლავრ სიყვარულს ფიგაროსადმი მაღალი ზნეობა ახასიათებს. პ. ახვლედიანის აღმავივა არის თავისი კლასის პრიმიტიული ილუსტრაცია: უჭკუო, უძლური, ჩერჩეტი. პირიქით, იგი ნებიერი, ცხოვრებისაგან გაღაღებული ახალგაზრდაა, რომლის აღვირახსნილ, ცხოველური ინტერესების წინააღმდეგ ფიგაროსა და სიუჟონს უხდებათ დაძაბული, ენერგიული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. განსაკუთრებით მსურს გამოვყო ვ. ჩელთისპირელი, რომელმაც შექმნა ანტონიოს უნაკლო სცენური სახე“.¹

1955 წელს იანვარში თეატრმა გასტროლები გამართა თბილისში, ამის შესახებ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, გამოჩენილი რეჟისორის არჩილ ჩხარტიშვილის ვრცელი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „პერიფერიის მთელ რიგ თეატრებში მძლავრი შემოქმედებითი კოლექტივები მუშაობენ. აქ ხშირად ვხვდებით მსახიობებს, რომლებიც დედაქალაქის სცენასაც დაამშვენებდნენ. მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, დედაქალაქში მომუშავე მსახიობების ნამუშევართან ერთად, ქართული თეატრალური კულტურის საგანძურში შედიან. ნიჭიერ მსახიობთა და რეჟისორთა მთელი პლეადა სწორედ ამ თეატრებში გამოიზარდა, იმდენად გაიწაფნენ პროფესიულად, რომ ხშირად უტოლდებიან დედაქალაქის თეატრის კოლექტივებს და მათ საუკეთესო წარმომადგენლებს. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის დებულება, რომ

¹ ჟურნ. „დროშა“, 1955, № 5.

მაღალი ხელოვნება, ნამდვილი თეატრი არის ყველგან, სადაც ჭეშმარიტი, მგზნებარე შემოქმედებაა; სადაც არ კმაყოფილებიან მიღწეულით, სადაც ახლის შეუწელებელი ძიებაა. ამიტომ, რომ დედაქალაქის მაცურებელი ყოველთვის გულისხმიერებით ხვდება თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრალურ კოლექტივებს და ხალისით ესწრება მათ მიერ გამართულ სპექტაკლებს“.¹ ცნობილი რეჟისორი სპექტაკლების განხილვამდე რამდენიმე წინადადებით საუბრობს თელავის თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაზე. იგი წერს: „მრავალფეროვან რეპერტუარში ნახავთ ქართული, რუსული და უცხოური კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს, მაგრამ წამყვანი ადგილი მაინც თანამედროვე პიესას უჭირავს. თეატრი გაბედულად კიდებს ხელს ისეთ ნაწარმოებს, რომელსაც ჯერ სცენა არ უნახავს. რეპერტუარის ამგვარი შერჩევა და განხორციელება მისასალმებელია, თეატრის კოლექტივმა უნდა შეინარჩუნოს და განახორციელოს კიდევ ეს ტრადიცია.“

საპასუხისმგებლო გასტროლებზე თელავის თეატრმა თბილისში წარმოადგინა ვ. დარასელის „კიკვიძე“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, ე. ვონინჩის „კრაზანა“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“. ეს სპექტაკლები თელავის თეატრმა 1953 წელსაც აჩვენა. რეცენზენტები წერნენ, რომ „თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არათუ შეუნარჩუნებია სპექტაკლის მხატვრული ხარისხი, ზოგ შემთხვევაში დაუხვეწია და გაუუმჯობესებია ახალი, უკეთესი შესრულებით“.² რამდენიმე გვერდიან სტატიაში არჩილ ჩხარტიშვილი ვერცლად მიმოიხილავს თითოეულ სპექტაკლს. ავტორი წერს: „მხატვრული მთლიანობით და შესრულების მაღალხარისხოვნებით გამოირჩევა ვ. დარასელის ცნობილი პიესა „კიკვიძე“. თეატრმა შეძლო ამ ძველი სპექტაკლის შენახვა წინანდელი მხატვრული დონით. პიესა ღირსია იმისა, რომ თეატრმა მას მოუაროს. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, კიკვიძის როლის შემსრულებელი პ. ახვლედიანი. მისი კიკვიძე დაუშრეტელი ენერჯისა და ტემპერამენტის უდავოდ მამაცი და შეუდრეკელი მებრძოლია, მაგრამ ამავე დროს მეტად რბილი, გულჩვილი ადამიანია; მას არავითარი პროზა არავითარი პათოსი არა სჩვევია. ამ რთული ხასიათის გადმოცემას პ. ახვლედიანი ახერხებს მეტად დამაჯერებლად, სადა აქტიორული ხერხით. ყოველ წუთს გვერათ მისი, თქვენ თვალწინ მუდამ ცოცხალი ადამიანია. მსახიობის როლი სწორად და ორგანულად აქვს შესრულებული და შინაგანად ღრმად გააზრებული. როგორც ჩანს, მსახიობს როლზე კიდევ უმუშავნია და გაუმდიდრებია იგი ზოგიერთი დეტალებით. მთელი გამა განცდებისა მერყეობიდან გადაწყვეტილების მიღებამდე – მსახიობმა ღიდი დამაჯერებლობით განასახიერა“.³



**სცენა სპექტაკლიდან
ვ. დარასელის „კიკვიძე“**

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, № 5, გვ. 42.

² ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 96.

³ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, № 5, გვ. 42.

ცნობილი რეჟისორი აღფრთოვანებული იყო სპექტაკლით „კრაზანა“ და მასში განსაკუთრებით აფასებს ა. კუპატაძისა, გ. კველიშვილისა და თ. ბურბუთაშვილის თამაშს: „მსახიობ ა. კუპატაძეს რივარესის როლი თავიდან ბოლომდე მაღალი აქტიორული ოსტატობით აქვს დამუშავებული: მონახული აქვს ზუსტი დეტალები მეზნებარე პატრიოტის ახალგაზრდული უშუალობის, ხოლო შემდეგ გამოცდილი კონსპირატორის სიმტკიცისა და თავდაჭერის გადმოსაცემად. ფართო დიაპაზონის მსახიობია თ. ბურბუთაშვილი, რომელიც ამ სპექტაკლში ჯემას როლს ასრულებს. წინა გასტროლების დროს მან გაგვაოცა გარდასახვის უნარით: ერთ საღამოს წარმატებით ითამაშა ვანას როლი „ვაზისუბნელ ძმაკაცებში“, მეორე დღეს, ასევე ჩინებულად ითამაშა ჯემას როლი „კრაზანაში“. გ. კველიშვილი ცნობილი მსახიობია. ბევრს ახსოვს მისი ხევისბერი გოჩა. თავის დროზე მან ღრმად გადმოგვცა გოჩას სულისკვეთება. მისი განცდები, შექმნა შეუდრეკელი და გამობრძმედილი წინამძღოლის, მთის ვაჟაკის კეთილშობილებითა და დარბაისლობით აღსავსე სახე. უნდა ითქვას, რომ „კრაზანაშიც“ გ. კველიშვილი დაუფლებია კარდინალის როლს. აქაც კარგად ახერხებს გადმოგვცეს არტურისადმი მამის უსაზღვრო სიყვარული. დამაჯერებლად გვიჩვენებს გარკვეული პრინციპების მედგარ დამცველს. მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში შეუდრეკელ ადამიანს“¹.

ამავე წერილში ა. ჩხარტიშვილი მიმოიხილავს იმ სპექტაკლებს, რომლებიც პირველად წარმოადგინა გასტროლებზე თელავის თეატრმა თბილისში, კერძოდ, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებას“: „ეს სპექტაკლი შესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს არა მარტო თელავის თეატრის, არამედ საერთოდ საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში. ამ სპექტაკლის დადგმის პრინციპები თეატრმა შემდეგშიაც სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს. სპექტაკლმა დიდად გავგახარა აქტიორული შესრულებით, სადაც ბრწყინვალედ გამობრწყინდა მსახიობთა შესაძლებლობანი. განსაკუთრებით, აღსანიშნავია: ა. კუპატაძე, ფიგაროს და თ. ბურბუთაშვილი სუზონის როლებში. ა. კუპატაძეს ამ როლის შესრულებისათვის ყველა მონაცემები აქვს და იგი რეჟისორის დახმარებით ბრწყინვალედ იყენებს მას. ა. კუპატაძის ფიგარო ხან ლაღია, უღარდელი, მომღიმარე, ხალისიანი, ხან გაიძვერა და თვალთმაქცი, ხან დამტკბარი და ალერსიანი, გაჭირვებაში ჩავარდნილი ფიგარო – კუპატაძე



რეჟისორი და მსახიობი – ს. ახალაძე

უდიდეს ექსპრესიას ამჟღავნებს, აქ თითქოს მოზიდული მშვილდია, მეტყველებს სწორად, სწრაფად, მაგრამ მკაფიოდ; ოდნავ მოხრილი დგას მაყურებლის წინ, გრძნობს მისი სხეულისა და გონების ერთიან დაძაბულობას. და, აი როგორც კი მონახა გამოსავალი, უცბად წელში გაიმართება, თვალები გაუბრწყინდება, მშვიდობა მყარდება მთელ მის სხეულში. როლის ყველა ამ მომენტისათვის მსახიობმა ა. კუპატაძემ მოიმარჯვა თავისი მონაცემები და ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწია...

კუპატაძის ბრწყინვალე პარტნიორია თ. ბურბუთაშვილი (სუზონი). მსახიობს მოუნახავს ამ როლის გახსნისათვის საჭირო დეტალები და შტრიხები. დააკვირდით მის

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, № 5, გვ. 42.

სიარულს; იგი ქუსლებით მაგრად აბიჯებს, როგორც ჯანღონით აღსავსე სოფლელი გოგონა. რომელიც მიჩვეულია მიწაზე და არა პარკეტზე სიარულს. ყოველი მისი მოძრაობა, ყოველი ჟესტი ლაპარაკობს, რომ იგი დაბალი ფენიდანაა წარმოშობილი, რომ ის და მისი მთელი კლასი, მისი სახით მტკიცედ მიაბიჯებს წინ ძალაუფლებისაკენ. ამავე დროს რა ძლიერი და რა ნაზია რა გულთბილი ფიგაროსთან, რა გამჭრიახი და მოხერხებული გაჭირვებაში. ერთი სიტყვით, ისიც ფიგაროა, ქალის კაბაში გამოწყობილი. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ბერბუთაშვილის სახით სუზონის როლს თელავის თეატრში ბრწყინვალე შემსრულებელი გამოუჩნდა“.¹

სპექტაკლის „ბაში-აჩუკი“ განხილვისას არჩილ ჩხარტიშვილი აღნიშნავს სპექტაკლის მაღალმხატვრულ დონეს და მსახიობთა შესანიშნავ თამაშს: „თეატრი, როგორც ჩანს, არ მორიდებია ხარჯების გაწევას და სპექტაკლი შედარებით მდიდრულად გაუფორმებია. დეკორაცია კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მთავარი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა სპექტაკლის წარმატება, მსახიობთა შესანიშნავი შესრულებაა: გამოირჩევა ა. კუპატაძე (ბაში-აჩუკი), როგორც გარეგნული მიმზიდველობით, ისე შინაგანი მგზნებარებით. თვით ს. ახალაძე შესანიშნავად ასრულებს კაკუტას როლს. ცოცხალი, მკვირცხლი, მხიარული ახალგაზრდის დასახატად ს. ახალაძეს ბევრი ფერი და დეტალი მოუნახავს. ყველა მისი გამოჩენა, ყველა მისი რეპლიკა ცხოველ ინტერესს იჩენს. კარგად აქვს დამუშავებული ჩოლოყაშვილის როლი გ. კველიშვილს. პირველ ყოვლისა იგი გარეგნულად და ყოფაქცევით არის დამაჯერებელი. გ. კველიშვილის შესრულებით ყოველ ეპიზოდში მაყურებლის თვალწინ დგას დიდი თავადის ცოცხალი სახე. კარგია ა. ანობაძის (მირზაც), რომელიც ისე მკვეთრად არის გამოკვეთილი, რომ მაყურებელს დიდხანს ამასსოვრდება. კარგად თამაშობს თ. ბურბუთაშვილი პირიმისასა და პირიმთვარისას როლს. მსახიობს მოუნახავს ორივე როლისათვის განმასხვავებელი დეტალები და ქართველი ქალების მეტად მიმზიდველ იერსახეებს ქმნის. ძალზე კოლორიტულია ქ. კველიშვილი თიმსალმაკოს როლში. როლებს კარგად ასრულებენ: პ. ახვლედიანი (აბდუშაჰილი), ვ. ჩელთისპირელი (ფეიქარხანი), ე. მოსესოვი (კიკო), მ. ურუშაძე (გულქანი) და სხვები. „ბაში-აჩუკი“ კარგი, პროფესიულად გამართული სპექტაკლია და მისი დადგმა თეატრის წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თეატრის კოლექტივი შემოქმედების ახალ ეტაპზე დგას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს და უდავოდ ღირსეულ წარამტებებსაც მოიპოვებს“.² გასტროლებზე მოპოვებული წარამტებები ალაფროთოვანებდა თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, მას ახალი გამარჯვების, ახალი შემოქმედებითი ძიებისათვის საჭირო სტიმულსა და ძალას აძლევდა.



**ბაში-აჩუკი – ა. კუპატაძე
ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“**

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955, № 5, გვ. 42.

² იქვე.




თელავის თეატრის დასი XX საუკუნის 40-იან წლებში



თელავის თეატრის დასის შემაღვენლობა 1955–1956 სეზონზე

თელავის თეატრის მსახიობები
XX საუკუნის 40-50-იანი წლების რეპერტუარიდან



გ. მამუნიშვილი



ვ. სულხანიშვილი



ე. ვერულაშვილი



კ. ქემაშვილი



დ. სსირტლაძე




მ. შიუკაშვილი

სცენები სპექტაკლიდან ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“



1957-1958 წლის სეზონში თელავის თეატრში დაიწვეს მოღვაწეობა მაშინ ახალგაზრდა, ხოლო შემდეგ კარგად ცნობილმა რეჟისორებმა ნანა ხატისკაცმა და თენგიზ მაღალაშვილმა. მათი მოღვაწეობის პერიოდი ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდია თელავის თეატრის ისტორიაში. ახალგაზრდა რეჟისორები გამოირჩეოდნენ თავიანთი ხელწერით და თვითმყოფადობით.

თენგიზ მაღალაშვილმა თელავის თეატრში რამდენიმე სპექტაკლი დადგა, მათ შორის, გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“, გ. როზოვის „ჩვენ ვეძებთ სიყვარულს“, გ. ებრაღიძის „ჩამოდით ჩვენთან“, ი. მჭედლიშვილის „პირველი ყენობა“. ამავე სეზონში ნანა ხატისკაცის რეჟისორობით დაიდგა მ. მრეკლიშვილის „ზვავი“, ვ. ჰიუგოს „პადუის დესპოტი“ (დაიდგა „ანჟელოს“ სახელწოდებით) და ფლეტჩერის „როგორ მოვარჯულოთ ცოლი“. ეს სპექტაკლები ყურადღებას იქცევდა მდიდარი რეჟისორული გააზრებით, მაღალი სცენური კულტურით და დახვეწილი გემოვნებით.



ნანა ხატისკაცი და თენგიზ მაღალაშვილი

„გამბედაობა შემოქმედებით ძიებაში“ – ამ სათაურით დაიბეჭდა ვრცელი წერილი ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“, რომელიც განიხილავდა თელავის თეატრის დადგმას ფედერიკო გარსია ლორკას პიესის „სისხლიანი ქორწილი“ მიხედვით. მაყურებელს ხიბლავდა სპექტაკლის მაღალმხატვრული დონე, რეჟისორის გამომგონებლობა, მდიდარი ფანტაზია და გემოვნება, მოქმედების დინამიკურობა. სპექტაკლის დიდი წარმატება განაპირობა პირველ რიგში მსახიობ თინა ბურბუთაშვილის მიერ განსახიერებულმა დედამ, რომელიც ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით, მდიდარი სცენური ემოციურობით წარმოგვიდგენდა ესპანელი ქალის სულიერ სამყაროს. ეს იყო ნამდვილი გმირი, რომელიც მკვლევებმა შეაძრწუნეს, მაგრამ ვერ გატეხეს, პირიქით, უფრო გააკაჟეს და მოსიყვარულე დედად აქციეს. მას სურს ბევრი შვილი ჰყავდეს, რომლებიც ვენახს მოუვლიან და გვარს გაამრავლებენ, შენატრის ცხოვრებას და წყევლა-კრულვას უგზავნი ყველას, ვინც სიცოცხლის მოსპობის იარაღი გამოიგონა.

სპექტაკლში „სისხლიანი ქორწილი“ ახალ შემოქმედებით წარმატებას მიაღწია მსახიობმა ალექსი კუპატაძემ. მისი საქმრო ანთებული, გულწრფელი და სიკეთისა და

პატიოსნების განსახიერება იყო. ლეონარდოს რთულ მხატვრულ სახეს ორიგინალურად და მაღალპროფესიულ დონეზე წარმოადგენდა მსახიობი პლატონ ახვლედიანი.

ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ 1933 წელს დაიწერა, 25 წლის შემდეგ კი თელავის თეატრში დაიდგა. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რეცენზენტი მირიან აბულაძე აღნიშნავს, რომ: „სისხლიანი ქორწილის“ რეჟისორული გააზრების და სცენური ფორმის ძიების დროს თენგიზ მაღალშვილს, ამ ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ-თემატურ მხარეებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაუსვამს მისი ჟანრობრივი თავისებურებებისათვის და მხატვრული განზოგადებისა და ორიგინალური სცენურ-გამოსამხველობითი ხერხების საშუალებით შეუქმნია ჭეშმარიტად ტრაგიკული გზნების სპექტაკლი. ეს არ არის მხოლოდ უტყუარი მხატვრული ინტუიციისა და ფაქიზი გემოვნების შედეგი. უბრალო დეტალსაც კი ნიჭიერი და საფუძვლიანად განათლებული რეჟისორის ხელი ატყვია“.¹ რეჟისორმა ტრაგედიის მთავარი კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად წარმოადგინა სიყვარულის წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორია. გადაწყვეტა, რომელიც თენგიზ მაღალაშვილს ეკუთვნოდა, კრიტიკოსი „რეალისტურად სიმბოლისტურს“ უწოდებს. ეს ორი ცნება ურთიერთგამომრიცხავია, მაგრამ ის სწორად ესადაგებოდა არა მხოლოდ „სისხლიანი ქორწილს“, არამედ მის სხვა დადგემბსაც.

რეცენზენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „სისხლიანი ქორწილი“ თელავის თეატრის სერიოზული და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამარჯვება იყო. ამ გამარჯვების მიზეზად კი, არა მხოლოდ თეატრის ჯანსაღ არტისტულ ანსამბლს, არამედ თენგიზ მაღალაშვილის რეჟისორულ აღდგომას, შემოქმედებითი ძიების დაუცხრომელ სურვილს და გამბედაობას და სითამამეს ასახელებდნენ. ზემოთ ნახსენები ვრცელი რეცენზიის ავტორი დაასკვნის: „თ. მაღალაშვილი ორიგინალობას ტრაგედიის რეჟისორული გადაწყვეტის სტილიშიაც ინარჩუნებს. დღემდის ქართულ სცენაზე ტრაგიკული ჟანრის ნაწარმოების სცენური რეალიზაცია, უმეტეს შემთხვევაში მონუმენტურ ასპექტში და გარეგნული მხატვრული ხერხებით ხდებოდა. „სისხლიანი ქორწილის“ დამდგმელმა კი ამ ტრაგედიის სცენური ხორცშესხმა სცადა ტრაგიკულის ლირიკულ ასპექტში, მაგრამ ისე, რომ მხატვრული ქმნილების პათოსს ბოლომდის შეუნარჩუნა ტრაგიკული გზნება. რეჟისორმა ყველაფერი გადმოგვცა ნამდვილი თეატრალური ენით - მხატვრული პირობითობის ენით, სადაც სპექტაკლის სანახაობრივი მხარე მხატვრული შემოქმედების გამაძლიერებელი საშუალებაა და არა რაღაც პრიმატი.“² სპექტაკლის წარმატებამ კი არ გაათამამა ახალგაზრდა რეჟისორი, არამედ გაუღვიძა მოტივაცია ახალი ექსპერიმენტების განსახორციელებლად.

რეჟისორ ნანა ხატისკაცის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისი იყო ვ. ჰიუგოს „ანჟელო“, რომელიც თელავის თეატრში „პაღუს დესპოტის“ სახელწოდებით დაიდგა, კლასიკოსის ეს ქმნილება აღაფრთოვანებდა თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივს. საერთო მიზანსწრაფვას ხელს უწყობდა ისიც, რომ სპექტაკლის მომზადებაში მონაწილეობდა მხატვარი ელენე ახვლედიანი, რომელიც მშობლიურ ქალაქში სპეციალურად ამ სპექტაკლის გასაფორმებლად ჩამოვიდა. ეს იყო პირველი თანამშრომლობა ელენე ახვლედიანისა თელავის თეატრთან. მხატვართან თანამშრომლობა მომგებიანი აღმოჩნდა როგორც თეატრისთვის, არამედ დამდგმელი ჯგუფისთვის. დიდი ერუდიციის, მაღალი კულტურისა და ძლიერი ნებისყოფის ხელოვანი თვალყურს ადევნებდა ახალგაზრდა რეჟისორისა და მსახიობების მუშაობას. ესაუბრებოდა მათ საფრანგეთისა და პარიზის ისტორიასა და კულტურაზე, ვ. ჰიუგოს ეპოქასა და შემოქმედებაზე, რომელსაც იგი პირადად გაეცნო პარიზში ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდში.

¹ აბულაძე მ., გამბედაობა შემოქმედებითს ძიებაში, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1958, № 12, გვ. 21.

² იქვე, გვ. 23.



სცენები სპექტაკლიდან „სისხლიანი ქორწილი“

ელენე ახვლედიანის სცენოგრაფიამ დიდი როლი შეასრულა სპექტაკლის წარმატებაში. ადგილობრივმა გაზეთმა სპეციალური გვერდი მიუძღვნა პრემიერას. გამოქვეყნდა დრამატურგ დ. კეჯერაძის ვრცელი რეცენზია სათაურით „თეატრის გამარჯვება“. მასში ნათქვამი იყო: „სპექტაკლის იდეური გააზრება დესპოტიზმის მხილებაა, რომელშიც ადამიანთა ურთიერთდაპირისპირება, ღალატი, ჯაშუშობა და მუდმივი შიშია გამეფებული. რეჟისორი ნანა ხატისკაცი ხაზს უსვამს ადამიანთა სულიერ ცხოვრებას, ეპოქისათვის დამახასიათებელ სტილს, აქ ერთ მთლიანობაშია გადაწყვეტილი ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მხილებულია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მახინჯი მხარეები“.¹ რეცენზენტი გამოყოფს რამდენიმე მსახიობს. იგი წერს: „პ. ახვლედიანი ანჟელოს როლში გარეგნულად მშვიდი და მიმზიდველია, მაგრამ მის შინაგან ბუნებაში გაბატონებულია დესპოტობა პადუისა, რომელიც თავზარსა სცემს ყველა თავის ქვეშევრდომს და, ამასთან, თვითონ შიშით ცახცახებს თავისი უფროსების – ვენეციის ათთა საბჭოს წინაშე. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი კატრინა ბრაგადინის დასჯის სცენაში, სადაც შიმვლდება ანჟელოს სულიერი სამყარო. გაცილებით საშიშია თავის ნიღბის მიღმა გაქნილი და გაიძვერა ათთა საბჭოს ბოროტი ჯაშუში ომედეი – დ. სხირტლაძე. იგი სიტყვაძუნწი, ფრთხილი და შემპარავია. უმანკო და კეთილია ლამარა არსოშვილის კატრინა ბრაგადინი. ახალგაზრდა მსახიობისათვის ეს მკაცრი გამოცდა იყო და ეს გამოცდა ლ. არსოშვილმა წარმატებით ჩააბარა. მან შექმნა საინტერესო და მიმზიდველი სახე, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში, როდესაც იგი ბრალს სდებს ათთა საბჭოს. რა საოცარი სიძლიერით წარმოსთქვამს მსახიობი ჰიუგოს ამ ბრალდებას ვენეციაში გაბატონებული დესპოტიზმისადმი: ვენეცია თქვენა ხართ, ვენეცია დესპოტი, ვენეცია გარყვნილი ქალი“. ნაწარმოების ეს დედააზრი მსახიობმა ძალდაუტანებლად მიიყვანა მაყურებლამდე და კატრინა ბრაგადინის სახე მოწოდების სიმაღლემდე აიყვანა. ალ. კუპატაძის როდოლფო განსახიერებული როლებისაგან განსხვავებით გამოირჩევა გულწრფელი ლირიზმითა და როდოლფოსათვის დამახასიათებელი რომანტიზმით. მსახიობი



სცენა სპექტაკლიდან ვ. ჰიუგოს „მარიამ ტიუდორი“

¹ გაზ. „კოლმეურნის ხმა“, 1959, № 59.

მეტად ძუნწი, მაგრამ მეტყველი ფერებით გვიხატავს თავდავიწყებით შეყვარებული ჭაბუკის სახეს, მაგრამ სექტაკლის სული და გული მინც ტიზბა – მსახიობი თინათინ ბერბუთაშვილი. ბოროტებისა და სიკეთეს შორის ჩამდგარი მსახიობი ქალი თანაბარი სიძლიერით განიცდის ორივე მხარის სიმძიმეს. დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი თავის საკუთარ ბედნიერებას სწირავს და სხვისი სიხარულის მსხვერპლი ხდება, რადგან გრძნობს, რომ ეს მსხვერპლი აუცილებელია ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისათვის“.¹ – წერდა გაზეთი.

თეატრის მორიგი წარმატებული სპექტაკლი შ. გოცირიძის პიესის „ბახტრიონის გმირების“ დადგმა იყო, რომლის პრემიერა 1961 წელს შედგა. სპექტაკლი მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს. აღსანიშნავია ახალგაზრდა რეჟისორის ნოდარ დვისაძის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ასკურავას და მხატვარ დ. ბალარჯიშვილის დიდი წვლილი სპექტაკლის წარმატებაში როლებს შესანიშნავად ასრულებდნენ მსახიობები: დ. გერგიშვილი (პაპა ნოდარი), ლ. მარკოზაშვილი (მისი ვაჟი ზეზვა), გ. პაპოშვილი (შვილიშვილი ბახა). სამივე თაობის ეს მამაცი თუშები მთებად აღმართულიყვნენ სამშობლოს სადარაჯოზე. მსახიობი ვახტანგ ჩელთისპირელი დამაჯერებლად ხატავდა ვერაგი და დაუნდობელი მტრის – სოლომანის სახეს. სპარსეთში აღზრდილი და სამშობლოს მოღალატის ტიპიური განსახიერება იყო მსახიობი გიორგი მამუჩიშვილი თავად დავით ერისთავის როლში. დიდი შინაგანი დრამატიზმით გადმოსცემდა დედის – მთიელი პატრიოტი ქალის ნადიდეს რთულ სულიერ სამყაროს თინა ბერბუთაშვილი. სპექტაკლში ასევე მონაწილეობდნენ: ალექსი კუპატაძე (ბადური), გიორგი კვეციანი (ლუხუმი), ბიძინა ჯავახია (როსტომი), დავით მდივნიშვილი (ბიძინა ჩოლოყაშვილი). „ბახტრიონის გმირების“ დადგმის გამო ჟურნალისტი ნ. ჩაჩავა წერდა: „ეს მეტად ამაღლებელი პატრიოტული სპექტაკლი თელავის თეატრის უდავო წარმატებაა. თელავისა და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა აღფრთოვანებით მიიღეს ეს დადგმა და ურიგო არ იქნება, თუ თბილისელი მაყურებელი ნახავს ამ სპექტაკლს“.²

„ბახტრიონის გმირები“ დიდხანს იყო თელავის თეატრის რეპერტუარში. სპექტაკლი 350-ზე მეტჯერ ითამაშეს. ეს მაშინ რეკორდული მაჩვენებელი იყო, პირველი შემთხვევა თელავის თეატრის ისტორიაში. წარმოდგენა წარმატებით მიიღეს ხაშურში, ბორჯომში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ზესტაფონში, სამტრედიასა და ჩხოროწყუში. საგასტროლო ტურნეს საერთო წარმატება სწორედ სპექტაკლმა განაპირობა. მაყურებელი ყველგან აღფრთოვანებული ზვდებოდა სპექტაკლს. ზუგდიდის რაიონული გაზეთი „მებრძოლი“ წერდა: „ბახტრიონი“ ვაჟას მოტივებზე დადგა აგრეთვე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა, მაგრამ თელავის თეატრის დადგმა სულ სხვაა. ეს არის საკუთარი გაგება, საუკეთესო გადაწყვეტა. თელავის თეატრის „ბახტრიონის გმირები“ უფრო რეალისტურია, უფრო ახლოა მაყურებელთან, ზუგდიდელებმა ამ სპექტაკლით დიდი სიამოვნება განიცადეს“.³

1960–1965 წლების თელავის თეატრის რეპერტუარში ჩნდება ახალი ქართული პიესების სცენური ინტერპრეტაციები. ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, გ. ბერძენიშვილის „ვაზის ტირილი“, ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“. ამ პერიოდში თეატრის სცენაზე დაიდგა ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშები: ი. ჭავჭავაძის „კაცია – აღამიანი?!“, ა. წერეთლის

¹ გაზ. „კოლმეურნის ხმა“, 1959, № 59.

² გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1961, № 3.

³ გაზ. „მებრძოლი“, 1961, № 83.

„პატარა კახი“, მაინ რიდის „უთავო მხედარი“, მ. ლერმონტოვის „მასკარადი“, ვ. ჰიუგოს „მარია ტიულორი“, ე. ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, მოლიერის „სკაპენის ოინები“.

1964 წელს ჟურნალი „Tearp“ აქვეყნებს წერილს თანამედროვე ქართულ თეატრზე. თელავის თეატრიდან ჟურნალი მიმოიხილავს ლევან სანიკიძის „მედვას“.

1965 წელს იგივე ჟურნალი კიდევ ერთხელ აქვეყნებს წერილს თელავის თეატრის შესახებ. ამჯერად, დაიბეჭდა ჟურნალ „Tearp“-ის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის ო. დზუბინსკაიას ვრცელი ნარკვევი – „თელავიდან ყველა მიმართულებით“. ჟურნალისტმა თელავში რამდენიმე დღე დაჰყო. შესაბამისად, მას საშუალება ჰქონდა კარგად შეესწავლა არა მხოლოდ მოქმედი რეპერტუარი, არამედ ქალაქი, კახელები და თეატრის კულისებს მიღმა ცხოვრებაც. ჟურნალისტი წერდა: „უჩვენებენ სპექტაკლს „უთავო მხედარი“, ყველაზე წარმატცი ბუნებრივ დეკორაციების – კავკასიონისა და ალაზნის ველს შორის. მოძველებული დეკორაცია, ძველი ხავერდის ფარდა, შეღებილი ტილო, ბუტაფორული ბალახი, რომელსაც თეატრი, თეატრალური „მკვლარი“ ფერი ანათებს, საცოდავად გამოიყურება, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად სპექტაკლს მაყურებელი სწრაფად გადაჰყავს მაინ რიდის გმირების სამყაროში. დასში არიან კარგი მსახიობები, ასეთები ცოტანი არ არიან და მაყურებელი მათ შეუცდომლად გამოჰყოფს. თინათინ ბერბუთაშვილს, რომელიც შავამაზონს – დონა ისიდორას თამაშობს, მხურვალე ტაშით ხვდებიან. მას სხვა სპექტაკლებიდანაც იცნობენ, განსაკუთრებით კი – როგორც მედვას როლის შემსრულებელს; აი, ჩვენი „მედვა“ – ამბობდნენ ისინი მასზე, ისევე, როგორც ალექსი კუპატაძეზე ამბობენ – „ჩვენი კრახანა...“¹

ჟურნალისტი დასს გასვლითი წარმოდგენების ტურშიც ახლდა, რაზედაც მხატვრულად მოგვიხსრობს გასვლით სპექტაკლებზეც: „თელავის თეატრის მსახიობები მოხეტიალე ცხოვრებას არიან მიჩვეულნი, მათ არა აქვთ კულისებისადმი განცხრომა და კომფორტი, სამაგიეროდ... როგორ დაგვაკვიწყდება ანტრაქტები ლაგოდენში? ამ ანტრაქტთან შედარებით ფერმკრთალად მჩვენება ყველაზე ბრწყინვალე ფოიეც კი დიდ თეატრში. ანტრაქტები ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებით ძლიერად ხმაურობს პატარა მდინარე და სიბნელეში ჩაფლულან მთები. სარდაფის კადრებიდან, რომელიც კულისებს უკავშირდება, გამოიტანეს ძველი, ვენური სკამები, გრიმებიანი მსახიობები წამოსასხამებითა და სომბრეროებით გამოვიდნენ ჰაერზე დასასვენებლად. ათიოდე წუთის შემდეგ კი მსახიობებსა და მაყურებელს შორის უფრო გულთაღი, ინტიმური კონტაქტი დამყარდა. მსახიობები უფრო დამაჯერებლად, მომხიბვლელად ასრულებდნენ თავიანთ როლებს“² და ბოლოს, ჟურნალისტი თელავის თეატრზე თხრობისას დაასკვნის: „თეატრი მუდამ ახლის ძიებაშია და ასეთ გზაზე არც მარცხია გასაკვირველი. „ბრაკონიერები“ არ არის აუცილებელი სპექტაკლი, ვთქვათ, იყალთოელებისათვის, მაგრამ იგი ასაზრდოებს, ზრდის, ახელოვნებს მსახიობებს. იქნებ „სიყვარულის წისქვილი“ ერთგვარად წაგავს კიდევ მ. ბარათაშვილის მიერ ადრე დაწერილ „ჭრიჭინას“, მაგრამ ნოდარ დვისაძის მიერ შექმნილი ლირიკული კომედია მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ამ კომედიაში მსახიობი ალექსი კუპატაძე, რომელიც მთელი თავისი სამსახიობო შესაძლებლობით ხორცს ასხამს და ამდიდრებს დრამატურგის მიერ დახატულ ემელიანის სახეს... ასეთი მარგალიტები თელავის თეატრის დასში არა ერთია. თელავის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი არის ძლიერი, მშრომელი, ნიჭიერი კოლექტივი.... აუცილებელია თეატრს ჰქონდეს შენობა, რომელიც ამათ საშუალებას მისცემდა შეუზღუდავად გაშალონ

¹ ჟურნ. „Tearp“, 1964, № 2.

² იქვე.

შემოქმედებითი შრომა... ნუთუ შეუძლებელია ნიჭიერმა კოლექტივმა თავი დააღწიოს გამჭვარტლულ ჭერს, ნესტიანსა და ჩაჟამებულ კედლებს, რომელშიც მაყურებელს ფარდის გახსნამდე სული ეხუთება? სცენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ადამის ჟამინდელი კოლოფი სამუხეუმოდაც აღარ ვარგა; ნუთუ დრო არ არის, ვიზრუნოთ კეთილშობილ შენობაზე, რომელშიც ეს შრომისმოყვარე კოლექტივი მაყურებლის წინაშე ერთიათად გაზრდილი ენერგიითა და შემოქმედებითი ცეცხლით აგიზგიზებული წარდგება“.¹

თეატრალური კრიტიკოსის ო. ღუბინსკაიას მიერ თეატრის შენობის გამო გამოთქმულ სამღურავს რეალური საფუძველი ჰქონდა და თეატრის გულშემატკივართა გულისტკივილს გამოხატავდა. ქალაქის მესვეურებმა მთავრობაში საკითხი აღძრეს ახალი თეატრის აშენების შესახებ. შეიქმნა თეატრის შენობის პროექტი, დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა. გამოიყო თანხა და კაპიტალურად შეკეთდა თეატრის ძველი შენობა. შეიცვალა მაყურებელთა დარბაზის სავარძლები, კეთილმოეწყო სცენა, დამონტაჟდა განათებისა და ხმის ეფექტებისათვის საჭირო მოწყობილობა, თუმცა ახალი შენობის აშენების საკითხი სამომავლოდ გადაიდო უცნობი ვადებით.

ნაყოფიერი აღმოჩნდა მომდევნო 1966–1970 წლების თეატრალური სეზონი. ამ პერიოდში თელავის თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ნ. დეისაძე, ლ. პაქსაშვილი, გ. აბრამიშვილი, გ. მაცხონაშვილი. მათ გვერდით იყვნენ სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები: ე. ჩაიძე, ნ. იონათამიშვილი, დ. კობახიძე, ვ. გელაშვილი. ცალკეული სპექტაკლების დადგმა განახორციელეს დ. მდივნიშვილმა, ე. რცხილაძემ, გ. სებისკვერამემ, გ. ბურჯანაძემ და ვ. მაისურაძემ. ამ წლებში თელავის თეატრში დაიდგა ქართველი დრამატურგების: გ. ნახუცრიშვილის, ვ. კანდელაკის, ო. იოსელიანის, გ. ბერძენიშვილის ლ. სანიკიძის, ი. ვაკელის, ა. გეწაძის და სხვა თანამედროვე ქართველი ავტორების პიესები. თეატრი არც ქართული კლასიკური მწერლობის და დრამატურგიის სცენურ ინტერპრეტაციებზე ამბობდა უარს. ამ მოკლე პერიოდში დაიდგა ი. ჭავჭავაძის, შ. დადიანის, ა. ყაზბეგის ნაწარმოებები.



ლერი პაქსაშვილი

თელავის თეატრში ნაყოფიერად იღვაწა რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა, რომელმაც აქ რამდენიმე დადგმა განახორციელა.

თელავის თეატრის მორიგი წარმატება იყო ოთარ მამფორიას „იეთიმ გურჯის“ დადგმა. სპექტაკლს ფართოდ გამოეხმაურა როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური პრესა. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა საგანგებო რეცენზია, რომლის ავტორიც თავად ჟურნალის რედაქტორი, კრიტიკოსი ოთარ ეგაძე იყო: „უძველესი ქართული თეატრალური ქალაქის სცენის ბოგირიდან იეთიმ გურჯის დავიწყებული ხმაც გაისმა და თანაც ძალზე სასიამოვნოდ – წერდა კრიტიკოსი – ახალგაზრდა რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა რომანტიკული ამბლებულობითა და კოლორიტული მჭკვერმეტყველებით გამორჩეული სპექტაკლი შექმნა, რომელშიც მკაფიოდ გამოიკვეთა აზრი, მოქმედება,

შნო, ლაზათი, მხიარული სიტყვა და სევდიანი მღუმარება“.² ლერი პაქსაშვილმა სპექტაკლით „იეთიმ გურჯი“ გააცოცხლა ძველი თბილისის კოლორიტი, ცხოვრებისა და ურთიერთობის სურათები. „წარმოდგენის ავტორებმა თანამედროვეთა გრძნობებისა და

¹ ჟურნ. „Театр“ 1964, № 2.

² ეგაძე ო., იეთიმ გურჯი თელავის თეატრში, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967., № 12., გვ. 62.

აზრის შესადარი სცენური თხრობა-სახეობა გვაჩვენებს, რომელიც სულიერად ჩაგრული ადამიანების მძიმე წარსული ღრმა დოკუმენტურობითაც იკითხება და მისი ნგრევის მიუკერძოებლად გადმოცემის უნარიც იგრძნობა. რეჟისორი ხატავს ღარიბ, მაგრამ სულით მდიდარ ადამიანს“ – წერდა ოთარ ეგაძე. რეცენზიის ეს ეპიზოდი თელავის თეატრზე აქამდე გამოცემულ სხვა წიგნებსა თუ ალბომებში გამოტოვებულია, თუმცა კრიტიკოსის ეს შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანი მომენთია რეცენზიაში, რომლითაც კარგად გამოჩნდა, რომ ლერი პაქსაშვილმა იეთიმ გურჯის სახით ახალი ტიპის გმირი შექმნა საბჭოთა სინამდვილეში.

იეთიმ გურჯის სცენური სახე თეატრის ვეტერანმა მსახიობმა ალექსი კუპატაძემ შექმნა. იგი ღრმად ჩასწვდა პოეტის სულიერ სამყაროს და თბილი ფერებით დახატა შინაგანად მღელვარე აშულის პორტრეტი. არტისტული სიმძაფრით თამაშობდა მსახიობი ღვინით ვაჭარ ბეგთაბეგოვთან შეხვედრის სცენას. „სიყვარულის ანაბანა ტარტაროზმა იცის განა? – მიმართავს აშული ღვინით მოვაჭრეს და მის შვილსაც უარს ეუბნება დაკვრა-სიმღერის სწავლებაზე: „შენთვის დუღუკი ყალიონია, დოლი კი შლიაპა! შენვან კაცი არ გამოვა“.

1969 წელს, ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ კიდევ ერთი წერილი გამოქვეყნდა ლერი პაქსაშვილის მიერ თელავის თეატრში დადგმულ სპექტაკლზე „იეთიმ გურჯი“. ვრცელ რეცენზიაში, რომელშიც დეტალურად არის განხილული თითოეული ეპიზოდი და მსახიობთა მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, დასკვნის სახით ნათქვამია: „იეთიმ გურჯი“ პოეტური, ამალღებული სპექტაკლია. რეჟისორი გარდა იმისა, რომ აცოცხლებს ძველი თბილისის კოლორიტს, მაყურებლის ყურადღებას მიაპყრობს პოეტის ნიჭზე, პოეზიის სილამაზესა და გაურკვევლობის ტრაგედიაზე. რეჟისორი ერთმანეთს უპირისპირებს: ცხოვრებასა და ოცნებას, სიყვარულსა და მოვალეობას, ხელოვნებასა და საქმოსნობას, ფიზიკურ და სულიერ სიკვდილს...“¹

ლერი პაქსაშვილმა თელავის თეატრში რამდენიმე სპექტაკლი დადგა, მოღვაწეობა კი იონა ვაკელიის „აპრაკუნე ჭიმჭიმელით“ დაასრულა. ეს პიესა „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ 1934 წელს დაიწერა და დაიდგა კიდევ თელავის თეატრშიც. ამჯერად, თეატრმა მეორე, განსხვავებული სცენური ვერსია შესთავაზა მაყურებელს. „ლერი პაქსაშვილმა საინტერესო რედაქცია გაუკეთა პიესას, შეამოკლა გაჭიანურებული დიალოგები, გადაადგინა ზოგიერთი სცენა და მკაცრად ამხილა ადამიანები, რომლებსაც საკუთარი კეთილდღეობა დაუსახავთ მიზნად და თაღლითობით, გაიმყვრობით, სხვისი შრომის მითვისებით ზიანს აყენებენ სხვების ცხოვრებას“² – წერდა მიხეილ ზურაბიშვილი წიგნში „თელავის თეატრი“. ლერი პაქსაშვილის განსხვავებული მიდგომა საბჭოთა ნაწარმოებისადმი იმაში გამოიხატებოდა, რომ რეჟისორმა ის დადგა როგორც სატირა. იუმორისა და ირონიის ხარჯზე სპექტაკლმა სხვა ჟღერადობა შეიძინა. „ეს არის დაუნდობელი სატირა ყოველგვარი ლირიკის გარეშე – წერდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება“-ში ია მუხრანელი – რეჟისორი წავიდა ფაქტების განზოგადების გზით. სპექტაკლის აპოთეოზი მაინც ბოლო მოქმედებაში, მბრძანებელი დამხობილია. სცენიდან გააქვთ ძალაუფლების ატრიბუტები: სავარძელი, ტელეფონი, ლოზუნგი. სცენაზე შემორბის თვითონ აპრაკუნე დაბეჩავებული და შელახული. აპრაკუნემ ვერც საკუთარი ძეგლის დადგმა მოახერხა. ამ დროს კი ხოხვით აღიოდა აპრაკუნე ტრიბუნაზე და ძეგლის მაგიერ თვითონ აღმართება. ჟღერდა ნანი ბრეგვაძის სიმღერა საქართველოზე და სრულდებოდა სპექტაკლი.“³ აშკარაა, რომ

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 1, გვ. 75.

² ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 119–120.

³ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 1, გვ. 75.

რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა ამბავის გადმოსაცემად და მის განსაზოგადებლად სწორ ხერხს – ორინიას (თვითორინიას) მიაგნო, რითაც უფრო მასშტაბური და ფუნქციური გახადა იონა ვაკელის კონიუქტურით გაჟღენთილი პიესა.

XX საუკუნის 70-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ნოდარ დუმბაძის მოთხრობების და რომანების სცენურმა ინტერპრეტაციებმა. საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არცერთი პროფესიული ან მოყვარული თეატრი, რომელმაც არ დადგა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები.




სცენა სპექტაკლიდან ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

თელაველ მაყურებელს ყოველთვის ახარებდა საყვარელი და პოპულარული მწერლის ნოდარ დუმბაძის ალალმართალ, პატიოსან და ხალისიან გმირებთან შეხვედრა. თელავის სცენაზე 70-იან წლებში განხორციელდა მისი „მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. 1970–1971 წლების სათეატრო სეზონში კი თელაველმა მაყურებელმა ნახა კიდევ ერთი გახმაურებული ნაწარმოების „მზიანი ღამე“ ახალი ვერსია. „ამ სპექტაკლში თემურის როლს დებიუტანტი მსახიობი ა. ნანობაშვილი ასრულებდა, გურამის დამაჯერებელ იერსახეს ჰქმნიდა მეორე დებიუტანტი მსახიობი თემო ხუნაშვილი. მათი პირველი წარმატებით გახარებულმა მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ახალგაზრდა მსახიობები. თინა ბურბუთაშვილის დედა გამოირჩეოდა საოცარი ბუნებრიობით. იგი სცენაზე ცხოვრობდა თავისი გმირის ცხოვრებით, რომელშიც გაერთიანებული იყო სიწირფელე, დედის სათუთი გრძნობა და უსამართლოდ გადატანილი ტრაგიკული ცხოვრების საშინელი განცდები“.¹ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების დადგმების სერია ამით არ შეწყვეტილა. ორი წლის შემდეგ, 1973 წელს თელავის თეატრში ნოდარ დუმბაძის მორიგი ნაწარმოები „საბრალდებო დასკვნა“ დაიდგა (რეჟისორი თამაზ მესხი).

„საბრალდებო დასკვნა“ ნოდარ დუმბაძის მეოთხე პიესა იყო, რომელიც განახორციელა თელავის თეატრმა. აღნიშნული ნაწარმოები არაერთ თეატრში დაიდგა, მათ შორის, დიდი წარმატებით მიდიოდა რუსთაველის თეატრში, ამიტომ თელაველთა ინტერპრეტაცია გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული, თუმცა დადგმა მაინც განხორციელდა და

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 130.



**ლიმონა – ორბი აღნიაშვილი
ნ. ღუმბაძის „მზიანი ღამე“**

სპექტაკლი თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზეც წარმოადგინეს. თეატრმცოდნე ჯაბა იოსელიანი წერდა: „ჩვენ ვნახეთ მღელვარე, ტემპერამენტიანი სანახაობა, რომლის მიმართაც მაყურებლის ყურადღება ერთი წუთითაც არ შენელებულა, დარბაზი სცენას ცხოვლად ეხმაურებოდა, კონტაქტი უწყვეტი იყო, ემოციები კი – აქტიური, შთაბეჭდავი“.¹

სპექტაკლში მონაწილე მსახიობებიდან რეცენზენტები ასახელებდნენ თინა ბერბუთაშვილს. „მისი დედა ძალიან თბილი და უშუალო იყო. როლის ეპიზოდურობის მიუხედავად, ნიჭიერმა მსახიობმა ჩინებულად გვიჩვენა თამაშის დახვეწილი სტილი და ზომიერება. იგივე უნდა ითქვას პლატონ ახვლედიანის ისიდორე სარალიძეზე. გამოცდილმა მსახიობმა ყურადღება ხასიათის შინაგანი ბუნების ეპიკური გახსნით მიიქცია: როლის ნიშნები და მსახიობის ხასიათის თავისებურება კეთილად დაემთხვევა ერთმანეთს და ისიდორეს სიდარბაისლესა და

გონიერებას სცენური დამაჯერებლობა მიანიჭა. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ორბი აღნიაშვილის ლიმონამ. აქ ჩვენ დავინახეთ საკმაოდ გამჭრიახი მსახიობი, რომელიც მექანიკურად კი არ განასახიერებს მზა სახეს, არამედ ფიქრობს, ანალიზებს ხასიათის შინაგან სამყაროს, ეძებს, სრულყოფს გამოსახვის ხერხებს. მისი ლიმონა გზასაცდენილი ადამიანია, დიას, ადამიანი, რომელსაც ყველაფერი არ შერყევია და სულის სიღრმეში გაიშვიათებულად, მაგრამ მაინც შემოუნახავს ადამიანური კეთილშობილების ნიშნები. გამოიტანეთ ეს მარგალიტი ჯურღმულიდან, გაწმინდეთ ჭუჭყისგან, შესაფერის გარემოში მოაქციეთ და ისიც თავის სილამაზეს დაიბრუნებს – ადამიანი გაიმარჯვებს. აი, ეს ესმის მსახიობს, მის შესაფერისად თამაშობს და მაყურებელი პერსონაჟის სულის სიკეთესა და სიავეს ერთმანეთში არ ურევს, ადამიანის და ადამიანობისადმი რწმენით იმსჯელებს. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერი იყო ლექსის კითხვის დროს. ტიგრანა ისე ღრმად დაშვებულა ფსკერზე, რომ სოციალურ ბოროტებად ქცეულა“.² ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებების დადგმის ტრადიცია თელავის თეატრში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ამ სპექტაკლებში თეატრის მომდევნო თაობის მსახიობებმაც საინტერესო და ორიგინალური მხატვრული სახეები შექმნეს.

¹ ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1974, № 1.

² იქვე.



რეჟისორი –
ნუგზარ ლორთქიფანიძე

1974 წელს თელავის თეატრმა სპექტაკლის დასადგმელად ნუგზარ ლორთქიფანიძე მიიწვია. რეჟისორმა სეზონის მიწურულს რაფიელ ერისთავის ცნობილი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ დადგა. ხალისიან, ფერადოვან სანახაობაში ნათლად იკითხებოდა ნიჭიერი რეჟისორის პროფესიული კულტურა, დრამატურგიული მასალის ორიგინალურად წაკითხვის უნარი, მსახიობთან მუშაობის ალლო... სპექტაკლი ერთსულოვანი, შეთანხმებული, ბრწყინვალე სამსახიობო ანსამბლით გამოირჩეოდა, სადაც ყველა მსახიობი ზედმიწევნით თვითმყოფადი და მომხიბვლელი იყო. რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ სცენაზე შექმნა მრავალფეროვანი, კოლორიტული, ხალისიანი სანახაობა, სადაც გამოჩნდა რეჟისორის უსაზღვრო ფანტაზია და გამოძგონებლობა.

წიგნში „თელავის თეატრი“ ვკითხულობთ: „რეჟისორ ნუგზარ ლორთქიფანიძის ნამუშევარი იუმორის უსაზღვრო გრძნობით და რაც მთავარია, საოცარი ინდივიდუალობით გამოირჩევა. რეჟისორი ამ სპექტაკლში ჭარბად ავლენს თვითმყოფად რეჟისორულ „ფანდებს“, რაც სანახაობას სიანხლის სასიამოვნო სურნელს მატებს. ნუგზარ ლორთქიფანიძეს სპექტაკლში ჩაურთავს რამდენიმე სცენა რაფიელ ერისთავის სხვა პიესებიდან, დაუმატებია ზუმრობები მაშინდელი გაზეთებიდან, მოუშველებია ავტორის მრავალი მშვენიერი და კეთილხმოვანი ლექსი, რომელიც ორგანულად შეერწყა პიესის სცენურ ვერსიას, კოლორიტობას მატებს მას და საინტერესო ფერებით ამდიდრებს გმირთა ხასიათებს. ყოველივე ამისათვის რეჟისორს შესანიშნავი კომპოზიციური ჩარჩო და ზუსტი სცენური ფორმა მოუძებნია“¹.

სპექტაკლში ქვივ ელისაბედ ბუმბულაძის როლს რესპუბლიკის სახალხო არტისტი თინათინ ბურბუთაშვილი ასრულებდა. ეს შემოქმედი მსახიობთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთა სცენაზე ხილვაც ყოველთვის სიხარულისა და სიამოვნების მომტანი იყო მაყურებლისთვის. თინათინ ბურბუთაშვილის იუმორის განსაკუთრებულმა და უიშვიათესმა გრძნობამ, ზუსტმა შესტებმა, მსუყე და უაღრესად გამართულმა ინტონაციებმა, უტყუარმა მუსიკალურობამ, დახვეწილმა პლასტიკამ კიდევ ერთხელ ამოხეთქა სპექტაკლში და ის ნამდვილ სათეატრო ზეიმად აქცია.

ელისაბედი რეჟისორმა და მსახიობმა სრულიად ახლებურად წარმოადგინეს. პიესაში იგი ძუნწი, ჯიუტი და პრაქტიკული ქალია. რეჟისორმა კი პერსონაჟი უამრავი ქალური თავისებურებით გაამდიდრა; მას უკანასკნელ მოდაზე აცვია, უსმენს გრამაფონს, მღერის რომანსებს, ცეკვავს მოღურ ცეკვებს, კეკლუცობს, ცდილობს ილაპარაკოს რუსულად. იგი ხან საოცრად ნაზია, ხან კი საჭიროებისამებრ გამოძწვევად დარდიმანდი... „ქალური კოლორიტის ღრმა ცოდნა, დახვეწილი გემოვნება, ზომიერება, მსუბუქი, ძალდაუტანებელი იუმორი, სცენური მიმზიდველობა და, რაც მთავარია, ვოდევილისათვის ესოდენ აუცილებელი მიაბიტი გულუბრყვილობა, აი, ის ძირითადი თვისებები, რომლებიც ეხმარებიან გამოცდილ ოსტატს ამ ესოდენ ნატიფი გემოვნებით გამოძერწილი, აკადემიურად დასრულებული სცენური სახის შექმნაში“² – წერდა მიხეილ ზურაბიშვილი.

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 143.
² იქვე.



**სცენა სპექტაკლიდან რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“
ვ. ფეიქრიშვილი და შ. ბუჭიაშვილი**

მეორე, მთავარი და გამორჩეული პერსონაჟის პარუმ ოსეფას როლი მსახიობმა ვახტანგ ჩელთისპირელმა შეასრულა. ამ „როლის განსახიერებისას – წერდნენ მსახიობზე – ვახტანგ ჩელთისპირელი ძირითადად იმ მდიდარ ტრადიციებს ემყარება, რაც სცენის დიდოსტატებს შეუქმნიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსახიობის თამაში აშკარა თავისთავადობით, უამრავი თვითმყოფადი საინტერესო ნიუანსებით და მრავალი გონებამახვილური დეტალით გამოირჩევა“.¹

სამსახიობო ანსამბლში გამოირჩეოდა თემურ ხუნაშვილი, რომელმაც სპექტაკლში სერგოს როლი შეასრულა. ამ როლმა მსახიობს დიდი წარმატება და პოპულარობა მოუტანა. „მსახიობმა და რეჟისორმა გმირი დახატეს მკვეთრი სახასიათო შტრიხებით, როლის ტექსტობრივი მასალა გაამდიდრეს სამიჯნურო ლექსებით, რომელსაც სერგო ღრმა სევდის წუთებში საოცრად თეატრალურად წარმოსთქვამდა ხოლმე. თემურ ხუნაშვილის სერგო ერთ-ერთი დასრულებული, მთლიანი, ელეგანტური და ჭეშმარიტად ვოლევოლური სახეა სპექტაკლში. მის მიერ ადრე ნათამაშევი გმირული როლების შემდეგ, ეს ექსცენტრული სახე უდავოდ სასიამოვნო სიურპრიზია მაყურებლისთვის“² – წერდა მიხეილ ზურაბიშვილი წიგნში „თელავის თეატრი“. სრულიად ახლებურ ამპლუაში წარსდგა მაყურებლის წინაშე მსახიობი ვენერა ფეიქრიშვილი. რეცენზენტი მასზე წერდა: „ვენერა ფეიქრიშვილს ყველაზე უკეთ ძლიერი ნებისყოფის მეტროლი ქალების გაცოცხლება ეხერხება, მას სწორედ ასეთმა როლებმა მოუტანა მაყურებლის აღიარება და უცებ ამ სპექტაკლში მაშიკო – სრულიად განსხვავებული პრანჭია და მოფარფატე ქალია“.³ აპოლონის როლს სპექტაკლში რამაზ ბუჭყურაშვილი ასრულებდა. რეცენზიის ავტორი რეჟისორის დამსახურებად მიიჩნევდა სცენაზე დებიუტანტებისა და სრულიად ახალგაზრდა მსახიობების წარმატებას, რომლებთან მუშაობაშიც მან არ დაიშურა ცოდნა, ნიჭი და ენერჯია. ეს მსახიობები იყვნენ: ცისანა გიგაური და კარლო ქართველიშვილი.

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 144.

² იქვე.

³ იქვე.



**სცენა სპექტაკლიდან რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“
ი. შუმანაშვილი და დ. ლალანიძე**

სპექტაკლის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ წარმატებას მსახიობი თემურ ხუნაშვილი როლების სწორ განაწილებას მიაწერს. მოგონებათა წიგნში „ორმოცი წელი თელავის თეატრში“ მსახიობი იგონებს ამ პერიოდს: „პირველივე რეპეტიციამ ყველა დაგვარწმუნა, რომ კარგი სპექტაკლი გამოვიდოდა, ნუგზარი ვოდვეილის ჟანრში შეუდარებელია, როლების განაწილებაც, საბედნიეროდ, ობიექტურად, სწორად მოხდა. ბევრჯერ სპექტაკლის წარუმატებლობას, არასწორად განაწილებული როლები იწვევენ. აქ კი შესანიშნავი შემოქმედებითი ჯგუფი შეიკრიბა. სპექტაკლი მოვლენა იყო იმ პერიოდის თელავის თეატრში. მახსოვს, მაშინდელი მილიციის გამოძახება დასჭირდა თეატრის ადმინისტრაციას, რომ სპექტაკლზე დასწრების მსურველთა დიდი ტალღა შეეჩერებინა. სპექტაკლი სამასზე მეტჯერ ვითამაშეთ. 15 წელი იყო ეს სპექტაკლი რეპერტუარში, ეს კი ისეთი პატარა ქალაქისთვის, როგორც თელავია, ძალიან დიდი რიცხვია“.¹

1974–1975 წლებში თელავის თეატრმა თბილისში, აკაკი ზორავას სახელობის მსახიობის სახლში, ორი სპექტაკლი წარმოადგინა: ნ. დუმბაძის „საბრაღებო დასკვნა“ და რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. აი, რას წერდა მსახიობი ვასო გოძიაშვილი გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“: რაფიელ ერისთავის კომედია-ვოდვეილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ მეტად რთული და თავისებური პიესაა. ახალგაზრდა რეჟისორს ყველაფერი გაუთვალისწინებია და თითქმის უნაკლო სპექტაკლი ჩამოგვიტანა თბილისში. მივესალმები ჩვენს საამაყო მსახიობებს თინათინ ბერბუთაშვილს და ვახტანგ ჩელთისპირელს. მათ გვერდით ჩინებულად გრძნობენ თავს ახალგაზრდებიც“.²

1975–76 წლის სეზონში თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა ნუგზარ ლორთქიფანიძე. მასთან შეხვედრა თელაველ მაყურებელს კარგად დაამახსოვრდა და ამიტომაც მისი ახალი ნამუშევრის მიმართ დიდი იყო ინტერესი. ნუგზარ ლორთქიფანიძის

¹ ხუნაშვილი თ., ორმოცი წელი თელავის თეატრში, თელავი, 2011, გვ. 59.

² გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1975, № 18.

ინიციატივითა და ძალისხმევით თეატრს შემოუერთდნენ მსახიობები: ნინო მამულაიშვილი, ზურაბ ანთელავა და ვანო იანტბელიძე. დროის განმავლობაში ეს შემადგენლობა შემდგომში თეატრის ძირითად საყრდენ ძალადაც გადაიქცა.

მთავარმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ არჩევანი შეაჩერა თანამედროვე ბაშკირელი პოეტისა და დრამატურგის მუსტაი ქარიმის ტრაგედიაზე „მთავრის მოტაცების დამე“ შეაჩერა. „ახალმა სპექტაკლმა – წერდა რაიონული გაზეთი – მარტო მართალ, ამაღლებულ ხელოვნებასთან შეხვედრის განუმეორებელი წუთები კი არ განგვაცდევინა, თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის, ჩვენი ძველი ნაცნობი, ჩვენი ძველი საყვარელი მსახიობების სცენაზე მეორედ დაბადების დიდი სიხარულიც მოგვგარა. კარგა ხანია ველოდით ჩვენ მას. დროის ახალ ქარებს მოყოლილმა ახლებურმა მოთხოვნებმა, ცვლილებებმა რეჟისორსა თუ სამსახიობო ხელოვნებაში, ძიებებმა, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია უკანასკნელი ათწლეულის ჩვენი თეატრალური ცხოვრებისათვის, თითქოს გვერდზე ჩაუარა თელავის თეატრს, თითქოს ხმა ვერ შეაწვდინა მის ბებერ კელლებს... და აი, ჩვენს წინაშეა სპექტაკლი, რომელმაც ერთი ხელის მოსმით მოხსნა სპეციფიზმის ეს სამარცხვინო ბრალდება და სულიერი სიხარულით სავსენი გამოგვისტუმრა თეატრიდან“.¹

როგორც XX საუკუნის 70-იანი წლების პრესიდან ირკვევა, ნუგზარ ლორთქიფანიძის დადგმები ახალი და განსხვავებული მოვლენა იყო თელავის თეატრის ისტორიაში, რომელმაც ოდნავ შეცვალა კიდეც თეატრის მუშაობის სტილისტიკა და ხელწერა. თელავის თეატრის გამოჩენილ მსახიობებთან ვახტანგ ჩელთისპირელთან, თინა ბურბუთაშვილთან, ვენერა ფეიქრიშვილთან და სხვებთან ერთად, დიდი წარმატება ხვდა წილად ზურაბ ანთელავას დერვიშის როლში. „მას ზუსტად და უადრესად ქმედითად ჰქონდა გააზრებული როლი, მსახიობური საშუალებანი ზედმიწევნით სხარტი და მოქნილი იყო, მისი გმირი ცინიკურიც იყო და ვნებიანად შეყვარებულიც, შემადრწუნებელიც და ლირიკულიც“.²

ნუგზარ ლორთქიფანიძემ ასევე დადგა: გ. ხუნაშვილის „აღმართ-დაღმართი“, რომელიც თეატრმა თბილისში, რესპუბლიკური თეატრების დათვალიერებაზე აჩვენა. მოეწყო სპექტაკლის განხილვა. იმჟამად საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ალექსიძემ დადებითად შეაფასა სპექტაკლი, მაგრამ დადგმის თაობაზე დისკუსია გაიმართა თეატრმცოდნეებს გ. გოგოლაძესა და კ. ნინიკაშვილს შორის.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება“ შეაჯამა დათვალიერების შედეგები და თელავის თეატრზე დაწერა: „ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. ხუნაშვილის პიესა „აღმართ-დაღმართის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, რომელმაც ტაში და მოწონება დაიმსახურა. ამ სპექტაკლმა კიდევე ერთხელ ცხადყო, რომ თელავის თეატრს ყველა შესაძლებლობა აქვს შექმნას საუკეთესო სცენური ნაწარმოები, განსაკუთრებით დღევანდელი დღის საჭირობოროტო საკითხებზე, რაც მაყურებლის აქტიურ რეაქციას იწვევს. სცენური სივრცის რაციონალურად გამოყენებამ რეჟისორს საშუალება მისცა თავისუფლად დაედგა სახალხო სცენები. მისივე დამსახურებაა გმირთა ხასიათის გადმოსაცემად მსახიობთა სწორად შერჩევაც. საერთო ტონი სპექტაკლისა იმედიანი და ხალისიანია“³ – წერდა ჟურნალი.

ნუგზარ ლორთქიფანიძის მიერ დადგმული სპექტაკლები ერთმანეთისგან ჟანრობრივი და სტილისტური თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ, თუმცა მათ ესთეტიკურობა და

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1975, № 138.

² ზურაბიშვილის მით. წიგნი, 1984, გვ. 148-149.

³ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, № 4.

მხატვრული ხარისხი აერთიანებდათ. როგორც თელავის თეატრის ისტორიკოსები წერდნენ:

„თეატრის დასმა, მისმა ყველა თაობის მსახიობმა ირწმუნა იგი და მხარში ამოუდგა რეჟისორ ნუგზარ ლორთქიფანიძეს. თეატრში დამყარებული ჯანსაღი, ერთსულოვანი ატმოსფერო, თანამოაზრეობა მრავალ საინტერესოსა და იმედისმომცემს ჰპირდებოდა მაყურებელს... ეს მოლოდინი გაამართლა კიდევ, ამავე სეზონში ნუგზარ ლორთქიფანიძემ მოლიერის ცნობილი კომედია „ძალად ექიმი“ წარუდგინა თელაველ მაყურებელს“¹. ამ სპექტაკლსაც საკმაო წარმატება მოყვა, ფრანგული კომედია თელავის თეატრის სცენაზე მომდევნო სეზონზე თანამედროვე ქართულმა კომედიამ კიტა ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“ ჩაანაცვლა. სპექტაკლზე თეატრმცდონე ნ. ასანაშვილი გაზეთში „სოფლის ცხოვრება“ წერდა, რომ „ნუგზარ ლორთქიფანიძე არტისტებისთვის გამორჩეულად საყვარელი რეჟისორია, რადგან ის ეხმარება მსახიობს უკეთ გამოძერწოს თავისი პერსონაჟი. ამ სპექტაკლში მოულოდნელ და სასიამოვნო ამბლუაში წარსდგნენ მაყურებლის წინაშე თელაველი მსახიობები: ზურაბ ანთელავა, გიორგი პაპოშვილი, ომარ შუბითიძე, ეთერ ბიბილაშვილი, გარი მანველოვი, ვანო იანტბელიძე და სხვები.



ნუგზარ ლორთქიფანიძე მსახიობების ჯგუფთან ერთად

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 153.

ნუგზარ ლორთქიფანიძე აგრძელებდა მუშაობას თანამედროვე დრამატურგიაზე. ამჯერად, რეჟისორმა მასთან სათანამშრომლოდ თელაველი დრამატურგი დავით კეჟერაძე მიიწვია. მათი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად თელავის თეატრს კიდევ ერთი საინტერესო და გამორჩეული სპექტაკლი „ყველა სიმღერა უნდა დამთავრდეს“ შეემატა. ამ სპექტაკლში, როგორც მსახიობი და მხატვარი, პირველად მოგვევლინა ზაზა კოლელიშვილი. მაყურებელს განსაკუთრებით მოეწონა ორიგინალური გადაწყვეტა, სადაც მხატვარი მიგვანიშნებდა, რომ ცხოვრება არ არის საკარნავალო ზეიმი, რომ იგი საზოგადოების ეთიკურ ნორმებს ექვემდებარება და მისი გზიდან გადახვევა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. მხატვარმა მოქმედების საჭირო პირობები შეუქმნა და ამით სპექტაკლის დინამიკურობას შეუწყო ხელი. რამდენიმე ხის კუნძი სცენაზე ხან სარეცელს, ხან აკვანთან მოხვედრის ადგილს წარმოადგენდა. თანამედროვე პიესების დადგმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ ქართული კლასიკური ვოდევილების დადგმით „დაბალანსა“. რეჟისორმა აკაკი წერეთლის ვოდევილების „ბუტიაობა“, „კინტო“ და „რეპეტიცია“ განხორციელება განიზრახა. სპექტაკლის ავტორმა ეს სამი ვოდევილი გააერთიანა, თითქოს მოქმედება ძველ თეატრში ხდებოდა. „ნაჩვენები იყო თეატრის ერთი ფათერაკიანი დღე... დილის რეპეტიცია... კამათი, ახლად მიღებული მსახიობის გამოცდა... მისი დასში ჩარიცხვა და ვოდევილ „ბუტიაობაში“ როლზე დანიშვნა... რეჟისორი მოხუცს, სცენიდან წასულ მსახიობს იწვევს კინტოს როლის შესასრულებლად. სადამოს „კინტოს“ წარმოადგენა უნდა გაიმართოს, მთავარ როლს ხანდაზმული მსახიობი თამაშობს. სპექტაკლი ხალისიანი და სანახაობითი გამოვიდა. დადგმა გაჯერებული იყო სიმღერებითა და ცეკვებით.

1977–78 წლის თეატრალური სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გამორჩეული ნამუშევარი იყო ფედერიკო გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლის“ დადგმა. თელავის თეატრის დასს უკვე ჰქონდა ამ სახელგანთქმულ ესპანელ დრამატურგთან თანამშრომლობის გამოცდილება. თელაველ მაყურებელს ჯერ კიდევ ნათლად ახსოვდა



**მარტირო – ვენერა ფეიქრიშვილი
ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“**

რეჟისორ თენგიზ მაღალაშვილის მიერ ორი ათეული წლის წინათ დადგმული „სისხლიანი ქორწილი“, რომელიც თელაველთათვის ულამაზეს თეატრალურ მოგონებადაა ქცეული, ხოლო მასში მონაწილე მსახიობებისათვის – საამაყო შემოქმედებით წარსულად.

„ბერნარდა ალბას სახლს“, რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ დადგა, დიდი წარმატება ხვდა წილად. იმ პერიოდის ქართულ თეატრში ეს დადგმა ერთ-ერთი შენაკადი იყო თავისუფლებისკენ სწრაფვაში. ნუგზარ ლორთქიფანიძემ მთელი აქცენტი ადამიანის სულის თავისუფლებაზე და ამ თავისუფლებისკენ ლტოლვისა და

ბრძოლის აუცილებლობაზე გადაიტანა. სპექტაკლი ლამაზი მიზანსცენებით აეწყო, სცენები კი ემოციური და ღრმა აზრის მატარებელი იყო.

სპექტაკლის სცენოგრაფია ახალგაზრდა მხატვარს თ. როსტომაშვილს ეკუთვნოდა, ეს მისი პირველი ნამუშევარი იყო თელავის თეატრის სცენაზე. თეთრი მასიური კედლებით მონუსხული სცენური გარემო, მინიმალური ავეჯი და გასაოცარი განათება, ფერთა

თამაში, რომელიც შემადრწუნებელ ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე. „სპექტაკლის ყველა კომპონენტი ჭეშმარიტად ჰარმონიულად იყო ურთიერთშერწყმული, რაც დამდგმელი რეჟისორის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. საერთოდ ამ სპექტაკლის რეჟისურაზე ბევრი რამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე მივუთითებთ – ეს არის გმირის ცხოვრების მოქმედებრივი ხაზის ზუსტი დადგენა, ღრმა ფსიქოლოგიური და მსახიობთან მუშაობის მაღალი პროფესიული კულტურა“.¹

სპექტაკლში ჭარბად იყო სამსახიობო გამარჯვებები; თინათინ ბურბუთაშვილის ბერნანდა, ნაზი არავიაშვილის პონსია, ვენერა ფეიქრიშვილის მარტირიო, მარინე თეგაძის ადელა, რუსუდან თინიკაშვილის მაგდანელა, ლამარა არსოშვილის მარია ჰოსეფა, ოლია შუბთითიძის მსახური ჭეშმარიტად ლორკასეული გმირები იყვნენ, თავიანთი ვნებებით, სურვილებით, პლასტიკით, მიზანსწრაფვით.

ნუგზარ ლორთქიფანიძემ ამავე წელს ვ. ჩეკურიშვილის „ალაზნის ველი“ დადგა. სპექტაკლში მოქმედება ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის ფონზე მიმდინარეობდა, რითაც თეატრი ერთი მხრივ პასუხობდა საბჭოთა სახელმწიფოს დაკვეთას, მეორე მხრივ ცდილობდა მაყურებლის მოზიდვას. ამ სპექტაკლს ნოდარ დეისაძის მიერ დადგმული სპექტაკლი აკაკი გეწაძის „ფეხშიშველა სასიძო“ მოჰყვა. პიესის მთავარი გმირები წარმატებით განახორციელეს ახალგაზრდა მსახიობებმა: ვანო იანტბელიძემ (ტანტრე) და მანანა ზაუტაშვილმა (ინგა). კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლში მაყურებელმა დოდიკა სხირტლაძე იხილა. ეს მისი უკანასკნელი როლი იყო. მძიმე ავადმყოფობამ იგი სამუდამოდ ჩამოაცილა თეატრს. მოგვიანებით ამ როლში მაყურებელმა ალექსი კუპატაძე იხილა.

ნუგზარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობის პერიოდში ტრადიციად იქცა ახალგაზრდული სპექტაკლები. ამ ტრადიციის ნაწილია გურამ ბათიაშვილის პუბლიცისტური დრამის „ლალი, სიყვარული და სხვები“ დადგმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: თემურ ხუნაშვილი, რომელიც მოსამართლის როლს ასრულებდა, მსახიობი რაციონალური სისადავით, ობიექტურობის აუცილებლობის ღრმა შეგრძნებით, ჭეშმარიტი შინაგანი ძლევაარებით წარმოდგენდა მოსამართლის მხატვრულ სახეს, ფარული სევდა ახლდა შოთა ბეჟანიშვილის გმირს, შვილის მძიმე ხვედრით გამოწვეული ღრმა ტრაგედია გვიჩვენა მ. თეგაძემ დედის როლით, ცინიზმით აღსავსე, ასკეტური და გამომწვევი იყო თინას პერსონაჟი – ი. შუშანაშვილის წარმოსახვით. ვ. ფეიქრიშვილი ამ სპექტაკლში მოხუცი მარტოხელა ქალის როლს ანსახიერებდა, საოცარი სითბო, დედობრივი მზრუნველობა და დედაკაცური სიბრძნე იკვეთებოდა მსახიობის ამ ნამუშევარში. მამხილებელ, მეტად სატირულ ფერებში წარმოგვიდგინეს თავიანთი გმირები ც. პაპიაშვილმა, ვ. იანტბელიძემ და მ. გაჩეჩილაძემ.

1977–1979 წლების სათეატრო სეზონი თელავის თეატრისთვის რთული აღმოჩნდა, ვინაიდან თეატრს ტოვებდა უფროსი თაობა. ერთი წლის განმავლობაში გარდაიცვალა მსახიობი თინა ბურბუთაშვილი და მისი მეუღლე მსახიობი დოდიკ სხირტლაძე. თეატრის შემოქმედებით ძალებს ეტაპობრივად აკლდებოდა უფროსი თაობის წარმომადგენლები. თეატრის განვითარების მისია მთლიანად ახალგაზრდა მსახიობებმა იკისრეს, მათ შორის, იყვნენ: ნ. მამულაიშვილი, მ. თეგაძე, თ. ხუნაშვილი, შ. ბეჟანიშვილი, ც. გვიგაური, მ. ზაუტაშვილი, ზ. ანთელავა, ვ. იანტბელიძე, ი. შუშანაშვილი, რ. თინიკაშვილი, ე. თავდიდიშვილი და კ. ქართველიშვილი. ისინი თეატრალური ინსტიტუტისა და სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ თელავის თეატრში, სადაც მათ დახვდათ ძველი და საშუალო თაობის მსახიობთა მთელი პლეადა – ვ. ჩელთისპირელი, პ.

¹ ზურაბიშვილის. მით. წიგნი, გვ. 157.

ახვლედიანი, ა. კუპატაძე, ბ. ჯავახია, გ. მამუნიშვილი, გ. პაპოშვილი, გ. მარტაშვილი, დ. მდივნიშვილი, ო. შუბითიძე, ნ. არავიაშვილი, ვ. ფეიქრიშვილი, ლ. არსოშვილი, ე. ბაბალაშვილი, ო. აღნიაშვილი, გ. მანველოვი, რ. ბურჭყურაშვილი, ვ. ნიკოლიშვილი და სხვები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდობას.

1978–79 წლის სეზონზე თელავის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ზუგდიდში. გასტროლებმა ერთი თვე გასტანა. სპექტაკლები მიმდინარეობდა როგორც ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, ასევე ზუგდიდის რაიონის სოფლების კულტურის სახლებშიც. ამ მასშტაბური და ხანგრძლივი ღონისძიების ფარგლებში მაყურებელმა ნახა შემდეგი სპექტაკლები: „ლალი, სიყვარული და სხვები“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „მილიონერი დეიდა“, „ხევსურული ბალადა“, „ვოდველები“, „დაუკართ გიტარები სიყვარულზე“. ზუგდიდის პრესამ ვრცელი წერილი გამოაქვეყნდა გასტროლების შესახებ. ავტორი მიმოიხილავდა სპექტაკლებს, მსახიობების სცენაზე ნაღვაწს და ასკვნდა: „ნამდვილად დიდი კმაყოფილება და სიამოვნება გვაგრძნობინეს თელაველმა მსახიობებმა თავიანთი შესანიშნავი სპექტაკლებით. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ყველა მსახიობმა გულთბილი მადლობა და სიყვარული დაიმსახურა. განსაკუთრებით დაუვიწყარია საქართველოს სახალხო არტისტის ვახტანგ ჩელთისპირელის მიერ შექმნილი სახეები. ბედნიერია მსახიობი, რომლის მიერ შექმნილი იერსახე ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა. ეს დამსახურებულად ითქმის თელაველ მსახიობთა მიმართ. მინდა მათ ჩვენი ქალაქის კულტურის მუშაკთა სახელით დიდი მადლობა გადავუხადო სპექტაკლების ოსტატურად შესრულებისათვის“.¹

გასტროლების შემდეგ თეატრმა ნუგზარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით განაახლა მუშაობა და ამ სეზონზე რვა ახალი სპექტაკლი დადგა. კიდევ უფრო გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა თელავის თეატრის რეპერტუარი. ამავე სეზონზე ნოდარ დეისაძემ პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ დადგა. ეს პიესა მეორედ დაიდგა თელავის თეატრის სცენაზე. მანუჩარისა და ხახულის როლები შეასრულეს გ. პაპოშვილმა და რ. ბურჭყურაშვილმა. მ. თევაძე კი გვირისტინეს ასრულებდა, მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს: ბ. ჯავახიამ (ვატა), ლ. არსოშვილმა (კაკალა), ვ. იანტუელიძემ (ხარიტონი), ე. თავდიდიშვილმა (ჯიბილო), ო. აღნიაშვილმა (ლომკაცი), დ. მდივნიშვილმა (ჯამლოთი).

თამაზ ჭილაძის პიესას „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ პირველი სცენური სიცოცხლე თელავის თეატრში მიენიჭა. იგი დადგა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაულტეტის სტუდენტმა ლევან მირცხულავამ, შემდგომში ცნობილმა რეჟისორმა და პედაგოგმა. მისი სარეჟისორო დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მსახიობები, რომელთაც მათი შემოქმედებითი პოტენციალი კიდევ უფრო გამოავლინეს ამ დადგმაში. ანოს როლს ნ. მამულაიშვილი ასრულებდა, ხოლო დედის როლს – ნ. არავიაშვილი. რეჟისორ უჩას მხატვრული სახე თ. ხუნაშვილმა შექმნა, ხოლო მისი მეუღლის, ნატოს როლს ვენერა ფეიქრიშვილი თამაშობდა.

ნუგზარ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის პერიოდან (1975–1982) თელავის თეატრს უკვე ჩამოუყალიბდა თავისი მხატვრული სახე, შემოქმედებითი პროფილი, პროფესიული ხელვა გარკვეული საკითხებისადმი და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი პოზიცია. თეატრი ცდილობდა ცხოვრების შუაგულიდან ელაპარაკა აქტუალურზე, პრობლემურზე, საინტერესოზე. აუღელვებინა და ჩაერთო მოქმედებაში მაყურებელი. თეატრში შეიკრა გუნდი, რომელშიც მხოლოდ ახალგაზრდა თაობა როდი მოიხზრებოდა.

¹ გაზ. „მებრძოლი“, 1978, № 115.



ბერნარდა — თინათინ ბურბუთაშვილი



სცენა სპექტაკლიდან „ბერნარდა ალბას სახლი“
რეჟისორი — ნუგზარ ლორთქიფანიძე

შვიდი წელი იღვაწა ნუგზარ ლორთქიფანიძემ თელავის თეატრში რომელიც სავსე იყო შემოქმედებითი მიგნებებითა და სათეატრო დღესასწაულებით. თელავის თეატრმა მოიპოვა პოპულარობა, გახდა ცნობილი დასი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ვინაიდან თეატრი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ფესტივალში. სწორედ ამ პერიოდში პირველად მოხდა თელავის თეატრის სპექტაკლების ტელევიზიით ტრანსლირება, რამაც გაზარდა მაყურებლის ცნობადობა და გაამყარა თეატრის იმიჯი. პირველად ტელევიზიით ნუგზარ ლორთქიფანიძის სპექტაკლი „სიყვარულს უშენებია“ გადაიცა, ხოლო შემდეგ თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში გასტროლების დროს ტელევიზიამ ჩაწერა თელავის თეატრის სპექტაკლი „მე მჯერა შენი“ (კოროსტილოვის პიესის მიხედვით რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე), რომელიც ასევე მთლიანად გადაიცა ტელევიზიით. სპექტაკლის გასტროლები ახალგაზრდული სპექტაკლების პირველ რესპუბლიკური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა.

თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძემ წლების შემდეგ, საეტაპო უწოდა ნუგზარ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის პერიოდს თელავის თეატრის ისტორიაში. გამოჩენილი თეატრმცოდნე წერდა: „ნუგზარ ლორთქიფანიძემ თავის თანამოაზრე ახალგაზრდა მსახიობთა მთელი ჯგუფი ჩართო თეატრალურ დასში, გააფართოვა რეპერტუარი, უფრო მრავალფეროვანი გახდა იგი. მისი ხელმძღვანელობით ამაღლდა თეატრის მხატვრული დონე, უფრო სტაბილური გახდა მისი პროფესიული საქმიანობა. მას ხვდა ბედნიერება ყოფილიყო პირველი მთავარი რეჟისორი, ყოფილიყო მთავარი რეჟისორი თეატრის ახალ შენობაში, რომელიც მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა“.¹

თეატრისთვის ახალი შენობის აგების საკითხი პირველად როგორც უკვე ითქვა, ცნობილმა რუსმა თეატრმცოდნემ ოლგა დზუბინისკაიამ დააყენა 1965 წელს. მაშინ საქართველოს მთავრობამ რეაგირება მოახდინა ამ პრობლემაზე და დაიწყო მშენებლობა, რომელიც 1981 წელს დასრულდა და თეატრმა ბინა დაიღო მაშინ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ახალ შენობაში. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო თელავის, არამედ საქართველოს კულტურულ ცხოვრებასა და სივრცეში. 16 წელი დასჭირდა პრობლემის გადაწყვეტას და 1981 წლის 30 მაისს თელავის თეატრმა ახალმოსახლეობა იხეიმა.

თეატრის მშენებლობის 16 წლიან გაჭიანურებულ პერიოდს იგონებს მსახიობი თემურ ხუნაშვილი: „ბევრჯერ სიზმარში მინახავს უკვე დამთავრებული შენობა. ძველი შენობა ტექნიკურად უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც თანამედროვე თეატრს სჭირდებოდა. ბევრი კარგი იდეა ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ თეატრის ტექნიკური აღჭურვილობა არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, სცენას ფაქტობრივად კულისები არ ჰქონდა“.²

ახალი სათეატრო ნაგებობით მიღებული სიხარული კარგად გამოხატა მსახიობმა ვახტანგ ჩელთისპირელმა: „წლების განმავლობაში ნაფიქრ-ნაოცნებარი რეალობად იქცა. თელავის უძველესი ტრადიციების მქონდე თეატრს, ამიერიდან ექნება შესანიშნავი შენობა, სადაც შემოქმედებითი ცხოვრების ყველა პირობაა შექმნილი. ახლა ჯერი ჩვენზეა, ჩვენი საჯილდაო ქვა ჩვენი ნიჭისა და ძალების ოსტატურად გამოყენება, კარგი სპექტაკლების დადგმა, ჩვენი თეატრის დიდი სიყვარულის საქმეებად გარდაქმნა. წარსული დღევანდელით არის ცოცხალი, დღევანდელითაა სვალინდელი დღე აცისკროვნებს. მწამს, რომ დროის ცვალებადობის ამ გადასახედიდან ყოველთვის თამამად შეგვიძლია თვალი გავუსწოროთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს და მათ შესასრულებლად ჩვენს

¹ გურაბანიძე ნ., თელავის თეატრი – 200, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986, № 12, გვ. 20.

² ხუნაშვილი თ., ორმოცი წელი თელავის თეატრში, თელ., 2011, გვ. 77.

მიერ გაწეულ შემოქმედებით საქმიანობას, რომლის ნაყოფმაც – სპექტაკლებმა, გულგრილი არავინ არ უნდა დატოვოს, უთუოდ უნდა ააღელვოს თეატრის ასალჭერქვეშ შემოსული ყველა მაყურებელი. ვფიცავ, ამჟამინდელი სიხარული სიცოცხლის თანატოლია, გულო, გაუძელ შემოტევას!¹



თეატრის ასალი შენობის ხელები



თელავის თეატრის ასალი შენობა აკმაყოფილებდა თანამედროვე სათეატრო ნაგებობის ყველა ტექნიკურ მოთხოვნას. სცენის მოძრავი წრე თელავის თეატრისათვის თბილისის „საქპროდუქციონერგომშენის“ ლითონკონსტრუქციების ქარხანაში დაამზადეს. საამქროს ინტერნაციონალურმა ბრიგადამ: რაფიკ ასლანიკიანმა, რამაზ როსტომაშვილმა და ვასილ პოპოვმა ეს საბუთო შემჭიდროებულ ვადებში შეასრულეს, შემდეგ კი უზარმაზარი ლითონის კონსტრუქციები ვერტმფრენს გამოაბეს და თელავისაკენ გამოგზავნეს. უჩვეულო ტვირთი მფრინავებმა მშენებარე თეატრის დასამონტაჟებელ სცენის მოედანზე გადმოტვირთეს. იგი საკავშირო ტრესტ „თეატრმონტაჟის“ უფროსმა ვლადიმერ ბახმანმა ჩაიბარა, იმან, ვინც თავის დროზე დაამონტაჟა თეატრების სცენები მოსკოვში, ჩერკასკში, ბაქოში, თბილისის

¹ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986, გვ. 21.

თპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრსა და თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

ახალი შენობა, რომელშიც დღემდე მოღვაწეობს თელავის თეატრი, 800 მაყურებელზეა გათვლილი (ახლა დარბაზში 700 ადგილია). პროექტის ავტორია გრიგოლ ჯაბუა. თეატრის შენობის განსაკუთრებულ სიდიადეს ქმნის მდიდრული ინტერიერი, ვრცელი ფოიე შიგ ხელუხლებლად მოქცეული ისტორიული ძეგლით (ერეკლე მეფის სადროშოს ნაშთი), მაღალმხატვრული პანოთი და კერამიკული გორელიეფებით, თეატრს ამშვენებს მხატვრული გაფორმება, რომელზედაც მუშაობდნენ ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატები – ე. კოპაძე, გ. ქლიბაძე, ჯ. რუხაძე და არქიტექტორი გ. ცხაკაია. შენობის ფასადს ამშვენებს ვიტრაჟები, რომელშიც თეატრის ფოიე მოჩანს, ვესტიბიული და ფოიე ორგანულად ერწყმინან ერთმანეთს. თეატრის ასეთი ფასადი ორიგინალური და უცხო იყო იმ პერიოდის საქართველოში, ვინაიდან საბჭოთა სათეატრო არქიტექტურა ანტიკური არქიტექტურის გავლენით აგებდა თეატრებს. თელავის თეატრი დღემდე ორიგინალურ სათეატრო ნაგებობად ითვლება საქართველოში (თუ არ ჩავთვლით, შემდეგ წლებში მესხეთის, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში – ფოთის დრამატული თეატრის შენობას, სადაც ვიტრაჟის პრინციპია გამოყენებული).


მშენებლობის პარალელურად თელავის თეატრს არ შეუწყვეტია მუშაობა და ჩვეულ რეჟიმში მართავდა პრემიერებს. ბოლო სპექტაკლი, რომელიც ძველ სცენაზე მომზადდა, ა. აბდულისის „მეცამეტე თავმჯდომარე“ იყო, რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ განხორციელდა.

დადგა ბევრი თაობისთვის სანატრელი დღე. 1981 წლის 30 მაისს საქართველოს უძველესმა თელავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ახალმოსახლეობა იზეიმა. მშენებლებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს მსახიობებს მათი ახალი შენობის სიმბოლური გასაღები. თელავის თეატრს ახალმოსახლეობა მიულოცა იმხანად საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, გამოჩენილმა სათეატრო რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ. თავის სიტყვაში, რომელიც გაზეთში „ალაზნის განთიადი“ გამოქვეყნდა, სახელოვანი რეჟისორი წერდა: „აქ, ამ ქალაქში იყო ერეკლეს თეატრი, მაჩაბლის დასად რომ არის ცნობილი და რომელმაც ქართული თეატრის მოღვაწეთ მისცა უდიდესი მაგალითი ერისადმი სამსახურისა. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა როდი დაიკვირნის მაჩაბლის დასის ბადალი ღვაწლით ერის თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის და თავისუფლების შენარჩუნების საქმეში. მაჩაბლის დასი დღესაც გვევლინება გმირობის ეტალონად. თელავში ახალი თეატრალური ნაგებობა დიდ პერსპექტივებს შლის კოლექტივის წინაშე, მჯერა, რომ გამოვლინდება ამ დასის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი. ამ რწმენის უფლებას მამღვეს ახალგაზრდა რეჟისორის ალექსანდრე ქანთარიას პირველი სპექტაკლი“.¹

ახალი შენობის გახსნა საერთო სახალხო ზეიმად იქცა. თეატრის წინ სიტყვით გამოსვლების შემდეგ, დარბაზში გაიმართა საზეიმო საღამო. იწყებოდა ახალი ერა თელავის თეატრის ისტორიაში არა მხოლოდ ახალი შენობის გამო, რომელიც მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებდა დასს, არამედ თეატრს შეემატა ახალი თაობა მსახიობებისა. პირველად საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში მომზადდა მსახიობების მიზნობრივი ჯგუფი ექსკლუზიურად თელავის თეატრისთვის. ეს ახალგაზრდობა ძვირფასი შენაძენი იყო. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ნინო კურტანიძე, ზურაბ ლომიძე, ლია ასლამაზიშვილი, მაია ბიჩელაშვილი, გელა ჩოთალაშვილი, ნანა ქემაშვილი და ზაზა კოლეიშვილი. ახალი თაობა თეატრში ორი სპექტაკლით: „დარისპანის გასაჭირი“ და „კუკურაჩა“ მოვიდა (ჯგუფის ხელმძღვანელი – ანზორ ქუთათელაძე).

¹ ალექსიძე დ., გილოცავთ დიდ ზეიმს, გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1983, 13 იანვარი.

განახლებულ თეატრში ნუგზარ ლორთქიფანიძემ ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ ახლებური და ორიგინალური ვერსია მაყურებელს შესთავაზა, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოიმჟღავნა მთელი დასის შემოქმედებითი პოტენციალი. თეატრმა სპექტაკლი თელავში გამართულ კლასიკური დრამატურგიის პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე წარადგინა. დასი ადაპტირებას გადიოდა ახალ შენობაში, დიდი იყო მლელვარებაც, თუმცა სპექტაკლის დამთავრებას ხანგრძლივი ოვაცია გამართა მაყურებელმა. კონკურსზე კი ამ სპექტაკლში გულქანის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის ახალგაზრდა მსახიობ ელდინო ტუხაშვილი სიგელით დაჯილდოვდა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიურ კონკურსში „თანამედროვეობა და თეატრი“ მუდმივმოქმედმა ჟიურიმ 1980–1981 წლების სეზონში შემოქმედებითი წარმატებისათვის პრემია მიანიჭა ნინო მამულაიშვილს თელავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „იცოცხლე და გახსოვდეს“ ნასტენკას როლის შესრულებისათვის. ეს იყო თეატრის მთელი კოლექტივის წარმატების აღიარება.



თეატრის ახალი შენობის გახსნის ცერემონიაზე

1981–1982 წლების თეატრალური სეზონის დასასრულს თელავიდან თბილისში სამოღვაწეოდ გადავიდნენ თეატრის მთავარი რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე, რეჟისორი ნოდარ დეისაძე და ნიჭიერი მსახიობი ნინო მამულაიშვილი.

რეჟისორმა ნოდარ დეისაძემ მისი შემოქმედება მჭიდროდ დაუკავშირდა თელავის თეატრს. მან მოღვაწეობა როგორც მსახიობმა დაიწყო. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მამუკა (ვ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები“), ივანე (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), ჯულურა (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის გმირები“), ნამუსა (მ. კიკვიძის „დემეტრე თავდადებული“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“),

ზურიკო (ნ. ღუმბაძის „მზიანი ღამე“), ირაკლი ბატონიშვილი (აკ. წერეთლის „პატარა კახი“), ზურიკელა (ნ. ღუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) და სხვა. ნოდარ დვისაძეს როგორც რეჟისორს სპექტაკლები დადგმული აქვს ბათუმის, ფოთის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ჭიათურისა და ზუგდიდის თეატრებში, მაგრამ ყველაზე მეტი, 42 სპექტაკლი, მან თელავის თეატრში განახორციელა. მნიშვნელოვანია, რომ ნოდარ დვისაძე ერთგულად ემსახურა თელავის თეატრს, ბევრჯერ, შემოქმედებითად კრიტიკულ და რთულ პერიოდში, გადაურჩენია კიდევ თეატრი და დაუხსნია კრიზისული სიტუაციიდან. თელავის თეატრში მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: აკ. გეწაძის „ყარამან ყანთელიძე“, ნოდარ ღუმბაძის „მზიანი ღამე“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“ კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, ალ. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“, ჩ. ათმატოვის „წითელთავსაფრიანი ტანკენარი“, გრ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“, შ. ცვაივის „სახლი ზღვის პირას“ და სხვა. ნოდარ დვისაძე, როგორც რეჟისორი დაჯილდოებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით სპექტაკლისთვის ვ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები“ (1960 წ.) და 1961 წელს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით კულტურის სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის.



მყურებელთა ფოიე



თეატრის ფოიეს ხელები





თეატრის ფოიეს ხელები





რეჟისორი – ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია

1982 წელს თელავის თეატრს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა, ფაქტობრივად დებიუტანტი რეჟისორი ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია.

ნუკრი ქანთარიამ, ჯერ კიდევ, 1981 წელს შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტმა, თბილისის ფოლკლორის ტაძარში დადგა სადიპლომო სპექტაკლი „თავფარავნელი ჭაბუკი.“ თეატრალურმა საზოგადოებამ სწრაფად შენიშნა ახალი ნიჭის დაბადება. გაზეთმა „თბილისმა“ მეორე დღესვე გამოაქვეყნა დ. მელუხას ვრცელი რეცენზია, რომლითაც იგი ულოცავდა ახალგაზრდა რეჟისორს „ფოლკლორის თეატრის“ დაბადებას. პრემიერიდან სულ მალე გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა თეატრმცოდნე, პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის რეცენზია, სადაც ვკითხულობთ: „ხალხური სიტყვიერების ტაძარში ვნახეთ სიტყვიერების სიბრძნის სიუხვით გამოჩენილი წარმოდგენა. ეს

სახილველი სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის, სიყვარულისა და სიძულვილის რწმენისა და სასოწარკვეთილების, დასაბამისა და უსასრულობის თავსამტვრევ კითხვა-პასუხსა და ურთიერთმიტევათა გამწვავებულ ქმედებაზეა აგებული, ზოგჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უფრო ხშირად კი მითიური „თავფარავნელი ჭაბუკის“ მოხერხებული გაშლით, დროისა და სივრცის გადაადგილებით, აშლილ-დაშლილი თანმიმდევრობით გამოყენებულია თანამედროვე დიდებული და წმიდათაწმინდა, რაც ზეპირსიტყვიერების საუნჯეს ნირშეუცვლელ ცეკვის კულტურას და ბერიკაობას ჩვენ დრომდე მოუტანია... რეჟისორული გადაწყვეტილების სიძნელე ამ მრავალფენიანობის გამთელებაში მდგომარეობდა. თანამედროვეობის თვალსაზრისით, დღესასწაულებრივი განწყობით ეგერეივად საშური მთლიანობა რამდენადმე მიღწეულია... განსაკუთრებით სასიამოვნოა და მხარდასაჭერი მოვლენაა ახალგაზრდების აღფრთოვანებული შემოქმედებითი შრომა, ერთიანი მხატვრული კოლექტივის ჩამოყალიბება. ეს მოთავეობა კი გამოიჩინა რეჟისორმა ნუკრი ქანთარიამ“¹.

თბილისში მოპოვებული ამ გამარჯვების შემდეგ გასაგებია, რომ თელაველი მაცურებელი დიდი ინტერესით ელოდა მისთვის უცნობი რეჟისორის პირველ ნამუშევარს. მალე ახალი სეზონის ორმა პრემიერამ – გურამ დოჩანაშვილის „თავფარავნელმა ჭაბუკმა“ და რეზო ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმებმა“ განსაკუთრებით გაახარა არა მხოლოდ თელაველი მაცურებელი, არამედ პროფესიული კრიტიკა.

ალექსანდრე, იგივე ნუკრი ქანთარიას თელავის თეატრში მოსვლის შემდეგ ახალი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება თეატრის ისტორიაში. მსახიობი თემურ ხუნაშვილი იგონებს: „ნუკრი 23 წლისა იყო, როდესაც ჩვენთან დაინიშნა მთავარ რეჟისორად. მაშინ ასეთი ასაკის იშვიათად ინიშნებოდა ნებისმიერ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ჩვენ ცოტა

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1981, 26 აგვისტო.

ეჭვით შევხვდით, მას ხომ ხელმძღვანელობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა... ნუკრი ქანთარია შვიდი წელი იყო თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი და თამამად შემოიძლია ვთქვა ეს იყო ოქროს ხანა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში. ნუკრიმ აალაპარაკა ქართული თეატრალური სამყარო. უცებ თელავის თეატრი მოექცა ყურადღების ცენტრში. პირველივე სპექტაკლებით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, ერთიც არის, მას ნუგზარ ლორთქიფანიძის მიერ კარგად შეკრული და ფორმაში მყოფი დასი დახვდა“.¹

თეატრის ახალგზარდა, ჯერ კიდევ გამოუცდელმა რეჟისორმა პირველივე დადგმებიდან მიიპყრო თეატრალური საზოგადოების ყურადღება თავისი თეატრალური იდეებით, რეჟისორული აზროვნებით, მოქალაქეობრივი პოზიციით. მისი ხელმძღვანელობით თელავის თეატრი საქართველოს წარმატებულ თეატრთა ჩამონათვალში აღმოჩნდა.



სცენა სპექტაკლიდან „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“, რეჟისორი – ალექსანდრე ქანთარია

პირველსავე სპექტაკლში მკვეთრად გამოიხატა რეჟისორის მისწრაფება თანამედროვე ეროვნული მწერლობისა და დრამატურგიისადმი. პირველი სპექტაკლი, რომლითაც ალექსანდრე ქანთარია თელავის თეატრის შემოქმედებითი ხელმძღვანელის ამპლუაში წარსდგა, რევაზ ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ იყო. სპექტაკლს განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლის შესახებ ბევრი დაიწერა პრესაში. თითქმის არ დარჩენილა მოქმედი კრიტიკოსი საქართველოში, ვინც არ გამოეხმაურა სპექტაკლს, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ რეჟისორის უფროსი კოლეგებიც.

თბილისელმა მაყურებელმა სპექტაკლი გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ნახა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტმა სპექტაკლი სეზონის საუკეთესო ნამუშევრად სცნო და ყოველწლიურ კონკურსში „თანამედროვეობა და თეატრი“ პრემიებით დაჯილდოვდნენ რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია და მსახიობი ზურაბ ანთელავა. თეატრმცოდნემ, პროფესორმა ნათელა არველაძემ წერილიც გაუგზავნა

¹ ხუნაშვილის მით. წიგნი, გვ 79.

თელავის თეატრის: „გილოცავთ და გისურვებთ წარმატებას, ამ მაღალი ტრიბუნიდან მომავალშიც დიდის რუღუნებით დაგეცვათ ქართული თეატრის ღირსება, ქართველი ერის თვითმყოფადი ბუნების წარმოჩენით მამულის სიყვარულში ქადაგნი ყოფილიყავით. გილოცავთ ამ დამსახურებულ ჯილდოს. ვისურვებდი არა ერთგზის მომელოცოს თქვენთვის შემოქმედებითი გამარჯვებები. ბატონი ალექსანდრესა და ბატონი ზურაბის ჯილდო მთელი თქვენი თეატრის სიზარულია და მთელი არსებით ვუერთდები ამ დღესასწაულს. მადლობას გიხდით იმ ბედნიერი წუთებისთვის, რაც თქვენმა სპექტაკლმა მომანიჭა. ჭეშმარიტსა და პატიოსან ცხოვრებას გისურვებთ. გეხვევით ყველას, პატივისცემით ნათელა არველაძე, 9.12.1983 წელი“.¹



სცენა სპექტაკლიდან „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“

გლეხი კაცის მშობლიური წყალ-ჭალის ხმები გულში სწვდებოდა მაყურებელს, მთელი არსებით იზიდავდა პერსონაჟის – სანდროს სულიერი ენებათაღელვა და ახარებდა იმიტომ, რომ თელავის თეატრის სცენაზე დაიბადა თანამედროვე ქართველი გლეხის მხატვრული სახე. „რა ხანია არ გვინახავს ქართულ სცენაზე ასეთი მომზიბლავი, სულით ძლიერი თანამედროვე გმირი... თელავის თეატრიც დრამატული თეატრია, რომელმაც სცენასა და მაყურებელს შორის ახალი ხიდის გადება სცადა...“² – წერდა თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე და ამას იმით ასაბუთებდა, რომ... „სწორედ კახეთი ცოცხლობს სცენაზე, საქართველოს ეს კუთხეა ამჯერად ავტორისა და თეატრის სათქმელის გამოძახებელი, ამიტომაც ძნელი წარმოსადგენია რ. ინანიშვილის ამ გმირთა სხვა თეატრის სცენაზე ასეთი შინაგანი სიმართლით წარმოჩინება.“ დაბოლოს დაასკვნის ავტორი: „სცენურ ნაწარმოებად ქცეული რ. ინანიშვილის პროზა, რომელმაც დღიდან პრემიერისა თეატრის

¹ თეატრმცოდნე ნათელა არველაძის ხელნაწერი ინახება ალ. ქანთარიას საოჯახო არქივში.

² ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 183.

სამყაროშიც დაიღო ბინა, თელავის თეატრის შემოქმედებითი სახის გამომკვეთიც აღმოჩნდა – არც ერთ სხვა თეატრს ეს სპექტაკლი არ შეიძლება ეკუთვნოდეს. ძალზე იშვიათია ასეთი რამ თეატრის ცხოვრებაში და თუ ამ თეატრის მიერ გაკაფული გზა უმშვენიერესი ქართული პროზისაკენ ასე გულმხურვალედ მიიღო მაყურებელმა – დროის მოთხოვნის საპასუხო ყოფილა იგი, როგორც მოქალაქეობრივ, ისე მხატვრული თვალსაზრისით“.¹

სხვათა შორის, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ 1983 წელს ვრცელი (10 გვერდი) სტატია – „რაო, წყალჭალებმა?“ – გამოაქვეყნა ამავე სპექტაკლზე, რომელშიც გამოჩენილი თეატრმცოდნე და კრიტიკოსი დეტალურად მიმოიხილავს სპექტაკლს და, ფაქტობრივად, გვთავაზობს თითოეული მიზანსცენის კვლევას. აქ შეუძლებელია ამ სტატიის სრულად მოყვანა, თუმცა გაგაცნობთ კრიტიკოსის რეცენზიის მნიშვნელოვან ფრაგმენტებს, კერძოდ, რა ღირსებებით იყო შემკული ალექსანდრე ქანთარია სპექტაკლი? ქ-ნი ნათელა ურუშაძე წერს: „სპექტაკლის დინამიკა მხოლოდ მოქმედ პირთა ცხოვრების ემოციური დაძაბულობით არ იქმნება. დიდი ფუნქცია აკისრია მუსიკას (კომპოზიტორი გომარ სიხარულიძე), რეჟისორული თხრობის სტილს და ქორეოგრაფიას (ბალეტმაისტერი ბექარ მონავარდისაშვილი) – ცეკვავენ სოფელში, საღვურზე, თითო-თითოდ, წყვილად, ჯგუფურად, მაგრამ უთუოდ მიმდინარე ამბის საჭიროებით, ამის პირველი საბუთი ისაა, რომ ყველა ცეკვადი მომენტი მის წინა და მის მომდევნო არაცეკვად მომენტს ერწყმის შინაარსობრივადაც და მიზანსცენის საშუალებითაც, რაშიც იგი ექსოვება“.²

მეორე ფაქტორი, რამაც სპექტაკლის წარმატება განაპირობა, ნათელა ურუშაძის აზრით, იყო მსახიობები, რომლებმაც რთული ამოცანა წარმატებით დასძლიეს. „ამ სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა უძრავლესობას მცირე დრო აქვს მოცემული იმისათვის, რომ საკუთარი გმირი უმთავრესი და საინტერესო კუთხით გვიჩვენოს. ისინი ამას ახერხებენ. მოდიხარ თეატრიდან და გახსოვს ყველა: ზურაბ ანთელავას სანდრო, ნინო კურტანიძის თინა, გიორგი პაპოშვილის ღვთისო, ბეგლარ მარტიაშვილის ბებიაშვილი, გიორგი მამუჩიშვილის ვანო, გარი მანველის გივი, ნაზი არავიაშვილის მათიკო, ე. ბაბილაშვილის ესმა, ვენერა ფეიქრიშვილის მაყვალა, ოთარ შუბითიძის ანანო, ზაზა კოლელიშვილის გოგია ბრიგადირი, თემურ ხუნაშვილის წაწაშვილი, მაია ბიჩელაშვილის მანანა, მერი ბაღლიაშვილის ლოთი ქალი, დავით ლაღანიძის რუსი ქმარი, ნანა ქემაშვილის ორივე პერსონაჟი: რუსი ქალი რესტორანში და მატარებლის გამცილებელი. მინიატურების დიდოსტატი მწერალი მსახიობებისგანაც მხატვრულ აზროვნებას ასეთსავე უნარს მოითხოვს. პირველ ყოვლისა სათქმელის სიზუსტით გამოხატვას. სათქმელი კი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავისებურია, მამასადამე, სირთულეც თავისებური. შეცდომის გამოსწორების საშუალება კი არ არსებობს, ჩითის საბნის პატარა კუთხოვანი მოედანი გაქვს მიჩენილი, აქ უნდა მოთავსდე და მის საერთო ფერადოვნებას შენი ფერი შემატო“.³

თელაველთა სპექტაკლი „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ ახალგაზრდული ფესტივალის ფავორიტ სპექტაკლად იქცა. უფრო მეტიც, გახეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ წერდა, რომ ეს იყო ერთგვარი მოვლენა: „პირველი და მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც თავიდანვე უნდა გამოიკვეთოს, ის არის, რომ თეატრში მოვიდა ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი რევაზ ინანიშვილი, მართალია, არა ორიგინალური პიესით, მაგრამ პირველი სათეატრო ნათლობის ფაქტი იმდენად სასიხარულო მოვლენად იქცა, რომ, ჩვენი ღრმა

¹ ზურაბიშვილის მით. წიგნი, გვ. 183.

² ურუშაძე ნ., რაო წყალჭალებმა?, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1983, № 2, გვ. 45.

³ იქვე, გვ. 47.

რწმენით, კვლავ გაგრძელება მწერლისა და რეჟისორის თანამშრომლობა“.

სპექტაკლმა წარმოაჩინა თელავის თეატრის აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი მხატვრული დონე, პროფესიული დახვეწილობა, რეჟისორის აზროვნების მასშტაბი, არტისტული თამაშის სიღრმე, სპექტაკლის ეპიზოდების დინამიკური განვითარება. ის, რომ ნუკრი ქანთარიამ წარმატებით დასძლია პროზის გასცენიურების პრობლემა, მომავალში, დრამატურგიასთან შეხების პროცესი, წარმატების საწინააღმდეგარ იძლეოდა.



სცენები სპექტაკლიდან „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ სპექტაკლის წარმატება, არამედ ის ფაქტი, რომ რევან ინანიშვილი გახდა სათეატრო მწერალი, ისე როგორც გიგა ლორთქიფანიძემ ნოდარ დუმბაძე აქცია სათეატრო მწერლად, ნუკრი ქანთარიამ სცენაზე რევან ინანიშვილის სათეატრო სამყარო შექმნა. ამ პერიოდიდან თელავის თეატრს მჭიდროდ დაუკავშირდა რეზო ინანიშვილი, ნუკრი ქანთარიამ ძიება მწერლის სამყაროში მომავალშიც გააგრძელა.

სპექტაკლს წარმატება ხვდა არა მხოლოდ საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტებზე, არამედ საქართველოს ქალაქებსა და რაიონული თეატრების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე – პირველი პრემია მიენიჭა. მაყურებელმა და ფესტივალის ჟიურიმ ერთხმად აღიარა მისი გამარჯვება. პროფესორი, თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე გაზეთ „კომუნისტში“ წერდა: „თელავის სცენაზე გამოჩნდა ცხოვრების სურათები, ძლიერ, ვნებიან რიტმში მოქცეული ხასიათები, ისინი ჰქმნიან „წყალ-ჭალის ხმებს“. ეს თეატრის შემოქმედებითი განახლების ხმებიც არის... სცენაზე ისახება მრავალპლანიანი სინამდვილე და თითოეული განშტოება ფორმირდება როგორც სრული ნაწილი მთელისა, რიტმული

მონაცვლეობა ახალ სცენურ იმპულსებს ჰქმნის. მსახიობები ეძლევიან არტისტულ შთაგონებას, თავბრუდამხვევად ბრუნავს ცხოვრება, ცეკვის, სიმღერის ფონზე იკვეთება ადამიანთა ხასიათები“.¹

ვ. კიკნაძე მიმოიხილავს სპექტაკლს, აქტიორულ შესრულებას, აღნიშნავს მის ანსამბლურობასა და მალაქმხატვრობას, ღირსებებს; მიუთითებს ახალგაზრდა რეჟისორის ა. ქანთარიას შემოქმედებით ნიჭსა და უნარზე: „ფართოა რეჟისორის მხატვრული თვალსაწიერი წარმოდგენის მთლიანობაში და დანახვის უნარი... სცენები ხალასი ნიჭიერებით არის აღბეჭდილი. ა. ქანთარია მოუსვენარი, ნამდვილი ახალგაზრდული ძიების რეჟისორია. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და საიმედო „ჩემი წყალ-ჭალის ხმები““. რეჟისორმა რეალისტურად მოიაზრა ყოფითი და პოეტური პლანები, ზუსტად განაღვა რთულ მხატვრულ კონსტრუქციაში, შექმნა ერთი მთლიანი პლასტიკური ხაზი. შეძლო ყოველი სცენური დეტალის, მსახიობთა ანსამბლის თითოეული წევრის რიტმული გაერთიანება. ადამიანთა ბედის ჩვენება სულიერი საწყისების წარმოჩენას ემყარება“.²

სპექტაკლის ასეთი წარმატება, გამომხატურება პრესაში, გამარჯვება სხვადასხვა კონკურსში, იყო იყო ოცნების რეალური ასრულება, ჭეშმარიტი გამარჯვებით მიღებული ეიფორია, რომელსაც თანაბრად იზიარებდა თეატრის მთელი კოლექტივი, სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: ზურაბ ანთელავა, ნინო კურტანიძე, ლია ასლამაზაშვილი, გიორგი პაპოშვილი, ბეგლარ მარტიაშვილი, გოგი მაძუჩიშვილი, გარი მანველი, ნაზი არაგვიანი, ეთერ ბაბილაშვილი, ვენერა ფეიქრიშვილი, ოლია შუბითიძე, ზაზა კოლელიშვილი, თემურ ხუნაშვილი, მაია ბიჩელაშვილი, ზურაბ ლომიძე, ცისანა გიგაური, ნანა ქემაშვილი, დავით დალანიძე, ნუკრი არჩვაძე და სხვები.

სპექტაკლში იმდენი სახიერი, ცოცხალი მხატვრული სცენა იყო, რომ ხიბლავდა მაყურებელს აქტიორული და მოქალაქეობრივი პოზიციით, ზნეობრივი ძალით, ხალხური სიბრძნით, ხალასი რეჟისორული ნიჭიერებითა და სპექტაკლში ნაჩვენები პრობლემის თანადროულობით. სპექტაკლის შესახებ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ წერდა: „რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია სახიერი სათეატრო აზროვნებით მაშულის სიყვარულის ძლიერი განცდით მუხტავს დარბაზს. რეჟისორული მიგნებანი, დახვეწილი პლასტიკური მონახაზი, მსახიობთა წრფელი განცდა – სამყაროს ქაოსური წრებრუნვის გონიერმა ჭვრეტამ და ანალიზმა დაბადა უთუოდ. თელაველთა სპექტაკლში რეჟისორული ძლიერი ნებით ორგანულად არის დაკავშირებული ყოველი შემოქმედის ინდივიდუალური მონაცემები. ეს რთული პოლოფონიური წყობის სანახაობა, ერთ მთლიანობაშია მოქცეული და ერთი სოფლის ბინადართა ყოფის ჩვენებით, გამოხატავს საერთოდ თანამედროვეთა გულისნადებს. გულწრფელი და პატიოსანია თეატრი თავის სათქმელის გამხელაში“.³

სპექტაკლის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ შესახებ წერდა თეატრმცოდნე, პროფესორი ნათელა არველაძე, რომელმაც ვრცელი რეცენზია უძღვნა სპექტაკლს. თეატრმცოდნე ასახელებდა სპექტაკლის რამდენიმე ღირსებას. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ ალექსანდრე ქანთარია თეატრში თავისი სათქმელით მივიდა, სადაც კარგად გამოჩნდა როგორც ხელოვანის მოქალაქეობრივი პოზიცია. „თეატრის პოზიცია არც ყალბი პატრიოტული ნიღბით იყო გადმოცემული, არც ილუსტრაციული სპექტაკლისთვის დამახასიათებელი ჭარბი ტენდენციურობით“.⁴ სპექტაკლი ჩაფიქრებული იყო როგორც მწერლისა და რეჟისორის ერთობლივი მონოლოგი, განდობა მაყურებლის წინაშე, რომელშიც აქტიურად, ორგანულად და ბუნებრივად ჩაერთო თელავის თეატრის დასი.



¹ კიკნაძე ვ., ჩვენი წყალ-ჭალის ახალგაზრდული ხმები, გაზ. „კომუნისტი“, 1983, № 131.

² იქვე.

³ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 12, გვ. 158.

⁴ არველაძე ნ., ჩვენი წყალ-ჭალის ხმები, გაზ. „თეატრი“, 1983, 14 იანვარი.

ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია
რეპეტიციაზე



სპექტაკლს გამოეხმაურნენ ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწეები. მსახიობი მედეა ჯაფარიძე ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „ჩემთვის ძალიან სასიხარულო ფაქტი იყო წარმოდგენა „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“, რომელიც თელავის თეატრმა რევან ინანიშვილის მოთხრობების მიხედვით გვიჩვენა გრიბოედოვის თეატრის სცენაზე. ასეთი წარმატება იშვიათად ხდება ხოლმე და ეს სპექტაკლი იყო ნამდვილი ზეიმი. სცენაზე იდგნენ ნიჭიერი მსახიობები, რომლებმაც ერთ საღამოში შეაყვარეს მაცურებელს თავი...“¹

„ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ მწერალმა საგანგებოდ თელავის თეატრისთვის, ალექსანდრე ქანთარიასთან თანამშრომლობით დაწერა. ეს თანამშრომლობა შედეგიანი აღმოჩნდა და წარმატებულიც. პრესაში წერდნენ, რომ ალექსანდრე ქანთარიას მოსვლით თელავის თეატრში ახალი ერა დიწყო, არავენ ელოდა ასეთ წარმატებას. რეჟისორმა კარგად იცოდა, თუ რა თემატიკა შეიძლება ყოფილიყო ამაღელვებელი არა მხოლოდ თელაველი მაცურებლისთვის, არამედ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის ქართული თეატრისთვის. ალექსანდრე ქანთარიას სპექტაკლები, განხორციელებული თელავის თეატრში, ძირითადად ეროვნული ტრადიციებს ემყარებოდა, დიმიტრი ჯანელიძემ მის სპექტაკლებში რიტუალურ თეატრთან და ხალხურ სათეატრო საწყისებთან მიახლოება და ამ ტრადიციის ახლებური, თანამედროვე გააზრება დაინახა.



**ზურაბ ანთელავა
სცენა სპექტაკლიდან
„ჩემი წყალ-ჭალის ხმები“**

სპექტაკლზე ალექსანდრე ქანთარიასთან ერთად იმუშავა მხატვარმა თამაზ როსტომაშვილმა და კომპოზიტორმა გომარ სიხარულიძემ. სპექტაკლის ქორეოგრაფიული ნაწილი ბექარ მონავარდისაშვილს ეკუთვნოდა. სპექტაკლში თელავის თეატრის სხვადასხვა თაობის საუკეთესო მსახიობები მონაწილეობდნენ: ზურაბ ანთელავა, ნინო კურტანიძე, ლია ასლამაზიშვილი, გიორგი პაპოშვილი, ბეგლარ მარტიაშვილი, გიორგი მაჭუჩიშვილი, გარი მანველი, ნაზი არავიაშვილი, ეთერ ბაბილაშვილი, ვენერა ფეიქრიშვილი, ოლღა შუბითიძე, ზაზა კოლელიშვილი, თემურ ხუნაშვილი, მაია ბიჩელაშვილი, ზურაბ ლომიძე, ცისანა გიგაური, მერი ბალღიაშვილი, ნანა ქემაშვილი, დავით ღალანძიძე, ნუკრი არჩვაძე და მასიურ სცენებში: ცისანა ქოთოლაძე, გიორგი დოლონაძე, ავთანდილ გულიაშვილი, ელენე ხანჯალიაშვილი.

გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ, რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ ერთგვარად შეაჯამა თეატრის მუშაობა და ადგილობრივ კორესპოდენტს სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა. თეატრის წარმატებას იგი მთელი თელავის წარმატებად მოიაზრებდა: „ჩვენ დიდ ტრადიციებს ვაგრძელებთ, რომელიც ჩვენამდე არა ერთმა შესანიშნავმა მსახიობმა და რეჟისორმა მოიტანა. ეს აღიარება კი, რომელიც ჩვენს თეატრს ხვდა წილად, მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ახლა უკვე თანამედროვე ქართველი დრამატურგის ლაშა

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1983, 22 დეკემბერი.

თახუკაშვილის პიესაზე „ათვინიერებენ მიმინოს“ ვმუშაობთ...“¹

თელავის თეატრის მიმართ საზოგადოების ინტერესი არ შენელებულა, უფრო მეტიც, სპექტაკლით „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ თბილისს მეორედ, ახალგაზრდული სპექტაკლების მეორე საკავშირო ფესტივალს ეწვია. თეატრმცოდნე მაია კობახიძე გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ ფურცლებზე წერდა, რომ განსაკუთრებული მრეღვარებით ელოდა საზოგადოება თელავის თეატრს, რომელიც ხსნიდა საკავშირო ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამას და თელავის თეატრის წარმატება მნიშვნელოვანი იყო ზოგადად ქართული თეატრისთვის ეფექტის მოსახდენად, სპექტაკლს პირველი მერცხლის როლი უნდა შეესრულებინა. ამავდროულად, საინტერესო იქნებოდა და ამაღლებებელიც, როგორ მიიღებდა მას ფესტივალის მაყურებელი, მონაწილეები და კოლეგები სხვა ქვეყნებიდან. როგორც თეატრმცოდნე წერს, სპექტაკლის დასრულების შემდეგ, განხილვაზე თელაველთა სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია ფესტივალის მონაწილეებს შორის და მოწონებაც დაიმსახურა: „სპექტაკლის პოლიფონიურ სტრუქტურაში განხილვის თითოეულმა მონაწილემ გარკვეული, მისთვის უმთავრესი თემა გამოყო და, რაც მთავარია, აღმოჩნდა, რომ სპექტაკლმა არცერთი მათგანი არ დატოვა გულგრილი“.²



სპექტაკლის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ პრემიერის შემდეგ

მეორე სპექტაკლი, რომელიც ალექსანდრე ქანთარია თელავის თეატრში დადგა, იყო გურამ დოჩანაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“. ეს იყო თეატრის და ახალგაზრდა რეჟისორის მეორე ღირსეული გამარჯვება. ნუკრი ქანთარია მოგვევლინა როგორც თამამი ექსპერიმენტებისა და მუდმივი ძიების მოყვარული რეჟისორი. „თავფარავნელი ჭაბუკი“ ალექსანდრე ქანთარიას სადიპლომო სპექტაკლი იყო, რომელმაც სტუდენტობის

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1984, 14 იანვარი.

² კობახიძე მ., სამშობლოს გაცდა თელაველთა სპექტაკლში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1985, 21 ნოემბერი.

მიწურულს რეჟისორს დაუმკვიდრა ადგილი ქართულ თეატრში და მიაპყრო საზოგადოების ყურადღება მისი შემოქმედებისადმი. შინაარსობრივად სრულიად ტრადიციული ტექსტი რეჟისორმა არატრადიციულ სათეატრო სივრცეში გადაიტანა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში რეჟისორები როდი მიმართავდნენ ალტერნატიულ სივრცეების ათვისების ხერხს, ეს იმ პერიოდში იშვიათობა იყო. ალექსანდრე ქანთარია სპექტაკლი თეატრის ახლად გახსნილ შენობის ფოიეში, ერეკლემ მეფის დროინდელ სადროშოსთან დადგა. „აქ ყველაფერი პოეტური და ეროვნული სულისა იყო – წერდა გამოჩენილი თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე – ლექსიც, სიმღერაც და ცეკვაც. რეჟისორმა იპოვა სათქმელის ფორმა. 22 წლის ალექსანდრე ქანთარია თელავის თეატრში მოღვაწეობის პირველ ეტაპზე სავსებით მიზანმიმართულად და გააზრებულად დაეწაფა ეროვნულ მწერლობას, მან აქ იპოვა თავისი სათქმელი. მის სპექტაკლში ყველაფერი ცოცხლობს, არტისტულად ზეიმობს...“¹ „თავფარავნელი ჭაბუკი“ კარგად გამოიკვეთა რეჟისორ ალექსანდრე ქანთარიას რეჟისორული მსოფლმხედველობა, მისწრაფებები და ინტერესები სათეატრო სამყაროში. სპექტაკლი მითოსს და ფოლკლორს ეფუძნებოდა, მასში ასახული იყო ქართველი ხალხის უძველესი ცხოვრების, რწმენის, ფიქრის, ზნე-ჩვეულებისა და მხატვრული გენიის ისტორიული პროცესი. ხალხური პოეზია ორიგინალურად გამოიყენა პიესის ავტორმა გურამ დოჩანაშვილმა და რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ თეატრალიზებული სანახაობის შესაქმნელად.



სცენა სპექტაკლიდან „თავფარავნელი ჭაბუკი“, რეჟისორი – ალექსანდრე ქანთარია

„თავფარავნელი ჭაბუკი ზღვის გაღმა ქალსა ჰყვარობდა...“ ქართული ხალხური ბალადის ამ ფონზე ერთიანდება მრავალი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი თქმულება, რომელიც ერთ მთლიან სიუჟეტად იქცევა.

სიახლის ძიებაში მიგნებული ბრწყინვალე გადაწყვეტა იყო სპექტაკლის სცენოგრაფია, რომელიც ახალგაზრდა მხატვარს ლევან როსტომაშვილს ეკუთვნოდა, სპექტაკლი

¹ კიკნაძე ვ., ჩვენი ახალგაზრდობა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1983, 28 მარტი.

თეატრის ფოიეში დაყოლიებული ისტორიული ძეგლის – „ერეკლეს სადრომოს“ ფონზე გათამაშებული წარმოდგენა განსაკუთრებულ კოლორიტს ანიჭებდა სპექტაკლს.

სპეციალურად მოწყობილ მაყურებელთა მცირე დარბაზიდან „სადრომომდე“ ხელოვნურად შექმნილი სცენა, სიძველისაგან უკვე სამუზეუმო ექსპონტებად ქცეული ქართველი გლეხკაცის ტანსაცმელი. მზისგან გადატრუსული ბალახი, ქვევრებიდან მოჩუხჩუხე „შადრეენები“ და თვით „სადრომო“ ორგანულ კავშირშია სპექტაკლთან და მთელი სიძლიერით განსაზღვრავს საერთო სცენურ პროცესს. „სადრომოს“ ძველი და მკვიდრი კედლები ბუნებრივად გადმოსცემენ მსახიობთა მიერ პათოსით წარმოთქმულ მონოლოგების ექოს – პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ამაღლევებელი განცდების ექსპრესიულ გამოძახილს, რაც მაყურებელს თავიდანვე აგრძნობინებს, რომ იგი ქართველი გლეხკაცის შორეული წარსულის ზღაპრული და შთამბეჭდავი ცხოვრების სანახავად იყო მოსული. სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: ზ. კოლეიშვილი (თაფარავენელი), ვ. იანტბელიძე (გიორგი პაპა), თ. ხუნაშვილი (სესია), ზ. ლომიძე (გახუტა), ლ. ასლამაზიშვილი (დედაბერი), ნ. კურტანიძე (ეფემია), დ. ლალანიძე (ორბი, მევალე) შ. ბეჟანიშვილი (უსახელო) შესანიშნავად გადმოსცემდნენ მხატვრულ სახეთა შინაგან ბუნებას და ხალისიან, ამაღლებულ, ანსამბლურ სპექტაკლს ჰქმნიან.



სცენა სპექტაკლიდან „თაფარავენელი ჭაბუკი“

სპექტაკლს ფართო გამოხმაურება მოჰყვა პრესაში – საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე: „საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა გაშალა ახალგაზრდა რეჟისორმა ნუკრი ქანთარიაძემ თელავის თეატრში. განსაკუთრებით მახარებს, რომ მისი სპექტაკლების საფუძველი ეროვნული მწერლობაა“. სპექტაკლზე წერდა თეატრმცოდნე კოტე ნინიკაშვილიც, რომელმაც ვრცელი წერილი უძღვნა თელავის თეატრს შემოქმედებით ძიებებს გასული საუკუნის 80-იან წლებში.

კრიტიკოსი წერდა: „ალექსანდრე ქანთარია ცდილობს ქართულ ფოლკლორში აღმოაჩინოს სასცენო ხელოვნებისთვის საინტერესო თემები. სწორედ ამის დასტურია „თავფარავნელი ჭაბუკი“. თეატრის ფოიეში რუხი ფარდებით შემოსაზღვრული სივრცე მცირე დარბაზს ქმნის. გრანიტის იატაკი მოფენილია გამხმარი ბალახით, აქა-იქ კიდია ჩოხა-ახალუხი. სპექტაკლში მთლიანად ახალგაზრდა თაობაა დაკავებული, რომლებიც მნიშვნელოვან მხატვრულ სახეებს ქმნიან სპექტაკლში“.¹ სპექტაკლი არა მხოლოდ თელავის თეატრის, არამედ ზოგადად ქართული თეატრის გამარჯვებად მოიაზრებოდა. კრიტიკოსები წერდნენ, რომ ნუკრი ქანთარიამ თელავის თეატრთან ერთად შესძლო ხალხური პოეზიის სცენაზე სულ სხვა მასშტაბში და ხარისხში დაბრუნება. თელავის თეატრი ეტაპობრივად ექცეოდა საინტერესო და პროფესიულად განვითარებადი თეატრების რიცხვში.



სცენა სპექტაკლიდან „თავფარავნელი ჭაბუკი“

პროფესიული სრულყოფა და განვითარება დაუცხრომელი შრომისა და მუშაობის შედეგი იყო. მსახიობი თემურ ხუნაშვილი იგონებს, რომ „ნუკრიმ სავალდებულო სავარჯიშოები შემოიღო: ტანვარჯიში, ცეკვის გაკვეთილები, სასცენო მოძრაობის დახვეწა. ახალგაზრდებთან ერთად ჩვენც ვვარჯიშობდით და ამიტომ მუდამ ფორმაში ვიყავით. ამ დროს ჩვენი მუშაობა თავგანწირული იყო, დილით შესულები თეატრში, გვიან ღამით ვბრუნდებოდით სახლში. მასსოვს, ნუკრის მაღალი სიცხეები ჰქონდა, მაგრამ რეპეტიციები არ შეუჩერებია, სამაგიეროდ, შედეგი დიდებული იყო“.²

მართლაც, თეატრის მსახიობების და მთელი შემოქმედებით-ტექნიკური გუნდის ერთუნიანობა იყო უსაზღვრო. მათ ერთი მხრივ, გაამართლეს ახალი სათეატრო ნაგებობის საჭიროების აუცილებლობა, ხოლო მეორე მხრივ, შექმნეს პროფესიული თეატრი, რომელიც ხარისხით გასცდა ერთი კონკრეტული რეგიონის ფარგლებს.

¹ ნინიკა შვილი კ., თეატრის დღესასწაული კახეთში, გაზ. „ქართული თეატრის დღე“, 1985, გვ. 2.

² ხუნაშვილის მით. წიგნი, გვ. 91.

ნუკრი ქანთარია კვლავ აგრძელებდა თანამედროვე ქართული ავტორების წარმოჩენას, თეატრის რეპერტუარის მათი სახელებით გამდიდრებას, ქართული დრამატურგიის ახალი სახეებით მნიშვნელოვანი პრობლემების წარმოჩენას. ასეთ დრამატურგად მოიაზრა რეჟისორმა და თეატრის ხელმძღვანელმა ლაშა თაბუკაშვილი, რომლის პიესა „ათვინიერებენ მიმინოს“ 1984 წელს დაიდგა თელავის თეატრის სცენაზე. რეჟისორმა ამ პიესის დადგმით გააფართოვა მაყურებელთა წრე, შემოიკრიბა ახალგაზრდობა, რომელმაც დაიწყო თეატრში ინტენსიური მისვლა. მსახიობებს გაუჩნდათ თავიანთი მემკვიდრეები. თეატრმცოდნე ვაჟა ძიგუა სპექტაკლზე წერდა: „თელავის თეატრმა ბოლო წლებში შემოქმედებითი ძიების, ახალი სტილისტიკის დამკვიდრების, რეჟისორული და აქტიორული ხელოვნების თანამედროვე მიღწევათა მხარდამხარ მრავალმხრივ საინტერესო სპექტაკლები გაასორცია, რამაც მაყურებელთა ფართო აუდიტორია მოუპოვა. სპეციალისტთა მათ მიმართ დამოკიდებულება გახდა უკომპრომისო, მომთხონი და გაჩნდა ბუნებრივი მოთხოვნილება თეატრის ნამუშევრების მაღალი პოზიციებიდან შეფასების. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ სადღეისოდ თელაველთა სპექტაკლები განიხილება, როგორც ერთ-ერთი მიღწევა ქართული თეატრის განვითარების თანამედროვე ეტაპზე“.¹ ალექსანდრე ქანთარია რეპერტუარის შერჩევის დროს, არ ერიდებოდა სიმძვინვარებას, ცდილობდა რთული, მაგრამ თელავის თეატრის იმ პერიოდის დასისთვის დაძლევადი ნაწარმოებების სცენურ ხორცშესხმას. ამ სპექტაკლშიც თეატრის ახალგაზრდა თაობა სრულად იყო წარმოდგენილი. მასიურ სცენებში ანსამბლურობა სუფევდა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ზურაბ ანთელავა (პატრონი), ზაზა კოლეღიშვილი (გიო), ზურაბ ლომიძე (იონა), ნანა ქემაშვილი (ანო), ნინო კურტანიძე (მერი) და სხვები. სპექტაკლი, როგორც მსახიობები იგონებენ იყო „სულის შემძვრელი, დაძაბული რიტმით, ამაღლებული, ორიგინალური თეატრალური ხერხებით, უზადო პლასტიკური ნახაზით შემკული, მართლაც გამორჩეული სპექტაკლი გამოვიდა“.²



სცენა სპექტაკლიდან „ათვინიერებენ მიმინოს“

სპექტაკლს გამოეხმაურა ცნობილი რეჟისორი და პედაგოგი ლილი იოსელიანიც. „ალექსანდრე ქანთარია ჯერ ძალიან ახალგაზრდა, მზარდი რეჟისორია, მას საინტერესოდ გადაუწყვეტია პიესის ალეგორიულ-სიმბოლური სახე. ეს გახლავთ ძირითადად პლასტიკური ხერხებით გამოხატული მეტაფორული აქცენტები. უნდა აღინიშნოს მსახიობების კარგი მომზადება, დახვეწილი პლასტიკურობა. რეჟისორი ფლობს სინთეზური და პირობითი თეატრის ელემენტებს და ამ მხრივ მას უკვე ოსტატურად ემჩნევა“.³

1982–1983 წლების სათეატრო სეზონზე თელავის თეატრმა გასტროლები გამართა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში. საგასტროლო სპექტაკლებად შეირჩა თეატრის ბოლო ორი წარმატებული სპექტაკლი: რევან ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“ და ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“. ეს იყო პირველი საერთაშორისო გასტროლი

¹ ძიგუა ვ., „ათვინიერებენ მიმინოს“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1984, № 9, გვ. 29.

² ხუნაშვილის მით. წიგნი, გვ. 91.

³ გაზ. „კომუნისტი“, 1984, 8 ივნისი.

თელავის თეატრის ისტორიაში, დასისთვის კი დიდი პასუხისმგებლობა ამავედროულად. სპექტაკლები კინგისების აკადემიურ თეატრში გაიმართა. თელავის თეატრის სახელი უცხო იყო ესტონელი მსყურებლისთვის. გასტროლებს გამოეხმაურა ესტონური პრესაც. ორი წერილი დაიბეჭდა ერთი გაზეთში „სოვეცკაია ესტონია“, ხოლო მეორე „ვეჩერნი ტალინიში“. ხელოვნებათმცოდნე ბორის ტუხი წერდა: „სპექტაკლმა „ჩემი წყალ-ჭაღის



სცენა სპექტაკლიდან „ათვინიერებენ მიმინოს“

ზმები“ განგვაკვიფრა თავისი არაჩვეულებრივი ემოციურობით, სიღრმით, მშობიური მიწის უდიდესი სიყვარულით. ეს სიყვარული მოქმედი გმირების ყოველ მოძრაობაშიც კი მჟღავნდებოდა. აღგვაფრთოვანა სპექტაკლში ძალზედ ზუსტად მიგნებულმა მასობრივმა სცენებმა, რომლებიც ავსებენ და ავითარებენ ყოველივე იმას, რაც პიესის ტექსტში ნაკლებად არის მოცემული“.¹ არანაკლებ წარმატება ხვდა წილად სპექტაკლს „ათვინიერებენ მიმინოს“, კრიტიკოსი გამოყოფდა თეატრის მაღალ სადადგმო და საშემსრულებლო კულტურას: „შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სპექტაკლი „ათვინიერებენ მიმინოს“ არის საოცრად სრულყოფილი, დახვეწილი, ფსიქოლოგიური სიღრმით გამსჭვალული უაღრესად საინტერესო ნაწარმოები, სადაც გამოჩნდა თეატრის მაღალი სცენური კულტურა, მისი ახალგაზრდა ხელმძღვანელის შემოქმედებითი სიმწიფე და სპექტაკლის მონაწილეთა მკვეთრი და ფართო შესაძლებლობანი“.² თეატრი წარმატებული გასტროლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მოტივირებულად შეუდგა მუშაობას.

1983–1984 წლების სათეატრო სეზონზე თეატრმა იგივე შემოქმედებითი ჯგუფით დადგა ვ. იაკაშვილის „ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკა“, ერთი ნაწილი მეფე ერეკლეს ცხოვრებას და მოღვაწეობას ასახავდა, ხოლო მეორე – საქართველოს

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1984, 26 ივლისი.

² გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1984, 12 სექტემბერი.

უკანასკნელი მეფის გიორგი XII. სპექტაკლში თითქმის მთელი დასი მონაწილეობდა. როგორც მსახიობი თემურ ხუნაშვილი იგონებს, „მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი „გეორგევსკის ტრაქტატის“ დადების 200 წელს მიეძღვნა, სიზუსტითა და სიმძაფრით იყო გამოხატული რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, მისი უხეში ჩექმის ქვეშ როგორ ისრისებოდა ბაგრატიონთა დინასტია“.¹ როგორც მოგონებიდან ირკვევა, სპექტაკლს დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან, აპირებდნენ მის შეჩერებას, მაგრამ მხატვრული ღირსებების გამო ვეღარ გაბედეს სპექტაკლის დაბლოკვა. ამავე სეზონზე თეატრში სპექტაკლს დგამს გერმანიიდან მოწვეული რეჟისორი ჰერმენ ველეკინდი. გერმანელმა რეჟისორმა არჩევანი ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულზე“ შეაჩერა. პიესა ერთხელ უკვე იყო დადგმული თელავის თეატრში თენგიზ მაღალაშვილის მიერ, ეს კი სრულიად განსხვავებული და ახლებური დადგმა იყო, რომელშიც თეატრის ახალი თაობა მონაწილეობდა.



ალექსანდრე ქანთარია და ჰერმან ველეკინდი

ჰერმან ველეკინდი 1943 წლიდან მუშაობდა ბერლინის ნაციონალურ თეატრში, ცნობილ გერმანელ მსახიობთან და რეჟისორთან ჰანს ჰილპერტთან, როგორც მისი პირადი ასისტენტი; 1943–1944 იყო დრეზდენის სახელმწიფო ოპერის მომღერალი; 1946–1950 ბონის თეატრის მთავარი რეჟისორი, 1950–1954 მიუნსტერის თეატრის, 1960 წლიდან ზაარბრიუკენის შტაატსთეატრის (შემდეგ ეწოდა ზაარის შტაატსთეატრი) ხელმძღვანელი; ველეკინდისა და თეატრის მთავარი დირიჟორის ზიგფრიდ კელერის შემოქმედებითა ტანდემმა ზაარბრიუკენის თეატრს სახელი გაუთქვა, მათ 1973 წელს ერთად განახორციელეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

ვაგნერის ოპერა „ლოუნგრინი“, 1975 წელს მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“; 1974 წელს ველეკინდის ინიციატივით ქ. ზაარბრიუკენში დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“; ველეკინდისა და მისი მეგობრის ოსკარ ლაფონტენის ხელშეწყობით ქალაქები ზაარბრიუკენი და თბილისი პირველი დამეგობრებული ქალაქები გახდნენ; მისი დადგმებია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე: ვაგნერი „ლოუნგრინი“, „მფრინავი ჰოლანდიელი“ (1973, 1976), მოცარტი „ჯადოსნური ფლეიტა“ (1975, ქართულ ენაზე), გუნო „ფაუსტი“ (1978), საქართველოში პირველად დადგა ბეთჰოვენის ოპერა „ფიდელიო“ (1994); 1992 წელს თბილისში გაიხსნა ჰერმან ველეკინდის მუზეუმი; საოპერო მომღერალი (დრამატული ტენორი), თეატრის ინტენდანტი (1970). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისათვის მიღებული აქვს დიდი ჯვარი, ჩრდილოეთ ვეინ-ვესტფალის მედალი, ზაარის ორდენი. აი, ამ ბიოგრაფიის

¹ ხუნაშვილის მით. წიგნი, გვ. 92.

რეჟისორმა დაიწყო თანამშრომლობა თელავის თეატრთან, რომელმაც კვლავ მოსინჯა ძალები დრამატულ თეატრში.



ალექსანდრე ქანთარია და ჰერმან ველეკინდი

საქართველოსთან დამეგობრებულმა გერმანელმა რეჟისორმა სიამოვნებით მიიღო შეთავაზება ემუშავა თელავის თეატრთან. რეპეტიციები სულ 40 დღე გაგრძელდა. როგორც პრესაზე დაყრდნობით ირკვევა, სპექტაკლი საშუალო მხატვრული დონის გამოვიდა. შილერის მასშტაბის დასაძლევად დასს ცოტა დრო ჰქონდა. გარდა ამისა, წარმოდგენა დიდხანს გრძელდებოდა და მოსაწყენიც იყო. მომდევნო წლებში ჯერი კვლავ ეროვნულ დრამატურგიაზე კეთდებოდა. ალექსანდრე ქანთარიამ გურამ ბათიაშვილის „წერილები შვილებს“ დადგა.



დimitრი ალექსიძე და ალექსანდრე ქანთარია

თელავის თეატრი ყოველთვის უთმობდა სივრცეს ახალგაზრდა რეჟისორებს. ბევრი რეჟისორის დებიუტი სწორედ თელავის თეატრთან თანამშრომლობით შედგა. 1983–1984 წლების სეზონზე დებიუტანტმა ლაშა კოტირიკაძემ მ.ელიოზიშვილის „ბერიკაობა“, ხოლო მალხაზ ასლამაზიშვილმა გიორგი ნახუცრიშვილის „კომბლეს“ დადგმა განახორციელეს.



**სცენა სპექტაკლიდან
„ამბავი თავთა და კაცთა“**

მალხაზ ასლამაზიშვილმა 1984 წელს დამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრალური სახელმწიფო ინსტიტუტი დრამის რეჟისორის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა რეჟისორმა მუშაობა თელავის თეატრში დამდგმელ რეჟისორად დაიწყო. უჩვეულო წარმატებით დაიწყო მალხაზ ასლამაზიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება თელავის თეატრში. მან სადიპლომო სპექტაკლი გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ სწორედ აქ დადგა. როგორც იმ პერიოდის პრესა წერდა „ენტუზიაზმით შეუდგა რეჟისორი მუშაობას, მან მეტყველი დეტალებით დახატა თავის სპექტაკლში თითოეული მოქმედი პერსონაჟი, მათი ბუნება, ხასიათი რეჟისორული კანონების სრული და ზუსტი დაცვით

გადმოგვცა“.¹ სრულიად განსხვავებულ სტილისტიკაში დადგა მეორე სპექტაკლი მალხაზ ასლამაზიშვილმა ჯონ სტაინბეკის „ამბავი თავთა და კაცთა“, ნაწარმოების ინსცენირება თავად რეჟისორს ეკუთვნოდა. პირველ დამოუკიდებელ დადგმას რეჟისორი დიდი სიფხიზლით ეკიდებოდა და შედეგად თელავის თეატრმა მიიღო, როგორც თეატრმცოდნე მაია კობახიძე ღნიშნავდა: „დინამიკური, ზეაწეულ ტონებში დადგმული სპექტაკლი. ჩვენს წინაშე გათამაშებული პატარა ამბავი სინამდვილეში მრავლისმთქმელი აღმოჩნდა. ეს არის ამბავი მეოცნებეთა შესახებ, კეთილშობილური და მერკანტილური, ყოფითი და ზღაპრული ოცნებების შესახებ, რომელთაც ახდენა არ უწერიათ“.² სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: გელა ჩოთლაშვილი, ვანო იანტბელიძე, დავით მდივნიშვილი, დავით ლალანიძე, მარინე ზაუტაშვილი, გიორგი მამუჩიშვილი, ავთანდილ გულიაშვილი, ბიძინა ჯვავახია, კარლო ქართველიშვილი. სპექტაკლი მხატვრულად ლევან როსტომაშვილმა გააფორმა. ხელოვნებათმცოდნე ლელა ოჩიაური სპექტაკლის შეფასებისას წერდა: „მალხაზ ასლამაზიშვილმა სპექტაკლში საინტერესო სამსახიობო ანსამბლი დააკავა. უფროსი და ახალგაზრდა თაობის არტისტები მთელი გრძნობით ანსახიერებენ პერსონაჟებს. მათ თავიანთი შესაძლებლობები ახალ ასპექტში წარმოადგინეს“.³ მალხაზ ასლამაზიშვილი და თელავის თეატრის მსახიობები სპექტაკლით ადამიანთა ცხოვრების სერიოზულ ამბავს ყვებოდნენ, ამბავი ოცნებათ კვდომისა და მბჟუტავი იმედის გაქრობისა.


მალხაზ ასლამაზიშვილის მორიგი დადგმები თელავის თეატრში სპექტაკლები „დაწინაურება“, „ჩრდილი“ და „არავინ დაიჯერებს“, რითაც რეჟისორი იმ პერიოდის თანამედროვე სათეატრო ხერხებს ნერგავდა. მალხაზ ასლამაზიშვილი თითქოს სათქმელს ზღაპარში ეძიებდა. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავდა მისი სპექტაკლების ფორმასაც, იან ეკპოლმის ზღაპრის მიხედვით პოლოსკის მიერ შექმნილი ორმოქმედებიანი პიესა

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1984, 22 სექტემბერი.

² კობახიძე მ., რამდენი ზღვა უნდა გადაიფრინოს თეთრმა მტრედმა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1984, 13 იანვარი.

³ ოჩიაური ლ., დებიუტი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1984, 13 იანვარი.

„არავინ დაიჯერებს“ იყო მორიგი წარმატება, როგორც ახალგაზრდა რეჟისორისთვის, ასევე თელავის თეატრისთვის. სპექტაკლს გამოეხმაურა იმხანად პოპულარული კრიტიკოსი და თეატრმცოდნე ანა ჭავჭავაძე. კრიტიკოსიც სწორედ იმას აღნიშნავდა, რომ ქართულმა თეატრმა თითქოს მიივიწყა ზღაპარი, როგორც ალეგორიული თხრობის ფორმა, რომელიც სცილდება საბავშვო აუდიტორიას და საზოგადოებრივ მარადიულ პრობლემებს მთელი სიმწვავეით სვამს. „რეჟისორმა წარმოვედგინა ცხოვრება როგორც ის არის, რას ვიზამთ? ცხოვრება პარადოქსებზეა აგებული, ბევრი რამ დაუჯერებელია, მაგრამ უნდა დავიჯეროთ, მაგალითად ის, რომ მელაკუდა უსვამს კითხვას საკუთარ თავს: გარშემო სულ თაღლითები როგორ არიან?! რატომ ვერავის ვერ უნდა ენდო?! მელაკუდა და ნლობა? სასაცილოა, მაგრამ უნდა დავიჯეროთ!“¹ მორიგი სპექტაკლი, ისევ ზღაპრულ სიუჟეტზე დაყრდნობით, მალხაზ ასლამაზიშვილმა ევგენი შვარცის პიესით მიხედვით „ჩრდილი“ განახორციელა. რეჟისორის ინტერპრეტაციაში პიესამ მრავალი ცვლილება განიცადა: შეიცვალა იდეურ-კონცეფციური საფუძველი, გმირთა ბუნება. აშკარად გამოვლინდა რეჟისორის დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. იგი ტკივილის დამალვის, იუმორის, კომიკური ელემენტებისა და ტრიუკების მეშვეობით ახერხებს სათქმელის თქმას. ხელოვნებათმცოდნე ლელა ოჩიაური სპექტაკლზე წერდა: „რეჟისორი ეთანხმება აზრს, რომ ადამიანი ბოროტი არ იბადება, ის მერე იძენს ყველა თვისებას და გარემო აიძულებს მას შეცვალოს ცხოვრების წესი. ეს ზახია გატარებული სპექტაკლში. მალხაზ ასლამაზიშვილის სპექტაკლი გაფრთხილებაა, მისი გზა პირდაპირ მაყურებელია, რომელიც პატიოსნებისკენაა მიმართული“.² მალხაზ ასლამაზიშვილმა რეჟისორული გამოწრთობის წლები თელავის თეატრში გაატარა. მისთვის თელავის თეატრი იყო სივრცე, სადაც დაოსტატდა რეჟისორი და შემდეგ სხვადასხვა თეატრებში დღემდე გაანგრძობს შემოქმედებით ცხოვრებას.



სცენა სპექტაკლიდან „ამბავი თავთა და კაცთა“

1986 წელი მნიშვნელოვანი თარიღია თელავის თეატრის ისტორიაში. ამ წელს თეატრმა და სრულიად საქართველოს სათეატრო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი თარიღი, თეატრის დაარსებიდან 200 წლის იუბილე აღნიშნა, თუმცა 1986 წელს 225 წელი იყო გასული პირველი წარმოდგენიდან, რომელიც თელავში გაიმართა. საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით (კონკრეტულად კი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს) აღინიშნა თელავის თეატრის დაარსებიდან არა 225, არამედ 200 წელი. საიუბილეო სამზადისში თეატრთან ერთად, ფაქტობრივად მთელი კახეთი იყო ჩართული. 1986

¹ ჭავჭავაძე ა., ახლა მაინც დაიჯერეთ, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987, 24 იანვარი.
² ოჩიაური ლ., სიკეთე შემდეგ გაიმარჯვებს, გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1986, 5 აგვისტო.

წლის 12 ოქტომბერს გაიმართა დასკვნითი საიუბილეო საღამო, რომლის ეპიცენტრი, ბუნებრივია, თეატრი იყო. ამ დღეს თელავი კვლავ გადაიქცა მთელი ქართული კულტურის ცენტრად, სადაც თავი მოიყარეს გამოჩენილმა ადამიანებმა და თეატრს მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი მიულოცეს. საიუბილეო საღამოც ორიგინალურად და მოკრძალებულად მოამზადა თეატრის დასმა ნუკრი ქანთარიას ხელმძღვანელობით. საიუბილეო საღამოზე დაწერილ უამრავ სტატიას შორის, ყველაზე გამორჩეული, ალბათ, თეატრმცოდნე ანა ჭავჭავაძის სტატიაა, რომელმაც კარგად ჩაავლო თელავის თეატრის შემოქმედებითი გუნდის ჩანაფიქრს.

თეატრმცოდნე წერდა: „რა შეიძლება დაიწეროს საიუბილეო საღამოზე?! კოსტიუმები, ყელზე მჭიდროდ გამონასკვული ჰალსტუხები, მისალოცი ადრესები, მიხაკები, მაღალფარდოვანი სახოტბო მოხსნებები, მაგრამ საპირისპირო რამ მოხდა თელავში. ყველაზე დიდი ისტორიის მქონდე თეატრი, რომელიც ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას, სერიოზული, ღრმა ძიებებით, გვაიძულებს დათმობისა და შეღავათის გარეშე ვიმსჯელოთ მის შემოქმედებაზე, ყველაზე საზეიმო წუთებშიც კი არ კარგავს თვითკონტროლს, უარს ამბობს პომპეზურ, დამღლელ ცერემონიებზე და გვაფიქრებს. მომხიბლავი უშუალოდ გათამაშებული ნაწყვეტი, ასი წლის წინათ დადგმული სპექტაკლებიდან – იმავე თემას აგრძელებენ. ლაღად, ნიჭიერად, საოცარი იუმორითა და ოღნავი თვითირონით თამაშობენ მსახიობები, მაგრამ თამაშობდნენ არა ისე, როგორც ალბათ დღეს ითამაშებდნენ პიესებში, არამედ ისე, ალბათ, როგორც, თამაშობდნენ მაშინ, საუკუნის დასაწყისში ქართული სცენის მოყვარულნი და ყოველივე ეს საიუბილეო სამოსში, უგრძობად – ამაშიაც გამოვლინდა მსახიობების ქეთევან ბოჭორიშვილის, გიორგი მამუჩიშვილის, თემურ ხუნაშვილის, ვენერა ფეიქრიშვილის, ვანო იანტბელიძის, ზურაბ ანთელავას და სხვათა ნიჭიერება და საერთოდ თეატრის თავისებური, ორიგინალური და თვითმყოფადი სახე“¹.



**სცენა სპექტაკლიდან „თაღლითი“
რეჟისორი – მ. ასლამაზიშვილი**

საიუბილეო საღამოს ესწრებოდა ქართული ლიტერატურის, ხელოვნების და ზოგადად კულტურის ღირსეული და გამოჩენილი წარმომადგენლები. თეატრს საიუბილეო თარიღი მიულოცეს ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ჯიბლაძემ, ვასო გოძიაშვილმა, რობერტ სტურუამ, ნანა ხატისკაცმა, გოგი გეგეჭკორმა, რამაზ ჩხიკვაძემ, პაატა ბურჭულაძემ და სხვებმა. საიუბილეოდ გამოიცა გაზეთი, რომელშიც თეატრის ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებთან ერთად, ადგილი დაეთმო თანამედროვეობას და მილოცვებს. ადგილობრივმა გაზეთმა „ალაზნის განთიადი“ სპეციალური ნომერი უძღვნა თეატრის იუბილეს, რომელშიც მისალოც ბარათებთან ერთად დაიბეჭდა თელავის თეატრის გამორჩეულ მსახიობთა მოგონებები.

გამოცენილი თეატრმცოდნე, პროფესორი ნოდარ გურაბანიძე საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებით ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ წერდა: „ნუკრი ქანთარიას მიერ

¹ ჭავჭავაძე ა., თელავის თეატრის იუბილე, ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1986, 16 ოქტომბერი.

მოფიქრებული და მისივე ხელმძღვანელობით ჩატარებული იუბილე, რომელიც სანახაობათა მთელ კომპლექსს შეიცავდა, ეს ღირსახსოვარი თარიღი საკადრისი კულტურული დონით აღინიშნა. საინტერესო იყო დამაგვირგვინებელი საიუბილეო საღამო თეატრის შენობაში. თეატრის სცენაზე ყველა მსახიობი ვიხილეთ, თვალის ერთი გადავლებით გავიხსენეთ ორსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც თვით მსახიობებმა მოგვითხრეს და ჩვენს თვალწინ გაითამაშეს. მბრუნავ სცენაზე გათამაშდა უკანასკნელი სეზონების სპექტაკლების ფრაგმენტები. ეს ყველაფერი ცოცხლად, საინტერესოდ, მიმზიდველად იყო წარმოდგენილი. იგრძნობოდა უმთავრესი: ჩვენს წინაა „ცოცხალი თეატრი“, რომელიც ფიქრობს, შრომობს, იღვვის, ეძებს, ერთი სიტყვით, მოქმედებს ისე, როგორც ეს ნამდვილ თეატრს შეჰყვრის“.¹



თელავის თეატრის საიუბილეო საღამოზე

¹ გ უ რ ა ბ ა ნ ი ძ ე ნ., თელავის თეატრი – 200, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986, № 12, გვ. 21.



სცენა სპექტაკლიდან „რიჩარდ II“

თეატრში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა რობერტ სტუარტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სპექტაკლი „რიჩარდ III“, სპექტაკლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ მაყურებელს შორის. თელავის თეატრში კი „რიჩარდ II“ დადგმა ერთგვარი გამოწვევა იყო დასისთვის.

ალექსანდრე ქანთარია თელავის თეატრში „რიჩარდ II“-ზე სამუშაოდ მიიწვია ცნობილი სცენოგრაფი თემურ ნინუა, რომელმაც სპექტაკლის კოსტიუმებიც შექმნა. საინტერესოდ წარიმართა სარეპეტიციო პროცესი, მუსიკა სპექტაკლისთვის თემურაზ ბაკურაძემ დაწერა, ხოლო სასცენო მოძრაობისთვის შოთა გეგიაძე მიიწვიეს. სპექტაკლის შესახებ მწირი ინფორმაცია მოიპოვება იმ პერიოდის პრესაში, თუ არ ჩავთვლით ნათელა არველაძის მიმოხილვას, გამოქვეყნებულს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“. თეატრმცოდნე წერდა: „ალექსანდრე ქანთარიამ წარმოდგენა ჩაიფიქრა როგორც მასისა და მისი წინამძღოლის, ერთმმართველის, ურთიერთობათა რთული პერიპეტეხებით აღსავსე სანახაობა. უსახური და შიშნაკრავი, მხოლოდ მოლხენის ფინით შეპყრობილი ხალხია სცენაზე, მაგრამ ისტორიულ ავბედითობაში არ მონაწილეობს, გაპირუტყვებისა და ნიველირების ზღვარზე მყოფნი მხოლოდ იარაღს წარმოადგენენ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.“¹ გამოდის, რომ სპექტაკლი ებრძოდა მანკიერებას და ესადაგებოდა ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა

¹ არველაძე ნ., ქართული დრამატული თეატრების ერთი სეზონი., ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986. № 12., გვ. 10.

თელავის თეატრი, როგორც ნაწილი ზოგადად საბჭოური საზოგადოებისა. თეატრმცოდნე ნათელა არველაძე სპექტაკლის სუსტ მხარეებსაც გამოყოფს და საკამათოდ ესახება რეჟისორისა და ზ. ანთელავას – რიჩარდ II ხასიათის გადაწყვეტის, გარეგნული სახიერების ძიების პრინციპი. კრიტიკოსი თვლიდა, რომ მსახიობს ზომიერების გრძნობა დააკლდა ტირანის როლის შესრულებისას, თუმცა დასძენს: „ზურაბ ანთელავას ნიჭიერება, მდიდარი აქტიორული ბუნება, რეჟისორ ალექსანდრე ქანთარიას მსახიობთან მუშაობის უნარი იმის საწინდარია, რომ სპექტაკლი მომავალში დაიხვეწება. შინაგანი კავშირებით შეიკვრება როლის მრავალპლანიანობა და კონდენსირებული გააზრება ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს შექსპირული პერსონაჟის რთულ ბუნებას“.¹ რეცენზენტი ასევე აქებს მსახიობ თემურ ხუნაშვილს. იგი წერს: „მსახიობმა თემურ ხუნაშვილმა აზრიანი მონოლოგით დაიწყო პირველი სცენა, მან გამოხატა დამდგმელი ჯგუფის პოზიცია და მონოლოგის წაკითხვის კულტურაც.“ თეატრმცოდნე ნათელა არველაძე საგანგებოდ გამოყოფს სცენოგრაფის თემურ ნინუას ნამუშევარს: „სახიერია თემურ ნინუას სცენოგრაფია. სცენური სივრცის ორგანიზაციისა და დეკორაციის ფერების გადაწყვეტაში იკითხება მთლიანად დამდგმელი ჯგუფის პოზიცია. კოსტიუმები თანამედროვეობასთან გადაძახილით არის შექმნილი“.



„რიჩარდ II“ – პრემიერა, 1986 წ.

1987–1988 წლების სათეატრო სეზონი გამორჩეულია თელავის თეატრის ისტორიაში. ამ სეზონზე, თეატრი კვლავ უბრუნდება რეზო ინანიშვილის სამყაროს. სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ქანთარია მორიგ წარმატებულ სპექტაკლს „ალალე“ დგამს. ეს დადგმა თელავის თეატრის სავიზიტო ბარათად და საეტაპო დადგმად მიიჩნევა ქართული თეატრის ისტორიაში. რეზო ინანიშვილმა პიესა საგანგებოდ თელავის თეატრისთვის დაწერა. მწერალი კარგად იცნობდა დასს და იცოდა მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები, პერსონაჟების ხასიათების გამოკვეთისას ითვალისწინებდა მსახიობებს,

¹ არველაძე ნ., ქართული დრამატული თეატრების ერთი სეზონი., ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986. № 12., გვ. 11.

რომლებსაც სცენაზე უნდა გაეცოცხლებინა მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები. ალექსანდრე ქანთარია კვლავ შემოიკრება ის სადადგმო ჯგუფი, რომელთან ერთადაც რეზო ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“ განახორციელა. ამ გუნდთან მუშაობამ თელავის თეატრს კვლავ წარმატება მოუტანა. სპექტაკლის მხატვარი იყო თამაზ როსტომაშვილი, კომპოზიტორი – გომარ სიხარულიძე, ქორეოგრაფი – ბექარ მონავარდისაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: ვანო იანტბელიძე (ალალე), ნაზი არავიაშვილი (დარო), მარიამ ღალაშვილი (თინანა), ვენერა ფეიქრიშვილი (წეწიკო მამო), გელა ჩოთლაშვილი (მალხაზი), ნათია როსტომაშვილი (იზოლდა), პაატა გულიაშვილი (ტრისტანი), ნონა ხუმარაშვილი (ალალეს მამიდა), მაია ბიჩელაშვილი (თალიკო), ნინო კურტანიძე (შუქია), ზურაბ ანთელავა, ელდინო ტუხაშვილი (აბრამი), ზურაბ ლომიძე (ვეფხია), ეთერ ბაბილაშვილი (ანგელინა), შოთა ბეჟაშვილი (მიტა), დავით ღალანიძე (რობიზონა), თემურ ხუნაშვილი (დათა), გიორგი მამუჩიშვილი (სკოლის დირექტორი), ელდარ თავდიდიშვილი (საბჭოს თავმჯდომარე), ავთანდილ გულიაშვილი (მილიციის რწმუნებული), კარლო ქართველიშვილი (გიჟი დინგუა). სპექტაკლში დაკავებული იყვნენ ასევე მსახიობები: თამარ მაისურაძე, იზა შუშანაშვილი, დათო აღნიაშვილი, ჯიმი ლუხარაული.



სცენები სპექტაკლიდან „ალალე“

სპექტაკლის პრემიერა სეზონის მიწურულს, 1987 წლის 27 ივნისს შედგა.

სპექტაკლს ფართო გამოხმაურება მოჰყვა პრესაში და მაყურებელში. მალე დადგმაში მონაწილე პერსონაჟები და მისი შემსრულებელი მსახიობები პოპულარული გახდნენ საქართველოში. სპექტაკლი ჩაწერა საქართველოს ტელევიზიამ და ის რამდენჯერმე გადაიკა ეთერში. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა სპექტაკლმა მსახიობებს: ვანო იანტბელიძეს, თემურ ხუნაშვილს, ვენერა ფეიქრიშვილს, ზურაბ ანთელავას... ვანო იანტბელიძეს კი ალალეს როლის შესრულების შემდეგ ყველა ცნობდა და პატივს

სცემდნენ. სპექტაკლის ერთ-ერთი ნაწყვეტი კი, სადაც დიდი ქეიფი მიმდინარეობს, საქართველოს სატელევიზო გასართობი პროგრამების ლიდერი იყო წლების განმავლობაში, ისე როგორც პოპულარული გახდა თემურ ზუნაშვილის მიერ მოძეული და სპექტაკლში ნამღერი სიმღერა „ასე თაფლის სანთელივით“. სიმღერა მთელმა საქართველომ აიტაცა და სადღესასწაულო სუფრების ჰიტადაც იქცა. ამ სპექტაკლის განხორციელების შემდეგ თელავის თეატრი და მისი დასი გაიცნო ყველამ, უბრალო ფართო მაყურებელმა.



სცენა სპექტაკლიდან „ალალე“

სპექტაკლში ერთმანეთს ორგანულად და ორიგინალურად ენაცვლებოდა სევდა და იუმორი. ხელოვნებათმცოდნე მანანა გეგეჭკორი წერდა: „ალალე“ ისეთი მხატვრული დონის ქმნილებაა, მასში იმგვარი პრობლემებია დასმული, ისეთი დიდი ტკივილი იკითხება, ამასთანავე იმდენი იუმორი, რომ მან ყველანაირი მაყურებელი უნდა ააღელვოს და გაიტაცოს. ამიტომ, მისი წარმატება ჯერ მშობლიურ თელავში, შემდეგ კი თბილისში, სრულიადაც არ იყო შემთხვევითი“.¹ დიდხანს იწერებოდა პრესაში სპექტაკლზე „ალალე“. გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ მთელი გვერდი აქვს დათმობილი ლელა წიფურიას წერილს, რომელშიც დეტალურადაა განხილული თელავის თეატრის მორიგი წარმატებულ სპექტაკლი. კრიტიკოსი წერდა: „ალექსანდრე ქანთარიას აქცენტები გადააქვს აქტიორთა ხელოვნებაზე და სწორედ მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახეებით გამოკვეთს სათქმელს. ამავე დროს თითოეული სცენა ზუსტად დამუშავებული და კონკრეტულ ამოცანას შეესაბამება. ეს სპექტაკლი რიტუალსაც ჰგავს, რომელიც ქართველების შესახებ მოგვითხრობს“.² კრიტიკოსს მიაჩნია, რომ „ალალე“ ქართულ სათეატრო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა, პრობლემის სიღრმისეული წვდომით და საინტერესო ფორმით გამორჩეული. ამჯერადაც, თელავის თეატრისა და მწერალ

¹ გეგეჭკორი მ., კიდევ ერთი შეხვედრა, გაზ. „თბილისი“, 1988, 2 მარტი.

² წიფურია ლ., „ალალე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, 24 იანვარი.



სცენა სპექტაკლიდან „ალალე“

როცა სპექტაკლს უყურებ, ისე ცხადად გრძნობ რეჟისორის ხელწერას, რომ ნაცნობი აქცენტები უპკვე თავიდან იქცევენ ყურადღებას, მაგრამ ისინი მექანიკურად კი არ მეორდებიან, არამედ იმ ჟღერადობას იძენენ, მოქმედების განვითარება რომ თხოულობს.¹ რეცენზენტი იმასაც დასძენს, რომ თელავში ფაქტობრივად ახალი თეატრი შეიქმნა, ამ სიახლის საფუძველი კი ის მწვავე პრობლემებია, რომელიც იმ პერიოდის კახეთი და მთელი საქართველო განიცდიდა. თელავის თეატრმა მაშინ იგრძნო, რომ ხმამაღლა უნდა ელაპარაკა პრობლემებზე, სიმართლე უნდა ეთქვა მაყურებლისთვის და ყოფილიყო ხალხთან.

სპექტაკლს გამოეხმაურა თეატრმცოდნე ვახტანგ ქართველიშვილიც. გიორგი ლალიაშვილთან ინტერვიუში მან განაცხადა: „უთუოდ საინტერესო სპექტაკლია „ალალე“, მე ის რატომღაც წარმომიდგება რევაზ ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმების“ თავისებურ გაგრძელებად. სპექტაკლი თელავის თეატრის ნამდვილი გამარჯვებაა, ამიტომაც დაიმსახურეს და მიიღეს პრიზი სეზონის საუკეთესო სპექტაკლისთვის.“² 1988 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, ტრადიციულ დაჯილდოებაზე, ალექსანდრე ქანთარიას პრიზი – საუკეთესო სპექტაკლისთვის,



სცენა სპექტაკლიდან „ალალე“

რეზო ინანიშვილის თანამშრომლობა წარმატებით დაგვირგვინდა. სწორედ ამ წარმატებულ ტანდემზე წერდა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ კრიტიკოსი გივი მალულარია, რომელმაც თავისი სათქმელი ასე დაასათაურა: „თეატრი იძენს დრამატურგს“. უშუალოდ სპექტაკლის შესახებ კი ის წერდა: „რეჟისორის წინაშე რამდენიმე რთული ამოცანა იდგა, უპირველეს ყოვლისა, კი მას უნდა წარმოედგინა კახეთის ერთ-ერთი სოფლის ყოფა, ზნე-ჩვეულებები და ის პოეტური განწყობა, რომელიც პიესას თავიდან ბოლომდე გასდევს.

ხოლო ვანო იანტბელიძეს – საუკეთესო სამსახიობო ნამუშევრისთვის გადასცეს.

ალექსანდრე ქანთარიას მიერ თელავის თეატრში განხორციელებული სპექტაკლებიდან ასევე გამორჩეული დადგმა იყო „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“ (რევაზ მიშველაძის პიესა). სპექტაკლი იმ პერიოდის ყოველდღიურობას, ერთგვარ რუტინას ეხებოდა, სპექტაკლის პათოსი კი ადამიანის შინაგანი თავისუფლებისკენ სწრაფვა იყო, ერთგვარი ბრძოლა დემოკრატიისკენ. მართალია, XX

¹ მალულარია გ., თეატრი იძენს დრამატურგს, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1987, № 9, გვ. 32.

² გაზ. „კომუნისტი“, 1988, 19 ივლისი.

საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს კვლავ კომუნისტური პარტია იყო ხელისუფლებაში და ცენზურა კვლავაც აქტიურობდა, თუმცა „გარდაქმნის პერიოდში“ მაინც შესაძლებელი გახდა მეტაფორულად თქმა იმის, რაც იმ პერიოდის ქართველს აწუხებდა. ეს იყო სწრაფვა თავისუფლებისაკენ. სპექტაკლი დღევანდელი გადასახედიდან მაინც თამამ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამაზე მიუთითებდა საზოგადოების წევრები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. პოეტი მედეა კახიძე წერდა: „ეს იყო დიდებული სპექტაკლი, მიმანია, რომ ასეთი გაბედული სიტყვა არავის უთქვამს.“ თეატრმცოდნე ნადია შალუტაშვილიც სწორედ ამ სიტყვას უსმევდა ხაზს თავის ინტერვიუში: „ჩვენ ვნახეთ სპექტაკლი იმაზე, რაც აღელვებს საზოგადოებას, ვნახეთ სიმართლე, მთელი თავისი სილამაზით, თავისი ღელვით, წუხილით.“ თითქმის იგივეს აღნიშნავდა პოეტი მორის ფოცხიშვილი და თეატრმცოდნეები: ნათელა არველაძე და თამარ ბოკუჩავა. მათ საგანგებო სტატიები უძღვნეს თელავის თეატრის დადგმას. სპექტაკლი 1990 წელს გრიბოედოვის თეატრში წარმოადგინეს. ნათელა არველაძე აქცენტს სვამს დასის პროფესიულ ღონეზე და მეორე: „მაყურებელს მონებატრა სიმართლე, ვფიქრობ, სპექტაკლი დიდ როლს ითამაშებს საზოგადოების გამოსაფხიზლებლად. ასეთი ღია და შემტევი პიესის დადგმა ჩვენს რეალობაში ძალიან მახარებს და მაძლევს იმედს, რომ თეატრი შეძლებს საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებას“.¹

„ეს არის სპექტაკლი ყველასათვის – თქვენთვის, ჩემთვის, იმისთვის... – წერდა თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავა – სპექტაკლი, რომელმაც რაღაც უნდა უთხრას, ამცნოს ფეხით მოსიარულეთ, ვინც ყოველდღიურად ტკეპნის ქვაფენილს, ვინც ღუნედ ინაცვლებს ფეხს. წარმოდგენა არის დემოკრატიული, მარტივი, დინამიკური. სპექტაკლს მოძებნილი აქვს თავისი თეატრალური ფორმა, რომელიც თავის თავში განუყოფლად შეიცავს დამდგმელთა მოქალაქეობრივ პოზიციას“.² სპექტაკლი ავლენდა ინტელექტუალი ადამიანის ტრაგედიას, „ეს ინტელიგენტის სულიერი კრახი კი არ არის, არამედ ინტელიგენტად თავმოკატუნებული ადამიანის ტრაგედია, ჩვენ ვთამაშობთ იმას, რანაც არა ვართ, ჩვენ იმაზე გვაქვს პრეტენზია, რაც არ გავაჩნია – სულზე, ხოლო იმ სუროგატს, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, სულად ვერანაირი საფარით ვერ გავასაღებთ“³ – წერდა თეატრმცოდნე.

სპექტაკლში განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მსახიობებს: თემურ ხუნაშვილს, ნინო კურტანიძეს, თამრიკო ქოთელიძეს, ზურაბ ანთელავას, ზურაბ ლომიძეს. როგორც იმდროინდელი პრესა წერდა, მსახიობები ბრწყინავდნენ სცენაზე სათქმელითა და სიმართლით, ისინი იყვნენ გამსაჭვალული მოქალაქეობრივი პოზიციით, ისინი იყვნენ ნამდვილი პროფესიონალები.

1988 წელი იმათაც არის მნიშვნელოვანი თელავის თეატრისთვის, რომ ამ წელს საქართველოს ესტუმრა მსოფლიო მასშტაბის გამოჩენილი ბრიტანელი რეჟისორი პიტერ ბრუკი. იგი თელავსაც ეწვია და, ბუნებრივია, მისი მასპინძელი კახეთში თელავის თეატრი იყო. პიტერ ბრუკმა ნახა კახეთის ღირშესანიშნაობები და, რა თქმა უნდა, ეწვია თელავის თეატრსაც. პიტერ ბრუკი მიიწვიეს სპექტაკლზე „ალალე“. ბუნებრივია, მსახიობები ძლიერ ღელავდნენ, ვინაიდან დარბაზში თანამედროვე მსოფლიო თეატრის ერთგვარი მეთაური – პიტერ ბრუკი იჯდა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ პიტერ ბრუკმა მიულოცა დასს წარმატება. „კარგი სპექტაკლია, საინტერესოა იმ მხრივ, რომ ცოცხალია. ვხედავ, ეს თეატრი არის ნაწილი ქართული თეატრისა, ბუნებრივად თამაშობთ. გვრძნობდი მაყურებლის დამოკიდებულებას სპექტაკლისადმი, ვხვდებოდი, რომ მათთვის

¹ გაზ. „თბილისი“, 1988, 20 მაისი.

² ბოკუჩავა თ., სპექტაკლი ყველასათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, 5 აგვისტო.

³ იქვე.

ახლობელი იყო ის, რაც სცენაზე ხდებოდა, ისინი ცნობდნენ თავიანთ ცხოვრებას. მაყურებელი იმასაც გრძნობდა, რომ მსახიობებს სიამოვნებდათ, რასაც თამაშობდნენ“.¹ პიტერ ბრუკის ვიზიტი კიდევ ერთი სტიმული იყო თელავის თეატრისთვის. დასი გახდა ერთ-ერთი სანიმუშო საქართველოს თეატრებს შორის. ეს აღიარება კი მეტ მოტივაციას აძლევდა შემოქმედებით ჯგუფს მომავალი მუშაობისთვის.



რობერტ სტურუა, ალექსანდრე ქანთარია და პიტერ ბრუკი

სულ 6 წელი იმოღვაწა ნუკრი ქანთარიამ თელავის თეატრში და მან თავისი სპექტაკლებით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გაუთქვა სახელი თეატრს. რეჟისორთან ერთად, თელავის თეატრმაც მოიპოვა აღიარება. წამატებულ მოღვაწეობას 1982–1988 წლებში აფასებდა დიდი ქართველი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც საკავშირო პრესაში წერდა, რომ „ჩვენთან, საქართველოში, როგორც წესი, ყველა ახალგაზრდა რეჟისორს აძლევენ მუშაობის საშუალებას. ბევრი მათგანი არა, მაგრამ აი, ალექსანდრე ქანთარია, რომელიც თელავის თეატრს ხელმძღვანელობს დიდი წარმატება მოუტანა თეატრსაც და მან, როგორც რეჟისორმა გაითქვა სახელი“.²

ალექსანდრე ქანთარიამ დიდი ყურადღება დაუთმო სარეპერტუარო პოლიტიკას. შეიქმნა თანამედროვე თეატრალური ძიებებით აღსავსე სპექტაკლები. ალექსანდრე ქანთარიას სპექტაკლებში პლასტიკასა და რიტმს ერთნაირი გადაწყვეტი ფუნქცია აკისრია. თელავის თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლი იქცა დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებად. გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ დაიბეჭდა კახა ტრაპაიძის წერილი, სადაც შეფასებულია ალექსანდრე ქანთარიას მოღვაწეობა თელავის თეატრში. „თელავში, ბოლო წლებში შეიქმნა საინტერესო სპექტაკლები, მაგრამ რეჟისორის და თეატრის

¹ ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1988, № 3, გვ. 96.


² გაზ. „სოვეცკაია კულტურა“, 1985, 6 აპრილი.

მრწამსს ყველაზე უკეთ ორი დადგმა (ორივე რეზო ინანაიშვილის ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა) წარმოაჩინეს: „ჩემი წყალი-ჭალის ხმები“ და „ალაღე“, ორივე დადგმაში ძირითადი პათოსი მკვეთრად გამოხატული ეროვნულობაა¹.

ასე დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული პერიოდი თელავის თეატრის ისტორიაში. 6 წლის განმავლობაში თელავის თეატრი იყო მუდმივად მოვლენების და ყურადღების ეპიცენტრში. ალექსანდრე ქანთარია მოღვაწეობა თბილისში გააგრძელა. თელავის თეატრში რეჟისორად კი გიორგი ჩაკვეტაძე მოვიდა.

XX საუკუნის 80-იან წლებში თელავის თეატრის მსახიობები ნამდვილ სათეატრო ვარსკვლავებად იქცნენ. ამ პერიოდში და შემდეგაც, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ: ვანო იანტბელიძე, ნაზი არავიაშვილი, მარიამ ლაღაშვილი, ზაზა კოლელიშვილი, ვენერა ფეიქრიშვილი, გელა ჩოთლაშვილი, ნათია როსტომაშვილი, ნონა ზუპარაშვილი, მაია ბიჩელაშვილი, ნინო კურტანიძე, ზურაბ ანთელავა, ზურაბ ლომიძე, ეთერ ბაბილაშვილი, შოთა ბეჟანაშვილი, დავით ლალანიძე, თემურ ზუნაშვილი, გიორგი მამუჩიშვილი, ელდარ თავდიდიშვილი, ავთანდილ გულიაშვილი, კარლო ქართველიშვილი, მაია ლობჯანიძე, შოთა ბეჟანიშვილი, თამარ მაისურაძე, ციცილო პაპიაშვილი, მანანა ზაუტაშვილი, კახი როსტომაშვილი, ლიანა ასლამაზიშვილი, დავით მღებრიშვილი, ზვინა ირემიძე და სხვები.

ზურაბ ანთელავა 1954 წელს ზუგდიდის რაიონში, სოფელ შამგონაში დაიბადა, საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა, ხოლო შემდეგ მიხეილ თუმანიშვილთან საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში დაეუფლა სამსახიობო ხელოვნებას. მოსწავლეობის დროს დადიოდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მხატვრული კითხვის წრეზე, 1975 წლიდან კი მოღვაწეობა დაიწყო თელავის სახელმწიფო თეატრში. პირველი პროფესიული



ზურაბ ანთელავა


წარმატებებიც დაკავშირებულია თელავის თეატრთან, 1983 წელს მიიღო თეატრალური საზოგადოების პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, ხოლო 1983 წელს გახდა „ხუთწლედის მატთანეს“ პრემიის ლაურეატი. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები დიდხანს ახსოვდა თელაველ და არა მხოლოდ თელაველ მაყურებელს.



**თემურ ზუნაშვილი და ზურაბ ანთელავა
სცენა სპექტაკლიდან „ფამი“**

¹ ტ რ ა პ ა ი ძ ე კ., ტრადიცია გრძელდება., ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1988, 12 დეკემბერი.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება თელავის თეატრში გაატარა ავთანდილ გულაშვილმა. მსახიობი ლაგოდების რაიონის სოფელ აფენში დაიბადა 1951 წელს, 1977



**თემურ ზუნაშვილი და ზურაბ ანთელავა
სცენა სპექტაკლიდან „ფეხით მოსიარულეთათვის“**

მნიშვნელოვან დადგმაში. ესენია: ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“, მ. ელიოზიშვილის „ბერიკონი“, თ. ჭილაძის „ნახვის დღე“, ლ. თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“, რ. ინანიშვილის „ალაღე“, ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“, ლ. გოთუას „ერეკლე მეფე“, ს. ს. ორბელიანი „სიბრძნე-სიცრუისა“, გ. ერისთავის „გაყრა“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, ნ. ღუმბაძის „თეთრი ბაირაღები“, თ. ჭილაძის „ჭაღას ჩიტი მომკვდარიყო...“ და სხვა.

თელავის თეატრის სპექტაკლებიდან, ხოლო შემდეგ ქართული ფილმებიდან გახდა პოპულარული ზაზა (ზაქარია) კოლელიშვილი, რომელიც საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ 1984 წლამდე მოღვაწეობდა თელავის თეატრში. მანამდე სწავლობდა თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, თუმცა მეოთხე კურსზე სწავლა მიატოვა და თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო სწავლა, რომლის დამთავრების თელავის თეატრში მსახიობად მოღვაწეობის პარალელურად სწავლა განაგრძო კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე. თელავის თეატრში ზაზა კოლელიშვილი ნუგ ზარ ლორთქიფანიძემ მიიწვია. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მურტალო



ზაზა კოლელიშვილი და ალიკა თეთრაძე

ნ. ღუმბაძის „კუკარაჩა“, ოსიკო (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), ბრიგადირი (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“), თავფარავნელი (გ. დოჩანაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“), ქართლოსი (დ. კეჟერაძის „ყველა სიმღერა უნდა დამთავრდეს“), ლუკა (მოლიერის „ძალად ექიმი“), ლვთისურა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), გიო (ლ. თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“), ამირანი (შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“), სოლომონ



**ზაზა კოლეღიშვილი
სცენა სპექტაკლიდან „ღია შუშაბანდი“**

ლიონიძე (გ. იაქაშვილის „ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკა“) და სხვა.


საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ნუგზარ ლორთქიფანიძის მოწაფე იყო მათა ლობჯანიძე, რომელიც 1990 წლიდან მხოლოდ ოთხი მოღვაწეობდა თელავის თეატრში. ამ ხნის განმავლობაში მან 16-მდე როლი ითამაშა. 1981 წელს თელავის თეატრს შემოუერთდა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კიდევ ერთი კურსდამთავრებული – ლიანა ასლამაზიშვილი. თელავის თეატრში მის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩეოდა: კაროჟნა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), ინგა (ნ. დუმბაძის „უკუარაჩა“), ლუიზა (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), დედა (გ. დონანაშვილის „თაფფარავნელი ჭაბუკი“), ზიზი (ლ. როსტოვას „პროვინციული ამბავი“), მარეზი (ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“) და სხვა.

აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა შოთა ბეჟანიშვილი, რომელიც 1968 წლიდან იყო თელავის თეატრის მსახიობი. ამ თეატრში მან 100-მდე როლი განასახიერა. მათ შორის, აღსანიშნავია: დობრინინი (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“), პოლიციელი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ყოჩაშოლი (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ვეზირი, მთავარი ყრუ (ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“), პომპეუსი (შექსპირის „საწყალი საწყაულის წილ“) და სხვა მრავალი. 2002 წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შ. ბეჟანიშვილი წლის საუკეთესო მსახიობად დაასახელა პიტერ ბონას როლის შესრულებისთვის ჟან ლუის პიესაში „ქურდების მეჯლისი“, ხოლო 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტმა იგი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.



ზაზა კოლეღიშვილი, სცენა სპექტაკლიდან „თაფფარავნელი ჭაბუკი“

ადვილი არ იყო გიორგი ჩაკვეტაძისთვის პროფესიულად მაღალ დონეზე მდგარი თელავის თეატრის სახელმძღვანელოდ გადაბარება. იმედიანად შეხვდა დასი გიორგი ჩაკვეტაძის ამ დანიშვნას და თავად რეჟისორიც გრძნობდა უზარმაზარ პასუხისმგებლობას. იმდენად დაუახლოვდა ის თელავის თეატრს, რომ მთელი თავისი ცხოვრება თბილისელმა კაცმა თელავს მიუძღვნა. ამაში გასაკვირი და უცნაური არაფერია, რადგან თელავი, როგორც ქალაქი თავისი საზოგადოებით, შარმით, კულტურულობით იზიდავს ყველას და უჩენს იქ დასახლების სურვილს. ამ მხრივ, არც გიორგი ჩაკვეტაძე იყო გამონაკლისი.




რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე

უმაღლესი პროფესიული განათლება სანქტ-პეტერბურგში (მაშინ ლენინგრადი) მიიღო (პროფესორ გიორგი ტოვსტონოგოვის სახელოსნოში), შემდეგ მოღვაწეობდა ბათუმის და გრიბოედოვის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში. როგორც რეჟისორს, უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა მიღებული, როცა თელავის თეატრს ჩაუდგა სათავეში. მისი სარეჟისორო დებიუტი იყო თამაზ ჭილაძის პიესა – „ნახვის დღე“.

წარმატებული აღმოჩნდა თამაზ ჭილაძის პიესის გიორგი ჩაკვეტაძისეული სცენური ინტერპრეტაცია თელავის თეატრში. პიესა ფანტასმაგორიის ჟანრს განეკუთვნება, ეს კი სიახლეს წარმოადგენდა თელავის თეატრის დასისთვის. შესაბამისად, თეატრისთვის ორმაგი პასუხისმგებლობა იყო პიესის დადგმა, ერთი მხრივ, ჟანრის ზუსტი გრძნობა, ხოლო მეორე მხრივ, უცნაური პერსონაჟების სათეატრო ენაზე ამეტყველება. „თელაველთა ახალი გამარჯვება“ – ასე დაასათაურა სტატია გაზეთმა „კომუნისტი“. სტატიის ავტორი, თეატრმცოდნე ვაჟა ბრეგაძე წერდა: „რეჟისორი თავისუფლად აზროვნებს სცენურ სივრცეში, ოსტატურად იყენებს სცენების პარალელური მონტაჟის პრინციპს, ჟანრის ზუსტი შეგრძნებით შეყვავს მსახიობები ფანტასმაგორიული კომედიის სამყაროში და ამავე დროს ორგანულად უკავშირებს მას თანამედროვეთა პრობლემებს. სპექტაკლის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ზნეობრივი კომპრომისი თითქმის გამოუსწორებელი დანაშაულია და იგი მუდამ სდევს თან ადამიანს, როგორც სულიერი ხეიბრობის ნიშანი.“ თეატრმცოდნე ვრცლად საუბრობს მსახიობთა ნამუშევარზე და განსაკუთრებით გამოყოფს ვანო იანტბელიძესა და თემურ ზუნაშვილს. „რთული ამოცანის წინაშე იდგა ორივე მსახიობი, ორი სხვადასხვა პოლუსი, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ნაწილი. მსახიობებმა ალლო აუღეს შემოთავაზებულ პირობითობას, თამაშის წესს და მყურებლამდე გულწრფელად მიიტანეს როგორც ავტორის, ისე დადგმემლის ჩანაფიქრი“.¹ აქედან იწყება თამაზ ჭილაძის პიესების სასცენო ინტერპრეტაციების მთელი ციკლი თელავის თეატრში გიორგი ჩაკვეტაძის დადგმებით. მსგავსი ტანდემი უცხო არ იყო თელავის თეატრისთვის, რეზო ინანიშვილის და ალექსანდრე ქანთარიას შემოქმედებითა ტანდემმა მწვენილოვანი როლი შეასრულა თელავის თეატრის განვითარების და შემოქმედებითი სრულყოფის პროცესში. არც გიორგი ჩაკვეტაძის შემოქმედებითი ტანდემი თამაზ ჭილაძესთან იყო მცდარი, პირიქით, ერთ-ერთი გამორჩეული. თანამედროვე ქართველი დრამატურგის პიესები

¹ ბ რ ე გ ა ძ ე ვ., თელაველთა ახალი გამარჯვება, გაზ. „კომუნისტი“, 1990, 25 იანვარი.

პირველ სცენურ სიცოცხლეს სწორედ თელავის თეატრში ჰპოვებდნენ. ამ კუთხით, ეს ექსპერიმენტები მომგებიანიც იყო და საინტერესო შემოქმედებითი პროცესი დასისთვის. „თამაზ ჭილაძემ შემოიტანა ნამდვილი ქართული სიტყვა, ჭეშმარიტი დრამატურგისთვის ჩვეული პერსონაჟთა ხასიათები და თანამედროვე ცხოვრების მისთვის უჩვეულო, ზოგჯერ აბსურდული ფანტასმაგორიული ასახვა“.¹ გიორგი ჩაკვეტაძის პირველმა სპექტაკლმა „ნახვის დღე“ პრემიერიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იგი, არაფრით გავდა აქამდე თელავის თეატრში განხორციელებულ სხვა სპექტაკლებს.



**სცენა სპექტაკლიდან
თ. ჭილაძის „ნახვის დღე“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე**

მიენიჭათ გიორგი ჩაკვეტაძეს, თამაზ ინატბელიძეს.

სპექტაკლს ვრცელი წერილი – „ფანტასმაგორიული ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ უძღვნა თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიბაშვილმა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „ხელოვნება“. თეატრმცოდნე მიმოიხილავს ერთი კონკრეტული სპექტაკლის მაგალითზე იმ ზოგად პრობლემებს, რომლებიც ქართული თეატრის წინაშე იდგა. აბსურდის დრამატურგია საქართველოში დაგვიანებით გახდა პოპულარული და ქართველი ავტორები ორიგინალური პიესების შექმნას ამ ჟანრში შეეცადნენ. თეატრმცოდნე წერდა, რომ „თელაველთა ახალი დადგმა მრავალი განსჯისა და ფიქრის სურვილს აღუძრავს სპექტაკლის სანახავად მოსულ მაყურებელს. ცხადჰყოფს დასის ფართო სამემსრულებლო პოტენციალს, ჟანრის

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისშიც. „მსახიობის სახლში“ მაყურებლები დიდხანს არ უშვებდნენ მსახიობებს სცენიდან. თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ, რომელიც განსაკუთრებული დაუნდობლობით გამოირჩეოდა ხოლმე, საქებარი სიტყვები არ დაიშურა სპექტაკლის მონაწილეების და თელავის თეატრის მიმართ. გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერდა: „ამ სპექტაკლმა კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ წარმოაჩინა თემურ ხუნაშვილის, ვანო ინატბელიძის, ზურაბ ანთელავას ნიჭიერება. სასიამოვნოა, რომ თელავის თეატრს მათი სახით მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი, ახლა უკვე საშუალო თაობა ჰყავს. ეს ისეთი ძალაა, რომელიც მომავალშიც თეატრის არაერთ წარმატებას განაპირობებს.“ არც შემცდარა თეატრმცოდნე – დრომ აჩვენა ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ამ სპექტაკლისთვის რეჟისორი გიორგი ჩაკვეტაძე, მხატვარი თამაზ როსტომაშვილი და მსახიობები ვანო ინატბელიძე და თემურ ხუნაშვილი წარდგენილი იყვნენ სახელმწიფო პრემიაზე, რაც უკვე დიდი აღიარება იყო თელავის თეატრის. 1990 წლის 1 იანვარს საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო პრემია როსტომაშვილს, თემურ ხუნაშვილს და ვანო

¹ ხუნაშვილის მით. წიგნი, გვ. 101.

თავისებურებათა მახვილი შეგრძნების უნარსა და არტისტიზმს, დამდგმელი რეჟისორის გიორგი ჩაკვეტაძის ორიგინალურ ხელწერასა და სათქმელის ნათლად და გულწრფელად გამოხატვის ნიჭს... სპექტაკლის მსვლელობისას რეჟისორი უხილავია, ის თითქოს მისდევს დრამატურგის რემარკებს და ჩრდილშია, სარბიელს უთმობს მსახიობს, თუმცა ფინალში ჩნდება და გვამახსოვრდება“.¹ სპექტაკლი უდავოდ ანსამბლური გამოვიდა, რომელიც მდიდარი იყო ორიგინალური და უჩვეულო მხატვრული სახეებით. რეჟისორი და მსახიობები ირჩევდნენ თამაშის განსაზღვრულ ხერხს – თითოეული შემსრულებელი დომინანტად აქცევდა გმირის ამა თუ იმ თვისებას, რომელიც ორგანულად იყო ჩართული სპექტაკლის მთლიან ქსოვილში.

1989 წელს თელავის თეატრი გასტროლებს მართავს გერმანიაში, ქალაქ ბიბერახში. თელავი და ბიბერახი დამეგობრებული ქალაქები არიან და აღნიშნული გასტროლიც, სწორედ ამ მეგობრობის ფორმატში გაიმართა. საგასტროლოდ წარმოდგენილი იყო ორი სპექტაკლი: „ალალე“ (რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია) და „ნახვის დღე“ (რეჟისორი გიორგი ჩაკვეტაძე). თელაველთა სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლები სინქრონული თარგმანის საშუალებით მიმდინარეობდა. „ალალეს“ წარმოდგენის დროს, მაყურებელმა ყურსასმენები მოიხსნა და ისე უყურებდა სპექტაკლს, ვინაიდან გამომსახველობითი საშუალებების უხვი გამოყენებით ყველაფერი ნათელი იყო.

გერმანიიდან თელავში დაბრუნებულმა თეატრმა 9 აპრილის ტრაგედიას მიუძღვნა სპექტაკლი ალ. კოტეტიშვილის „კომოდოს კუნძული“, რომელიც რეჟისორმა გიორგი ჩაკვეტაძემ დადგა. სპექტაკლის მთავარი გზავნილი იყო სტალინისტური ტოტალურ-ტირანული ეპოქის ახლებური გააზრება, მოვლენათა გადაფასება. სპექტაკლს ვრცელი რეცენზია უძღვნა თეატრმცოდნე გიორგი ცქიტიშვილმა. ავტორი რომელიც ხაზს უსვამდა მსახიობთა ოსტატობას და სპექტაკლის ატმოსფეროს, რომელმაც კარგად დახატა ფსიქოლოგიურად განადგურებული და გადაგვარებული ადამიანების სახე-ტიპები, რაც აქამდე სწორედ ტოტალიტარულმა მმართველობამ მიიყვანა.

გიორგი ცქიტიშვილმა, დაწვრილებით გადმოსცა სპექტაკლის ღირსებები. რეცენზენტი ხაზს უსვამდა 1990 წელს ქართული თეატრის წინაშე მდგარ მთავარ პრობლემას – განვლილ მოვლენათა ახალი კუთხით შეფასება. „სტალინისდროინდელი ტოტალიტარულ-დესპოტური ეპოქის თანამედროვე გააზრების მცდელობაა ალექსანდრე კოტეტიშვილის პიესა „კომოდოს კუნძული“. ადამიანის უუფლებო არარაობამდე მისულმა ყოფამ, ურთიერთ დასმენამ, გაუტანლობამ, უნდობლობამ, უწყალო ტანჯვა-წამებამ ლოგიკური შედეგები გამოიღო, გამოიწვია საზოგადოებრივ-ზნეობრივი დაცემა-გადაგვარება. სწორედ ასეთ ადამიანებზე



**სცენა სპექტაკლიდან
ა. ჩეხოვის „დათვი და ხელის თხოვნა“
რეჟისორი – გ. ჩაკვეტაძე**

¹ ყ უ შ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ფ., ფანტასმაგორიული ვარიაციები თანამედროვე თემაზე, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1990, № 7, გვ. 30–31.

გვესაუბრება რეჟისორი“.¹ რეცენზენტი ვრცლად მიმოიხილავს მსახიობების: თემურ ხუნაშვილის, ზურაბ ანთელავას, ნინო კურტანიძის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს.

გიორგი ჩაკვეტაძეს თელავის თეატრის შემოქმედებითი ხელმძღვანელობა რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 1991 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში დაიწყო დესტაბილიზაცია და პოლიტიკური ქაოსი. მომდევნო წლებში კი უფრო გართულდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში, აფხაზეთის და თბილისის ომებმა თავისი დაღი დაასვა ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის, თეატრს. ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო არათუ ახალი სპექტაკლის მომზადება, არამედ ძველი წარმოდგენების გამართვაც კი, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა თეატრს, მწყობრიდან გამოვიდა გათბობის სისტემა, კატასტროფულად იკლო მაყურებელთა რიცხვმაც.

1990 წლის 31 მაისს თელავის თეატრს გამოჩენილი ქართველი კლასიკოსი მწერლის – ვაჟა-ფშაველას სახელი მიენიჭა.

1992 წლიდან იწყება კოტე მირიანაშვილისა და თელავის თეატრის შემოქმედებითი ურთიერთობა. ძნელბედობის ჟამს, როცა თეატრისთვის არავის ეცალა და წარმოდგენები დედაქალაქშიც კი თითქმის ცარიელ დარბაზებში იმართებოდა, თელავის თეატრში ანშლავით მიმდინარეობდა ასტრიდ ლინდგრენის „რასმუს, პონტუს და ტუკერის“ კოტე მირიანაშვილისეული დადგმა. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი მეზღაპრის ეს ნაწარმოები ნაკლებადაა ცნობილი, მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში.



რეჟისორი – კოტე მირიანაშვილი

მაყურებლის ასეთი ინტერესი განპირობებული იყო ორი ფაქტორით. პირველი: დრამატულ თეატრებში იშვიათად იდგმებოდა წარმოდგენები პატარებისთვის და მეორე: სცენაზე ნამდვილი ზღაპრულ-ჯადოსნური სამყარო იქმნებოდა. თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილი წერდა, რომ „დადგამ თეატრალური ჯადოქრობა მოახდინა სცენაზე.“ როგორც ჩანს, სპექტაკლში მონაწილე მსახიობებისთვის ზღაპრული

პერსონაჟების შექმნა საინტერესო შემოქმედებითი პროცესი იყო. „სპექტაკლის რეჟისორმა კოტე მირიანაშვილმა დახვეწილი ანსამბლურობით შეუთავსა ერთმანეთს დადგმის მხატვრული (ლ. როსტომაშვილი) და მუსიკალური გაფორმება (ნ. გაგნიძე). ამდენი მხიარული ფერი, რიტმი დღეს მხოლოდ ზღაპარში, შეთხზულ ამბავში და სცენაზე თუ არსებობს და კიდევ აუცილებლად ბავშვის წარმოსახვაში სპექტაკლის მხატვრული სამყარო – ეს ბავშვის თვალთა დანახული სამყაროა, დინამიკური, ფერადი და მხიარული, ზღარული სიჭრელითა და გარდასახვებით აღსავსე“.²

პოლიტიკით, ომით, სოციალური სიდუხჭირით დამძიმებულ გარემოში ახალი საბავშვო სპექტაკლი იქცა განმუხტვის ნავსაყუდლად არა მხოლოდ პატარა მაყურებლისთვის, არამედ მათი მშობლებისთვის. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: ნონა ხუმარაშვილი, მაია ლობჯანიძე, ნინო ხელხელაური, ვალერი ბაზიერაშვილი, შოთა ბეჟანიშვილი, ზურაბ ანთელავა, მაია ბიჩელაშვილი. სპექტაკლში მონაწილე მსახიობები პატარა თელაველი მაყურებლის ფავორიტ მსახიობებად და ზღაპრის გმირებად იქცნენ.

¹ ცქიტიშვილი გ., დაცემა, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1990, № 7, გვ 27.

² ყუშიტაშვილი ფ., რასმუს, „პონტუს ანდ კომპანი“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1992, № 3-4, გვ. 62.

კოტე მირიანაშვილმა თელავის თეატრში კიდევ არაერთი სპექტაკლი განახორციელა. ამჯერად, მან კვლავ ბავშვებს მოუწყო სიურპრიზი. ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვით ახალი სპექტაკლი „ნატვრის თვალი“ დადგა. სპექტაკლი მხატვრულად ლევან როსტომაშვილმა გააფორმა. დადგმაში მონაწილეობდნენ საქართველოს დამსახურებული არტისტები: ოლღა შუბითიძე და გიორგი მამუჩიშვილი, ელდინო ტუხაშვილი, დავით ლაღანიძე, შოთა ბეჟანიშვილი, ცისანა გიგაური, ნონა ხუმარაშვილი, არფო გიქუაშვილი, კარლო ქართველიშვილი, მარინე ზაუტაშვილი.

კოტე მირიანაშვილმა 1999 წელსაც ითანამშრომლა თელავის თეატრთან. ამჯერად, რეჟისორმა ქართული ვოდევილები გააცოცხლა თელავის თეატრის სცენაზე სახელწოდებით „ივანიკას ოინები“. სპექტაკლში შესანიშნავი სახეები შექმნეს: თემურ ხუნაშვილმა, შოთა ბეჟანიშვილმა, პაატა გულიაშვილმა, ზურაბ ლომიძემ, ნინო კურტანიძემ და სხვებმა.

1993 წელს თეატრმა, მიუხედავად სირთულეებისა, მუშაობა დაიწყო ლუიჯი პირანდელოს „ჰენრიხ IV“ დადგმაზე. სპექტაკლზე იმუშავა გიორგი ჩაკვეტაძემ, მხატვარმა გოგი გეგეჭკორმა. სპექტაკლი ნაჩვენები იყო თბილისშიც, რუსთაველის თეატრში.

1994 წელს გიორგი ჩაკვეტაძე ოთარ მამფორიას პიესის მიხედვით დგამს სპექტაკლს „იეთიმ გურჯი“. სპექტაკლზე მხატვარი ლევან როსტომაშვილი მუშაობდა. პიესა უკვე დადგმული იყო მარჯანიშვილის თეატრში, მაყურებელმა იეთიმ გურჯის როლში ირაკლი უჩანეიშვილი იხილა. თელავის თეატრის დადგმაში გიორგი ჩაკვეტაძემ პოეტის როლის შესრულება თემურ ხუნაშვილს ანდო. სპექტაკლში გამორჩეულ მსახიობთა გუნდი შეიკრიბა: ვენერა ფეიქრიშვილი, ზურა ანთელავა, ნინო კურტანიძე, ვანო იანტბელიძე, ელდინო ტუხაშვილი, ავთო გულიაშვილი, ზურაბ ლომიძე, მარინე ზაუტაშვილი. თელაველმა მსახიობებმა გააცოცხლეს თბილისური კოლორიტი. სპექტაკლში ბაიათებს თემურ ხუნაშვილი დუღუკების თანხლებით ასრულებდა. დადგმა დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში.

1994 წელს გიორგი ჩაკვეტაძე ლევან გოთუას „მეფე ერეკლეს“ დგამს. მეფე ერეკლეს როლს ვანო იანტბელიძე ასრულებდა. სპექტაკლში თითქმის მთელი დასი მონაწილეობდა. ეს იყო უშუქობის და გამყინვარების, შიმშილის ხანა საქართველოში. თეატრში მხოლოდ პროფესიაზე შეყვარებული ფანატიკოსები რჩებოდნენ, რაც გმირობის ტოლფასი იყო. სწორედ მათ გადაარჩინეს და მოიტანეს თეატრი დღემდე.

გიორგი ჩაკვეტაძემ 1997 წლამდე უხელმძღვანელა თელავის თეატრს, თუმცა ის დღემდე რჩება თელავის თეატრის ორგანულ ნაწილად. პერიოდულად მას დამდგმელი რეჟისორის, ახლა კი მთავარი რეჟისორის პოზიცია უჭირავს და აქტიურად განაგრძნობს შემოქმედებით მოღვაწეობას. თელავის თეატრში მის მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან გამოირჩევა: თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“ და „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო, ოთარ ჩხეიძის „ვისია, ვისი“, აკაკი წერეთლის „არც მიწისა ვარ, არც ცისა“, ლაშა თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ და სხვა.

გიორგი ჩაკვეტაძეს თელავის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისთვის თ. ჭილაძის „ნახვის დღე“, მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია (1989), ხოლო 2005 წელს „ყველაზე ნაყოფიერი რეჟისორის“ წოდება, ამავე წელს „საუკეთესო



რეჟისორი –
გიორგი ჩაკვეტაძე

რეგიონული თეატრის ჯილდო“, როგორც თეატრის შემოქმედებით ხელმძღვანელს. არის ღირსების ორდენის კავალერი.

1997–2000 წლებში თელავის თეატრში სპექტაკლებს დგამს ნანა ხატისკაცი. ამ განსხვავებული ხელწერისა და კულტურის რეჟისორს კარგად იცნობდნენ თელავში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან თელავის თეატრის პროფესიულ ზრდასა და მის ისტორიაში. უკვე სათეატრო წრეებში კარგად აღიარებული რეჟისორი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს „სიბრძნე-სიცრუისა“ დგამს. სპექტაკლი მასობრივი და პლასტიკური გადაწყვეტით იყო დატვირთული, არ გავდა თელავის თეატრში აქამდე დადგმულ სხვა სპექტაკლებს. სპექტაკლი საინტერესო და ორიგინალური გამოვიდა. სპექტაკლზე ცნობილი მხატვარი კოკა იგნატოვი მუშაობდა. მისი განსხვავებული ხელწერა კოსტიუმებში და მსახიობთა გრიმში გამოვლინდა. სპექტაკლის დეკორაცია ერთი უკანა პანო იყო, რომელიც კოკა იგნატოვმა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტებით მოხატა. სპექტაკლი თბილისში, სამეფო უბნის თეატრშიც იყო ნაჩვენები, რომელსაც საქართველოს კათალიკოს-პატრიქრი ილია II დაესწრო – ეს დიდი პატივი იყო თელავის თეატრისთვის და სტიმული სპექტაკლში მონაწილე მსახიობებისთვის. ნანა ხატისკაცმა კიდევ ერთი სპექტაკლი „მკვლელობა ლიმაში“ განახორციელა თელავის თეატრში 1998 წელს. მუსიკალურ-პოეტური სპექტაკლი სანახაობრივად ლამაზი გამოვიდა, როგორც ნანა ხატისკაცის სხვა სპექტაკლები. სპექტაკლში კარგად გამოვლინდა თელავის თეატრის მსახიობთა ვოკალური მონაცემები. სპექტაკლისთვის ნანა ხატისკაცის ლექსებზე მუსიკა ზურა შიშმანაშვილმა დაწერა.

მორიგი და მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი იყო ნანა ხატისკაცის მიერ ილია ჭავჭავაძის შესახებ დადგმული „გზა საგურამოდან წიწამურამდე“, რომელიც მნიშვნელოვან, აქტუალურ და ეროვნულ საკითხებს ეხებოდა. ილია ჭავჭავაძის როლს ვანო იანტბელიძე ასრულებდა.



სცენა სპექტაკლიდან „მკვლელობა ლიმაში“
ე. ბაბილაშვილი და ვ. იანტბელიძე

1999 წელს ნანა ხატისკაცი თელავის თეატრში კიდევ ერთ ექსპერიმენტს, ამჯერად უილიამ შექსპირის პიესაზე დაყრდნობით „საწყაული, საწყაულის წილ“ ახორციელებს. რეჟისორმა პიესაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, ამიტომაც სპექტაკლს „ანჟელო“ დაარქვა. რეჟისორის ვერსიაში მოხვდა შექსპირის სხვადასხვა ნაწარმოების სცენები და ის მოცარტის მუსიკით გაამდიდრა. სპექტაკლის სცენოგრაფია ეკა მაღალაშვილს ეკუთვნოდა, ხოლო ქორეოგრაფად რეჟისორმა ცისია ჩოლოყაშვილი მიიწვია. ნანა ხატისკაცმა სცენაზე მრავალფეროვანი წარმოდგენა შექმნა, გამდიდრებული სასცენო მოძრაობით, ვოკალური ჩანართებით, პოეტური ტექსტითა და დინამიკური დეკორაციით. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ვანო ინატბელიძე, თემურ ხუნაშვილი, პაატა გულიაშვილი, ნინო კურტანიძე, შოთა ბეჟანიშვილი, ეთერ ბაბილაშვილი და სხვები.

1997 წლის სათეატრო სეზონზე თელავის თეატრში ხელმძღვანელად ბრუნდება ალექსანდრე ქანთარია. მეორედ დაბრუნებაზე თავად რეჟისორი ხელოვნებათმცოდნე ლელა ოჩიაურთან ინტერვიუში კითხვაზე, თუ რატომ შევიდა მეორედ მდინარეში რეჟისორი, ნუკრი ქანთარია პასუხობს: „როდესაც თელავში პირველად ჩავედი, თეატრი მე მჭირდებოდა, ახლა მე ვჭირდები თეატრს. წარმოიდგინეთ რა ხდებოდა ამ პატარა



სცენა სპექტაკლიდან „გზა საგურამოდან წიწამურამდე“

ქალაქში, როდესაც მთელი ქვეყანა განადგურებულია. შეიძლება ითქვას, რომ თელავში ვალების დასაბრუნებლად ჩავედი, მაგრამ მე მხოლოდ სპექტაკლების კეთებას არ ვაპირებდი. მქონდა ძალიან დიდი გეგმები თელავის საუნივერსიტეტო-საფესტივალო ქალაქად გადაქცევის, მაგრამ უფინანსობამ ხელი შემიშალა. ერთადერთი რაც გამოივიდა და რეალობად იქცა, თელავის თეატრისთვის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახლმწიფო ინსტიტუტში მომზადდა სპეციალური მიზნობრივი ჯგუფი. ახლა ამ ახალგაზრდებზეც იქნება დამოკიდებული თელავის თეატრის მომავალი“.¹


თელავის თეატრში მიბრუნებულ ალექსანდრე ქანთარიას ახალგაზრდა დასი უკვე მოწიფულ ასაკში დახვდა. ჭირდა თეატრის ახალი თაობის კადრებით შევსება, ამ პრობლემის გადასაჭრელად ალექსანდრე ქანთარიას ინიციატივით და უშუალო დამსახურებით, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მომზადდა მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც ძირითადად კახეთის რეგიონის ახალგაზრდებით დაკომპლექტდა და მათ ინტენსიური ურთერთობა ჰქონდათ სტუდენტობის პერიოდიდანვე თელავის თეატრთან. ამ ჯგუფში იყვნენ: ზვიად აბაშიძე, მაია ბესტავაშვილი, ნათია გიგოლაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, მაკა გრემელაშვილი, თამარ კეკელიშვილი, ირაკლი კვანტალიანი, ლევან ტალაშვილი,

¹ „ეს იგივეა, თოფი ისროლო და წამალი არ გქონდეს – ინტერვიუ ალ. ქანთარიასთან (ჩაიწერა ლელა ოჩიაურმა), გაზ. „რეზონანსი“, 2000, 20 ნოემბერი.

მალხაზ ჩიდრაშვილი, ლალი ჯალიაშვილი, დავით ნაცვლიშვილი, ლალი წიკლაური. ჯგუფს თავად ალექსანდრე ქანთარია ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე ქანთარიას სახელოსნომ თეატრალური ინსტიტუტიდან თელავში გადმოინაცვლა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სტუდენტები არა თბილისში, არამედ თელავში სწავლობდნენ. როგორც გაზეთი „თელავის მოამბე“ წერდა: „სტუდენტები რეჟისორმა თეატრში მიიღო, ხელფასიც დაუნიშნა. თეატრის მომავალი მოღვაწეები ფულს დიდი საქმისთვის აგროვებდნენ, ამ თანხით მათ თელავის თეატრში მცირე სცენა გააკეთეს“.¹

ხელმძღვანელობის გადაბარების პროცესში მნიშვნელოვანი იყო ერთი გარემოება. გიორგი ჩაკვეტაძემ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში რეპერტუარში დატოვა ალექსანდრე ქანთარიას სპექტაკლები, მათ შორის „ალალე“. ეს კი ფაქტობრივად უპრეცედენტო მოვლენაა ქართული თეატრის ისტორიაში. სწორედ ამას შენიშნავდა თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილი, როცა წერდა: „სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ თელავის თეატრში გიორგი ჩაკვეტაძემ ალექსანდრე ქანთარიას მას სათუთად და რუდუნებით შემონახული რევან ინანიშვილის „ალალეც“ დაახვედრა და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართული თეატრის ისტორიიდან ძნელად თუ მოიპოვება სხვა პრეცედენტი ახალ სამხატვრო ხელმძღვანელს წინამორბედის მემკვიდრეობა არათუ არ დაენგრიოს, არამედ საგასტროლოდ წაეღოს, როგორც საექსპორტო ნიმუში რეპერტუარიდან“.²

თელავის თეატრში ნუკრი ქანთარია ორიგინალური სახელწოდების პიესით დაბრუნდა – „მე თქვენ ყველას სახეზე გცნობთ“, ასე ერქვა სპექტაკლს, რომლის პრემიერაც 1998 წელს გაიმართა. ალგორითული სათაური შინაარსობრივად სულაც არ ეხებოდა რეჟისორისა და თელავის თეატრის ურთიერთობას. სპექტაკლი გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს აქტუალურ პრობლემებზე იყო აგებული.



სცენა სპექტაკლიდან „მე თქვენ ყველას სახეზე გცნობთ“

¹ გაზ. „თელავის მოამბე“, 2001, 14 აპრილი.

² გაზ. „ივერია ექსპრესი“, 2001, 18-21 ივლისი.

ალექსანდრე ქანთარიას სპექტაკლები ყოველთვის გამოირჩეოდა აქტუალურობით. ასეთი იყო მის მიერ გადმოქართულებული ნილ საიმონის პიესა „ტყვე 29-ე ავენიუზე“, რომელსაც რეჟისორმა სათაურით „მე თქვენ ყველას სახეზე გცნობთ“ წარუდგინა მაცურებელს. „ეს ყოფითი სპექტაკლი, სადაც საჭმელი, ნივთები, ნაგავი, ფული... თითქმის მთელ სცენას იკავებს, ადამიანის სულის საოცრად ღრმა შრეებს ეხება – წერდა თეატრცოდნე ხათუნა



სცენა სპექტაკლიდან „მე თქვენ ყველას სახეზე გცნობთ“

წულაძე – რატომ უნდა ვცოხვრობდე ასე? განწირული ხმით მოგვმართავს სპექტაკლის მთავარი გმირი სოსო (ზურაბ ანთელავა), რომელიც სამსახურიდან დაითხოვეს, რომელიც უკვე იმ ასაკშია, სასწაულების მოხდენას რომ აღარ ელის. თავის გამოუყენებელ ენერგიას ცოლთან (ნინო კურტანიძე) და მეზობლებთან ჩხუბის დროს გამოანთავისუფლებს¹. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თელავის თეატრის მსახიობები: ვანო იანტბელიძე, ვენერა ფეიქრიშვილი, ნაზი არავიაშვილი, თემურ ხუნაშვილი... ხელოვნებათმცონე ლელა ოჩიაური გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე ასე აფასებდა სპექტაკლს: „თვით სპექტაკლი კი ალექსანდრე ქანთარიას შემოქმედებით ბიოგრაფიაში ერთგვარი ზღურბლია, რომლის უკან განვლილი გზის, სულიერი განცდების, ტკივილების არსებობის თავისებური გაგრძელების გზა დევს, წინ კი – ახალი პრინციპებისა და დამოკიდებულებების ძიება. ასეთი პერიოდი ხომ ყველა ხელოვანის ცხოვრებაში დგება“². სპექტაკლს გამოეხმაურა თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილიც, რომელიც ერთგვარად აფასებდა არა მხოლოდ კონკრეტულ სპექტაკლს, არამედ იმ მოცემულობას, რომელიც ალექსანდრე ქანთარიას თეატრში დახვდა. არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა, რომელიც თეატრში პოლიტიკურ-ეკონომიკური

¹ წულაძე ხ., „მე თქვენ ყველას გცნობთ“, ქართული თეატრის დღე, 1999.

² ოჩიაური ლ., მზადდება შეთქმულება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, გაზ. „რეზონანსი“, 2001, 25 ოქტომბერი.



**სცენა სპექტაკლიდან
„მე თქვენ ყველას სახეზე გცნობთ“**

ფაქტორებით იყო განპირობებული, ნუკრი ქანთარიას მემკვიდრეობით ერგო, თუმცა მას დასი შემოქმედებით მზადყოფნაში დახვდა. სწორედ ამ იდეას ავითარებს ავტორი სტატიაში. „ალექსანდრე ქანთარიას თელავში დაბრუნებამ ცხადჰყო, რომ ახალი ეს ძველია, ოღონდ არა დავიწყებული. პრემიერამ კი დაადასტურა, რომ ყველაფერი თავიდან იწყება“.¹

სწორედ ამ სპექტაკლით წარსდგა თელავის თეატრი რუსთავის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარსდგა. ფესტივალის სწორედ თელაველთა სპექტაკლით გაიხსნა.

სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და პრესაც ფართოდ გამოეხმაურა მას.

2002 წელი მნიშვნელოვანი სეზონი იყო თელავის თეატრისთვის. გიორგი ჩაკვეტაძემ დადგა თამაზ ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“ სპექტაკლში ერთმანეთს ორგანულად შეერწყა თეატრის უფროსი და ახალგაზრდა თაობა. მხატვარი იყო თამაზ როსტომაშვილი, ლოტბარი – ირა ლუდუმაძე, კოსტიუმების მხატვარი – მაია სხირტლაძე, რომელთანაც თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილმაც იმუშავა, სპექტაკლის ქორეოგრაფია კი მანანა ჯიმშიტაშვილს ეკუთვნოდა. ფესტივალის ყიურიმ თელაველთა ნაშრომი საუკეთესო სპექტაკლად დაასახელა. თელავის თეატრის გამარჯვება მოულოდნელი იყო სათეატრო საზოგადოებისთვის და თავად თელაველთათვის, რაკი ამით დაირღვა სტერეოტიპი, რომ საუკეთესო თეატრი მხოლოდ დედაქალაქშია.

2002 წელს თელავის თეატრში შედგა პრემიერა ახალი სპექტაკლისა „ალადინის ლამპარი“, რაც დაემთხვა ვანო იანტბელიძის სამხატვრო ხელმძღვანელობის პერიოდს. „ალადინის ლამპარი“ რთულ ეკონომიკურ პერიოდში დაიდგა, თუმცა სპექტაკლს ეს არ ეტყობოდა. ამას ადასტურებს გამოქვეყნებული ჟურნალ „ომეგაში“ მანანა კორმაიას ვრცელი წერილი. კრიტიკოსი წერდა: „ფერეიული საღამო გამოვიდა მაყურებლით სავსე დარბაზში მან სიცივეც დაგვავიწყა და პრობლემებიც. ფიქრია ყუშიტაშვილმა შეძლო ის, რაც სარეჟისორო ოსტატობას ხელეწიფება. გამომგონებლობით, ფანტაზიით დატვირთული სცენები, ცალკეული თუ კრებითი კომპოზიციები, მიკროსცენებიდან ლოგიკურად გადაიზრდებოდა ერთიან დრამატურგიულ ქარგად და ნელ-ნელა



**თ. ხუნაშვილი
სცენა სპექტაკლიდან
„მშვიდობით, ლომებო!“**

¹ გაზ. „ივერია ექსპრესი“, 2001, 18-21 ივლისი.

მიემართებოდა აკუმულაციისაკენ“.¹

სპექტაკლის რეჟისორი, ინსცენირების ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი, თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილი იყო. ეს იყო თეატრმცოდნის სარეჟისორო დებიუტი. რეჟისორმა მხატვარ ეკა მაღალაშვილთან ერთად იმუშავა, რომელმაც ვადოსნური და მშვენიერების სამყარო შექმნა სცენაზე, 40-მდე სასცენო კოსტიუმით და უზარმაზარი მოხატული პანოთი. სპექტაკლში ჟღერდა მანანა მენაბდის



სცენა სპექტაკლიდან „ალადინის ლამპარი“

მუსიკა. დადგმაში მთელი დასი, თეატრის სამივე თაობა და სტატიისტებად მეხანძრეები და სცენის მუშებიც კი მონაწილეობდნენ. სახასიათო ტიპაჟები შექმნეს მსახიობებმა: ვანო იანტბელიძემ, ზურაბ აბაშიძემ. ელდარ თავდიდიშვილმა, მაია სხირტლაძემ, ავთანდილ გულიაშვილმა, პაატა გულიაშვილმა და სხვებმა. „ალადინის ლამპარი“ არ იყო მხოლოდ საბავშვო სპექტაკლი, როგორც კრტიკოსი მანანა კორძია წერს: „რეჟისორს ჩვენს ყოფაში გადმოვყავართ, თავისი სლენგიითა და ჟარგონით, ახალი და ძველი თაობის შეჯახებით, უძველესი პროფესიების განახლებული რემინისცენციით. „ალადინის ლამპარის“ არსი სინათლისკენ სწრაფვა და სიყვარულის ზეიმი, რომელიც ანგრევს ყოველგვარ ბარიერს და აერთიანებს ყველას, სცენაზე თუ პარტერში“.²

განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა ეკა მაღალაშვილის სცენოგრაფია და კოსტიუმები. სცენა გაწყობილი იყო უღამაზესი ფარდაებით, აპლიკაციებით, რომელთაც ავსებდა ფერადოვანი კოსტიუმები, რომელიც მაყურებელს პოდიუმს მოაგონებდა, რისთვისაც მხატვარმა წლის საუკეთესო სცენოგრაფის პრემია მოიპოვა თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიურ კონკურსში „წლის საუკეთესო სცენური ნაწარმოები“. სპექტაკლმა გაახარა

¹ კორძია მ., მშვენიერების სამყაროში, ჟურნ. „ომეგა“, 2002, ნოემბერი.

² იქვე.

დიდიც და პატარაც. ბევრი თეატრში დაბრუნა, როგორც მაყურებელი, ხოლო ბევრი სათეატრო ხელოვნებას აზიარა.

თელავის თეატრის ისტორიასა და მის თანამედროვეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. 1989 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას მშობლიურ ინსტიტუტში, ქორეოგრაფიულ სასწავლებელსა და თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1995–2001 წლებში ფიქრია ყუშიტაშვილი იყო არაერთი პერიოდული პრესის სათეატრო მიმომხილველი. მისი წერილების უმეტესობა სწორედ თელავის თეატრის ისტორიის, მისი ცხოვრების და თანამედროვეობის ასახვას ეძღვნებოდა. 2000–2004 წლებში თელავის თეატრში ფიქრია ყუშიტაშვილის ინსცენირებით რეჟისორმა ნანა ხატისკაცმა დადგა „მკვლელობა ღიმილში ანუ ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ (პროსმერ მერიმეს ნაწარმოებების მოტივებზე). აგრეთვე მას ეკუთვნის ინსცენირება გიორგი ჩაკვეტაძის სპექტაკლისთვის „ძველი სახლი“ (ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“ მოტივებზე).



ფიქრია ყუშიტაშვილი

ფიქრია ყუშიტაშვილი არის ავტორი და დამდგმელი რამდენიმე დამოუკიდებელი სპექტაკლისა, რომლებიც თელავის ვაჟა-ფშაველას სახელმწიფო თეატრში განხორციელდა. ეს პროექტებია: მონოსპექტაკლი „ღუბლიორი“, აღმოსავლური ზღაპარი-ფანტაზია „ალადინის ლამპარი“, ნუგზარ ლორთქიფანიძის „ქალი-მკვლელი“, კობა ცხაკაიას „პატარა ილუზიები“ და ლია მორალიშვილის „პატარა ილუზიები – 2“.

ფიქრია ყუშიტაშვილი გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ორჯერ დაასახელა წლის საუკეთესო თეატრმცოდნედ, როგორც ავტორმა, 1999 წელს, თბილისის მერიის, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და წიგნის მოყვარულთა კავშირის „ბესტსელერი“ მიერ გამართულ ლიტერატურულ კონკურსზე დაიმსახურა მესამე პრემია მოთხრობისთვის „ერთხელ აქ, ამერიკაში“. ხოლო 2005 წელს პოპულარულ და პრესტიჟულ ლიტერატურულ კონკურსზე „პენმარათონი“ დაიმსახურა პირველი პრემია და ვერცხლის დიოგენე. არის რეჟაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილისა და მუნხრან მაჭავარიანის ლიტერატურული კონკურსების ლაურეატი და პრემიის მფლობელი.

2010–2012 წლებში თეატრის მმართველი იყო პოპულარული მსახიობი დემეტრე (დუტა) სხირტლაძე. მისი მოღვაწეობის პერიოდში თეატრში დაბრუნდა ნუგზარ ლორთქიფანიძე, რომელმაც მოწვეული რეჟისორის სტატუსით დადგა რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. სპექტაკლში თელავის თეატრის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში ვენერა ფეიქრიშვილის და თემურ ხუნაშვილის სცენური გმირები.

2003 წელს თელავის თეატრს აკადემიური თეატრის სტატუსი მიენიჭა. ამ წლის პირველ პრემიერად კი თეატრმა მაყურებელს ჟან ანუის „ქურდების მეჯლისი“ უჩვენა. რეჟისორ გიორგი ჩაკვეტაძესთან ერთად სპექტაკლზე მხატვარმა ლევან როსტომაშვილმა, მუსიკალურ გამფორმებელ ლეონ მანველთან და ქორეოგრაფ გიორგი სეხნიაშვილთან ერთად იმუშავა. როგორც გაზეთი „თელავის მოამბე“ იუწყებოდა: „თეატრმა კიდევ ერთი ლამაზი, მხიარული სანახაობა შემოგვთავაზა, რომელმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა გიორგი ჩაკვეტაძის ამოუწურავი რეჟისორული შესაძლებლობანი“.¹

ჟან ანუის კომედია ცხოვრებისეული პრობლემებით დამძიმებულმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო. „კახეთის გაზეთში“ ჟურნალისტმა ნანა კუპატაძემ ვრცელი რეცენზია უძღვნა სპექტაკლს, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები: შოთა ბეჟანიშვილი, ზვიად აბაშიძე, პაატა გულიაშვილი, მაკა გრემელაშვილი, მაია ბესტავაშვილი, ნინო კურტანიძე, ზურაბ ლომიძე, თემურ ხუნაშვილი, ალექსი კუპატაძე, მალხაზ ჩიდრაშვილი და სხვები. სცენაზე შესანიშნავი არტისტული ანსამბლი შეიკრიბა, ერთმანეთს შეხვდა თეატრის სამი თაობა. ეს იყო არტისტული ტალანტის ერთგვარი ჭიდილი. პიესის ჟანრი – კომედია, შემოქმედებით სითამამეს და იმპროვიზაციას უწყობდა ხელს და საშუალებას აძლევდა არტისტებს ამ ჟანრში გამოავლენს შემოქმედებით პოტენციალს.

2003 წელს თელავის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ესპანეთში, ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად. ფესტივალი ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქალაქში ალიკანტეში იმართებოდა. თელავის თეატრის საფესტივალო წარმოდგენას (რომელიც ძირითადად ქართულ სიმღერებს ეფუძნებოდა) ქართველ ემიგრანტებთან ერთად ესწრებოდნენ ფესტივალის სტუმრები და ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა. წარმოდგენას ემოციებით და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა მაყურებელი, ფესტივალის ორგანიზატორებმა თელავის თეატრის მსახიობები სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს, რომელიც ახლაც ინახება თელავის თეატრის მუზეუმში.




„ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალების“ რეპეტიციაზე თეატრის ფოიეში ვანო იანტბელიძე და ზვიად აბაშიძე

¹ გაზ. „თელავის მოამბე“, 2003, 1-15 ივნისი.

2004 წელს კოტე აბაშიძემ გ. გორინის „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება“ დადგა. სპექტაკლს მონუმენტური ფორმა ჰქონდა, ამაში მას, დაეხმარა სცენოგრაფი აივენგო ჭელიძე, რომელმაც უზარმაზარი პანო მოხატა ციური სხეულებით. კოსტიუმებზე მაია სხირტლაძემ იმუშავა, მუსიკაზე კი – კომპოზიტორმა გოგი ჩლაიძემ, ქორეოგრაფიაზე პანტომიმის თეატრის წამყვანმა მსახიობმა კირა მეზუეკემ. კოტე აბაშიძემ ამ სპექტაკლის დადგმით ქართული თეატრის ერთგვარი ტრადიცია აღადგინა ფორმისა და ესთეტიკის თვალსაზრისით.

2004 წელს გიორგი ჩაკვეტაძე დგამს სპექტაკლს „ძველი სახლი“, რომელიც თანამედროვე ვერსია გახლდათ ოთარ მამფორიას პოპულარული პიესისა „მეტეხის ჩრდილში“ (პიესის რედაქციაზე იმუშავა თეატრმცოდნე ფიქრია ყუმიტაშვილმა). სწორედ ამ წარმოდგენით გაიხსნა თელავის თეატრის მცირე სცენა. საგანგებოდ შეიქმნა ქართული ნაწარმოები, რომელიც გარკვეულ ნოსტალგიას აღძრავდა მამების და პაპების თაობებისადმი, სპექტაკლის ღერძი ადამიანური ურთიერთობების წარმოჩენა იყო, ის კოლორიტი, რომელიც უფროსი თაობის ცხოვრებას ახლდა თან. სპექტაკლი შეივსო თანამედროვე ვარიაციებითა და მოტივებით.



**მაკეტები სპექტაკლისთვის ო. მამფორიას „ძველი სახლი“, 2003 წ.
შხატვარი ლ. როსტომაშვილი
მაკეტები დაცულია თეატრის მუზეუმში**

გიორგი ჩაკვეტაძეს თამაზ ჭილაძის არაერთი პიესა აქვს განხორციელებული, მათგან დიდი უმრავლესობა თელავის თეატრში. 2010 წელს დადგა „მშვიდობით, ლომებო!“ იმუშავა. სპექტაკლი წარმატებული გამოდგა – საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიურ კონკურსში სამ ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება. ამ დადგმით თელავის თეატრი საუკეთესო რეგიონულ თეატრად დასახელდა, პიესის ავტორი თამაზ ჭილაძე წლის საუკეთესო დრამატურგად, ხოლო პაატა გულიაშვილი კი ეპიზოდური როლის საუკეთესო შემსრულებლად სცნო სპეციალურმა ფიურიმ. დადგმის საგანგებო რეცენზია უძღვნა თეატრმცოდნე ხათუნა წულაძემ. სპექტაკლის სიუჟეტი მოხუცთა თავშესაფარში მიმდინარეობს, გმირები კი ყველასგან მიტოვებული და მიუსაფარი არსებები არიან. „აქ მოსულ ნებისმიერ უცხოელ სტუმარს – წერს ავტორი – სრული გარანტია აქვს იმისა, რომ მთელ საქართველოს უმოკლეს დროში იხილავს. აქ ცეკვა და სიმღერა უყვართ, ორატორობაც, მათხვრობაც, მუშტი-კრივიც, თავის გამოჩენაც და უცხო ენაზე ლაპარაკიც და თითქმის ყველაფერს თამაშობენ მეფობიდან დაწყებული დემოკრატიით დასრულებული“.¹

¹ გაზ. „ქართული თეატრის დღე“, 2011.

2005 წელს თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მსახიობი და რეჟისორი ლილი ბურბუთაშვილი ინიშნება. მან სამი დადგმა განახორციელა ლაშა ბულაძის „მონომანია“, ბასა ჯანიკაშვილის „მშვიდობით, თემურ!“, ოტია იოსელიანის „გერი და დედინაცვალი.“ ლილი ბურბუთაშვილს მთავარი აქცენტი თანამედროვე ქართული დრამატურგიის სცენაზე ინტერპრეტაცია იყო, თუმცა შემოქმედებითი ძიებები ვერ განახორციელა, რადგან ერთი წლის შემდეგ კვლავ თბილისში მოუწია გადასვლა სამუშაოდ.

გარკვეული პერიოდი თელავის თეატრში კრიზისმა დაისადგურა. ხშირად იცვლებოდა



მაკეტები სპექტაკლებისთვის ო. ჭილაძის „სამოთხის კვარტეტი, რაული და სხვები“, 2007 წ.

რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე, მხატვარი მ. სხირტლაძე

ო. ჭილაძის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო...“

რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე, მხატვარი ლ. როსტომაშვილი, 2005 წ.

მაკეტები დაცულია თეატრის მუზეუმში.

ხელმძღვანელობა, რეჟისორები, მართალია, ხორციელდებოდა დადგმები, მათ შორის, ბევრი საინტერესოც, მაგრამ შემოქმედებითი პროცესი არ იყო თანმიმდევრული და განვითარებადი. 2007 წელს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე, რეჟისორი დავით მღებრიშვილი დაინიშნა. იგი თბილისში, 1971 წელს დაიბადა, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფი), სწავლა გააგრძელა ამავე ინსტიტუტში კინოსა და ტელევიზიის რეჟისურის სპეციალობაზე, ხოლო შემდეგ, ისევ მიხეილ თუმანიშვილთან სწავლობდა ასპირანტურაში დრამის რეჟისურის მიმართულებით. სადიპლომო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში „ეს თავისუფალი პეპლები“ რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით დადგა. თელავის თეატრში მოსვლამდე მას უკვე განხორციელებული ჰქონდა დადგმები: რუსთაველის, გრიბოედოვის, ქუთაისის და სამეფო უბნის თეატრებში. 2007 წლიდან კი იგი თელავის თეატრის მმართველი ხდება. ამავე წელს მან ერთი დადგმა ა. ცაგარლის „ხანუმა“ განახორციელა. სპექტაკლზე მხატვარმა ანა ნინუამ და ქორეოგრაფმა გიორგი სეხნიანიძემ იმუშავეს. ქართული კლასიკური და პოპულარული კომედიის დადგმით დავით მღებრიშვილს დაკარგული მაყურებლის დაბრუნება სურდა, თუმცა ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა. „ხანუმას“ მოწყვა ლაშა ბულაძის „თეატრი“, რომელიც ასავე დავით მღებრიშვილმა დადგა. სპექტაკლის დადგმა თეატრში სარემონტო სამუშაოებს დაემთხვა. პარტერმა სცენაზე გადაინაცვლა და პირიქით, ამიტომაც „თეატრი“ ორიგინალური დადგმა გამოვიდა, თუმცა სპექტაკლმა ფართო მაყურებლის მოზიდვა და თეატრის გარშემო მობილიზება ვერ შეძლო. ამის შესახებ თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილი წერს: „თეატრი ხშირად წინ უსწრებს ხოლმე ცხოვრებას და პროგნოზირებს მოვლენებს, ამ შემთხვევაში მოხდა არაჩვეულებრივი თანხვედრა თემებისა, როდესაც პარტერი და სცენა გაერთიანდა: სხვათა შორის, თელავის თეატრში იმ ხანად მიმდინარე რემონტის

გამო რეჟისორი დავით მღებრიშვილი იძულებული გახდა მაყურებელი პირდაპირ სცენაზე განეთავსებინა, ასე რომ, ცხოვრებამ სცენაზე ააბიჯა, გაუთანაბრდა სასცენო ფიცარნაგს, რეჟისორმა დარბაზში ჩაინაცვლა და იქიდან შეუდგა პროცესების მართვას და ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის წაიშალა, სასცენო სარკე გაქრა და სცენა და პარტერი გამთლიანდა, და შექსპირისეული თეზა: „ცხოვრება თეატრია“ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ადეკვატურად განსხეულდა მოქმედებაში. თემები, რომელთაც მოიცავს პიესა „თეატრი“: დარღვეული ოჯახური ურთიერთობები და ზნეობრივი კრიტიკიუმები, თაობათა შორის გაუცხოება, ფასეულობათა აღრევა, სექსუალური უმცირესობა და მათი ადგილი, თეატრისა და მაყურებლის გაუცხოება, თეატრსა და რეალობას შორის წაშლილი ზღვარი, აბსურდული სიტუაცია და უნიჭო რეჟისურა – ყველა ეს პრობლემა მჭიდროდა ერთმანეთში გადაჯაჭვული, შერწყმული“.¹

2009 წელს დავით მღებრიშვილი ტოვებს თეატრს და თეატრის მთავარ რეჟისორად კვლავ გიორგი ჩაკვეტაძე ინიშნება. თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო დასს მუშაობა მცირე სცენაზე უწყვედა. სწორედ აქ დადგა გიორგი ჩაკვეტაძემოდარ ღუმბადის „თეთრი ბაირალები“. მართალია, სპექტაკლს მაყურებელი ჰყავდა, მაგრამ დასს სულ სხვა ტიპისა და სფეციფიკის სპექტაკლები სჭირდებოდა შემოქმედებითი განვითარებისთვის.

პოპულარობით სარგებლობდა თელავის თეატრის რეპერტუარიდან ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“. სპექტაკლი თელავის თეატრშიც ლევან სვანაძემ განახორციელა. მანამდე რეჟისორმა იგივე პიესა ქუთაისის და ბათუმის თეატრებშიც დადგა. როგორც თეატრმცოდნე გუბაზ მეგრელიძე წერდა: „ეს ნამუშევრები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ბუნებრივია, ვინაიდან საზოგადოებაში მიმდინარე ცვალებადი პროცესები და ადამიანთა ურთიერთობები მაყურებელმა თვალნათლივ უნდა დაინახოს. ამიტომ პიესის ტექსტში გარკვეული კორექტივები შევიდა და აფხაზეთის ომს თბილისის ომის თემაც დაემატა. გმირებიც ორივე ბრძოლის ქარცეცხლგამოვლილები არიან, რამაც მათ პიროვნებებს, რა თქმა უნდა, სათანადო დალი დაასვა... თელავის თეატრში უფროსი თაობის წარმომადგენლის, დევის თვალთ იყო დანახული ბიჭების ცხოვრება, მთავარი გმირები უბრუნებენ ცხოვრებისეულ რწმენას დევის. ორივე შემთხვევაში იკვეთება თაობათა ზრუნვა ერთმანეთზე, რაც რეჟისორული პოზიციიდან გამომდინარეობს. ამიტომაც მოქმედება მათ გარშემო მიმდინარეობს“.²



სცენები სპექტაკლიდან „ზანუმა“

¹ ყუშიტაშვილი ფ., თანამედროვე ქართული დრამატურგია, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2011, № 3-4, გვ. 22.

² მეგრელიძე გ., ლაშა თაბუკაშვილის გმირები, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2015, № 2, გვ. 78.

2012 წელს თელავის თეატრის მმართველად დაინიშნა მსახიობი პაატა გულიაშვილი, რომლისთვისაც თელავის თეატრი არ იყო უცხო, მისი სამსახიობო დებიუტი სწორედ ამ თეატრის სცენაზე რეჟისორ ნუკრი ქანთარია სპექტაკლში „ჩემი წყალ-ჭალის წყლები“ შედგა, თუმცა მანამდე პაატა გულიაშვილს ხშირად უწევდა თელავის თეატრში ყოფნა, ვინაიდან მისი მამა – ავთანდილ გულიაშვილი ამ თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო.



**პაატა გულიაშვილი
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**

პაატა გულიაშვილმა 1999 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობით, 2005 წლიდან ის რუსთაველის თეატრის მსახიობია, თუმცა პარალელურად სტუდენტობის პერიოდში და შემდეგაც თანამშრომლობდა, როგორც მსახიობი, თელავის თეატრთან და გარკვეულ წარმატებასაც აღწევდა. 2003 წელს ქართული

თეატრის დღეს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ პაატა გულიაშვილი ბაჩას როლის განსახიერებისთვის თელავის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისთვის („მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“) მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად დაასახელა, მანამდე, 2003 წელს, რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი“ პაატა გულიაშვილს მამაკაცის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისთვის თელავის თეატრში განხორციელებულ დადგმაში „მშვიდობით, ლომებო!“ გადაეცა პრიზი.

პაატა გულიაშვილმა თელავის თეატრის სცენაზე განასახიერა შემდეგი როლები: ტრისტანი (რ. ინანიშვილის „ალალე“), ბავშვი (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის წყლები“), ციცკა (ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“), ბებია (მ. ფერმოს „კარებს აჯახუნებენ“), ლიბერო (ედ. ფილიპოს „ტყუილი გრძელ ფეხებზე“), მღვდელი პერისი (ა. მილერის „სეილემის პროცესი“), მეზღაპრე (ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“), დუბლიორი (ფ. ყუშიტაშვილის „დუბლიორი“), ლუციო (შექსპირის „საწყაული, საწყაულის წინ“), ივანიკა (გ. ერისთავის „გაყრა“), ტიმოთე (ა. ცაგარლის „ხანუმა“) და სხვა.

პაატა გულიაშვილი თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური, დატვირთული და პოპულარული მსახიობია. თელავის თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად ის წარმატებით ახერხებს იყოს კინოს, თეატრის, ესტრადის მსახიობი.



პაატა გულიაშვილი

პატა გულიაშვილის სცენური გმირები
რუსთაველის თეატრში




2005 წელს პაატა გულიაშვილი მაესტრო რობერტ სტურუამ ოფიციალურად ჩარიცხა რუსთაველის თეატრის დასში. რუსთაველის თეატრის სცენაზე მიერ მიერ განსახიერებული როლებია: ოთარი (ლ. ბუღაძე „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“, რეჟისორი – რ. სტურუა), ქონდარუხი (ა. სულაკაური „სალამურა“, რეჟისორები – რ. ჩხაიძე, დ. კვიციანი), მუშა (დ. კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“, რეჟისორები – რ. სტურუა, ზ. პაპუაშვილი), ვანო (ი. სამსონაძე „ყოფილების სარეცელი“, რეჟისორი – ნ. ლიპარტიანი), ნესტორ პაპასტვირი (ი. სამსონაძე, გ. თავაძე „დაბოლილი მთვარე“, რეჟისორი – გ. თავაძე), პოლონიუსი („Halmet.com X“ სურათები უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან“, რეჟისორი – ლ. ხვიჩია), მისტერ ბამბლი (ლ. ბარტი „ოლივერ“, ჩ. დიკენსის „ოლივერ ტვისტის“ მიხედვით, რეჟისორი – დ. საყვარელიძე), კასკა (შექსპირის „იულიუს კეისარი“, რეჟისორი – რობერტ სტურუა), ორონტი (მოლიერის „მიზანთროპი“ რეჟისორი – გომა გორგოშიძე), მასხარა („კონკია“, რეჟისორი – რობერტ სტურუა), გოგა (ლაშა თაბუკაშვილის „სადღაც, ცისარტყელას მიღმა“, რეჟისორი – რობერტ სტურუა). პაატა გულიაშვილი გადაღებულია ფილმებში: „ფელიჩიტა“ (რეჟისორი – ნ. ალექსი-მესხიშვილი), „27 დრაკონი“ (რეჟისორი – ბ. გორგობიანი), „ქაღალდის ტყვია“ (რეჟისორი – ლ. თუთბერიძე). აქტიური მონაწილეა ქართული სატელევიზიო სერიალებისა და ტელეშოუების. მიღებული აქვს პრეზიდენტის ჯილდო – ღირსების მედალი. 1995 წელს მიიღო პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის („პირდაღებული“, რეჟისორი – დ. საყვარელიძე).

2013 წლიდან დღემდე პაატა გულიაშვილი თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. მისი კანდიდატურა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებულმა სარეკომენდაციო საბჭომ შეარჩია, რომელსაც მაშინდელი მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაეთანხმა. პაატა გულიაშვილის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა ბევრი სასიკეთო ცვლილება, რომელიც თელავის თეატრში განხორციელდა.

პაატა გულიაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში არაერთი საინტერესო, ორიგინალური სპექტაკლი დაიდგა. პაატა გულიაშვილმა, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რამდენიმე ახალგაზრდა რეჟისორს მისცა საშუალება შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად. ლევან ხვიჩიამ, რომელიც რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურა დრამის რეჟისორის სპეციალობით დაამთავრა, რამდენიმე ექსპერიმენტული პროექტი განახორციელა თელავის თეატრში. აღსანიშნავია, მის მიერ დადგმული რ. სმოროდინოვის პატარა ფარსების მიხედვით „ესპრესო“, გიორგი ბაიდაურის „ალისას საახალწლო თავგადასავალი“ და „ჰორაციო“. დებიუტანტმა რეჟისორმა თათა პოპიაშვილმა, რომელმაც თემურ ჩხეიძის სახელოსნო დაამთავრა, ნილ საიმონის „მგზნებარე შეყვარებულების“ დადგმა განახორციელა. პოპულარული კომედია რეი კუნის „იოლი ფული“ დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ნინო ჩაკვეტაძემ. ექსპერიმენტული სპექტაკლი სარა კეინი „ფსიქოზი 4.48“ – ახალგაზრდა რეჟისორმა კიტა როყვამ, რომელთანაც ახალი თაობის გამორჩეულმა სცენოგრაფმა შოთა ბაგალიშვილმა იმუშავა. ახალგაზრდა რეჟისორმა ჯაბა პაპუაშვილმა თანამედროვე პოპულარული ქართველი დრამატურგის ლაშა ბუღაძის „ქეთათოს“ დადგმა განახორციელა.

კლასიკური დრამატურგიის სცენური ინტერპრეტაციებით გაამდიდრა თელავის თეატრის რეპერტუარი თელავის თეატრის მთავარმა რეჟისორმა გიორგი ჩაკვეტაძემ. მის მიერ ბოლო წლებში განხორციელდა: ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ განახლებული დადგმა, მანვე ასევე აღადგინა კიტა ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“. რეჟისორმა კვლავ გააგრძელა ძიებები თამაზ ჭილაძის დრამატურგიულ სამყაროში და განახორციელა

სცენები სპექტაკლიდან „საბრალოდებო დასკვნა“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



მისი პიესები: „მე პაწია მერცხალი ვარ“, „დაკრძალვა სახელმწიფო ხარჯით“. მას არც პატარა მაყურებელი დავიწყებია და მათ ნ. რამიშვილის „ქართული საშობაო ზღაპარი“ და „მაშიკოს თავგადასავალი“ შესთავაზა. გიორგი ჩაკვეტაძემ ამავე პერიოდში დადგა ლამა თაბუკაშვილის პოპულარული პიესა „დარაბებს მიღმა გაზაფხული“.

გიორგი ჩაკვეტაძემ ასევე განახორციელა შემდეგი სპექტაკლები: ა. ჩხხოვის „დათვი. ხელის თხოვნა“, ე. ქართველიშვილის „მოკი-მოუ“, ვ. პეტროვის „თეატრი ჩემი სიყვარულია“-ს მიხედვით „ვინ ვართ ჩვენ?!“. ნ. რამიშვილის „არც მიწისა ვარ, არც ცისა“, ინსცენიერებაში მონაწილეობა რეჟისორმაც მიიღო, სპექტაკლის მხატვარი მირიან შველიძე და ქორეოგრაფი ცისია ჩოლოყაშვილი იყო.

2012–2018 წლებში თელავის თეატრში ასევე დაიდგა: „საახალწლო კარნავალი ტყეში“, „საშობაო ზღაპარი“, „საახალწლო აურზაური ტყეში“, „ჭირვეული სანტა“ (თოჯინური სპექტაკლები; რეჟისორი გ. დოლონაძე), „ლამაზი ცრემლები“ და „მაჩაბელა“ (მონო-სპექტაკლების ავტორი და შემსრულებელი თემურ ხუნაშვილი), ჰაინრიხ ფონ კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანნი?! (დადგმის ხელმძღვანელი რობერტ სტურუა, რეჟისორი ნ. ჰ. შველიძე, სპექტაკლზე გამორჩენილმა ქართველმა სცენოგრაფმა მირიან შველიძემ და ცნობილმა ქორეოგრაფმა ცისია ჩოლოყაშვილმა იმუშავეს). ამავე პერიოდში დაიდგა: თემურ ხუნაშვილის „შესანიშნავი შვიდეული თელავიდან“, კლოდ მანიეს „ბლეზი“ (რეჟისორი გ. სულთანშვილი, მხატვარი ნ. კიტია), გ. ოსეფაშვილი „ბურატინოს თავგადასავალი“ (თოჯინური სპექტაკლი, რეჟისორი გ. დოლონაძე), ს. კაკულიას „სახურავი“ (რეჟისორი ნანუკა ხუსკივაძე, მხატვარი მირიან შველიძე, კომპოზიტორი მიხეილ მდინარაძე).

ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ლევან წულაძემ ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამანი?!“ განსხვავებული სცენური ინტერპრეტაცია შესთავაზა მაყურებელს, ხოლო ბელორუსიელმა რეჟისორმა მიხაილ ლაშინკიმ შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ თანამედროვე ვერსია წარმოადგინა.



**სცენა სპექტაკლიდან „ფსიქოზი 4.48“
თ. ხუნაშვილი**

სარა კეინი „ფსიქოზი 4.48“ რუსთაველის თეატრისა და თელავის თეატრის ერთობლივი პროექტი იყო რეჟისორი კ. როყვა, მხატვარი – შ. ბაგალიშვილი, რუსთაველი თეატრის მსახიობი – ბ. ზანგური და თელავის თეატრის მსახიობი – თ. ხუნაშვილი.

მსახიობმა და რეჟისორმა კახა გოგიძემ თელაველ მაყურებელს ა. ცაგარლის პოპულარული პიესის „ხანუმას“ ახლებური, ორიგინალური ვერსია შესთავაზა. სპექტაკლზე მხატვარმა მირიან შველიძემ და კომპოზიტორმა სერგო ნიკოლაძემ იმუშავეს.

2012 წელს პაატა გულიაშვილი თელავის თეატრში იწვევს ახალგაზრდა რეჟისორს, თემურ ჩხეიძის მოწაფეს თათა პოპიაშვილს, რომელიც დგამს სადიპლომო ნამუშევარს „მგზნებარე

შეყვარებულებს“. სპექტაკლის შესახებ თეატრმცოდნე თამთა ქაჯაია წერდა: „ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, ოჯახურ თანაცხოვრებაში კრიზისული პერიოდი – ეს ის აქტუალური და ყოფითი თემებია, რომელთაც ახალგაზრდა რეჟისორი თათა პოპიაშვილი შეეხო. სპექტაკლი იწყება როგორც ფილმი – პროექტორზე მიდის ათვლა შვიდიდან ერთამდე (7, 6, 5, 4, 3, 2, 1) და წარმოდგენაც იწყება. მანამდე ვეცნობით საინტერესო

დეკორაციას, რომლის საშუალებითაც დაახლოებითი მონახაზი და „ჩარჩო“ იქმნება ჩვენს წარმოსახვაში. მთავარი გმირის (ბარნი – ზურა ლომიძე) სამუშაო ოთახი, გაფორმებული რკინის ჩარჩოებით, იქვე კუთხეში ჩაიდანის გამოსახულება, ბევრი ნათურა და ლოგინი, ბორბლებზე – ეს ის დეკორაციაა, რომელიც სიმბოლურად უკავშირდება სპექტაკლის მთავარი გმირის ბუნებასა და ხასიათს. სპექტაკლში საკმაოდ საინტერესო დეტალია დამატებული, ქალს რომელსაც მხოლოდ ფეხები უჩანს (ე. წ. „პაკლონზეც“ კი მსახიობები და მაყურებელი ტაშს უკრავენ ფეხებს). ეს იყო რეჟისორის მეტაფორული გადაწყვეტა, რომელიც მრავალი ინტერპრეტაციით შეიძლება აიხსნას, თუმცა პირველი, ეს არის დამოკიდებულება არა მხოლოდ თეატრის მიმართ. ეს მიზანსცენა რეჟისორის პოზიციაა და ამით შეიძლება გავიგოთ მისი სათქმელი – ფეხების მოძრაობით ვგრძნობთ ცხოვრების რიტმს, ბარნის მერყევ ბუნებას, იმას, რომ იგი ვერ ბედავს ნაბიჯის გადადგმას (ასევე ქალების ემოციას, გრძნობების სიშიშვლეს)¹.

საინტერესო ქალთა სახეები შექმნეს სპექტაკლში მსახიობებმა: ნონა ზუმარაშვილმა, ნინო კურტანიძემ, ვენერა ფეჭირიშვილმა. ისინი ხატავდნენ განსხვავებულ და ორიგინალურ მხატვრულ ტიპაჟებს. სპექტაკლი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში.

ამავე პერიოდში შეიქმნა თელავის თეატრისა და თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის კოპროდუქცია. რეჟისორმა კოტე აბაშიძემ იტალიელი დრამატურგის ტურგი ალდო ნიკოლოსის „რკინის ბიჭები“ დადგა. სპექტაკლში ქართული თეატრის ორი გამორჩეული მსახიობი, თელავის თეატრიდან ვანო იანტბელიძე და თუმანიშვილის თეატრიდან ვია აბესალაშვილი მონაწილეობდნენ. ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ სპექტაკლი თელავის თეატრის მორიგ გამარჯვებულ შეაფასა.



**სცენა სპექტაკლიდან
„მგზნებარე შეყვარებულები“
ვ. ფეჭირიშვილი და ზ. ლომიძე**

2015 წელი მნიშვნელოვანი სათეატრო სეზონია თელავის თეატრის ისტორიაში. 30 აპრილს შედგა პრემიერა სპექტაკლისა „ვინ გატეხა ქოთანნი?“, რომელიც თელავის თეატრის სცენაზე მაესტრო რობერტ სტურამ ნიკოლოზ ჰაინე-შველიძესთან ერთად დადგა. რობერტ სტურუა იშვიათად, თითქმის არ თანამშრომლობს ქართულ თეატრებთან. ასეთი პრეცედენტი, როცა ის სპექტაკლს რუსთაველის თეატრის გარდა სხვა ქართულ თეატრში დგამს მხოლოდ ორჯერ მოხდა. პირველი – ბათუმის თეატრში, როცა ის ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა, მსახიობ ზაზა პაპუაშვილთან ერთად დგამს დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირს“, ხოლო მეორედ, როცა თელავის თეატრში იმუშავა. ეს განსაკუთრებული შემთხვევებია, რომელიც ავლენს რობერტ სტურუას დამოკიდებულებას ამ თეატრების მიმართ. გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, მსოფლიოში აღიარებული მაესტროს მოწვევის იდეა თელავის თეატრში, სამხატვრო ხელმძღვანელს და ამავდროულად რუსთაველის თეატრის მსახიობს პაატა გულიაშვილს ეკუთვნის. რობერტ სტურუა დღემდე რჩება თელავის თეატრის კონსულტანტად.

ნოველისტიკისა და დრამატურგის ჰაინრიხ ფონ კლაისტის კომედია „გატეხილი ქოთანნი“, რომლის მიხედვითაც დაიდგა სპექტაკლი, გერმანული თეატრის ოქროს

¹ ქავიაა თ., „მგზნებარე შეყვარებულები“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2014., № 4, გვ. 43.

ფონდშია შესული. დადგმის ხელმძღვანელმა, სპექტაკლის განსახორციელებლად, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ჯგუფი შეკრა: თანადამდგმელი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, მხატვარი – მირიან შველიძე, ქორეოგრაფი – ცისია ჩოლოყაშვილი,



**სცენა სპექტაკლიდან „ვინ გატეხა ქოთანნი?“
რეჟისორი – რობერტ სტურუა**

კოსტიუმების მხატვარი – ქეთი ნარეკლიშვილი და რეჟისორის თანაშემწე – მაცვალა ბამუკაშვილი. რა თქმა უნდა, პერსონაჟებს, ძირითადად, თელავის თეატრის მსახიობები ასახიერებენ. ევას როლს კი, რუსთაველის თეატრის მსახიობი, მანანა აბრამიშვილი თამაშობს, რომელიც რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს თელავის თეატრთან. რუსთაველის თეატრიდან არის მიწვეული აგრეთვე ბექა სონღულაშვილიც, რომელიც ლიპტის როლზე ზურა ლომიძის დუბლიორია.

მირიან შველიძის სცენოგრაფია რეჟისორთა კონცეფციას ნათლად გამოხატავს. მოქმედება ვითარდება ტრიპტიხის ფონზე. მხატვარმა იერონიმუს ბოსხის ცნობილი ტილოს „ქრისტე ჯვრის ტვირთისას“ (De Kruisdraging, Christ Carrying the Cross) ფრაგმენტების ციტირებით შექმნა კარედი. ბოსხის ტილოს გამოყენებას რამდენიმე ასხნა შეიძლება მივუძებნოთ: ბოსხის შემოქმედება (კლასიკის მსგავსად) დროს უსწრებს; ბიბლიური (უფრო სწორად, სახარების) სიუჟეტის გადამუშავება, საშინელი ბრბოს, რომელმაც ქრისტე ჯვარს აცვა, ასახვა; კლასიკის კომედის მოქმედების ადგილი ჰოლანდიაა, ბოსხი ნიდერლანდური მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია; კლასიკთან გატეხილი ქოთან ადამიანთა სულიერი რღვევის სიმბოლოა, ბოსხთან ქრისტეს ჯვარცმა ადამიანთა სულიერი რღვევის გამოშხატველია (რაც მათ სახეებზე აისახება). თეატრმცოდნე მაკა ვასაძე ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „აღსანიშნავია, რომ ბოსხთან ქრისტეს ცენტრალური ფიგურა, სპექტაკლის სცენოგრაფიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე პლანზე გადადის. რა თქმა უნდა, ეს რეჟისორთა კონცეფციიდან გამომდინარეა. ბრბოს, მასის ფსიქოლოგიის ასახვა სპექტაკლში, სხვადასხვა სცენაში, რამდენჯერმე ნათლად არის მითითებული. მაგალითად, სასამართლოს დაწყების ეპიზოდში, როდესაც

მოსამართლეთა შემმოწმებელი ვალტერის (თემურ ხუნაშვილი) დაჟინებული მოთხოვნით, ვანო იანტბელიძის სოფლის მოსამართლე ადამი იბულებულია პროცესი დაიწყოს, სცენაზე, დაცვის ბიჭების გადათელვით, ბრბო შემოცვივდება. ფინალურ სცენამდე კი, ადამის გამოაშკარავების შემდეგ, გაშმაგებული ბრბო მიცვივდება დამნაშავე ადამს, რომ ცოცხლად ჩაქოლოს. სწორედ ამიტომაც, რეჟისორებმა და მხატვარმა, ბოსხის ქრისტე, მართალია კარედის ცენტრალურ ფიგურად, მაგრამ სადღაც მიჩქმალულად, მოსამართლე ადამის სავარძლის უკან ასახეს. მეტაფორა ნათელია, ადამიანმა ადამიანური სახე დაკარგა. სწორედ ამიტომაც, ქრისტე, რომელიც სიყვარულის, მიტევების, თანაღმობის სიმბოლოა, თუ კარვად არ დააკვირდი, არ ჩანს. ქრისტეს ჯვარცმის გზაზე მდგომი ხალხი კი, ბოროტების, სიძულვილის სიმბოლო, გამადიდებელი შუშის პრიზმაშია გამოხატული. კარედის თავზე ფანჯრის ჩარჩოა ჩამოკიდებული. კლაისტთანაც და სპექტაკლშიც, ირკვევა, რომ მოსამართლე ადამი, სწორედ ფანჯრიდან გაქცევისას წამოედება მართას დოქს, ჩამოაგდებს და ქოთანი გატყდება. ქოთანი ხომ, ამ თითქოსდა, ერთი შეხედვით, კომიკური, აბსურდული დავიდარაბის მიზეზია¹. გარდა ბოსხისა, მხატვარმა და რეჟისორებმა, მარკ შაგალის ციტირებაც გააკეთეს. მისი სიურეალისტური ნახატის „ძროხა ქოლგით“ ფრაგმენტის გამოყენება სცენოგრაფიაში, აბსურდამდე მისული, გატეხილი ქოთნის გარშემო ატეხილი დავიდარაბის გარდა, კლაისტის პიესის მისტიკური მოტივების ამსახველია. აქვე უნდა აღინიშნოს, ქეთი ნარეკლიშვილის კოსტიუმები რეჟისორთა კონცეფციის გამომხატველია – ყველა დროსა თუ ეპოქას შეიძლება მივუსადაგოთ.

სპექტაკლს კონფერანსიე – ვენერა ფეიქრიშვილი იწყებს, რომელიც ნონა ხუმარაშვილთან ერთად, მოსამართლე ადამის ერთ-ერთი მოსამსახურე ქალის პერსონაჟსაც ასახიერებს. აქცენტირებული განათების ქვეშ იგი გამოდის ავანსცენაზე და მაყურებელს, ჯერ გერმანულად, ხოლო შემდეგ ქართულად ამცნობს მოკლე ინფორმაციას: გასათამაშებელი პიესის სახელწოდებასა და ავტორის ვინაობას. ამ მომენტიდან დაწყებული, რობერტ



სცენა სპექტაკლიდან „ვინ გატეხა ქოთანი?“

სტურუას ეკლექტური სარეჟისორო ენისთვის დამახასიათებელი, პოლისტილისტური ფორმით შექმნილი სანახაობა თამაშდება. თეატრმცოდნე მაკა ვასაძე განსაკუთრებულად გამოყოფს თელავის თეატრის მსახიობთა პროფესიონალიზმს: „აქვე, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, თელავის თეატრის მსახიობთა პროფესიონალიზმი. მათ, არაჩვეულებრივად აუღეს ალლო რეჟისორთა ხელწერას, ზუსტად გაიგეს დასმული ამოცანები და განახორციელეს თავიანთი პერსონაჟები. ამ გარემოებას ხაზი გავესვი, ვინაიდან, რობერტ სტურუასთან და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძესთან, როგორც რეჟისორებთან, მათ პირველად იმუშავეს.

¹ ვ ა ს ა ძ ე მ., „შეხვედებით ჰააგაში“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2015, № 4, გვ. 35.



სპექტაკლის „ვინ გატენს ქოთანნი?!“ რეპეტიციაზე
მირიან შველიძე, პაატა გულიაშვილი და რობერტ სტურუა





სცენები სპექტაკლიდან „ვინ გატეხა ქოთანნი?!“

ვანო იანტბელიძის ადამი არ არის სწორხაზოვანი, მკვეთრად უარყოფითი პერსონაჟი (ასევეა კლაისტოანაც). გარეგნულად ტანსრული, როხროხა, რაღაც თვალსაზრისით სიმპთიური, შუახნის მამაკაცია. ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც „ამა სოფლის“ ცდუნებებმა, ერთ-ერთი პროვინციის, დაკების მომგვარებელ უპატიოსნო მოსამართლედ ჩამოაყალიბეს. იგი ხელმრუდი, ავხორცი ფარისეველია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მის მიმართ სიბრალულის, უფრო მეტიც, სიმპათიის გრძნობა უჩნდება მაყურებელს. თემურ ხუნაშვილის უტრეხდიდან, ე. წ. რეგიონული ცენტრიდან, შემოწმებაზე მივლინებული რევიზორი-მოსამართლე, კანონის უზენაესობის დამცველი სახელმწიფო მოხელე, ტიპური „ჩინოვნიკია“. ზურა ლომიძის სასამართლო საქმეების მწარმოებელი, „პატიოსანი“ ლიპტი, სინამდვილეში მოსამართლის სავარძელზე „მეოცნებე“ პერსონაჟია. იგი მზად არის კვანტი დაუდოს, დანაშაულში გამოიჭიროს და ზემდგომ ინსტანციებში დააბეზლოს, თავისი უფროსი, უფრო მეტიც, შვილების ნათლია ადამი და მისი თანამდებობა მოიპოვოს. მართას როლის შემსრულებელი ნინო კურტანიძე, სოფელში მცხოვრებ ქალთა ტიპაჟს განასახიერებს. წინაპრებისგან დარჩენილი ქოთანი, მისთვის წმიდათაწმიდაა. რეჟისორების მიერ, არაჩვეულებრვად არის გადაწყვეტილი სცენა, როდესაც მართა სასამართლოზე გატეხილი ქოთნის ისტორიას ყვება. პიესაში, ძალიან სასაცილო, მაგრამ საკმაოდ გრძელი მონოლოგია. სპექტაკლში მართა იწყებს მოყოლას, ძირითადი ამბის გადმოცემის შემდეგ, აჩქარებული, მუხჯი კინოს პრინციპზე აგებული კინოკადრების ხერხია გამოყენებული, რა თქმა უნდა, ეს ფეექტი განათების, მუსიკისა და პლასტიკის მეშვეობით მიიღწევა. რომანტიკულობის ელფერი თებურული, შეყვარებულთა წყვილის, მანანა აბრამიშვილის ევასა და ლექსო რაზმაძის რუპრეჰტის, პლასტიკაშიც მუხჯი კინოსთვის დამახასიათებელი მოძრაობები აისახება. ამასთანავე, ლექსო რაზმაძის პერსონაჟი, „გაუთლელი“ გლეხის ტიპაჟს მოგვაგონებს. ეთერ დეისაძის მამიდა ბრივიტა, რომელიც პიესაშიც და სპექტაკლშიც, „დახლართული კვანძის“ გამხსნელია, რეჟისორებმა ღვთისმოსავ მონაზვნად წარმოაჩინეს. სწორედ მისი გამჭრიახი გონებისა და დედუქციური აზროვნების მეშვეობით ნაპოვნი პარიკით დგინდება მოსამართლე ადამის დანაშაული – ქოთნის გატეხვა და ნათელი ეფინება ყველა მის „კოდავს“. სპექტაკლში, რეჟისორებმა უფრო მეტი დატვირთვა მიანიჭეს მოსამართლე ადამის მოახლეებს. პიესაში, ყოველ შემთხვევაში, ბორის პასტერნაკის რუსულ თარგმანში, მათ სახელები არ აქვთ. სპექტაკლში ნონა ხუმარაშვილის პერსონაჟს – ლიზა, ხოლო ვენერა ფეიქრიშვილისას – მარგარიტა დაარქვეს. მალხაზ ჩიდრაშვილი და გიორგი გელაშვილი კი ტიპურ „დაცვის ბიჭებს“ განასახიერებენ.

რობერტ სტურუას სათეატრო ენისათვის დამახასიათებელ კიდეც ერთ დეტალს გამოვყოფ. მის მიერ დადგმულ თითქმის ყველა სპექტაკლში, ამა თუ იმ დოზით, ყოველთვის არსებობს ძალაუფლებისკენ ადამიანის ლტოლვის თემა, სხვადასხვა ხერხით გამოხატული. თუკი, რეჟისორის მიერ შექმნილი სპექტაკლის იდეა, ძირითადად ამ თემის წინა პლანზე წამოწევას არ ემსახურება, მაშინ იგი დეტალებში გამოისახება ხოლმე. მაგალითად, სცენოგრაფიაში, რეკვიზიტში, კოსტიუმებში და ა. შ. „ვინ გატეხა ქოთანის?!“ შემთხვევაში, რეჟისორთა ჩანაფიქრი მხატვარმა, მოსამართლის სავარძლის ცენტრალურ ფიგურად წარმოჩენაში ასახა. ზევით აღვნიშნე, რომ კლაისტოან, გატეხილი ქოთანი ადამიანთა სულიერი რღვევის სიმბოლოა, მოსამართლის პარიკი კანონის უზენაესობის, მოსამართლის სავარძელი კი, რეჟისორთა ჩანაფიქრით, ძალაუფლების აღმნიშვნელ სიმბოლოდ იქცა. სპექტაკლში ამაზე მინიშნება რამდენჯერმეა. ფინალში კი, ამკარად გამოხატულია, რომ ადამიანის სწრაფვა ძალაუფლების მოპოვებისაკენ დამლუპველია. მხილებული ადამის „ჩაქოლვისას“ სცენაზე ლუკი იხსნება და დამნაშავე მოსამართლე

თავის სავარძლიანად „ქვესკნელში“ გაუჩინარდება, რათა, შემდეგ, კვლავ მოგვეკვლინოს იმავე ლუკიდან და სცენაზე მდგომ პერსონაჟებს, თუ, მაყურებელთა დარბაზში მყოფ ადამიანებს, კლასიკის კომედიის არ არსებული, რეჟისორთა მიერ ჩამატებული ფრაზით, მიმართოს: „შევხვდებით ჰააგაში!“. სპექტაკლი დასრულდა, მაგრამ გატეხილი ქოთნის გამო ატეხილი დავა გრძელდება“.¹

დაიხ, სპექტაკლის გარშემო ატეხილი ამბავი დიდხანს არ განელებულა. საზოგადოებაში ბევრს საუბრობდნენ რობერტ სტურუას მიერ თელავის თეატრში განხორციელებულ სპექტაკლზე. ამ დადგმით თელავის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალში, ასევე სპექტაკლი თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის რეკომენდირებული სპექტაკლების ნუსხაში მოხვდა. სპექტაკლზე ბევრი დაიწერა კიდეც. თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავა წერდა: „რობერტ სტურუამ და ნიკოლოზ შველიძემ სპექტაკლს რენესანსული ჟღერადობა მისცეს, შექსპირის, რაბლეს, ბრეხტისა და არისტოფანეს ინტონაციები შეიტანეს და კომედიის საკარნავალო საწყისი გააძლიერეს. ვანო იანტბელიძის გაიძვერა მოსამართლე ადამი საკვირველი შარმითა და დახვეწილი სიმსუბუქით გამოირჩევა. მისი უზნეობა ბოკაჩოს ნოველებისა და მაკიაველის „მანდრაგორას“ პერსონაჟების უზნეობას ჰგავს, ის წესების გარეშე ცხოვრობს და სიცოცხლით ტკება. მისი ენერჯის წინაშე ყველა კანონი ხუნდება. მისი ნატურა შეზღუდვებს არ სცნობს. სასამართლო თუ ევას საძინებელი მისთვის თავგადასავალისა და თამაშის სარბიელია, მაშინ როდესაც მისი ოპონენტები – ნინო კურტანიძის მართა, რომელსაც მთელ ამ სიტუაციაში მხოლოდ გატეხილი ქოთანი აღელვებს ან ზურა ლომიძის ლიპტი, რომელიც ადამის შეცდომაში საკუთარი გამორჩენის



სცენები სპექტაკლიდან „ვინ გატეხა ქოთანი?!“

საშუალებას ეძებს, მხოლოდ ვიწრო პრაგმატული ინტერესებით მოქმედებენ. შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლე ადამის სახით (ფეიქრობ, ძალიან ნიშანდობლივია, რომ მას ადამი ჰქვია), მრჩეველი ვალტერი საერთოდ ადამიანის რენესანსულ პარადიგმას უპირისპირდება. ვფიქრობ, თელავის თეატრის ნამუშევარი, კაბარეს ელემენტებით, ირონიულობითა და ვიტალურობით თეატრალურობის საზეიმო, საკარნავალო, ამოყირავებულ თვისობრიობას აღწევს, რითაც სათეატრო რიტუალს უახლოვდება“.² სპექტაკლზე ვრცელი რეცენზია

¹ ვასაძე მ., „შევხვდებით ჰააგაში“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2015, № 4, გვ. 37.
² ბოკუჩავა თ., რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2015, № 4, გვ. 33–34.

გამოაქვეყნა ნანული კუპატაძემ ჟურნალში „ოლე“. ავტორი აღწერს იმ მოლოდინს, რომელიც თელავში სპექტაკლის მიმართ იყო. „დარბაზი სავსეა მაყურებლით, მაყურებელი კი უდიდესი მოლოდინით, რადგან სპექტაკლის დადგმის ხელმძღვანელი და რეჟისორია დიდი მანერის რობერტ სტურუა, რომელსაც მუდამ ქვეყნის მაჯაზე აქვს ხელი ჩავლებული, გრძნობს მის მაჯისცემას და ამის მიხედვით ქმნის თეატრალურ შედეგებს. დარბაზში შუქი ჩაქრა... სპექტაკლი დაიწყო და პირველივე ფრაზიდან, როცა მსახიობი ვენერა ფეიქრიშვილი ქართულ-გერმანულად მოგვესალმა იქუსა პირველმა ტაშმა და ოვაციაჲ. ამ ფრიად საინტერესო სპექტაკლით შემოქმედებითმა ჯგუფმა გვიჩვენა, რომ თელავის თეატრის ბებერი რქანი კვლავაც ღონიერია, ერთგულად ეწევა თეატრალური ხელოვნების მძიმე ჭაპანს, რასაც ხალხის მსახურება ქვია და მისი შემოქმედებითი ქოთანი არ გატეხილა და არც გატყდება“¹.

ამ სპექტაკლის წარმატება მხოლოდ რეცენზიებითა და ფესტივალებში მონაწილეობით არ ამოწურულა. მსახიობი ვანო იანტბელიძე მოსამართლის როლის შესრულებისთვის პრესტიჟული თეატრალური პრემიით „დურუჯით“ დაჯილდოვდა, როგორც სეზონის საუკეთესო არტისტული ნამუშევარი. გარდა ამისა, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოების სპეციალურმა ჟიურიმ კონკურსში „წლის საუკეთესო სცენური ნაწარმოები“ სეზონის საუკეთესო მსახიობებად დაასახელა თელავის თეატრის მსახიობები: ვანო იანტბელიძე, მანანა აბრამიშვილი, ზურაბ ლომიძე, ეთერ დვისაძე სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთანი?!“ როლების საუკეთესოდ შესრულებისთვის.

2015 წელს პაატა გულიაშვილის მოწვევით, მსახიობმა და რეჟისორმა კახა გოგიძემ „ხანუმა“ ახალი ინტერპრეტაცია შესთავაზა თელაველ და შესაბამისად ქართულ სათეატრო საზოგადოებას. სპექტაკლი წარმოდგენილი იყო გორში კომედიის საერთაშორისო ფესტივალზე და ამავე სპექტაკლით თეატრი წარსდგა ფოთში რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე.



სცენები სპექტაკლიდან „ხანუმა“
რეჟისორი – კახა გოგიძე

¹ კუპატაძე ნ., ორი რეჟისორის ერთი სპექტაკლი თელავის სახელწმიფო თეატრში, ჟურნ. „ოლე“, 2015, № 4, გვ. 58–60.



სცენები სპექტაკლიდან „ზანუმა“
რეჟისორი – კახა გოგიძე



თელავის თეატრის სცენაზე ცაგარლის „ხანუმა“ არაერთგზის იყო განხორციელებული, შესაბამისად, „ხანუმას“ სასცენო ცხოვრების მდიდარი ისტორიის ფონზე, ძნელი არსებული გავლენებისა და ტრადიციებისაგან თავის დაღწევა. „ხანუმას“ დადგმა 21-ე საუკუნეში რისკსაც მოითხოვს, რომელსაც არ შეუშინდა თელავის თეატრი და კახა გოგიძე, რომელმაც კლასიკადქცეული კომედიის ახლებური ვერსია შესთავაზა სათეატრო საზოგადოებას.

თელავის თეატრის სპექტაკლი არამხოლოდ ახლებურად გააზრებული და გაცოცხლებული „ხანუმას“ ვერსია იყო, არამედ მისი მოდერნიზებული ვარიანტი, მოულოდნელობებით სავსე და შოკისმომგვრელიც. ორიგინალურად იყო გააზრებული თავად ხანუმა პერსონაჟი, რომელსაც რუსთაველისა და თელავის თეატრების მსახიობი მანანა აბრამიშვილი ასახიერებდა. თელავის თეატრის ვერსიაში ხანუმა თანამედროვე ძლიერი, გავლენიანი და სექსუალური ქალია, რომელიც არა ანგარებით, არამედ წრფელი სიყვარულის მხარდაჭერის მიზნით ეხმარება ახალგაზრდა წყვილს ჯვრისწერაში.

ხასიათებით მდიდარ კომედიას კახა გოგიძემ ახალი ფერები და სიღრმეები შესძინა. ამ ინტერპრეტაციაში ხანუმა ცალკე პლანეტაა, რომელიც ერთ მხარეს დგას და მეორე მხარეს მთელი საზოგადოება, რომელიც ტრადიციებში ჩაიკარგა (ეს კარგად ჩანს ფერადოვან კოსტიუმებში), ხოლო ხანუმამ დროს აუწყო ფეხი, ამიტომ ის პროგრესულად მოაზროვნეა და წინააღმდეგობების მიუხედავად, რომელიც მას საზოგადოებისგან ხვდება, აღწევს მიზანს, ისე რომ არავის აზარალებს. სპექტაკლში მომვლენები ინტენსიურად ენაცვლებოდა ერთმანეთს, რომელიც თანამედროვე დამძიმებულ მაყურებელს განმუხტავს ფერადოვანი სანახაობით, რომელიც გაჯერებულია მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ეპიზოდებით.

თელავის თეატრის „ხანუმა“ მაყურებელს ავიწყებდა პრობლემებს, პოზიტიურად განაწყობდა ცხოვრებისადმი და უჩენდა რწმენას სიცოცხლისადმი და იმედს უკეთესი მომავლისადმი.

სპექტაკლს გამოეხმაურა თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავაც, რომელმაც ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოაქვეყნა ფესტივალის მიმოხილვა, თელავის თეატრის „ხანუმაზე“ თეატრმცოდნე წერს: „თელავის თეატრი თავისი ინდივიდუალური სახით, ხელწერითა და მალალპროფესიული დასით გამოირჩევა. თუმცა, ვერც ასეთი კოლექტივები უძლებენ ხოლმე ვერაფერს ცდუნებებს. თელავის „ხანუმა“ კარგი თეატრის მიერ ნათამაშები სუსტი სპექტაკლი აღმოჩნდა, რომელშიც ამ თეატრისათვის დამახასიათებელი სტილისტური მთლიანობის, შეკრულობის დოზა დაირღვა. კარგად მესმის, რომ თელაველების ტემპერამენტი, ვიტალურობა, ქარიზმა, თუ იუმორის გრძნობა მაყურებელს ძალიან ხიბლავს და მის გულწრფელ აღტაცებას იწვევს, თუმცა, სწორედ აქ უნდა ჩაირთოს „შინაგანი ესთეტიკური ცენზორი“, რომელიც ზომიერების გრძნობას არ დაგაკარგვინებს. ვფიქრობ, ვანო იანტბელიძემ სამართლიანად გამოარჩია აკოფას როლის შემსრულებელი კრეატიული და ორგანული ახალგაზრდა მსახიობი ლექსო რაზმაძე და მას პრემია „ალალე“ გადასცა“.¹

მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამოწვევის წინაშე დადგა თელავის თეატრი, როდესაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა პაატა გულიაშვილმა სამუშაოდ გამოჩენილი ქართველი რეჟისორი ლევან წულაძე მიიწვია. რეჟისორმა თელავის თეატრის დასთან ილია ჭავჭავაძის კლასიკადქცეულ ნაწარმოებზე „კაცია – ადამიანი?!“ იმუშავა. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია – ადამიანი?!“ სცენურ ინტერპრეტაციებს არცთუ ისე

¹ ბოკუჩავა თ., რევიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი 2016 (ესკიზი), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 2016, № 4, გვ. 52.

ხშირად მიმართავს ქართული თეატრი. ლუარსაბისა და დარეჯანის სეველიანი ამბის სცენაზე იშვიათად გადატანას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიც აქვს, რაც, ალბათ, მოთხრობის დრამატურგიული სტრუქტურის ბრალიცაა და იმისიც, რომ არ არსებობს ნება ჩავიხედოთ სარკეში და გვერდიდან, დისტანციურად გავაანალიზოთ, რას წარმოვადგენთ. გაკუთრებით სარკეს, რომელშიც ჩვენს ანარეკლს ვხედავთ. ამიტომაც, ილიას ყველაზე სატირული მოთხრობის განხორციელება მასში დასმული აქტუალური პრობლემების მიუხედავად თითქმის არ ექცევა რეჟისორთა ინტერესის სფეროში. ვასო გოძიაშვილის მიერ მარჯანიშვილის თეატრში ლუარსაბ თათქარიძის როლის გენიალური შესრულების შემდეგ ხანგრძლივი დრო გავიდა. რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე რობერტ სტურუამ ახლებურად, პოლიტიკური აქცენტებით გააცოცხლა ილია ჭავჭავაძის გმირები და კომიკური სატირა შესთავაზა მაყურებელს. თითქმის ორი ათეული წლის შუალედით გიზო ჟორდანიამ მარჯანიშვილის თეატრის მთავარ სცენაზე, ხელახლა, ახლებური ინტერპრეტაციით გააცოცხლა ილია ჭავჭავაძის გმირები (ლუარსაბი – დათო დვალიშვილი, დარეჯანი – ქეთი ჩხეიძე). მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე კი თელავის თეატრში ამავე მოთხრობის დადგმისას გიზო ჟორდანიას ინსცენირებას დაეყრდნო, თუმცა სპექტაკლი რადიკალურად განსხვავდება მაესტრო ჟორდანიას დადგმისგან. შემთხვევითი არც ის ფაქტორია, თუ რატომ აირჩია ლევან წულაძემ თელავის თეატრში ილია ჭავჭავაძის პროგრამული ნაწარმოების დადგმა. მას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

ლევან წულაძემ სულ სხვა „კაცია – ადამიანი?!“ წარუდგინა თელაველ მაყურებელს. იგი სიკეთის მაძიებელი რეჟისორია და მისი ეს თვისება თითქმის ყველა მის სპექტაკლში ჩანს და მკვეთრად წარმოჩინდება ხოლმე. თითქოს ამ დადგმაშიც მიზანმიმართულად თვალს არიდებს და გაურბის ადამიანების ნეგატიურ მხარეებს და ცდილობს ისინი მხოლოდ დადებითი კუთხით გვაჩვენოს. უფრო სწორად, ყურადღება ადამიანის დადებით მხარეებზე გაამახვილოს და უარყოფითს იუმორის თვალით შეხედოს, თითქოს ეს უმნიშვნელო პრობლემაა, მთავარია, რომ მათ სიყვარული (შესაშური) შეუძლიათ.



სცენები სპექტაკლიდან „კაცია – ადამიანი?!“
რეჟისორი – ლევან წულაძე

ლევან წულაძე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში განხორციელებულ ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანში?!“ არ ეძიება პერსონაჟების ბნელ, დასაგმობ და ნეგატიურ თვისებებს, არ ჩიჩქნის და სამსჯავროზე არ გამოაქვს. გვაჩვენებს, მაგრამ ანალიზის და ხაზგასმის გარეშე, თვალის ერთი შეველებით, მხოლოდ შემჩნევით ჩაუვლის მათ. სამაგიეროდ, აქცენტს იმ პოზიტიურ მხარეებზე აკეთებს, რაც გმირებს გააჩნია და სწორედ მათ წარმოიჩინას ცდილობს. ყველაზე მთავარი, რაც ლ. წულაძის ახალ ინტერპრეტაციაში სპექტაკლის გმირებს შეუძლიათ სიყვარულია. სწორედ სიყვარულს შეწირული გმირებია ლუარსაბი და დარეჯანი, რომლებიც ბოლომდე ერთმანეთის ერთგულები რჩებიან. ლევან წულაძე ლვითსგან განწირულ გმირებს ხატავს, რომელიც უფრო მკაცრი სასჯელია დაშვებული ცოდვებისთვის, ვიდრე სხვა რამ, მაგრამ ჭაობში ჩაფლულ გმირებს რომ სიყვარული შეუძლიათ ეს არის ყველაზე მთავარი.

ლევან წულაძე სულ სხვა, განსხვავებულ ლუარსაბს და დარეჯანს წარმოგვიდგენს. რეჟისორი არღვევს ტრადიციას და კლიშეს, არა მხოლოდ მთავარი გმირების ვიზუალური ნიშნით, არამედ პერსონაჟთა მისწრაფებებით. თელავის თეატრის სპექტაკლში ორი ლუარსაბი და დარეჯანია. ახალგაზრდობაში და მერე; რეჟისორი ხაზს უსვამს იმას, რომ პრობლემები, რომელიც მოთხრობაშია დასმული და მხოლოდ მთავარი გმირების სიმსუქნეში როდია (ახალგაზრდა ლუარსაბი – დათა ხუნაშვილი, ახალგაზრდა დარეჯანი – მარიამ მაისურაძე). ამ მხრივ, რეჟისორი სწორედ მათ ორ მდგომარეობას გვიჩვენებს. ორ ვარიანტს, მაგრამ ხაზს უსვამს იმას, რომ გარეგნობა, რომელიც ცხოვრების წესის შედეგია, არ არის მთავარი პრობლემა. მხოლოდ „კუჭის ამოვსებაზე“ ფიქრი როდია ლუარსაბისა და დარეჯანის სისუსტე და ნაკლი. კონცეფცია გასაგებია, ვისთვის მისაღები და ვისთვის მიუღებელი, მაგრამ დამდგმელებს ერთი ნიუანსი გაეპარათ ტექსტში; ლამაზისეული (ნონა ხუმარაშვილი) დარეჯანზე (მანანა აბრამიშვილი) საუბრისას ხაზს უსვამს მის მიდრეკილებას გურმანობისა და კუჭის მონობისკენ. ტექსტის მიხედვით კი დარეჯანი სხვა აღნაგობის უნდა იყოს, ვიდრე ეს სპექტაკლშია წარმოდგენილი.

ლევან წულაძე მხოლოდ ლუარსაბისა და დარეჯანის სიყვარულის ხაზს მიყვება და გვიჩვენებს ტრაგიკული სიყვარულის სეკლიან ამბავს. ლევან წულაძე არცერთ მომენტში არ ამძიმებს და ამძაფრებს მთავარ გმირთა ისტორიის ტრაგიზმს, ცრემლმორეულ მაყურებელს ეგრევე იუმორს შეაშველებს და ამით სიტუაციას აბალანსებს, პრობლემის სიმძაფრეს ამსუბუქებს.

„შენ გენაცვალე, კახეთო!“ – რეფრენად გასდევს მთელ სპექტაკლს ეს ფრაზა, რომელსაც თითქმის ყველა პერსონაჟი წარმოსთქვამს. რეჟისორი ამ პასაჟით ადასტურებს არამხოლოდ გმირების სიყვარულს სამშობლოს მიმართ (კახეთად აქ განზოგადებული სამშობლო, ქვეყანა მოიაზრება), არამედ მათ პერსონაჟთა ხასიათს, რომლითაც სურს გადაფაროს პერსონაჟთა ნაკლოვანებები. რეჟისორი ამ სპექტაკლით ამბობს, რომ იდეალური ადამიანები არ არსებობენ, მათ ხასიათში უამრავი ნაკლი და ცუდი თვისება აქვთ, მაგრამ ცდილობს დაგვანახოს ისინი მეორე მხრიდან, მათ შორის, ხორემანშიც კი. ფრაზას – „შენ გენაცვალე, კახეთო!“ – ხანაც გულწრფელი სიყვარულით, ხანაც ირონიით წარმოსთქვამენ მსახიობები.

სპექტაკლში მთავარი მოქმედება მეტაფორულ წრეზე, ერთგვარ „წისქვილის ქვაზე“ მიმდინარეობს, რომელიც პერსონაჟთა ბედისწერის მეტაფორაა, რომელზედაც ბრუნავენ ჭავჭავაძე-წულაძისეული გმირები და მუდმივად უბრუნდებიან საწყის პოზიციას. ეს ერთგვარი შეკრული წრეა, რომლის გარღვევის შემთხვევაშიც კი არაფერი იცვლება. პერსონაჟები ამ წრის გარშემო ტრიალებენ (სცენოგრაფი ლევან როსტომაშვილი). წრის ცენტრში სარეცელი დგას, როგორც ცოლ-ქმრული სიყვარულის მეტაფორა. ფონად



სცენები სპექტაკლიდან „კაცია – ადამიანი?!“
რეჟისორი – ლევან წულაძე

კი კავკასიონის ულამაზესი ხედი მოსჩანს. ასე პირობითად გადაწყვიტა სცენოგრაფმა სივრცე, რომელშიც ჭავჭავაძისა და ჩენი დროის გმირები ცხოვრობენ. სპექტაკლის მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილია. იგი ქართული ფოლკლორისა და ქალაქური მუსიკალური სიმღერების ლირიკული მელოდებით ავსებს ცარიელ სივრცეებს, და არამხოლოდ განწყობას, ან ფონს ქმნის, არამედ სპექტაკლის ატმოსფეროს ხატავს.

სპექტაკლში „კაცია – ადამიანი?!“ არაერთი საინტერესო მხატვრული სახეა შექმნილი, რომელსაც თელავის თეატრის მსახიობები ოსტატურად ხატავენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთავარი როლის შემსრულებლებს ვანო იანტბელიძეს (ლუარსაბი) და მანანა აბრამიშვილს (დარეჯანი) საშემსრულებლო ოსტატობითა და მათი ფუნქციით სპექტაკლში გაუტოლდნენ ნონა ხუმარაშვილის ლამაზისეული და ლექსო ცინკერაშვილი-რაზმაძის სალმისღირსი. ეს წყვილი ყველაზე დასამსახსოვრებელი კომიკური პერსონაჟები არიან სპექტაკლში, ფაქტობრივად ლუარსაბისა და დარეჯანის აჩრდილებს წარმოადგენენ. მათაც ისე უყვართ ერთმანეთი და გარშემომყოფები, როგორც მათ ბატონებს. ისინი კეთილი, იუმორით სავსე პერსონაჟები არიან, რომლებიც ახალისებენ მაყურებელს, მათ შორის ყველაზე, სვედიან, დრამატულ და ტრაგიკულ სცენებშიც კი, თანაც ისე, რომ არ კარგავენ ზომიერებას. ეს ორი მსახიობი ავლენს სამასხიობო ოსტატობას, პროფესიონალიზმს, რაც ნიუასებში ჩანს, იცავენ ზომიერებას გამომსახველობით საშუალებებში და ინტონაციებში. საინტერესო და სახასიათო ტიპაჟები არიან მოურავი დათა (გიორგი გელაშვილი), ელისაბედი (ნინო კურტანიძე) და ხორემანი (ეთერ ბაბილაშვილი). ლევან წულაძის სპექტაკლში სიუჟეტიდან გამქრალია ლუარსაბის ძმის დავითის ხაზი. აქ მხოლოდ ელისაბედს, ისიც ერთ ეპიზოდში ვხვდებით. დავითის ხაზის გაქრობა სიუჟეტიდან რეჟისორის კონცეფციიდან მომდინარეობს, ვინაიდან ლევან წულაძისთვის ამ შემთხვევაში ლუარსაბისა და დარეჯანის, როგორც ღმერთისგან განწირული ცოლ-ქმრის ტრაგიკული და უნაყოფო სიყვარულის ამბავია.

ლუარსაბის როლში თელავის თეატრის სავიზიტო ბარათად ქცეული მსახიობი ვანო იანტბელიძე მოგვევლინა. მის მიერ შესრულებული ლუარსაბი არ ჰგავს სცენასა და ეკრანზე აქამდე განხორციელებულ გმირებს, არც ვიზუალურად და არც კონცეპტუალურად. ვანო იანტბელიძის ლუარსაბი მეოცნებე, შეყვარებული კაცია, რომელსაც ყოფითი პრობლემების და დარეჯანის გარდა არაფერი და არავინ აინტერესებს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ვანო იანტბელიძის ლუარსაბი ფარ-ხმალს იოლად არ ყრის და იმედით ცოცხლობს, მისთვის დამანგრეველი გარშემო ფაქტორები არ არსებობენ, მისი მთავარი საყრდენი კედელი მისი სიყვარული – დარეჯანია, რომლის წაქცევის შემდეგ, ლუარსაბი უღუპება. ლევან წულაძის სპექტაკლში ლუარსაბი უკანასკნელ იმედსაც კარგავს და ყველა ამქვეყნიურ ნეტარებაზე, ურომლისოდაც მას აქამდე არ შეეძლო, უარს ამბობს. მსახიობი ოსტატურად წარმოაჩენს ლირიკულ გმირს, რომელიც სევდას და იუმორს ერთდროულად გვრის მაყურებელს.

ქართულ თეატრში აქამდე არსებულ სცენური გმირის დარეჯანის მხატვრულ სახეთა გალერეაში რადიკალურად გამორჩეულია მანანა აბრამიშვილის დარეჯანი. ლ. წულაძის სპექტაკლში მანანა აბრამიშვილის დარეჯანი მომხიბვლელი და ლამაზი ახალგაზრდა ქალია, ოდნავ უკეთესი და ცოცხალი გონებით, ვიდრე მისი უსაყვარლესი ქმარი ლუარსაბი. მსახიობი ზომიერი ინტონაციით და ემოციურობით ხატავს ახალგაზრდა შვილზე მეოცნებე ქალის მხატვრულ სახეს. სამსახიობო ხელოვნების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია მის მიერ შესრულებული საფინალო მონოლოგი, როცა ის სიცოცხლეს ეთხოვება და ეგებება სიკვდილს. ტექსტის მიხედვით ეს ეპიზოდი ერთდროულად შეიცავს ტრაგიზმსა და იუმორს. მსახიობისთვის ეს სცენა ბეწვის

ხიდზე გავლას ჰგავს, რომელსაც წარმატებით გადის მანანა აბრამიშვილი. სწორედ ამ ეპიზოდში ვლინდება მსახიობის მაღალი პროფესიონალიზმი და ოსტატობა. რაც შეეხება სპექტაკლის სამსახიობო ანსამბლს ზოგადად, ვფიქრობ, რომ ახალბედა მსახიობსაც და გამოცდილსაც მეტი ყურადღების გამახვილება სჭირდება სასცენო მეტყველების კულტურის დაოსტატებაზე, ვინაიდან გარკვეულ ეპიზოდებში მათ მიერ წარმოთქმული ფრაზები იკარგება. ეს ის პრობლემაა, რომლითაც მხოლოდ თელავის თეატრი არ გამოირჩევა, მაგრამ მისი აღმოფხვრა შესაძლებელია.



სცენები სპექტაკლიდან „კაცია – ადამიანი?!“

თელავის თეატრის „კაცია – ადამიანი?!“ ილია ჭავჭავაძის გამორჩეული მოთხრობის მორიგი განსხვავებული ინტერპრეტაციაა, ხოლო თავად თეატრისთვის მორიგი წარმატებული პროექტი. თელავის თეატრი იმ უიშვიათეს რეგიონის თეატრებს შორისაა, რომელიც ახერხებს მაღალი რანგის რეჟისორების მოწვევას. გამოცდილ, ოსტატ რეჟისორებთან დასის მუშაობა ახალი გამოცდილებაა, რაც მის წარმატებასა და განვითარებას, ზრდასა და სრულყოფას უწყობს ხელს, მარკეტინგული თვალსაზრისით კი სწორად გათვლილი პოლიტიკა მაყურებლის მოსაზიდად. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პაატა გულიაშვილის მიერ მაღალი რანგის რეჟისორთა მოწვევის ტრადიცია კი დასაფასებელი ინიციატივაა. რობერტ სტურუას და ნიკოლოზ ჰაინეშვილის მიერ წარმატებულად დადგმულ სპექტაკლს „ვინ გატეხა ქოთან?!“ ლევან წულაძის „კაცია – ადამიანი?!“ მოყვა.

სპექტაკლი წარმოდგენილი იყო რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში. სწორედ, ამ ფესტივალზე მიეცა შესაძლებლობა კრიტიკოსებს სპექტაკლის ნახვისა. თეატრმცოდნე მაკა ვასაძემ ფესტივალის მიმოხილვაში საგანგებო ადგილი დაუთმო თელაველთა სპექტაკლს. კრიტიკოსი წერდა: „შესაძლოა არ ეთანხმებოდე ლევან წულაძისეულ ილიას „კაცია – ადამიანი?!“ სარეჟისორო კონცეფციას, მაგრამ საკუთარი ჩანაფიქრი, დამდგმელმაც და შემოქმედებითმა ჯგუფმაც, მხატვრული თვალსაზრისით ნათლად და საინტერესოდ წარმოაჩინეს. თელავის თეატრის სპექტაკლს

ჩამოშორებული აქვს ზოგადსაკაცობრიო, მარად საკვლევი თემა – ადამიანის რაობის, არსის, დანიშნულების შესახებ. წარმოდგენა სიყვარულზეა, ლუარსაბისა და დარეჯანის სიყვარულზე. ლევან წულაძის და მხატვრის ლევან როსტომაშვილის ჩანაფიქრით თათქარიძეების ოჯახის ამბავი სცენაზე გაკეთებულ მბრუნავ წრეზე ვითარდება. დეკორაციის უმთავრესი, აქცენტირებული რეკვიზიტი კი დიდი საწოლია. მოვლენათა რიგი ამ საწოლის გარშემო იკვრება. საწოლს, რომელშიც ლუარსაბისა და დარეჯანის მთელმა ცხოვრებამ განვლო, სხვადასხვა სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა აქვს: სიზარმაცის, ინტიმურობის, საკუთარ თავში ჩაკეტილობის და სხვა. სპექტაკლის რეჟერენად ქცეული ფრაზის – „შენ გენაცვალე, კახეთო!“ – ვიზუალური გამოხატულებაა კავკასიონის ქედი, რომელიც მოქმედ პერსონაჟებს თითქოს ზევდიან დაჰყურებს. ურეკის კულტურის სახლის სცენა ინტიმურ გარემოს უქმნიდა კამერული ტიპის სპექტაკლს და თითქოს უფრო ესადაგებოდა, ვიდრე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდი მასშტაბების სასცენო სივრცე. რეჟისორი და მსახიობები, სევდანარევი იუმორით გადმოსცემენ ლუარსაბისა და დარეჯანის უნაყოფო სიყვარულის ამბავს. ვანო იანტბელიძის – ლუარსაბის და მანანა აბრამიშვილის – დარეჯანის სიყვარული, იმისდა მიუხედავად რომ ჭამა-სმასა და სარეცელს არ სცილდება, მაინც რომანტიკულობის ელფერის მატარებელია და მაყურებელში თანაგრძობას აღძრავს. რეჟისორმა და მსახიობებმა საინტერესო, დამახასიათებელი შტრიხების მქონე ტიპაჟები შექმნეს. სამსახიობო ანსამბლიდან, ვანო იანტბელიძესა და მანანა აბრამიშვილთან ერთად, გამოირჩევა ნონა ხუმარაშვილის ლამაზისეულის პერსონაჟი¹. ლევან წულაძის ლირიკულ-სევდიან ამბავს არ აკლია მაყურებელი. თელაველებმა შეიყვარა ეს პერსონაჟები. რეჟისორისა და დამდგმელი ჯგუფის ამოცანაც ეს იყო.

პაატა გულიაშვილმა, როგორც თელავის თეატრის საერთო ხელმძღვანელმა 2012 წლიდან დღემდე, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განაოხრციელა: დამონტაჟდა გათბობის სისტემა, როგორც დიდ და მცირე დარბაზში, ასევე საგრიმიროებში; ჩატარდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები საგრიმიროებში, კორიდორებსა და ფოიეში; მსახიობებისთვის მოეწყო ფოიე და სასტუმრო ოთახები ჩამოსული სტუმრებისთვის, თეატრში მოწვეული რეჟისორებისა და მსახიობებისათვის. საგრიმიროები უზრუნველყო ცხელი წყლით და ინდივიდუალური აბაზანებით. განახლდა 180 - კაციანი მცირე დარბაზი სტაციონარული სავარძლებით. ასევე გაიხსნა მესამე სივრცე 40 კაცზე და კეთილმოეწყო



მცირე სცენა

¹ ვასაძე მ., რევოლუციური თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი 2018, <https://vasadzemaka.blogspot.com/>

ლიტერატურული საღამოებისთვის; ჩატარდა თეატრის ფასადის რეაბილიტაცია და პირვანდელი სახე დაუბრუნდა ფასადს; თეატრის ფასადზე დამონტაჟდა მონიტორი სარეკლამო რგოლებისთვის; განახლდა ავტოპარკი.

საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა ბიძინა ივანიშვილმა თელავის თეატრს საჩუქრად გადასცა 27 კაციანი მიკრო ავტობუსი, ასევე თეატრს გადაეცა მსუბუქი ავტომანქანა. პაატა გულიაშვილის ძალისხმევით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თეატრს უსასყიდლოდ გადმოსცა ვაჟა-ფშაველას ბიუსტი, რომელიც ამშვენებს მისი სახელობის თეატრის ფოიეს. ხოლო რუსთაველის თეატრმა განათებისა და გახმოვანების აპარატურა, რომლითაც ახლა მუშაობს თეატრი.



პაატა გულიაშვილის აქტიურობითა და მონღომებით გაიზარდა თეატრის დაფინანსება 320 000 ლარით, რამაც გამოიწვია მსახიობთა ხელფასების ზრდაც. ბოლო პერიოდის განმავლობაში თეატრმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია შემოქმედებით საქმიანობაში. თეატრის სამხატვრო კონსულტანტად დაინიშნა რობერტ სტურუა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით დაიდგა სპექტაკლები.

პირველად თელავის თეატრის ისტორიაში გაიხსნა ღვაწლმოსილი, გამოჩენილი და დამსახურებული არტისტების, თელავის თეატრის სავიზიტო ბარათების და სახეების – ვენერა ფეიქრიშვილის, თემო ხუნაშვილის და ვანო იანტბელიძის ვარსკვლავები. სამივე მსახიობი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სპეციალური პრემიით „თეატრის ამაგდარიტ“ დააჯილდოვა.

სცენები სპექტაკლიდან „ესპრესო“
რეჟისორი – ლევან ზვიზია




სცენები სპექტაკლიდან „მზნებარე შეყვარებულები“
რეჟისორი – თათა პოპიაშვილი



სცენები სპექტაკლიდან „თეთრი ბაირალები“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



სცენები სპექტაკლიდან „ფსიქოზი 4.48“
რეჟისორი – კიტა როყვა



სცენები სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



სცენები სპექტაკლიდან „იოლი ფული“
რეჟისორი – ნინო ჩაკვეტაძე



სცენები სპექტაკლიდან „მე პაწია მერცხალი ვარ“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



სცენები სპექტაკლიდან „ქეთათო“
რეჟისორი – ჯაბა პაპუაშვილი



სცენები სპექტაკლიდან „ვინ გატეხა ქოთანნი?“
რეჟისორები – რობერტ სტურუა, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე



სცენები სპექტაკლიდან „დათვი და ხელის თხოვნა“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



სცენები სპექტაკლიდან „ხანუმა“
რეჟისორი – კახა გოგიბე



სცენები სპექტაკლიდან „შესანიშნავი შვიდეული თელავიდან“
რეჟისორი – თემურ ზუნაშვილი



სცენები სპექტაკლიდან „ბლეზი“
რეჟისორი – გიორგი სულთანნიშვილი



სცენები საექტაკლიდან „სახურავი“
რეჟისორი – ნანუკა ზუსკივაძე



სცენები სპექტაკლიდან „პორაციო“
რეჟისორი – ლევან ზვირია



სცენები სპექტაკლიდან „დაკრძალვა სახელმწიფოს ხარჯით“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



სცენები სპექტაკლიდან „კაცია – აღამიანი?!“
რეჟისორი – ლევან წულაძე




სცენები სპექტაკლიდან „მეთორმეტე ღამე“
რეჟისორი – მიხაილ ლაშიცკი



სცენები სპექტაკლიდან „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“
რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე





თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი – გიორგი ჩაკვეტაძე



რეჟისორი გიორგი ჩაკვეტაძე, პოეტი ვასტანგ ღლონტი, დრამატურგები ირაკლი სამსონაძე და შადიმან შამანაძე



სპექტაკლის „არც მიწისა ვარ, არც ცისა“ პრემიერაზე თეზურ ხუნაშვილი, პაატა გულიაშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე და ბექა სონღულაშვილი

გიორგი ჩაკვეტაძე თელავის თეატრის სტუდიელებთან ერთად





ლევან როსტომაშვილი

რამდენიმე ათეული წელია თელავის თეატრში მოღვაწეობს მხატვარი ლევან როსტომაშვილი. 1980 წელს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ, ლევან როსტომაშვილი დღემდე თელავის თეატრის სცენოგრაფია. მისი პირველი სპექტაკლი, რომელზედაც იმუშავა „აღმართ-აღმართ შენ ახალი საქართველო გქვია“ იყო, რომელიც ნუგზარ ლორთქიფანიძემ დადგა. მის მიერ გაფორმებული სპექტაკლები თელავის თეატრის საუკეთესო და საეტაპო სპექტაკლებად ითვლება. ესენია: „ბერიკონი“, „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ქართლ-კახეთის სამეფოს ქრონიკები“, „ამბავი თავვთა და კაცთა“, „მეფე ერეკლე“, „ხანუმა“, „კაცია – ადამიანი?!“ და სხვა. ლევან როსტომაშვილი მუშაობდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც არიან: ნუგზარ ლორთქიფანიძე, ნანა ხატისკაცია, გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან წულაძე, ალექსანდრე ქანთარია, მალხაზ ასლამაზიშვილი და სხვა.



თელავის თეატრში 2001 წლიდან მოღვაწეობს მხატვარი ქეთი ნარეკლიშვილი, რომელმაც 1999 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი დებიუტი, როგორც კოსტიუმების მხატვრისა, შედგა 2001 წელს. მან ნუკრი ქანთარიას სპექტაკლისთვის „თოვლის დედოფალი“ შექმნა კოსტიუმები. თითქმის ორი ათეული წელია ქეთი ნარეკლიშვილი თელავის თეატრში მოღვაწეობს. ამ ხნის განმავლობაში მან იმუშავა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც არიან: ალექსანდრე ქანთარია, რობერტ სტურუა, ლევან სვანაძე, გიორგი ჩაკვეტაძე, დავით მღებრიშვილი, კახა გოგიძე, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე... მხატვარმა, რომელიც პარალელურად თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დიზაინის წრეს ხელმძღვანელობს, შექმნა კოსტიუმები სპექტაკლებისთვის: „ხანუმა“, „ვინ გატეხა ქოთანნი?!“, „ვინ ვართ ჩვენ?“, „სახურავი“, „თეატრი“, „დასაფლავება სახელმწიფო ხარჯით“, „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო...“, „ჰორაციო“ და სხვა.



ქეთი ნარეკლიშვილი

თელავის თეატრი ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი დასით. ამ თეატრში მოღვაწეობენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები და პერსპექტული ახალგაზრდა თაობა.

საქართველოს დამსახურებული არტისტი ორბი აღნიაშვილი თელავის თეატრის უხუცესს თაობას წარმოადგენს. მან 1961 წელს დაამთავრა თბილისის მხატვრული თვითმომკმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი. ორბი აღნიაშვილის დებიუტი თელავის თეატრში 1961 წელს შედგა ვ. მაღლაფერიძის ხელმძღვანელობით სპექტაკლში „კაცი და მგელი“ და ამავე წლიდან თელავის თეატრის მსახიობია დღემდე. მისი სასცენო კარიერა რამდენიმე ათეულ როლს მოიცავს, რომელთაგან აღსანიშნავია: მორისი (მაინ რიდის „უთავო მხედარი“), ვანიასი (ნ. პერიალისის „ბაფთიანი გოგონა“), არჩილი (ა. ჩხაიძის „ხიდი“), თავადი (მ. ლერმონტოვის „მასკარადი“), დათიკო (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“), კვალერი (კ. გოლდონის „სასტმროს დიასახლისი“), მამა (შ. შამანაძის „ღია შუმბანდი“) და სხვა.



ორბი აღნიაშვილის სცენური გმირები

თელავის თეატრის უფროს თაობას წარმოადგენს საქარველოს დამსახურებული არტისტი ნაზი არავიაშვილი, რომლის დებიუტიც თელავის თეატრის სცენაზე 1962 წელს შედგა. სპექტაკლში „ტირიფები მტკვრის პირას“ მან გურამ მაცხოვნაშვილის სპექტაკლში მაკას როლი შეასრულა. ფაქტობრივად, დებიუტანტი მსახიობი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ წლის საუკეთესო ახალგაზრდა ქალ მსახიობად დაასახელა. აქედან იწყება მისი წარმატებული კარიერა თელავის თეატრში.



ნაზი არავიაშვილის სცენური გმირები

ნაზი არავიაშვილმა 1961 წელს დაამთავრა თეატრალური სასწავლებელი, ხოლო 1975 წელს თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი მუშაობდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ და არიან: გურამ მაცხოვნაშვილი, ნუგზარ ლორთქიფანიძე, ნანა ხატისკაცი, ლერი პაქსაშვილი, ალექსანდრე ქანთარია და გიორგი ჩაკვეტაძე. მის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩეოდა: მანანა (ი. ჯავახიშვილისა და ა. აფშილავას „ვაზისუბნელი ძმაკაცები“), მანანა (ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“), ხატია (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“), ნინა (მ. ლერმონტოვის „მასკარადი“), დედა (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), უჩას მეუღლე და ანო (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მათიკო (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“), დარო (რ. ინანიშვილის „ალაღე“), დედა

(თ. ჭილაძის „ნახვის დღე“) და სხვა. ნაზი არავიაშვილს განსაკუთრებული წარმატება ზედა წილად სპექტაკლში „იეთიმ გურჯი“. კრიტიკოსი ოთარ ეგაძე მასზე წერდა: „ნაზი არავიაშვილის ელო სულიერ-იდეურ კონტაქტშია დაბლა სართულზე მცხოვრებ ნათელი აზრებითა და კეთილი გრძნობებით სავსე იეთიმ გურჯთან. მსახიობი ლაპიდარული მეტყველი სცენური ნიუანსებით აცოცხლებს საოჯახო შრომით მოწამლული და სასიკვდილოდ განწირული ელოს იერსახეს.“



ეთერ ბაბილაშვილის სცენური გმირები

გორის, ჭიათურის, ზუგდიდისა და თელავის თეატრებში მოღვაწეობდა ეთერ ბაბილაშვილი, მაგრამ იგი შემოქმედებითად მაინც თელავის თეატრთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მისი შემოქმედების უმეტესი წლები სწორედ აქ გაატარა.

1964 წელს ეთერ ბაბილაშვილი თელავის თეატრის მსახიობია. მას ბედმა გაუღიმა, ვინაიდან საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, პირდაპირ თეატრში მოხვდა. ნოდარ დეისაძემ ის სპექტაკლში „სიყვარულის წისქვილი“ ნესტანის როლი შესთავაზა. ეს იყო მისი სასცენო დებიუტი. თელავის თეატრში ეთერ ბაბილაშვილს შექმნილი აქვს 50-მდე სცენური სახე, მათგან აღსანიშნავია: ნელი (შ. ნიშნიანიძის „ვისთან არის მაკო?“), ნანა (ა. ყაზბეგის „ელენორა“), ლია (ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“), დენერა (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), ირინე (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), კაპიტოლინა (რასპუტინის „იცოცხლე და გახსოვდეს“), ანგუსტიასი (ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“), ნინო (ლ. როსებას „პროვინციული ამბავი“), ნინელი (ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“), დედოფალი (ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“), ბაბული (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“), დედა (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), ბრიგიტა (ჰ. ფ. კლასიტის „ვინ გატეხა ქოთან?!“), ხორეშანი (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“) და სხვა. ბრიგიდას როლის შესრულებისთვის რობერტ სტურუას სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთან?!“ ეთერ ბაბილაშვილი წლის საუკეთესო მეორე ხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა.

1984 წელს მსახიობ ეთერ ბაბილაშვილზე გაზეთი „ალაზნის განთიადი“ წერდა: „სცენაზე იდგა მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდა ქალი, რომლის სასცენო კულტურა საკმაოდ გამოსამხველად ჩანდა, მან იმთავითვე გამოავლინა მდიდარი არტისტული

ბუნება“¹. მის არტისტულ კარიერაში ყველაზე წარმატებული ნუგზარ ლორთქიფანიძის თელავის თეატრში მოღვაწეობის ხანაა, თუმცა როგორც აღმოჩნდა ის, როგორც მსახიობი, საინტერესოა რეჟისორების – რობერტ სტურუასა და ლევან წულაძისთვისაც.

უკვე წლებია, თელავის თეატრის ხსენებისას რამდენიმე მსახიობი გახსენდება, ერთ-ერთი მათგანი სწორედ საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი და ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატი ვენერა ფეიქრიშვილია, რომელიც თელავის თეატრში 1968 წლიდან, თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დღემდე წარმატებით მოღვაწეობს. მისი დებიუტი შედგა რეჟისორ გ. აბრამიშვილის სპექტაკლში „თორტიზელი ქალიშვილი“.



ვენერა ფეიქრიშვილის სცენური გმირები

ვენერა ფეიქრიშვილის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩევა: მირანდოლინა (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), ნაზი (ბოიაჯიევის „ლუელი“), მელია (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“), მაშიკო, შემდეგ ელისაბედი (რ. ერისთავის „ჯერ დაოხოცნენ, მერე იქორწინეს“), მარტირიო (ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), წეწიკო (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“), კაწაწა (რ. ინანიშვილის „ალალე“), თეკლა (ა. ცაგარლის „ხანუმა“) და სხვა.



კარლო ქართველიშვილის სცენური გმირები

¹ გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1984, 26 ივლისი.

1970 წლიდან მოღვაწეობს თელავის თეატრში მსახიობი კარლო ქართველიშვილი. 1969 წელს მან თბილისის სერგო ზაქარიასის სახელობის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დღემდე თელავის თეატრში მოღვაწეობს. მსახიობმა ათეულობით დასამახსოვრებელი, ორიგინალური და საინტერესო მხატვრული სახე შექმნა, რომელთაგან აღსანიშნავია: მწერალი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ზაზა ნაკაშიძე (ნ. ღუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), ივანიკა (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ბონდო (ლ. როსეას „სახლის ანგელოზები“), ბაგრატა (ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“), მეფე (ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“), მამუკა (ვ. კანდელაკის „ხევსურული ბალადა“), ბუხუტი (ო. იოსელიანის „საურმე გზებზე“), ბერი განდევილი (ი. ჭავჭავაძის „განდევილი“), გიჟი დინგუა (რ. ინანიშვილის „ალაღე“), ნესტორი (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“), ოფელია (შექსპირის „ჰორაციო“) და სხვა. კარლო ქართველიშვილი 350-ე სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ უცვლელად თამაშისთვის თელავის თეატრმა საპატიო დიპლომით დააჯილდოვა. ათწლეულების მანძილზე თელავის თეატრის შემოქმედებით წარმატებაში კარლო ქართველიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ათეულობით რეცენზიაში თუ საგაზეთო მიმოხილვაში კრიტიკოსები თუ პრესის მომომხილველები აღნიშნავენ მსახიობის პროფესიონალიზმს, მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იმ პერსონაჟების მიმართ, რომელსაც სცენაზე ახორციელებდა.



თემურ ხუნაშვილის სცენური გმირები

გასული საუკუნის 70-იანელთა ერთ-ერთი გამორჩეული და ღირსეული წარმომადგენელია თემურ ხუნაშვილი, რომლის შემოქმედებაც მთლიანად დაკავშირებულია თელავის თეატრთან. მსახიობი რამდენიმე ათეული წელია არ დალატობს თელავის თეატრს და ერთგულად ემსახურება მაყურებელს, რომელსაც მოუთმენლად ელოდება ახალ სპექტაკლში. თემურ ხუნაშვილმა 1970 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტი და მისი დებიუტი პროფესიულ სცენაზე 1970 წელს შედგა თელავის თეატრის სპექტაკლში „მზიანი ღამე“. დებიუტანტმა მსახიობმა მთავარი როლი – თემური ითამაშა. 50 წლის მანძილზე თემურ ხუნაშვილმა 150-მდე პერსონაჟი შექმნა სცენაზე. მსახიობმა თავისი სასცენო მოღვაწეობა საინტერესოდ მოგვითხრო წიგნში „40 წელი თელავის თეატრში“, რომელიც მივიწყებული ჟანრის – მემუარული ლიტერატურის გაცოცხლების წარმატებული მცდელობაა, ვინაიდან წიგნში თემურ ხუნაშვილის სასცენო მოღვაწეობასთან ერთად მოთხრობილია თელავის თეატრის ისტორიის ერთი მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული პერიოდი, ხოლო მეორე მხრივ, ბნელი 90-იანები, და მძიმე ეკონომიკური პერიოდი, რომელიც პირდაპირ ასახვას ჰპოვებდა შემოქმედებაზე. მსახიობს გაუმართლა კიდევ, რადგან მას მუშაობა უწევდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც არიან: ნუგზარ ლორთქიფანიძე, ლერი პაქსაშვილი, ალექსანდრე ქანთარია, რობერტ სტურუა, გურამ მაცხონაშვილი, ნანა ხატისკაცი, გიორგი

ჩაკვეტაძე და სხვები. თემურ ხუნაშვილის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ჭინჭრაქა (ვ. ნახუციერშვილის „ჭინჭრაქა“), აზიზი (ბოიაჯიევის „დუელი“), ფაბრიციო (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), სერგო (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), უჩა (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“), ვალოდია (ვ. კოროსტილოვის „მე მჯერა შენი“), წაწაშვილი (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალჭალის ხმები“), გიორგი XII (ვ. იაკაშვილის „ქართლ-კახეთის სამეფოს ქრონიკები“), ლალე (მ. ელიზოიშვილის „ბერიკონი“), დოდრიალა დათა (რ. ინანიშვილის „ალალე“), ვასო (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“), იეთიმ გურჯი (ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“), ანდრო (თ. ჭილაძის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“), ვანო ფანტიაშვილი (ა. ცაგარლის „ხანუმა“), შოშია (ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“), ანჟელო (შექსპირის „საწყაული, საწყაულის წილ“), ვალტერი (ჰ. კლაისიტის „ვინ გატეხა ქოთანნი?“), პარუნ ოსეფა (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), პრეზიდენტი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და სხვა მრავალი.

თემურ ხუნაშვილს ნათამაშები აქვს რამდენიმე მონოსპექტაკლი: სარა კეინის „ფსიქოზი 4.48“, ზ. დათიაშვილის „მაჩაბელა-მაჩაბელა“ და საავტორო „ლამაზი ცრემლები“, „მოგვთა საჩუქარი“. თემურ ხუნაშვილმა შემოქმედებითი ძალები რეჟისურაშიც მოსინჯა. თელავის თეატრთან არსებულ სტუდიაში მან „შესანიშნავი შვიდეული თელავიდან“ დადგა. ის 30 წელზე მეტია პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა თელავის თეატრთან არსებულ სტუდიაში სასცენო მეტყველების კურსს უძღვება, მანამდე იგივე კურს კითხულობდა თელავის თეატრის მიზნობრივი ჯგუფისთვის საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში. ასწავლის მეტყველების კულტურას თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და უძღვება მსახიობის ოსტატობის კურსს თელავის ნ. სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში.

თემურ ხუნაშვილს 1986 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, 1989 წელს გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხოლო 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. „თუ პირად შემოქმედებაზე ვისაუბრებთ, თითქოს გულდასაწყვეტი არაფერია – აცხადებდა ერთ-ერთ ინტერვიუში თემურ ხუნაშვილი – როლები, აქტიურ შემოქმედებით ქურაში წვა არ დამკლებია. სცენამ და თეატრმა, რაც შეეძლო, ყველაფერი მომცა. მეც გვარიანად გავისარჯე, თუმცაღა დარწმუნებული ვარ, საუკეთესო როლები წინ მაქვს. მსახიობისთვის გამოცდილება, წლობით შეძენილი ოსტატობა ძალიან ბევრს ნიშნავს. ამდენი წლიანი გარჯის მიუხედავად, დალლას ნამდვილად არ ვგრძნობ“.1 თემურ ხუნაშვილი ის ერთ-ერთი პირველი მსახიობია, რომელიც თელავის თეატრის ერთგულ მსახურად დარჩა, არ შეუშინდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ქარტეზილებს და დარჩა პროფესიაში, რომელმაც თავის კოლეგებთან, თანამოაზრეებთან ერთად უკიდურესი სიდუხჭირის პერიოდში დარჩა თელავის თეატრში, პროფესიაში, იხსნა და გადაარჩინა მშობლიური თეატრი.

1973 წელს შემოუერთდა თელავის თეატრის დასს იზა შუმანაშვილი. მან 1971 წელს დაამთავრა სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი. მისი დებიუტი კი თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრში შედგა 1974 წელს. მისი სასცენო კარიერის დასაწყისი დაკავშირებულია სოხუმის თეატრთან, სადაც ორი სეზონის განმავლობაში მუშაობდა. თელავის თეატრში კი პირველი სპექტაკლი, რომელშიც იზა შუმანაშვილმა მიიღო მონაწილეობა, იყო ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რომელშიც მსახიობმა ჟუჟუნას როლი შეასრულა. ამ პერიოდიდან მოყოლებული იზა შუმანაშვილმა თელავის თეატრში განასახიერა 30-ზე მეტი როლი,


¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000, 7 იანვარი.



ინა შუმანაშვილის სცენური გმირები

რომელთაგან გამოირჩევა: ნუნუ ექიმი (ნ. ღუმბადის „საბრალდებო დასკვნა“), შაფაკი (მ. ქარიშის „მთვარის დაბნელების ღამე“), ცაცანა (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, ეს სპექტაკლი თელავის თეატრში ორჯერ დაიდგა, 1976 და 2013 წლებში (რეჟისორები ნ. ლორთქიფანიძე და გ. ჩაკვეტაძე), ორივე დადგმაში მსახიობი ცაცანას როლს ასრულებდა), ამელია (ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“), ჰერტრუდა (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“), ლენა (შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“), ნანა (რ. მიშველაძის „ფეხით მოსიარულე“) და სხვა.

ელდარ თავდიდიშვილის დებიუტი თელავის თეატრში 1970 წელს შედგა. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მისი სასცენო დებიუტი ცხინვალის თეატრში შედგა, თუმცა შემოქმედებითი კარიერა მთლიანად დაუკავშირა თელავის თეატრს. თითქმის 50 წლის მანძილზე მსახიობმა ათეულობით სპექტაკლში მთავარი და ეპიზოდური როლები შეასრულა, რომელთაგან აღსანიშნავია: ღურმიშხანი (ო. იოსელიანის „საურმე გზებზე“), გერმოგენი (ჯ. ქარჩხაძის „ობობა“), წყალობა (ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“), მიტუა (ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“), ოფიცერი (გ. ერისთავის „უჩინმარინის ქუდი“), ფერდინანდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ჯიბილო (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), მწყემსი (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“) და სხვა.



ელდარ თავდიდიშვილის სცენური გმირები

თელავის თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული სახე ათწლეულობის განმავლობაში მსახიობი ნინო კურტანიძეა, რომელიც დასს 1981 წელს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შემოუერთდა. ნინო კურტანიძე დღემდე აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა თელავის თეატრში. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: მართა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), ანიკო (ნ. დუმბაძის „კუკარაჩა“), მართა (გ. დოჩანაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“), თინა (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“), შუქია (რ. ინანიშვილის „ალაღე“), მერი (ლ. თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“), მარი (რ. მიშველაძის „ფეხით მოსიარულეთათვის“), იზა (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“), კირა (აღ. კოტეტიშვილის „კომოდოს კუნძული“), გოგოლა (თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“), ლედი იურფი (ჟ. ანუის „ქურდების მეჯლისი“), ელო (ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“), მანანა (ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“), ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა“), მართა (პ. კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანი?!“), ელისაბედი (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“), დედა („სახურავი“) და სხვა. თუ ამ როლებს გადაავლებთ თვალს, დაკვირვებული მკითხველი უმალ მიხვდება, რომ ნინო კურტანიძე მონაწილეობდა თელავის თეატრის ისტორიის მანძილზე ყველა გამორჩეულ და საეჭაპო სპექტაკლში. 1989 წელს სპექტაკლში „ნახვის დღე“ შესრულებული როლისთვის საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ის წლის საუკეთესო მსახიობად დაასახელა, იგივე ჯილდო მსახიობმა 2001 წელსაც მიიღო სპექტაკლში „მშვიდობით, ლომებო!“. არის ღირსების ორდენის კავალერი.



ნინო კურტანიძის სცენური გმირები

ნინო კურტანიძეს მაყურებელი და სათეატრო კრიტიკა დღემდე აღტაცებაში მოჰყავს. 2003 წელს „მთავარი გაზეთი“ მსახიობზე წერდა: „ნინო კურტანიძეს თითქმის არ ჰქონია შემოქმედებითი პაუზა. იგი მოწოდებით მსახიობია და ამიტომაც თავდაუზოგავად შრომობს დიდ და მცირე როლებზე, ყოველ როლზე მუშაობისას ის შესაშურ უნარს ავლენს – მის მიერ განსახიერებული გმირები გამოირჩევიან სითამამით, გულწფელობით, თავმოყვარეობითა და სიკეთით“¹.


წარმოდგენელია თელავის თეატრის თანამედროვე შემოქმედებითი ცხოვრების წარმოდგენა მსახიობ ვანო იანტბელიძის გარეშე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თელავის თეატრის სახედ, ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. ვანო იანტბელიძემ 1975

¹ გაზ. „მთავარი გაზეთი“, 2003, 25 ნოემბერი.

წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. მსახიობის ხელოვნებას ის მიხეილ თუმანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გახდა თელავის თეატრის მსახიობი და დღემდე აქ მოღვაწეობს.

ვანო იანტბელიძეს ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული, თუმცა სრული უმრავლესობა თელავის თეატრის სცენაზე განხორციელებულ დადგმებში. განსაკუთრებული წარმატება და პოპულარობა მსახიობს ალექსანდრე ქანთარიას მიერ რ. ინანიშვილის „ალალეში“ შესრულებულმა ალალეს როლმა მოუტანა. დღემდე არ განელებულა მისი პოპულარობა, მის მიერ შესრულებული როლები მაყურებლის ინტერესს იწვევს.

ვანო იანტბელიძის სცენურ სახეთა გალერეა მდიდარია განსხვავებული მხატვრული სახეებით. მის მიერ თელავის თეატრში განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია: გამოძიებელი (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), ხარიტონი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ჩარლი (თ. ბრანდონის „ჩარლის დეიდა“), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), ფერდინანდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ოსიკო (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), გიორგი პაპა (გ. დოჩანაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“), გოგია ბრიგადირი (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“), ალალე (რ. ინანიშვილის „ალალე“), ანტონ კათალიკოსი (ვლ. იაქაშვილი „ქართლ-კახეთის სამეფოს ქრონიკები“), ვანო ფანტაშვილი (ა. ცაგარლის „ხანუმა“), ლეო ვანელი (ლ. როსებას „პროვინციული ამბავი“), ლენი (ჯ. სტაინბეკის „ამბავი კაცთა და თავვითა“), ბიძია ანტონი (ალ. კოტეტიშვილის „კომოდის კუნძული“), ვასიკო (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“), მეფე ერეკლე (ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ილია ჭავჭავაძე (ილიას მოგზაურობა ვლადიკავკაზიდან წიწიაშურამდე“), ჰერცოგი (შექსპირის „საწყაული საწყაულის წილ“), მეფე, ლომი (თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“), სახლის ანგელოზი ლუკა (ლ. როსებას „სახლის ანგელოზები“), გიორგი (ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“), მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცი (ა. ცაგარლის „ხანუმა“), ბატონი ისიდორე (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), მოსამართლე ადამი (კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანნი?“), ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“) და სხვა.



ვანო იანტბელიძის სცენური გმირები

ვანო იანტბელიძე აქტიურად თანამშრომლობს კინოშიც. ის გადაღებულია 20-მდე ქართულ და უცხოურ ფილმში, სატელევიზიო სერიალსა და რეკლამაში. ვანო იანტბელიძეს საკმაოდ გაუმართლა, ვინაიდან თანამშრომლობა უხდებოდა გამორჩეულ რეჟისორებთან (ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მაესტრო მიხეილ თუმანიშვილთან), მათ შორის, რობერტ სტურუასთან, ნანა ხატისკაცთან, ნუგზარ ლორთქიფანიძესთან, გიორგი ჩაკვეტაძესთან, ალექსანდრე ქანთარიასთან, ლევან წულაძესთან და სხვებთან.

ვანო იანტბელიძეს 1981 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, 1986 წელს გახდა „ალალეს“ პრემიის ლაურეატი, ხოლო 1990

წელს დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით, ხოლო 2005 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიით. 1986 და 1994 წლებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ წლის საუკეთესო მამაკაც მსახიობად დაასახელა, ხოლო 2015 წელს გახდა პრესტიჟული სათეატრო პრემიის „დურუჯი“ ლაურეატი (მოსამართლე ადამის როლის შესრულებისთვის რობერტ სტურუას სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთან?!“), ამავე წელს, ამავე როლისთვის ვანო იანტბელიძე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობის დიპლომი გადასცა, 2013 წელს თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დასახელდა მაყურებლის საყვარელ და ყველაზე პოპულარულ მსახიობად, ამავე წელს ის ყველაზე პოპულარულ ქართველ მსახიობთა რეიტინგში (პირველი ათეული) მოხვდა. 2014 წელს ვანო იანტბელიძეს „საპატიო თელაველის“ წოდება მიენიჭა.

2002–2004 წლებში ხელმძღვანელობდა თელავის თეატრს, იყო სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. ვანო იანტბელიძის ინიციატივით აღდგა პრემია „ალალე“, რომელიც ყოველწლიურად ორ ახალგაზრდა მსახიობს გადაეცემა რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალზე. 2017 წლიდან ვანო იანტბელიძე ხელმძღვანელობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების კახეთის სექციას.

ვანო იანტბელიძე იყო იმ ოთხეულში (ნუგზარ ლორთქიფანიძე, ნინო მამულაიშვილი, ზურაბ ანთელავა, ვანო იანტბელიძე), რომელმაც არჩევანი თელავში მუშაობაზე გააკეთა. „რომ ვუფიქრდები – ამბობს ვანო იანტბელიძე ერთ-ერთ ინტერვიუში – ჩვენი ჯგუფი თითქმის პატარა თეატრის ტოლფასი იყო. ერთი ქალი, ორი მამაკაცი და რეჟისორი – უკვე შეიძლებოდა პიესის განაწილება. ჩვენ, როცა თელავის თეატრს დავუკავშირეთ ჩვენი კარიერა არ ვფიქრობდით საყოფაცხოვრებო პირობებზე, მივდიოდით თეატრში უამრავი ჩანაფიქრით და გვჯეროდა, რომ ჩვენს ოცნებებს აუცილებლად ავიხდენდით. ვფიქრობ, ჩვენი თაობა, რომ არ ჩასულიყო თელავში, დღეს ხომ საშუალო თაობის ისეთივე დეფიციტი გვქენებოდა, როგორც დღეს ახალგაზრდა თაობის“¹. ინტერვიუ ვანო იანტბელიძესთან ჩაწერილია 1991 წელს. მსახიობი მოუწოდებდა ახალგაზრდა თაობას დედაქალაქში უმუშევრად ყოფნის მაგიერ რეგიონების თეატრებში ემუშავათ.



ზურაბ ლომიძის სცენური გმირები

1981 წლიდან თელავის თეატრში წარმატებით მოღვაწეობს მსახიობი ზურაბ ლომიძე. საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მისი დებიუტი პროფესიულ

¹ ჟურნ. „ხელოვნება“, 1991, № 5, გვ. 62.

სცენაზე შედგა თელავის თეატრში და ზურაბ ლომიძე დღემდე აქტიურად განაგრძობს შემოქმედებით ცხოვრებას. მსახიობს თელავის თეატრში უკვე განხორციელებული აქვს 100-მდე როლი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი შემოქმედება დღემდე აინტერესებს რეჟისორებს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში თელავის თეატრში თავიანთ პროექტებს ახორციელებდნენ. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: დავითი (ნ. დუმბადის „კუკარაჩა“), ექიმი (ე. შვარცის „ჩრდილში“), დარისპანი (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), ღვთისო (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), გახუტა (გ. დონანაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“), მოხუცი (რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“), იონა (ლ. თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“), ომერლი (უ. შექსპირის „რიჩარდ II“), ამირანი (შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“), ვეფხია (რ. ინანიშვილის „ალალე“), დათუნია ბუნაძე (რ. მიშველადის „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“), ივანე (გ. ერისთავის „გაყრა“), გოგინა (ო. მამფორიას „იეთიმ გურჯი“), ნიკო (თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“), კლაუდიო (შექსპირის „საწყაული, საწყაულის წილ“), კიმოთე (ა. ცაგარლის „ხანუმა“), ბარნი (ნ. საიმონის „მგზნებარე შეყვარებულები“), ესტატე პაპა (ვაჟა-ფშაველას „სათაგური“), ტრისტანა (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), ქურდი (ლ. თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია, სველი იასამიანი?!“), ლიხტი (კლაისტის „ვინ გატეხა ქოთან?“), კაპიტანი (შექსპირის „მეთორმეტე დამე“), გია (ს. კაკულიას „სახურავი“), კლავდიუსი (შექსპირის „ჰორაციო“) და სხვა მრავალი.

ზურაბ ლომიძეს 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით, ხოლო 2012 წელს ღირსების ორდერით. 2003 წელს ნიკოს როლის განსახიერებისთვის გიორგი ჩაკვეტაძის სპექტაკლში „მშვიდობით, ლომებო!“ მიენიჭა წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობის პრემია, 2016 წელს საუკეთესო მამაკაც მსახიობად დასახელდა.



დავით ნაცვლიშვილის სცენური გმირები

დავით ნაცვლიშვილი 1998 წელს შეუერთდა თელავის თეატრის დასს, როცა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ქანთარია იყო. 2002 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი. დავით ნაცვლიშვილს თელავის თეატრში დადგმული აქვს აკაკი წერეთლის „ბუტილობა“, რამდენიმეჯერ იყო რეჟისორის ასისტენტი. თელავის თეატრის სცენაზე ალექსანდრე ქანთარიასთან, გიორგი ჩაკვეტაძესთან, რობერტ სტურუასთან და სხვა რეჟისორებთან თანამშრომლობით შექმნილი აქვს 50-მდე როლი. თეატრის გარეთ თელავის საჯარო სკოლებში ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თეატრებს, სადაც მომავალ თაობას აზიარებს სათეატრო ხელოვნებას.



ლია ჯალაშვილის სცენური გმირები

2001 წლიდან ალექსანდრე ქანთარიას მოწვევით ლია ჯალაშვილი თელავის თეატრის მსახიობია. მან 2006 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სარისტანი (ა. ცაგარლის „ხანუშა“), ბანკირი (ზ. ლენცის „ჟამი უცოდველთა“). როგორც რეჟისორი მუშაობდა დადგმებზე: რეზო მიშველაძის „კაცნი“ (ნოველების მიხედვით), „ნარკომანი“ (რ. მიშველაძის მოთხრობების მიხედვით).



გიორგი გელაშვილის სცენური გმირები

პროფესიონალ არტისტთაგან გამოირჩევა თელავის თეატრის მსახიობი გიორგი გელაშვილი, რომელმაც 1998 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1995 წლიდან, სწავლის პარალელურად მუშაობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მსახიობად. მისი დებიუტი თელავის თეატრში შედგა გიორგი ჩაკვეტაძის სპექტაკლში „სამოთხის კვარტეტი“, 2008 წლიდან გიორგი გელაშვილი თელავის თეატრის მსახიობია. მას განსახიერებელი აქვს შემდეგი როლები: ზაზა (ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“), ამავე პიესაში მან მოგვიანებით ტიგრან გულოიანის როლიც მოირგო, გიგი (თ. ჭილაძის „დაკრძალვა სახელმწიფო ხარჯით“), მამა (შექსპირის „ჰორაციო“), მოხრობელი (აკ. წერეთლის „არც მიწისა ვარ, არც ცისა“), მალვოლიო (შექსპირის „მეთორმეტე ღამე“), მოურავი (ილ. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“) და სხვა.

თელავის თეატრის ქალბატონ მსახიობთაგან გამოირჩევა ნონა ხუმარაშვილი, რომელმაც თბილისის საცირკო და საესტრადო სასწავლებელი 1984 წელს დაასრულა, ამავე წლიდან თელავის თეატრის მსახიობია. და შეასრულა 50-მდე როლი: ქალიშვილი (ა. ვოლოდინის „დაწინაურება“), თიკა (შ. შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“), ალალეს მამიდა (რ. ინანიშვილის „ალალე“), ყარდაშვერდი (გ. ერისთავის „გაყრა“), გუგული (თ. ჭილაძის „ნახვის დღე“), მელია, გლეხი (ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“), ვარა (ო. მამფორიას „ძველი სახლი“), გადი (ე. ანუის „ქურდების მეჯლისი“), გამოძიებელი (ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალი“), იზა (თ. ჭილაძის „სამოთხის კვარტეტი“), სარე (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), ბინადარი (თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“), ბობი (ნ. საიმონის „მგძნებარე შეყვარებულები“), ქაბატო (ა. ცაგარლის „ხანუმა“), მასხარა (შექსპირის „მეთორმეტე ღამე“), ლამაზისეული (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“) და სხვა.



ნონა ხუმარაშვილის სცენური გმირები

ნონა ხუმარაშვილი სახასიათო მსახიობია. მის მიერ შესრულებული როლების შესახებ არაერთხელ აღნიშნავდა პრესა. მსახიობის გროტესკულ მანერაზე მიუთითებდა თეატრმცოდნე ვაჟა ბრეგვაძე, რომელიც წერდა: „მწვავე გროტესკულ მანერაში განასახიერებს გუგულის როლს ნონა ხუმარაშვილი. მისი თამაში გემოვნების ბეწვის ხიდის ზღვარზე გადის და ახალგაზრდა მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას – წარმატებით ართმევს თავს ექსცენტრული ხასიათის გამოკვეთას, სადაც უტრიერებულია ემოცია და მისი ხასიათი შეურაცხადობის მიჯნას უახლოვდება“.¹

ნონა ხუმარაშვილი ყოველთვის ახერხებს, რომ ეპიზოდურ როლშიც იყოს მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი, სწორედ, ამას აღნიშნავდა თეატრმცოდნე ლელა წიფურია ნონა ხუმარაშვილზე, რომელიც სახელგანთქმულ სპექტაკლში „ალალე“ ალალეს მამიდის როლს ასრულებდა. „განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ნონა ხუმარაშვილი, ნიჭიერად ნათამაშები მცირე ეპიზოდური როლით. მსახიობი უაღრესად კოლორიტულ და ცოცხალ მხატვრულ სახეს ქმნის. მით უფრო აღსანიშნავია ის, რომ ნონა ხუმარაშვილი სრულიად ახალგაზრდა მსახიობია და დამჯერებლად, რამდენიმე დეტალით ქნის მოხუცი ქალის სახეს“.²

ალექსანდრე (ლექსო) რაზმაძე-ცინკვერაშვილი თელავის თეატრის მსახიობთა ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული და ლიდერი მსახიობია, რომელიც პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს არა მხოლოდ მაყურებელში, არამედ პროფესიულ წრეებში. მსახიობმა 2010 წელს დაამტავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობა. ალექსანდრე ცინკვერაშვილის დებიუტი შედგა ბადრი წერედიანის სპექტაკლში ჟან

¹ ბ რ ე გ ვ ა ძ ე ვ., ფანტასმაგორია და რეალობა, ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1989, № 3, გვ. 38.

² წ ი ფ უ რ ი ა ლ., „ალალე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, 29 იანვარი.

ანუის „ტოროლა“ (სადიპლომო ნამუშევარი), ხოლო თელავის თეატრში 2011 წელს მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში „სათაგური“ (ვაჟა-ფშაველას მიხედვით). სწორედ ნემსას როლი იყო მისი დებიუტი თელავის თეატრის სცენაზე. ალექსანდრე ცინკვერაშვილს მუშაობა მოუხდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც არიან: რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, ვიორგი ჩაკვეტაძე, ნუგზარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ შველიძე-ჰაინე, ნანუკა ხუსკივაძე, ლევან ხვიჩია და სხვა.



ალექსანდრე (ლექსო) რაზმაძე-ცინკვერაშვილის სცენური გმირები

ალექსანდრე ცინკვერაშვილის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩევა: გიგლა (ნ. დუმბადის „თეთი ბაირალები“), ივანიკა (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), პროკურორი (ლ. ბულაძის „ქეთათო“), ლიბრეტი (ჰ.ფ. კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანნი?!“), სალმის ღირსი (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“), ოთო (ს. კაკულიას „სახურავი“), აკოფ დარდიმანდიანცი (ა. ცაგარელის „ხანუმა“), ჰამლეტი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), ბლეზი (კ. მანიეს „ბლეზი“), გამომძიებელი (რ. კუნი „იოლი ფული“), ჰერცოგი (უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე“), ნაცარქექია (ნ. რამიშვილის „მამოს ტავგადასავალი“), პიანისტი (რ. სმოროდინოვის „ესპრესო“) და სხვა.

ათ წელზე მეტია თელავის თეატრის სპექტაკლებში ვხვდებით რუსთაველის თეატრის მსახიობს მანანა აბრამიშვილს, რომელმაც 2007 წელს დამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი და მოღვაწეობა დაიწყო რუსთაველის თეატრში, სადაც დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მსახიობია მისი თაობის მსახიობებს შორის რუსთაველის თეატრში.



მანანა აბრამიშვილის სცენური გმირები

მანანა აბრამიშვილის თანამშრომლობა თელავის თეატრთან 2014 წლიდან იწყება, როცა თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, ასევე რუსთაველის თეატრის დღემდე მოქმედი მსახიობი პაატა გულიაშვილი დაინიშნა. მანანა აბრამიშვილის პირველი როლი, რომლითაც თელავის თეატრის მსახიობის ამპლუაში მაყურებლის წინაშე წარსდგა იყო სონა გიორგი ჩაკვეტაძის სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლი“. მსახიობის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ევას როლი რობერტ სტურუას და ნიკა ჰაინე-შველიძის სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთანი?!“. თელავის თეატრში მანანა აბრამიშვილმა უკვე ითამაშა ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა“), მარი (ს. კაკულიას „სახურავი“), დარეჯანი (ი. ჭავჭავაძის „აკაცია – ადამიანი?!“), ნუნუ ექიმი (ნ. დუმბაძის „საბრაღდებო დასკვნა“).

მანანა აბრამიშვილი 2016 წელს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ დაჯილდოვდა წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალის დიპლომით ევას როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთანი?!“. მანანა აბრამიშვილი წარმატებით მოღვაწეობს კინოსა და ტელევიზიაში. აქტიური მონაწილეა სატელევიზიო გადაცემების და შოუების.



ბექა სონლულაშვილის სცენური გმირები

რუსთაველის თეატრის მსახიობი ბექა სონლულაშვილი თელავის თეატრს 2013 წლიდან შემოუერთდა. 2007 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში განაგრძო. მისი, როგორც მსახიობის დებიუტი კი, ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანაში 2006 წელს შედგა რუსთაველის თეატრში გიგა ლორთქიფანიძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლში „წათეს წითელი წაღები“. 2013 წლიდან დღემდე ის, რუსთაველის თეატრის პარალელურად თელავის თეატრის მსახიობიცაა. ამ პერიოდის განმავლობაში თელავის თეატრის სპექტაკლებში მან შეასრულა ზაზა ნაკაშიძე (ნ. დუმბაძის „საბრაღდებო დასკვნა“), ლიხტი (ჰ. კლასიტის „ვინ გატეხა ქოთანი?!“), აკაკი („არც მიწისა ვარ, არც ცისა“), გიგი (ს. კაკულიას „სახურავი“), ვიოლა და სებასტიანო (შექსპირის „მეთორმეტე ღამე“) და სხვა.

გიგის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „სახურავი“ ბექა სონლულაშვილი დაჯილდოვდა „ალალეს“ პრემიით. მსახიობი აქტიურად თანამშრომლობს კინორეჟისორებთან. გადაღებულია რამდენიმე ფილმში.

თელავის თეატრის ახალბედა მსახიობებს შორის გამოირჩევა ლაშა წიფლაშვილი, რომელმაც 2017 წელს დაასრულა თელავის თეატრთან არსებული სტუდიის სრული კურსი (რეჟისორ გ. ჩაკვეტაძის ხელმძღვანელობით). თელავის თეატრის სცენაზე მისი დებიუტი 2016 წელს შედგა მეკობრის როლში რეჟისორ გიორგი ჩაკვეტაძის სპექტაკლში



ლაშა წიფლაშვილის სცენური გმირები

„მამოს თავადასავალი“. მოკლე დროის მანძილზე ახალგაზრდა მსახიობმა ათამდე სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: შოთი (ს. კაკულიას „სახურავი“), კოტე (ა. ცაგარლის „ხანუმა“), ზაზა ნაკაშიძე (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), ოლივია (უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე“), კოკა (ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“) და სხვა. ახალგაზრდა მსახიობი აქტიურად მონაწილეობს თელავის თეატრში დადგმულ საბავშვო სპექტაკლებშიც. გადაღებულია ფილმში „შინდისის გმირები“.

დავით ხუნაშვილის დებიუტი თელავის თეატრში 2012 წელს ლევან ხვიჩიას



დავით ხუნაშვილის სცენური გმირები

სპექტაკლში „ჰორაციო“. 2017 წელს კი მან დაამთავრა თელავის თეატრთან არსებული თეატრალური სტუდია (გიორგი ჩაკვეტაძის ხელმძღვანელობით). დავით ხუნაშვილმა თელავის თეატრში შეასრულა შემდეგი როლები: სტეფან სტეფანიჩი (ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნა“), ლუარსაბი (ი. ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“), მეღულუკე რამინი (ა. ცაგარელის „ხანუმა“), ტაქსის მძღოლი (რ. კუნი „იოლი ფული“), ზონდერი (ლ. ბუღაძე „ქეთათო“), გივიკო (კ. ბუაჩიძე „ეზოში ავი ძაღლია“), კირილე (ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“), ანდროს ბავშვობა (თ. ჭილაძის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“) და სხვა.



ელიზბარ ნერსესოვის სცენური გმირები

თელავის თეატრთან არსებული სტუდიის კურსადამთავრებულია ელიზბარ ნერსესოვი. მისი დებიუტი 2016 წელს შედგა ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლში „იოლი ფული“. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „დათვი“ (ლუკა), „მაშოს თავგადასავალი“ (კომბლე), გელა („დარაბებს მიღმა გაზაფხულია“), ლაქია („მეთორმეტე ღამე“), ზედამხედველი („საბრალდებო დასკვნა“) და სხვა.



ეფრემ (ბექა) პაპუნაშვილი სცენური გმირები

